

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი
გორის სახელმწიფო უნივერსიტეტი

XLII

რესპუბლიკური დიალექტოლოგიური
სამეცნიერო სესიის
მასალები

გორი, 2022 წლის 26-27 ნოემბერი

თბილისი
2022

დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია გაიმართება **2022 წლის
26-27 ნოემბერს** გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში

რეგლამენტი

მომხსენებელს – 15 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 5 წუთი

რედაქტორი – **მერაბ ჩუხუა**

სარედაქციო ჯგუფი: **მანანა ზუკია
ლელა გიგლემიანი
გიორგი გოგოლაშვილი
ნანა მაჭავარიანი**

ტექნიკური რედაქტორი – **ლევან ვაშაკიძე**

კომპიუტერული უზრუნველყოფა **რუსუდან გრიგოლიასი**

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი
ISBN

მ უ შ ა ო ბ ი ს გ ა ნ რ ი გ ი

26 ნოემბერი

კონფერენციის გახსნა

მერაბ ჩუხუა – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგია-ლექსიკოგრაფიის განყოფილების ხელმძღვანელი, თსუ კავკასიოლოგიის ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი

მისალმებები

ნანა მაჭავარიანი – თსუ არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი

გიორგი სოსიაშვილი – გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

მაკა ბერიძე – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი

I სექცია

12:00 სთ.

თავმჯდომარეები: ნანა მაჭავარიანი, მამია ფაღავა

ანფიმიადი დიანა – სახელდება, როგორც ყოფიერების სივრცის კოპირების იმიტაცია მიგრაციული პროცესების კონტექსტში (ქვემოქართლის ბერძნული სოფლების მაგალითზე)

არდოტელი ნოდარ – არდოტის მიკროტოპონიმის შესწავლისათვის

ახალაია ნატო – ფსევდოპასივები მეგრულსა და ლაზურში

ახალაია ვიანორ – გიორგი როგავა და ქართული ჰიპოტაქსის საკითხები

ახვლედიანი ნარგიზ – რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ერთი ტოპონიმის განმარტებისათვის

ბაკურაძე ლია, ბერიძე მარინა – მე-20 საუკუნის მიგრაციები და ქართული დიალექტების ახალი სივრცული სურათი
ბარინაშვილი მანია, ნაპირელი ელენე – ახალი მასალები ქდკ-ის ინგლოური ლექსიკონისთვის
ბერიძე მაკა – ბილინგვიზმი და დიგლოსია სომეხ სტუდენტთა მეტყველებაში
ბერიძე მერაბი – კარ კომპონენტის ტოპონიმი სამცხეში
ბერულავა სოფიკო – ნაოსნობა-მეთევზეობის ლექსიკა ლაზურში ერთი მთქმელის მეტყველების მიხედვით

II სექცია

15:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ე ბ ი: მერაბ ბერიძე, ნოდარ არდოტელი

ბუკია მანანა – ერთი მეგრული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის – არხა-ხატი
გოგოლაშვილი გიორგი – ჰ- და ს- პრეფიქსები ერთპირიან ზმნებთან ქართული ენის დიალექტებში (კიდევ ერთხელ „აღ-დგა/აღსდგა“ პარალელურ ფორმათა შესახებ)
გუმბარიძე სალომე – პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში
თელიაშვილი ლელა – ახალციხის მუნიციპალიტეტის ოიკონიმა შესწავლის საკითხისათვის
კობაძე ლამზირა – მესხეთში მცხოვრებ მთიულთა მეტყველების თავისებურებანი
კობერიძე მარიამ – თუშების ყოფა-ცხოვრების ადმინიშენელი ლექსიკა ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით
კოჭლამაზაშვილი ლევან – შუალობითი ასიმილაცია ქიზიყურში
მელიქიძე ნათელა – განკერძოებული შემასმენელი და განკერძოება შემასმენელთან
ნარაკიძე ციალა – ზღვაოსნობა-თევზჭერის ტრადიციებთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ ლაზურში

27 ნოემბერი

I სექცია

12:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: გიორგი გოგოლაშვილი, ეკა დადიანი

ნოღაიდელი ნანული – სათუთა და დედიფერა (მასალები რძისა და რძის ნაწარმის დამზადების ლექსიკიდან ზემო აჭარაში)

ოთინაშვილი ნიკოლოზ – დიალექტოლოგიური მასალები შიდა ქართლიდან – სოფელი ყელქცეული

რიჟვაძე მედეა – ცეკვის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინებისათვის აჭარულში

საღლიანი მედეა, შავრეშიანი ნატო – კვლავ ემოციების გამომხატველი შორისდებულებისათვის სვანურში

ფაღავა მამია – -ეთსუფიქსი შავშეთის ტოპონიმიში

ფუტკარაძე ელზა – ტაოს ქართულის ლექსიკიდან

ქირია ჭაბუკი – ქართველურ ენათა ლექსიკონების სტატუსისათვის

შენგელია ეთერი – მეგრული კუჩხ-ი „ფეხი“ იდიომებში

ჩოთალიშვილი ლელა – ბოტანიკური საერთაშორისო ტერმინოლოგია და მცენარეთა სახელების ლათინურ-ქართულ ლექსიკონზე მუშაობის თავისებურებანი

II სექცია

15:00 სთ.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე ბ ი: მანანა ბუკია, მარინე ბერიძე

ჩუხუა მერაბი – ქართველური მოდგმის ტომები და მათ სახელები

ციხიშვილი ნინო – -ჯაფრ-//-ხაფრ- ალომორფის ისტორიისათვის ქართულში

ჭაავა სოფიკო – აკაკი შანიძის პირად ფონდში დაცული ქიზიყური კილოს მასალები (საარქივო მასალების მიხედვით)

ჭოხონელიძე ნინელი – ზოგი სიტყვა ყბედობის მნიშვნელობით ქართულში

ხაჩატურიანი ჟანა – სომხური ენის დიალექტების სიმრავლე და თავისებურებები

ხაჭაპურიძე ლუიზა, დადიანი ეკა – არქაული სიტყვაფორმები მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში

ხახუტაიშვილი მზია, ცეცხლაძე ნანა – დიალექტური ტექსტების დიგიტალიზაციის აუცილებლობა და პრობლემები

ხოჭოლავა-მაჭავარიანი ნანა, ჭელიძე დავითი – ზანური სუბსტრატი ქართული დიალექტების ფიტონიმიაში

ხურცილავა ანა – ინგლისურ- და ესპანურ ონლაინტიმოლოგიური ლექსიკონების სტრუქტურა

17:00 სესიის შეჯამება და დახურვა

დიანა ანფიმიადი

სახელდება, როგორც ყოფიერების სივრცის კოპირების იმიტაცია მიგრაციული პროცესების კონტექსტში (ქვემოქართლის ბერძნული სოფლების მაგალითზე)¹

თუ დედამიწის ზედაპირს ოდნავ შორი ჰორიზონტიდან დავაკვირდებით, დავინახავთ ადამიანების მარადიული მოძრაობის პროცესებს, დაუსრულებელ მიგრაციას. ასე იყო ადამიანის დედამიწაზე ცხოვრების პირველი, პრეისტორიული დღიდან და ასე გრძელდება დღესაც, 21-ე საუკუნეში, რომელიც, პირველ რიგში, სწორედ მიგრაციების საუკუნეა.

რასაკვირველია, მიგრაციულ პროცესებს არც საქართველოსთვის ჩაუვლია შეუმჩნევლად. მეცხრამეტე და მეოცე საუკუნის საქართველოს ისტორია საერთოდაც გამოირჩევა სხვადასხვა მიზეზითა და მიზნით განხორციელებული მიგრაციების რაოდენობით, იქნება ეს შიდა თუ გარემიგრაცია, ეკოლოგიური, ეკონომიური, ძალადობრივი თუ სხვა. საბჭოთა პროპაგანდის ერთ-ერთი სასტიკი და მკაცრი ნიშანი სწორედ ქვეყნის მიგრაციული ცვლილება იყო, პოლიტიკური თუ სხვა მიზნით ადამიანთა ერთი ადგილიდან მეორეზე გადასახლება.

მიგრაციულ პროცესებთან დაკავშირებული ლინგვისტური საკითხების მრავალგანზომილებიანი კვლევები თანამედროვე ენათმეცნიერებისთვის აქტუალური მიმართულებაა, სწორედ ენა ასახავს მიგრაციის „ანატომიას“, ეტიოლოგიას, ანამნეზს. ენა ინახავს და აჩვენებს მიგრაციებთან დაკავშირებულ ისეთ დეტალებს, რომელთაც ვერცერთ საისტორიო წყაროში ვერ წავიკითხავთ.

წარმოდგენილი მოხსენება სწორედ მიგრაციის ლინგვისტურ შინაარსს ეხება, კერძოდ, ტოპონიმების საშუალებით წარმოდგენილი ყოფიერების სივრცის „გადატანას“, „წამოღებას“ ახალ ადგილზე, რომელიც მიგრაციული პროცესებისათვის ერთგვარი უნივერსალია. კვლევა ხორციელდება სამეცნიერო პროექტის „ენა და კულტუ-

¹ კვლევა განხორციელდა „შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი **FR-21-336**].

რული მეხსიერების დინამიკა XXსაუკუნის საქართველოს შიდამიგრაციების კონტექსტში“ ფარგლებში.

„საკუთარი სახელით გარემოს სახელდება ადამიანის ერთ-ერთი მთავარი მოთხოვნილებაა. თითქოსდა ამ გზით „ათვისებული“ სამყარო უფრო შინაურია, უფრო „სახლია“ მისთვის“ – ვკითხულობთ მონოგრაფიაში „ფერეიდნული დიალექტი“ (მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე 2020, გვ.738), სადაც ფერეიდნული დიალექტური კუნძულის სივრცეში ქართული ტოპონიმური ვერნისაჟი სხვადასხვა კუთხით არის წარმოდგენილი და გააზრებული.

სწორედ ეს მონოგრაფია გახდა ერთგვარი შთაგონება იმისთვის, რომ ტოპონიმური სახელდება, ახალი სივრცის მოშინაურება საქართველოს ბერძნული, უფრო სწორად, პონტოური სოფლების მაგალითზე გვეკვლია.

მითუფრო, რომ პონტოურ მიგრაციას რამდენიმე მნიშვნელოვანი თავისებურება აქვს, პირველი, ეს მისი რამდენიმეეტაპიანობაა, პერიოდულობაა, ცნობილია, რომ მასობრივი ბერძნული მიგრაცია საქართველოში რამდენიმე ნაწილად განხორციელდა, რის შედეგადაც მივიღეთ ბერძენთა კომპაქტური, ზოგჯერ იზოლირებული ჩასახლებები. მეორე, მისი ლინგვისტური მახასიათებელია, გარკვეულწილად, პონტოური სოფლები სწორედაც დიალექტურ კუნძულებს წარმოადგენდნენ და ამ კუთხით, რამდენიმე დიალექტური კუნძულის გამოყოფაც შეიძლება. მესამე რეინტეგრაციის, დაბრუნების პროცესია, რომელსაც ადგილი ჰქონდა მეოცე საუკუნის დასაწყისში და მოგვიანებით, ოთხმოცდაათიანი წლებიდან სულ უფრო მასობრივი სახე მიიღო, რის შედეგადაც დღეს კიდევ ერთი, ხელახალი დაბრუნების პროცესის თვალის დევნება შეგვიძლია, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს ბერძნები საბერძნეთიდან კვლავ თავიანთ ქართულ სოფლებში ბრუნდებიან.

რამდენიმე სიტყვით ბერძნული მიგრაციის შესახებ: მიგრაციის ტალღა ერთჯერადი არ ყოფილა და არც დროის კონკრეტული წრით შემოზღუდული. საქართველოში მცხოვრებ ბერძენთა ნაწილი მცირეაზიელ ბერძენთა შთამომავალია, ნაწილი-შავი ზღვისპირეთიდან, პონტოდან წამოვიდა. მიგრაციის თანდათანობითი პროცესი ბიზანტიის სამეფოს დაცემისა და ამ ტერიტორიის ოსმალეთის მიერ დაპყრობის მერე დაიწყო, თუმცა მასობრივი მიგრაცია მეცხრამეტე

საუკუნის ბოლოსა და მეოცეს დასაწყისში განხორციელდა, რუსეთ-ოსმალეთის ომის დროს და უფრო გვიან, როცა ქრისტიანული მოსახლეობა კიდევ უფრო დიდი დევნის ობიექტი გახდა. ეთნიკური ბერძნების სისტემური დევნა და განადგურება აღმოსავლეთ თრაკიასა და მცირე აზიაში 1914-1923 წლებში თურქეთის ქემალისტური მთავრობის დაგეგმილი იყო. ამ პროცესს თითქმის 400 000 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა.

საქართველოში ბერძენთა ორი ძირითადი ენობრივი ჯგუფი ცხოვრობს – ბერძნულენოვნები, რომლებიც ბერძნული ენის პონტოურ დიალექტზე ლაპარაკობენ და თურქულენოვნები – ანატოლიელი ბერძნები, რომელთა სასაუბრო ენად თურქულის ურუმთა დიალექტს მიიჩნევენ.

პონტოელი ბერძნების ყველაზე მრავალრიცხოვანი პოპულაცია საქართველოში, დმანისის, წალკის, ბორჯომ-ბაკურიანის, აფხაზეთის, განსაკუთრებით, ზღვისპირეთის სოფლებსა თუ ქალაქებში დასახლდა.

პონტოური ბერძნული, პონტოური დიალექტი ან რომეიკა, როგორც მას თავად პონტოელი ბერძნები უწოდებენ, ბერძნული ენის დიალექტია, რომელიც ძველი ბერძნულისა და ბიზანტიური ბერძნულის ნიშან-თვისებებს ატარებს და ახალი ბერძნულისგან ძალიან განხვავდება. თურქული, ქართული, სომხური, ლაზური გავლენები და ნასესხობანი ამ დიალექტს ძალიან საინტერესო ენობრივ ნიმუშად აქცევს, რომელიც პონტოელი ხალხის ისტორიას გვიყვება.

პონტოური დღეს საფრთხის ქვეშ მყოფი ენობრივი მეტყველებაა, თაობის ცვლასთან, რეპატრიაციის თუ უნიფიკაციის პროცესებთან ერთად ისიც იკარგება და განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს. აღსანიშნავია, რომ პონტოელ ბერძენთა ახალი თაობა საბერძნეთსა თუ სხვა ქვეყნებში უკვე ნაკლებად საუბრობს პონტოურად, ისევე, როგორც ქართველი პონტოელები.

უკანასკნელი წლების განმავლობაში, მეოცე საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული დემოგრაფიული სიტუაცია საქართველოში მკვეთრად შეიცვალა, ბერძენთა დიდი ნაწილი საბერძნეთში დაბრუნდა. 2002 წლის მოსახლეობის აღწერის მონაცემების მიხედვით, საქართველოში სულ 15166 ბერძენი ცხოვრობდა, მათ შორის, ყველა-

ზე მეტი – 7415 ბერძენი სწორედ ქვემო ქართლის სოფლებში. უფრო გვიანდელი აღწერის (2014) მონაცემებით ეს რაოდენობა კიდევ უფრო მცირეა და მთლიანობაში, ალბათ, შესაძლოა რამდენიმე ასეულ მოსახლეს არც სცდებოდეს.

ბერძნებმა თავიანთ ახალ საცხოვრებელს ძველი სახელები დაარქვეს, ეს გადარჩენის, ახალ სივრცეში ორიენტაციის ფორმულაა - ახალ სივრცეს ძველის სახელი უწოდო, რომ არ დაიკარგო, არ დაიბნე. ასეა ფერეიდანშიც, ქართველებით დასახლებულ სოფლებში, სადაც ტოპონიმების გარდა ქართული გეოგრაფიული სახელებიც შეგხვდებათ, ეს თან ისტორიული მეხსიერებაა, თან ახალ ტერიტორიაზე თავის დაკვიდრების საშუალება.

ახალ სივრცეში ადაპტაციის, თავის დამკვიდრების, თავის „შინ“ აღმოჩენისთვის პონტოელი ბერძნები ახალ ადგილებს მშობლიური სოფლების სახელებს არქმევდნენ, მაგალითად, თეზს – ავრანლო, წალკას – გუნიაკალა, კოხთას – სანამერი, ქვემო ახალშენს – კირიაკი, ზემო ახალშენს – ბაშკოი, ეძვენა-სოფელს – შიპიაკი, უწყლოს – სანტა, გველფარეხას – კუმჩი, საბატეს – დარაკოვი, გორას-ჯარაიორი.

იმის მიხედვით, მიგრანტი ბერძნები ე.წ. ელინოფილები არიან (ბერძნულენოვნები), თუ ურუმები (თურქულენოვნები, ძირითადად, ერზრუმიდან) ტოპონიმთა სახელდებაც ამ ორ ენას, ბერძნული ენის პონტოურ დიალექტსა და თურქულ ენას შორის მერყეობს.

მაგალითად, ბერძნული ტოპონიმია ლივადი (სოფელი წალკის მუნიციპალიტეტში, სადაც 2002 წლის მონაცემებით ნახევარზე მეტი მოსახლეობა ბერძნული იყო). ლივადი -ლიβάდი (მდელო, მინდორი).

ხოლო თურქულენოვანი სახელდების საინტერესო მაგალითად შეიძლება მივიჩნიოთ ბეშთაშენი, რომელიც ისტორიულად ბეშქენაშენი იყო, ხოლო 1929 წლიდან, ერზრუმელი ბერძნების ჩამოსახლების შემდეგ, ტოპონიმი ცვლილებას განიცდის, ბეშთაშენი (თურქულად ხუთი ქვა) ხდება (აქვე აღსანიშნავია, რომ ასეთი ტოპონიმი თურქეთშიც არსებობს, საიდანაც განხორციელდა ბერძენთა მიგრაცია). თურქულენოვანი ტოპონიმებია ქარიაქი, გუნიაყალა, ედიქილისა, ჯინისი და სხვა.

მოხსენების ვრცელ ვერსიაში განვიხილავთ ბერძნული სოფლების ტოპონიმკას, ეტიმოლოგიას, წარმოშობას პოლილინგვისტური კვლევის საფუძველზე, ამასთანავე, ტოპონიმკური ცვლილებების რამდენიმე ეტაპს, რომელიც სწორედ მიგრაციულ ცვლილებებთან არის დაკავშირებული.

ვისაუბრებთ მიგრაციული პროცესების კვალდაკვალ შეცვლილ ლინგვოთნიკურ სიტუაციაზე, რაც ქვემო ქართლისტოპონიმური ლანდშაფტის ცვლილების მიზეზი დღესაც ხდება, როგორცაა, ბერძნულ ტოპონიმთა გაქართულება თუ ბერძნულენოვან სოფლებში ქართულად მეტყველთა რაოდენობის გაზრდა შიდა თუ გარემომიგრაციული მოვლენების ფონზე.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე, ბაკურაძე 2020 – მ. ბერიძე, ლ. ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, თბილისი 2020.

კემულარია, 2013 – მ. კემულარია, ქვემო ქართლის ტოპონიმია: (ბოლნისის, დმანისის, მარნეულის რაიონები) / არტანუჯი 2013.

საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის პირველი ეროვნული საყოველთაო აღწერის შედეგები / საქ. სტატისტიკის სახ. დეპარტამენტი; [წიგნი მოამზადა სამუშაო ჯგუფმა: ციალა ელიაძე (ხელმძღვ.), ნათელა ქველაძე, ირაკლი აფხაიძე და სხვ.; სარედ. კოლ.: თეიმურაზ ბერიძე (მთ. რედ.) და სხვ.]. – თბ., 2003. – 26სმ.

ქვემო ქართლის ტოპონიმკა // სოციალური უსაფრთხოების ეთნიკური ასპექტები პოლიეთნიკურ საზოგადოებაში: ეთნოუმცირესობა და სამოქალაქო საზოგადოება ქვემო ქართლში, მწიგნობარი, 2011.

ნოდარ არდოტი

არდოტის მიკროტოპონიმიის შესწავლისათვის

ენის ლექსიკურ ფონდში ტოპონიმებს და, კერძოდ, მიკროტოპონიმებს გამორჩეული ადგილი უჭირავთ იმ თვალსაზრისით, რომ სახელდების მოტივაციასა და აპელატიურ მნიშვნელობასთან მიმართების თავისებურებებს ყველაზე უკეთ წარმოაჩენენ (მ. ნიკონოვი 2011, 42-51; ბ. ჯორბენაძე 1993, 14-24). ამ რიგის სახელების ენათმეცნიერული შესწავლა გულისხმობს რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხის გარკვევას: ა) მიკროტოპონიმებში იგივე კანონზომიერებანი იჩენენ თავს, რაც მაკროტოპონიმიაში გვაქვს, თუ მათი არსი განსხვავებულია? ბ) მიკროტოპონიმები რა ძირითადი ნიშან-თვისებებით განსხვავდებიან საზოგადო სახელებისაგან? გ) მიკროტოპონიმი კონტექსტით შეპირობებულია თუ არა? დ) რა განსაზღვრავს მიკროტოპონიმთა ფორმირების საჭიროებასა და ენაში დამკვიდრების შესაძლებლობას? ე) ტოპონიმებსა და საზოგადო სახელებში სახელდების მოტივაცია ერთგვარია თუ განსხვავებული? ვ) რა ასაზრდოებს მიკროტოპონიმთა ცვლის ტენდენციებს და როგორ შეიძლება სუბსტრატული მიკროტოპონიმების გარჩევა ძირეული ტოპონიმებისაგან?

აი, ის უმთავრესი ამოცანები, რომელთა დასმა და სათანადო მეცნიერულ დონეზე გადაჭრა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ტოპონიმიკური კვლევის განვითარებისთვის. მეტადრე ეს ითქმის საქართველოს ისეთი მონაპირე სოფლის მიმართ, როგორცაა არდოტი. ეს სოფელი მოქცეულია პირიქითა ხევსურეთის მიღმახევის ხეობაში, მდინარე არდოტის წყლის (არდუნის მარჯვენა შენაკადი) მარცხენა კლდოვან კალთაზე, რომლის ზედა დასახლებული ნაწილი 2250 მეტრს აღწევს. ჩრდილოეთიდან მას უშუალოდ ესაზღვრება ჩეჩნეთი, აღმოსავლეთიდან კი – თუშეთი. ვაჟა-ფშაველა ამ სოფელს თავის პოემაში „აღლუდა ქეთელაური“ ჰიდრონიმის კომპონენტად ასე მოიხსენიებს: „ბევრჯელ წასულა საჭალოდ დახოცილთ სისხლის ღვარია; შეუღებია წითლადა ავი **არდოტის** წყალია (ხაზგასმა ჩემია – ნ. ა.)“ (ვაჟა-ფშაველა 1986, 114). ამ სოფელში ოდითგანვე მოსახლეობენ მურღვანი და ზვიადაურნი, რომელთა ნაწილი ბოლო დრომდე დედასოფლიდან – არდოტიდან განსახლებული იყო ანდაქსა და არ-

ჭილოში. აღსანიშნავია ისიც, რომ არდოტის მოსახლეობა ზაფხულობით არდოტში იმყოფებოდა, ხოლო ზამთრობით საზამთრო სოფელში – ბახაოში ცხოვრობდა და ეწეოდა სამეურნეო საქმიანობას.

უნდა აღინიშნოს, რომ არდოტის მიკროტოპონიმია, თუ არ გავითვალისწინებთ ალ. ჭინჭარაულის ზოგ ნაშრომში (ალ. ჭინჭარაული 1960) წარმოდგენილ ცალკეულ შენიშვნა-ეტიმოლოგიებს, თ. უთურგაიძის საფუძვლიან მონოგრაფიას (თ. უთურგაიძე 1966) და ა. სულეიმანოვის (ა. სულეიმანოვი 1978) მეტწილად მცდარ ეტიმოლოგიურ შენიშვნებს, საგანგებოდ არავის უკვლევია. გარდა ამისა, არდოტის მკვიდრს – გრანჯა მურლოევს – მოეპოვება არდოტის ტოპონიმის მოკლე დახასიათება, რაც ფაქტობრივ ფრაგმენტული ხასიათისაა და ძირითადი მიკროტოპონიმების დასახელებით შემოიფარგლება (გ. მურლოევი¹ 1999, 162-165).

სტრუქტურული თვალსაზრისით, არდოტის მიკროტოპონიმები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: 1) **მარტივი** და 2) **რთული**. **მარტივ მიკროტოპონიმებად** განვიხილავთ ისეთი აგებულების გეოგრაფიულ სახელებს, რომელთა ფუძე გავრცობილი არ არის ცოცხალი დერივატებით ან არ ხერხდება ამგვარი გრამატიკული ელემენტების გამოყოფა, მაგ.: **ბისო** „არდოტის პირდაპირ მდებარე სახნავ-სათესი მთა“² („ბისოს მოვიდა ამბავი, ვით ნაქუხარი მეხადა...“ – ვაჟა), **წურტე** „არდოტის სამხრეთით მდებარე სახნავ-სათესი ქედი“, **მაღალი**³ „არდოტის მთას მიბჯენილი მცირე ზომის კონუსური და კლდოვანი მთა“, **სანე** „არდოტის სამთოს მიმდებარედ აღმართული გორა, სადაც საკულტო-რელიგიური დღესასწაული – „სანეობა“ იმართება“, **ალიე** „სახნავი და სათიბი ადგილი ბახაოში“ და მისთ. ოიკონიმებიც **ბახაო** და **ანდაქი**⁴ მარტივი აგებულებისა ჩანს.

¹ მართებული ფორმაა **მურლოევი** (< *მურლოევი).

² **ბისო/ზასო** („ფერდობი“) ნახური წარმომავლობისა უნდა იყოს, რომელიც პირაქეთა ხევსურეთში ოიკონიმადაც გვხვდება (თ. უთურგაიძე 1966, 103). ა. ბერთლანი ბოლოკიდურ **-ოს** გარკვეული ფუნქციით („არე, სივრცე, მიდამო“) საწარმოებელ სუფიქსად გამოყოფს (ა. ბერთლანი 2019, 251).

³ ზედსართავი სახელი „**მაღალი**“ ორონიმისაგან „**მაღალი**“ (შდრ. **არწივის მაღალი** „მთა არხოტში“) განირჩევა მარტოოდენ კონტექსტით, რაც მიკროტოპონიმის კონტექსტურ ბუნებაზე მიგვანიშნებს.

⁴ კატეგორიულად ვერ გამოვრიცხავთ ოიკონიმ **ანდაქის** კავშირს სატომო სახელ **ანდაქებთან** (შდრ. ანდი), თუმცა ამას დამატებითი მასალა და სპეციალური

სიტყვაწარმოების მიხედვით, **რთული სტრუქტურის მიკროტოპონიმები**, თავის მხრივ, შეიძლება ორ ქვესახეობად დაიყოს: (ა) **აფიქსური** და (ბ) **კომპოზიტური**. (ა) აფიქსური მოდელი დიდი პროდუქტიულობით არ გამოირჩევა, მაგ.: **სა-ო**: სა-ცხენ-ო „არდოტის სამხრეთ ქედზე ცხენების სამოვარი ტაფობი“, სა-ჯარავენ-ო „არდოტის მთაში ხარების საზაფხულო იალაღი, სადაც ხარავანს მწყემსავდნენ“, სა-ფიხვნ-ო „თავშეყრის ადგილი სოფლის მიმდებარედ“...; **-იან**: ჯინჭვლ-იან-ი „ბახაოს მოპირდაპირედ სამოვარი ადგილი, სადაც ჭიანჭველების ბუდობებია“, ჯშირფიჭვ-იან-ი „არდოტის პირდაპირ შვეაკებული ადგილი, სადაც ბევრი ფიჭვი ხარობს“...; **-ა**: სასვენ-ა¹ „არდოტის შესასვლელში შესასვენებელი ადგილი“, ამსაჩენ-ა „ბახაოს დაბლა სოფელში ამოსაჩენი ადგილი“, საქუხარ-ა „ზვავის გადმოსაფრენი უფსკრული“...; **-თანა**: ტბა-თანა „ხევი სოფელში, რომელსაც ავსულების ადგილად მიიჩნევენ“ და ა. შ.

არაიშვიათად ორივე ტიპის მიკროტოპონიმების საწარმოებლად გამოყენებულია **-ნარ-თან-იანი** მრავლობითი რიცხვის ნიშანი, რომელიც მეტწილად კნინობითობის **-ა**-ზე დასრულებულ სახელებს დაერთვის, მაგ.: **ფიჭვ-ნ-ი** „არდოტის წინ აღმართული მთის ფიჭვიანი კალთა“, **ჯვრელა-ნ-ი** „არდოტის ჩრდილოეთით მდებარე ხვრელებიანი გორი“, **წყალა-ნ-ი** „ბისოს ზედა წელზე მცირე წყარო“, **ბუისნათხარ-ნ-ი** „არდოტის სამთოში გადათხრილი ადგილი“, **ბებერა-ნ-ი** „არდოტის სამხრეთით ფლატეებიანი და ხევ-ხუვიანი ადგილი, სადაც გზად მიმავლები ქვებს, ბალახს და ხის ტოტებს აწყობდნენ ბებერათ სამხვეწროდ“, **ფიცარკლდე-ნ-ი** „ფრიალო კლდე,

შესწავლა სჭირდება. **-ჩი** (< **-ში**) თანდებულიანი მეორე **ანდაქი** (**ანდაქი**) სახელობითის ფუნქციით დასტურდება, რომელიც ბორბალოს უღელტეხილამდე მდებარეობს და განსხვავების წარმოსაჩენად გრამატიკული კანონზომიერების დარღვევის ნიმუშს წარმოადგენს. აქედან დასკვნა: **საკუთარი სახელისა და აპელატივის ფორმათა გარჩევა აშკარა – აპელატივი სახელობითის ფუნქციით -ში თანდებულიან ფორმას მოკლებულია**. მიკროტოპონიმთა სახელდებისას უმთავრესია მათი სხვებისაგან ამორჩევა, სწორედ ამიტომ ორი ერთნაირი ტერმინის აღრევის თავიდან ასაცილებლად ენამ დაუშვა გრამატიკული წესის დარღვევა და მიცემითში მდგარი საკუთარი სახელი ნომინაციის ფუნქციით აღჭურვა.

¹ ამგვარ სახელთა მეტი წილი **-ნარ-თან-იანი** მრავლობითი (resp. კრებითი) რიცხვით გადმოიცემა, ვინაიდან ერთის მრავალგვარობასა და მრავალწახანგოვნებას გულისხმობს.

რომლის ერთი გვერდი ფიცარივით გლუვია“ (გ. მურღუევი), **შუაჯი-და-ნი**-ი „არდოტსა და ბახაოს შორის მდებარე ხიდი“ და სხვ.

რაც შეეხება კომპოზიტურ სიტყვაწარმოებას, იგი (ბ) შედარებით პროდუქტიულად არის წარმოდგენილი **ორკომპონენტური სუბორდინაციული კომპოზიტები**, რომლებიც დიდწილად პოსესიურობას გამოხატავენ და დამოკიდებულ კომპონენტს **ნათესაობით ბრუნვაში** სვამენ. კომპოზიტებს, როგორც ცნობილია, ყოფენ ერთცნებიან, ორცნებიან და მრავალცნებიან სახეობებად [აჰ. შანიძე 1980, 148]. ნიშანდობლივია, რომ ყველა მიკროტოპონიმი, შინაარსის მიხედვით, კომპონენტთა თანდათანობითი სემანტიკური ნეიტრალიზაციის შედეგად ერთცნებიანად არის ქცეული, რაც საზოგადო და საკუთარ სახელთა (მიკროტოპონიმთა) დიფერენციალური ნიშანია. ამასთან ერთად, თითოეული მიკროტოპონიმი მოტივირებულია და სათანადო კონტექსტით არის შეპირობებული, მაგ.: **ბისოსთავი** „სახნავ-სათესი მთის თხემი“, **ბახაოსთავი** „არდოტელთა საზამთრო სოფლის ზემოთ მოქცეული ტერიტორია“, **ჩხათავი** (< **ჩხატავი** < **ჩხატთ თავი**) „არდოტის ზემოთ ორწოხში ჩაქცეული ჩანჩქერის ზემოთ გადაშლილი იალაღი“, **არდოტისძირი** „არდოტის ჭალის ერთი მონაკვეთი“, **ლატოხისძირი** „არდოტის ხუტორის – ლატოხის ჭალა“, **ჯვარისყანა** „არდოტის პირდაპირ, ბისოს ქვედა წელზე გადაშლილი ხოდაბუნები, სადაც ჯვარ-ხატის საქმისთვის პურეული მოიწეოდა“, **ბახაობისო** (< ბახაოს ბისო!) „ბახაოს გვერდით მდებარე სახნავ-სათესი ფერდობი, რომელიც ძალიან წააგავს არდოტის ბისოს“ და სხვ. მისთ.

გარდა ზემომოყვანილი ორკომპონენტური მიკროტოპონიმებისა, მცირე რაოდენობით დასტურდება **სამკომპონენტური და ერთცნებიანი** კომპოზიტები, რომლებშიც მიკროტოპონიმთა მოტივირებულობა უფრო მკაფიოდ არის წარმოჩენილი, მაგ.: **ორწყალთმიედანი** (< ორწყალთ+მიედანი) „პატარა მდინარეთა შესართავს ზემოთ გადაშლილი ყვავილნარიანი მოედანი“, **მონისკრისტყე** (< მონის+კარის+ტყე² ზედმიწ. „ავის კარის ტყე“) „არდოტის ჩრდილოე-

¹ შდრ. **ბისო**, ე. ი. არდოტის ბისო ზედმიწ. „არდოტის ფერდობი (მზიანი ადგილი, მზვარე)“. აქედანაც ცხადი ხდება, რომ **ბისო** წარმომავლობით ნახურია.

² არავინ უწყის, თუ რატომ დაერქვა ამ ადგილს **მონისკარი**, თუმცა ფოლკლორში მოღწეულია გადმოცემები, რომ სარწმუნოებისათვის ბრძოლისას ადგილობრივი მოსახლეობა ამ ადგილებს აფარებდა თავს. შესაძლოა, ამ გადმოცემებში

თით მოქცეული ტყე-კლდიანი ხეობა-ღრანტეები“, შუაჯიდათვევი (< შუაჯიდათ+ვევი) „არდოტის მოპირდაპირე მთაზე ძაბრვიით გადაშლილი და განტოტვილი ხეობა“, ჭახუხმაღლისძირი (< ჭახუხ+მაღლის+ძირი) „არდოტის ყველაზე მაღალი მწვერვალის ქვემოთ მდებარე სასამოვრე ტერიტორია“ და მისთ.

არდოტის ტოპონიმიისთვის ნიშანდობლივია **განსაზღვრებითი კომპოზიციის** სახით წარმოდგენილი მიკროტოპონიმები, რომლებშიც სახელდების მოტივაცია საზოგადო სახელთაგან მეტ-ნაკლებად განსხვავებული ჩანს, მაგ.: **ბაბუამანაკლავა** „არდოტის დასავლეთით მდებარე ფერდობი, სადაც ბაბუა მოკლეს“, **კიდობანაკლდენი** (შდრ. კიდობანივით კლდე) „არდოტის მახლობლად კიდობნის მსგავსი კლდეთა მასივი“, **მაღალაგორა** (შდრ. მაღალი გორი) „ორწყალთმიედნის აღმართული გორი“, **შუასოფელა** (შდრ. სოფლის შუა უბანი, შუა სოფელი) „ბახაოში სოფლის შუა უბანი“ და მრ. სხვ.

არდოტის გავრცელების არეალში მოქცეულ გეოგრაფიულ ადგილთა სახელებს შორის მცირე რაოდენობით შეიმჩნევა ნახური წარმომავლობის მიკროტოპონიმებიც, რომელთა ეტიმოლოგიის დადგენა ოდენ ნახურ ენათა მონაცემების საშუალებით ხდება შესაძლებელი (თ. უთურგაიძე 1966, 88-89). მართალია, თ. უთურგაიძის მიერ განხილულ სახელთაგან ზოგი უდაოდ ნახურია (**ხიდოტანი** < **ხი-დოტან** „წყალ-სავალი“, **ამუგა** „ტბათანა“, **ბისო** შდრ. ჩეჩნ. **ბასიე**, ინგ. **ბოსიე** „მთის მზისკენ მიქცეული ფერდობი“...), მაგრამ ზოგი მიკროტოპონიმი დამატებით კვლევას მოითხოვს. კერძოდ, **წურტე** („არდოტის სამხრეთით მდებარე სახნავ-სათესი ქედი“) შესაძლოა **წვერს** („მთის თხემი“) უკავშირდებოდეს (**წვერ-** > **წვირ-** > **წურ-**) (ჭინჭარაული 1960, 22), ხოლო **აყეხი** („ბახაოს სამხრეთ-დასავლეთით მდებარე სახნავ-სათესი ფერდობი“) ქართ. **აყ-** (< აყ-ალ-ო „მიწა ანუ თიხა“) ფუძეს უკავშირდებოდეს და ჰიბრიდული მიკროტოპონიმი (ქართ. **აყ-**, ჩეჩნ. **ეხ⁻¹**) აღნიშნავდეს „მიწურს, თიხის გამოქვაბულს“.

გამოკრთოდეს 1212 წელს სამეფო ხელისუფლების ლაშქრობის ხსოვნა და სახელდებამში დაუნჯებული იყოს ამ ადგილის იმდროინდელი ვითარება.

¹ მართალია, **ეხი** ნახური წარმომავლობისად მიიჩნევა (**ეხ** < **ჰეხ** „გამოქვაბული“), თუმცა იგი ძველ ქართულშიც დასტურდება და მისი ეტიმოლოგია კვლავ საძიებელია (შდრ. თ. უთურგაიძე 1966, 95-96).

კვლევის ამ ეტაპზე ხელშესახებია ორი (**ბაიტე**, **შანტალი**) მიკროტომონიმი, რომელთა ნახური წარმომავლობა შეიძლება ვივარაუდოთ¹. **ბაიტე** „სოფლის მარცხენა მხარეს შეფენილი მდელო, სადაც არის ღვთისმშობლის სახელზე აგებული ნიში და საკულტო-რელიგიური დღესასწაული – **დატიობა** იმართება“. ამ აგრონიმის ეტიმოლოგია: **ბაიტე** < **ბაი-ტე** „მდელო-ზე“ (ჩეჩნ. **ბაი** „მდელო, ბუნო“, -**ტე** „ზე“). რაც შეეხება მეორე სახელს, **შანტალი** მდებარეობს ბისოს ქვემოთ ამაველ ხეობაში, სადაც არის ორი ხევისწყლის შესართავი და ორტოტა ფიწალს მოგვაგონებს. ამის გამო, მისთვის დაურქმევიათ **შანტალ-ი** < **შანტა-ლ-ი** (**ნ-ს** განვითარებით, შდრ. **ჰანდარი** < **ჰადა-რი...**) < **შატა-ლ-ი** (შდრ. **წ.-თუშ. შატ/შატა** „კვანძი, ორტოტა ფიწალი“ + **ლო/-ლ** „-თანა“, ეტიმოლოგიურად: „ფიწალთანა, ე. ი. ორწყალთანა, შესართავთანა“).

ცხადია, ერთ სტატიაში ოდენ ერთი სოფლის ენობრივ მასალაზე დაყრდნობით შორსმიმავალი დასკვნების გამოტანა რთულია, თუმცა მაინც შეიძლება ორი მოსაზრების წამოყენება: 1) ამგვარი ლექსიკა ეთნიკურ მიმოქცევათა შედეგია, რასაც ისტორიულად უნდა ჰქონოდა ადგილი; 2) სათანადო ეთნოსთა თანაცხოვრებისას შექმეული სახელებია, რასაც ფოლკლორში შემონახული გადმოცემებიც უჭერენ მხარს. ავტორი უფრო მეორე მოსაზრებისაკენ იხრება, ვინაიდან ქართული და ნახური მოდგმის ხალხთა თანაცხოვრებისა და მეზობლობის მაგალითები ბოლო დრომდე შემოგვცენახა პირიქითა ხეცსურეთში.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერთლანი 2019 – ა. ბერთლანი, თუშურენოვანი ანთროპონი-
მია და ტოპონიმი, გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2019.

ვაჟა-ფშაველა 1986 – ვაჟა-ფშაველა, თხზულებანი, გამომცემ-
ლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1986.

მურდოევი 1999 – გ. მურდოევი, არდოტის ტოპონიმი, პირიმ-

¹ ნახური წარმომავლობისა ჩანს **ჰულაჯე** („არდოტის გვერდით მდებარე სახნავი ადგილი“) და **დანიუხე** („არდოტელთა სასაფლაო“), თუმცა მათ შესახებ სხვა დროს.

ზე: გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1999, გვ. 162-165.

ნიკონოვი 2011 – В. А. Никонов, Введение в топонимику, Изд-во ЛКИ, Москва, 2011.

სულიმანოვი 1978 – А. С. Сулуйманов, Топонимия Чечено-Ингушетии, II Часть, Грозный, 1978.

უთურგაიძე 1966 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, „მეცნიერება“, თბილისი, 1966.

შანიძე 1980 – აკ. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. III. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1980.

ჭინჭარაული 1960 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურულის თავისებურებანი, საქ. სსრ მეცნ. აკად. გამომცემლობა, თბილისი, 1960.

ჯორბენაძე 1993 – ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 1993.

ნ ა ტ ო ა ხ ა ლ ა ი ა

ფსევდოპასივები მეგრულსა და ლაზურში

„ვნებითმაგვარი“ ფორმები, „რომლებსაც სახე აქვთ ვნებითი ზმნის, ხოლო მნიშვნელობა მოქმედებითისა“ (ნ. ჩუბინაშვილი), აქტუალურია არა მხოლოდ ქართველოლოგიური, არამედ ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაც. ქართულში ამგვარი შეუსაბამო სტრუქტურა ერთ-ერთი ძლიერი არგუმენტია გვარის, როგორც გრამატიკული კატეგორიის, ფუნქციონირების საწინააღმდეგოდ.

მიღებული თვალსაზრისით, ქართველურ ენებში გვარის კატეგორიის გრამატიკალიზაცია დამოუკიდებლად არის წარმართული (ასათიანი 2015: 25); ამას ადასტურებს ის სპეციფიკური ფორმები და კონტრუქციები, რომლებიც მეგრულსა და ლაზურში სალიტერატურო ქართულისაგან განსხვავებული გზით არის წარმოქმნილი. ვითარების ნათლად წარმოსაჩენად საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ბ. ჯორბენაძის მიერ მოხმობილ ნიმუშებს „იწერება“ ზმნის მაგალითზე (ჯორბენაძე 1980), რომლის ერთ ფორმაში ნათლად ჩანს ფუნქციური დაპირისპირების სამი შემთხვევა:

- (1) კარგი წიგნი კარგი მწერლის მიერ იწერება.
- (2) ჩემი მეგობარი სოფლიდან კარგ ამბებს იწერება.
- (3) ვრცელი წერილი მოკლე წერილზე უფრო იოლად იწერება.

ბა.

აღსანიშნავია, რომ მოცემული ყალიბის სამი განსხვავებული შინაარსი მეგრულში სათანადო სტრუქტურებით არის წარმოდგენილი:

- (1) ჯგირი წიგნი ჯგირი მაჭარალიშე **ი-ჭარ-უ-უ-ნ (= PASS)**
- (2) ჩქიმი მაცალე/მალათირე სოფელიშე ჯგირე ამბეფს **ი-ჭარ-აფ-უ-ნ (=ACT)**
- (3) ფართე წერილი კუნტა წერილიშე უმოსო ლექინო **ი-ჭარ-ე-ნ (=POT)**

ლაზურში კი – პოტენციალისა და ვნებითის ფორმათა გაუმიჯნაობის გათვალისწინებით, ორი განსხვავებული სტრუქტურა დასტურდება:

- (1) კაი ქითაბი კაი ჭააფუთენ **ი-ჭა[რ]-ე-ნ (=PASS)**
- (2) ჩქიმი მანებრაქ ოფუტეშენ კაი ამბაეფე **მომი-ჭა[რ]-უფ-ს (=ACT)**
- (3) დიდი მექთუბი მკულე მექთუბიშენ დაა კოლაი **ი-ჭა[რ]-ე-ნ (=POT)**

ამგვარი მაგალითები რელევანტურია ქართულის რიგ ნიმუშში ფორმისა და ფუნქციის შეუთავსებლობის წარმოსაჩენად, მაგრამ ვერ გამოდგება ლაზურისა და მეგრული მორფოლოგიის საილუსტრაციოდ; რადგან ლაზურში აქტიური ზმნის სემანტიკა სრულ შესაბამისობაშია თავის მორფოლოგიურ სტრუქტურასთან (2)¹; მეგრულში ზმნურ ფორმათა აუსლაუტში კი ორი -უ (1), უგამონაკლისოდ, მხოლოდ პასიურ ზმნაზე მიუთითებს.

მეგრულში აქტიური სემანტიკის -აფ-უ ნიშნით მარკირებული არარეგულარული წარმოების ერთეულები (2) კ. დანელიამ ცალ-

¹ ქართულის დეკონენსურ ფორმებს ლაზურში, ძირითადად, მოქმედებითი გვარის ნიმუშები შეესატყვისება: ქართ. მოჰყვება ლაზ. ACT: მოყ-უფ-ს (შდრ. მეგრ. მოFუნს): „გინძე ნენას კაბლა მოყუფს“ (ხალხური სიბრძნე 1994:206) „გრძელ ენას ჩხუბი მოჰყვება“ და მისთ.

კე გამოყოფ. მეცნიერი აღნიშნავს: „**-უ-უ** დაბოლოების ფორმებში **პასიურია** გრამატიკული სუბიექტი, ის **რეალური ობიექტის** როლშია, ე.ი. ზმნას ჩვეულებრივი ვნებითის შინაარსი აქვს: **ვ-იხვამ-უ-უ-ქ** „ვილოცები“ (მე ვილაცისგან); ხოლო **აფ-უ** დაბოლოების ფორმებში გრამატიკული სუბიექტი **აქტიურია, მოქმედია**, ოღონდ ობიექტი არა აქვს: **ვ-ი-ხვამ-აფ-უ-ქ** „ვილოცები“ (მე ვილაცაზე, რაღაცაზე)“ (დანელია 1976:105). ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით, ამგვარი ნიმუშები მეგრულში ორმოცდაათამდე აღწევს: **ი-ლალ-აფ-უ-ნ** „იყეფ-ებ-ა“, **ი-გორ-აფ-უ-ნ** „ი-გინ-ებ-ა“, **ი-ნდურ-აფ-უ-ნ** „იმდურება“, **ი-თხვ-აფ-უ-ნ** „თხოვდება“, **ი-ჭყ-აფ-უ-ნ** „იწყება“, **ი-ჩქარ-აფ-უ-ნ** „ჩქარობს“, **ი-გურ-აფ-უ-ნ** „ისწავლება“, **ი-რსქინ-აფ-უ-ნ** „იქადება, იმუქრება“, **ი-ბურჯ-აფ-უ-ნ** „ბორგავს“, **ი-ჩქვ-აფ-უ-ნ** „ითქვლიფება“, **ი-კვარტ-აფ-უ-ნ** „წიხლს იქნევს“, **გილეხიშტ-აფ-უ-ნ** „თავხედურად მიდი-მოდის“ და სხვ. მსგავსი შინაარსის ერთეულები ლაზურში მწირად გვხვდება და ისიც მხოლოდ **-უ-ნ** სტრუქტურის ფორმებთან: **ი-მტ-აფ-უ-ნ** „გარბის“, **ი-გორ-აფ-უ-ნ** „იგინება“, **ი-თხვ-აფ-უ-ნ** „თხოვდება“, **ი-ქთ-აფ-უ-ნ** „ბრუნდება“ (იხ. ახალაია 2021:191-192).

ი-R-აფ-უ ტიპი ხშირად არის მიზეზი კაუზაციური წარმოების **ი-R-უ-აფ-უ** სტრუქტურის პასივებთან აღრევისა. შდრ: ACT: ო-რტ-უ-ან-ს > PASS: ო-რტ-უ-აფ-უ-ნ „აღტობს, ადნობს : ლტვება, დნება“ და ცალკე **ი-გორ-აფ-უ-ნ** „იგინება“ ტიპის ზემოთ მოხმობილი ფორმები. შესაძლოა, ფორმათა უნიფიკაციით, ამგვარ ნიმუშებშიც გაჩნდეს **-უ-** ინფიქსი ან პირიქით, იგი შეიძლება დაიკარგოს კაუზაციური წარმოების ვნებითებში (მაგ. **ი-ნდურ-აფ-უ-ნ** და **ი-ნდურ-უ-აფ-უ-ნ** „იმდურება“, **ი-ჭარ-აფ-უ-ნ** და **ი-ჭარ-უ-აფ-უ-ნ** „იწერება“, **ი-ნჯარ-აფ-უ-ნ** და **ი-ნჯარ-უ-აფ-უ-ნ** „ახარბებს“).

-აფ-უ სტრუქტურის ფსევდოპასივები მხოლოდ აწმყოს წრის ნაკვეთებს აწარმოებენ, სხვა მწკრივებში მათ ენაცვლებათ ამავე ფუნქციის სათავისო ქცევის აქტივები, შდრ:

PRS: **ი-ხვამ-ან-ს** კოჩი **ი-ხვამ-აფ-უ-ნ** კოჩი „ლოცულობს კაცი“

AOR: **ქ-ი-ხვამ-უ** კოჩ-ქ **ქ-ი-ხვამ-უ** კოჩ-ქ „ილოცა კაცმა“

¹ აქ არ იგულისხმება კაუზაციური წარმოების **-უ-აფ-უ-ნ** სამმაგი სუფიქსაციის ფორმები.

RES1: ქ(ო)-უ-ხვამ-უ-ნ კო-ს ქ(ო)-უ-ხვამ-უ-ნ კო-ს „ულოცია კაცს“

EVID: ნო-ხვამ-უ-ე კოჩ-ი ნო-ხვამ-უ-ე კოჩ-ი „ლოცულობდა თურმე კაცი“

PRS: ი-ჭარ-ან-ს კოჩი წერილს „იწერება კაცი წერილს“
ი-ჭარ-აფ-უ-ნ კოჩი წერილს

AOR: ქ-ი-მიჭარ-უ კოჩ-ქ წერილი „მოიწერა კაცმა წერილი“
ქ-ი-მიჭარ-უ კოჩ-ქ წერილი

RES1: ქ-უ-მუჭარ-უ-ნ კო-ს წერილი „მოუწერია კაცს წერილი“
ქ-უ-მუჭარ-უ-ნ კო-ს წერილი

ამგვარი **ი-R-აფ-უ-ნ** ტიპის არასრული უღლების ფორმები გვარის სისტემაში არ განიხილება, რადგან მათ პარალელურად, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეგრულში არსებობს ვნებითი გვარის ნიშანდობლივი სტრუქტურის, ორმაგი **-უ** დაბოლოების, ფორმები (*მდრ: ი-ჭარ-უ-უ-ნ* და *ი-ჭარ-აფ-უ-ნ* „იწერება“), ლაზურშიც პარალელური ფორმებითაა წარმოდგენილი (*ნ-ი-ქთ-ე-ნ* და *ი-ქთ-აფ-უ-ნ* „ბრუნდება“). მიუხედავად აღნიშნულისა, **ი-R-აფ-უ-ნ** წარმოების ნიმუშებს, რამდენიმე პასიურ ფორმასთან თანხვედრის გამო, დეპონენსთა კვალიფიკაციას ვანიჭებთ.

ი-R-აფ-უ სტრუქტურის გარდა, ზანურში ასევე დასტურდება უმუალოდ ქართული **ი- ებ** მორფოლოგიური ინვენტარით გაფორმებული ორგანული ფუძეებიც. ცხადია, აქ ამოსავალი ფუძე არავითარ როლს არ ასრულებს და სიტუაციას მხოლოდ ქართული მორფოლოგია წარმართავს. *მაგ.: ი-ღორ-ებ-უ-ნ* „მოტყუებული ხდება ვიღაცის მიერ / იტყუება ის თვითონ“, *ი-ყალ-ებ-უ(ნ)* „გიყდება ვიღაცის მიერ / გიყდება ის თვითონ“, *ი-ცონ-ებ-უ(ნ)* „ყოვნდება ვიღაცის მიერ / ყოვნდება ის თვითონ“ და ა.შ. ასეთი ტიპის, ძირითადად გრძნობა-აღქმისა და ემოციის გამომხატველ ზმნათა სუბიექტის თვითმოქმედება განსაზღვრულია გარემო პირობებით, რომელიც „აიძულებს“ მას მოქმედება თვითონ/თავად განახორციელოს, სწორედ ამიტომაც ზემოქმედების სემანტიკა გამოხატულია ვნებითათვის დამახასიათებელი სპეციფიკური მორფომოდელით.

რაც შეეხება **ი-ტყობ-უ-ნ** „იმალება“, ერთი **-უ** ნიშნით წარმოდგენილ ტიპს, ამგვარი ფორმები შესაძლებელია რეფლექსივის და-

მოუკიდებელ კატეგორიაში განვიხილოთ, რადგან ზანურში ისინი არ არის მიღებული სათანადო მოქმედებითის ფუძისაგან. შესაბამისად, არც ვნებითი გვარის -უ თემატურ სუფიქსს დაირთავენ¹.

მდრ:

ACT: **ო-ტყობინ-უ-ან-ს²** „ზედმიწ. *ა-მაღავ-ებ-ს (= მაღავს) >

PASS: **ი-ტყობინ-უ-აფ-უ-ნ** > **ი-ტყობ-უ-უ-ნ³** ზედმიწ. *ი-მაღ-ავ-ებ-ა (= იმალება სხვის მიერ);

ST: **ტყობ-უ-ნ** „მაღულია” > RFL: **ი-ტყობ-უ-ნ** „იმალება (თვითონ, თავად)”.

მსგავსი წარმოებისაა შემდეგი აგენსური ზმნები:

ST: **ჩოქ-უ-ნ** „დაჩოქოლია” > RFL: **ი-ჩოქ-უ-ნ** „იჩოქება”

ST: **Fუც-უ-ნ** „ჩაცუცქულია” > RFL: **ი-Fუც-უ-ნ** „იცუცქება”

ST: **სვანჯ-უ-ნ** „დასვენებულია” > RFL: **ი-სვანჯ-უ-ნ** „ისვენებს” და მისთ.

ამგვარი ფსევდოპასივები ძირითადად, წარმოდგენილია ნე-იტრალური (გ) ნიშნით:

RFL: **ი-გურგინ-უ/გ(ნ)** „გრგვინავს”

RFL: **ი-ბარჩხალ-უ/გ(ნ)** „კაშკაშებს”

RFL: **ი-ბაშქ-უ/გ(ნ)** „სკდომის ხმას გამოსცემს”

RFL: **ი-ბედ-უ/გ(ნ)** „ბაქიაობს, ტრაბახობს”

RFL: **ი-ბიორ-უ/გ(ნ)** „ქანაობს”

ემპირიულ მასალაზე ჩვენი დაკვირებით, პასიური თემის მწარმოებელი ბოლოკიდური -უ ყოველთვის სტაბილურად მდგრადია (**ხომუ-უ-ნ** „ხმება”, **ჭითონდ-უ-ნ** „წითლდება”, **ი-ხონ-უ-უ-ნ**

¹ აღსანიშნავია, რომ სათანადო ლიტერატურაშიც **ი/ა-R-უ** სტრუქტურის დეპონენსებად კვალიფიცირებული ფორმები ყოველთვის ერთი -უ ნიშნით არის წარმოდგენილი; იხ. მ. ჯღარკავა, **ო-** პრეფიქსიანი დეპონენსებისათვის მეგრულში, საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბილისი, 2002; მ. კაკაჩია, ქ. მარგიანი, მ. ჯღარკავა, ქართველურ ენათა მორფოსინტაქსის საკითხები, თბილისი, 2013;

² წარმოშობით სამპირიანია

³ იტყობულ „იმალება გრძვ. ვნებ. ოტყობინუანს ზმნისა” (ქაჯაია N 20303)

„იხვნება“), ხოლო სხვა შემთხვევაში, როცა იგი არაპასიურია, – შევიწროებული.

პასივები და რეფლექსივები მორფოლოგიური სტრუქტურითა და სინტაქსური კონსტრუქციის მიხედვით განსხვავებულია სერიებსა და მწკრივებში.

PASS	RFL
PRS: ი-ტყობ-უ-უ-ნ ბაღანა	ი-ტყობ-უ-ნ ბაღანა „იმალემა ბავშვი“
FUT: დი-ი-ტყობ-უ-უ-ნ ბაღანა	დი-ი-ტყობ-უ-ნ ბაღანა „დაიმალემა ბავშვი“
RES1: დოტყობინ-ელე ბაღანა	დო-უ-ტყობინ-უ ბაღანას „დამალულა ბავშვი“

მაღალი ხარისხის აგლუტინაციური ტიპის მეგრულში პასიური ი-R-უ-უ-(ნ) სტრუქტურით, ჩვენ ხელთ არსებული მასალის მიხედვით, უგამონაკლისოდ, მხოლოდ პასიური სემანტიკის ზმნებია დადასტურებული. რაც შეეხება ლაზურს, თავისი ძირითადი ი-R-ე-ნ სტრუქტურის ფარგლებში, რომელიც ითავსებს შესაძლო მოქმედების სემანტიკასაც, ძალიან იშვიათად გვხვდება აქტიური შინაარსის ერთეულები.

აბრევიატურა

ACT – მოქმედებითი გვარი	R – ძირი
AOR – აორისტი	PRS – ახლანდელი დრო
EVID – თურმეობითი IV	RES1 – შედეგობითი (თურმეობითი I)
FUT – მომავალი დრო	RFL – რეფლექსივი
PASS – ვნებითი გვარი	ST – სტატიკური ზმნა

გამოყენებული ლიტერატურა

ასათიანი, 2015 – რ. ასათიანი, გვარის კატეგორია ქართველურ ენებში: რეინტერპრეტაცია და რეკონსტრუქციის მცდელობა, ენათმეცნიერების საკითხები, თბილისი, 2015;

ახალაია, 2021 – ნ. ახალაია, გვარის გრამატიკული კატეგორია მეგრულ-ლაზურში (სადისერტაციო ნაშრომი), თბილისი, 2021;

დანელია, 1976 – კ. დანელია, ვნებითი გვარის წარმოებისათვის კოლხურში, ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 19, თბილისი, 1976;

ქაჯაია, 2001-2004 – ო. ქაჯაია, მეგრული ლექსიკონი, I- III, თბილისი 2001-2004 (ელვერსია, მაინის ფრანკფურტი, 6.10.2005)

ჩუბინაშვილი, 1961– ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი რუსული თარგმანითურთ, სისტემისაგებ სულხან-საბა ორბელიანისა, 1812-1825 წწ; ა. ლლონტის რედაქციითა და გამოკველვით, თბილისი. 1961;

ხალხური სიბრძნე, 1994 – რ. შეროზია, ო. მემიშიში, ხალხური სიბრძნე, მეგრული და ლაზური ანდაზები, თბილისი, 1994;

ჯორბენაძე, 1980 – ბ. ჯორბენაძე, ქართული ზმნის ფორმოზი და ფუნქციური ანალიზის პრინციპები, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1980;

ჯღარკავა, 2002 – მ. ჯღარკავა, ო- პრეფიქსიანი დეპონენსები-სათვის მეგრულში, საენათმეცნიერო ძიებანი, XIII, თბილისი, 2002;

ვ ი ა ნ ო რ ა ხ ა ლ ა ი ა

გიორგი როგავა და ქართული ჰიპოტაქსის საკითხები

პროფესორი გიორგი როგავა ქართული საენათმეცნიერო სკოლის ღირსეული წარმომადგენელი, იბერიულ-კავკასიური ენების გამოჩენილი მკვლევარია. „ქართველური ენებისა და მთის კავკასიური ენების, კერძოდ კი აფხაზურ-ადიღეური ენების მეცნიერული შესწავლისა და ამ ენათა ისტორიულ ურთიერთიმართებათა კვლევის საქმეში არც ერთ მკვლევარს არა აქვს შეტანილი ისეთი დიდი წვლილი, როგორც გიორგი როგავას. გიორგი როგავას მეცნიერულმა მემკვიდრეობამ მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ თბილისის კავკასიოლოგიურმა სკოლამ დამსახურებული ავტორიტეტი და საერთაშორისო აღიარება მოიპოვა“ (ე. ოსიძე, 1997, 3).

განსაკუთრებით ფასეულია პროფ. გ. როგავას რიგი ნაშრომი, ქართულ-ქართველურ ენათა სინტაქსის, სინქრონია-დიაქრონიის სხვადასხვა საკითხს რომ ეხება. მისი „ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში“ (გ. როგავა, 1948) ამ თვალსაზრისით ფუნდამენტური სახის გამოკვლევაა. გ. როგავას მიერ განზოგადებულად თქმული, რომ „იბერიულ-კავკასიურ ენებში წინადადების ჰიპოტაქსური წყობა დამახასიათებელია ძირითადად ქართველური ენებისათვის. კერძოდ, ქართულ ენას აქვს ჰიპოტაქსი სრული ჩამოყალიბებული სახით. უკვე ძველს სალიტერატურო ქართულში გვაქვს წინადადებების ეს ტიპი საკმაოდ განვითარებულად წარმოდგენილი“ და რომ „ყოველი სახის დამოკიდებული წინადადებაქართულში წარმოადგენს კითხვით წინადადებას“ (გ. როგავა, 1948, გვ. 366), დღესაც ფასეულია. ამ დებულების გასამყარებლად ნაშრომში ერთ-ერთ ნიმუშად მოხმობილია სწორედ ზანურისათვის დამახასიათებელი კითხვითი ნაწილაკიანი წინადადება: „მეგრ. ქომუჩანქო, – დოგირთინუანქ = ქომუჩანქდა, დოგირთინუანქ“ „თუ მომცემ, დაგიბრუნებ“, ასეთ შემთხვევაშიც დამოკიდებული წინადადებაც მთავარი წინადადების წინ დგას“ (გ. როგავა, 1948, გვ. 366-367).

გ. როგავას გამოკვლევაში „არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში“ (გ. როგავა, 1987) ზანური ენის ორივე დიალექტის მონაცემების გათვალისწინებით (რა თქმა უნდა, სხვა ქართველურ ენათა მიმართებაში) არაერთი კონკრეტული თუ ზოგადი სახის გზამკვლევი განზოგადოება-დასკვნები და დებულებებია წამოყენებული. აქ ის გზაცაა ნაჩვენები, რიგ შემთხვევაში, რაც განვლო ქართველურმა წინადადებამ პარატაქსიდან ჰიპოტაქსის ჩამოყალიბებამდე. ავტორისეული დებულება, რომ **დადა-ნი** (აგრეთვე **-ნა**) კავშირ-ნაწილაკიანი ტიპის დამოკიდებულ წინადადებათა ჩამოყალიბება ზანურში პრინციპულად საერთო ქართველური სისტემისა უნდა ყოფილიყო (გ. როგავა, 1987, გვ. 50) და, რაც აგრეთვე ძალზე საყურადღებოა და პერსპექტიული, გ. როგავას აზრით, ზანური „-ნ, -ნი, -ნა კავშირ-ნაწილაკები იბერიულ-კავკასიურ ენათა საერთო კუთვნილება შეიძლებოდა ყოფილიყო“ (გ. როგავა, 1987, გვ.50).

გ. როგავას შრომა „ზანური **-ნი** კავშირ-ნაწილაკის კვალი ჭანურ დიალექტში“ (გ. როგავა, 1988), როგორც სათაურიდან ჩანს,

თითქოს ერთ საკითხს ეხება-გარკვეულია მეგრულისათვის დამახასიათებელი **-ნი** (პოლიფუნქციის მქონე) კავშირ-ნაწილაკის კვალი ჭანურში. ამ კავშირ-ნაწილაკიანი დამოკიდებული წინადადების მოშლა ჭანურში კი ახსნილია ჯერ ბერძნულის, ხოლო შემდეგ თურქულის გავლენით (გ. როგავა, 1968, გვ.225). ამათ გვერდითვე, ქართულ-ქართველურ ენათა სინტაქსის არაერთი კარდინალური საკითხია წამოჭრილი, აი, მაგალითად:

გ. როგავა ერთგან ემყარება არნ. ჩიქობავას შემდგომ გამონათქვამს: „ჭანურისათვის უჩვეულოა განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადება; ეს სავსებით გასაგებია „რომელი“ სიტყვით დაკავშირებული დამოკიდებული წინადადება ქართულშიც **წიგნური წარმოშობისაა** და ხალხურ მეტყველებას არ ახასიათებს“ (არნ. ჩიქობავა, 1936, გვ.184; ხაზგასმა ავტორისაა – ვ. ა.) და დასძენს: „მართლაც უდავოა, რომ ქართული სალიტერატურო ენისათვის დამახასიათებელი სინტაქსური სისტემა ქართულის დიალექტებში მკვიდრდება

თავიდანვე ქართულის დიალექტებს ჰიპოტაქსის სისტემა არ უნდა ჰქონოდა. მაშასადამე, თანამედროვე სალიტერატურო ენის ჰიპოტაქსის წყაროა ძველი ბერძნული სალიტერატურო ენა. იგი ძველ ქართულ სალიტერატურო ენაში ქართველი მთარგმნელების მიერ არის დანერგილი (გ. როგავა. 1988, გვ. 221; ხაზგასმა ჩვენია – ვ. ა.).

პავლეს ეპისტოლეთა ძველი ქართული რედაქციების მიხედვით, კ. დანელია დაასკვნის: „ზოგი ბერძნული ყაიდის **გრამატიკული კალკებისა** და nonsens-ების სიძველე-ადრეულობის დაშვებისათვის მაინც მეტი საფუძველი არსებობს, ვიდრე საპირისპირო (ე.ი. მათი გვიანდრობის) მტკიცებულებისათვის“ (კ. დანელია, 1983, გვ. 183). ეს არ გამორიცხავს უშუალოდ ბერძნულიდან შემოსულ სიტყვებს, მაგალითად მეგრულში, რომელთაც ძველი ნასესხობის კვალი ატყვია: საბატონი „შაბათი“, საკი „ტომარა“, ქულა“კოჭლი“ ბორია“ქარი“ (გ. როგავა, 1975, გვ. 345-348).

ე. ი. კალკია ბერძნულისო. ეს გვაგონებს სპეციალურ ლიტერატურაში სხვადასხვა დროს გამოთქმულ მოსაზრებას, რომ მაგალითად, ქართველურ ენათა გარდამავალი ზმნის ნომინატიური კონსტრუქცია შეიქმნა ინდო-ევროპულ ენათა გავლენითო (გ. დეეტერსი, ჰ. ფოგტი, კ. შმიდტი...), თუმცა ამის გვერდითვე ფიქრობენ (არნ. ჩიქობავა, ჰ. პეჩი), რომ ეს ჩამოყალიბდა ქართველურ ენათა შინაგანი

განვითარების გზით, რაც უფრო მართებული ჩანს (ამის შესახებ ვრცლად: გ. როგავა, 1975, გვ. 273-279).

სუბსტრატის კვალი შეიძლება დასტურდებოდეს, მაგალითად, თვით ქართველურ ენათა ურთიერთობაში. აი, მაგ., სვანურის, ზანურის და ქართულის იმერულ, რაჭულ და ლეჩხუმურ დიალექტებში გამოიყოფა დრო-კილოთა IV ჯგუფი. (გამოხატავს დრო-კილოთა აწმყოს ჯგუფის უხილავ აქტს – თურმეობითს) ამ ჯგუფის ზმნაც ნომინატიური კონსტრუქციისაა; მეზობელი ნაშენება სახლს-მეზობელი თურმე აშენებს/აშენებდა სახლს... ამ რიგის ზმნები დასავლურ დიალექტებში მეორეულია და მეგრულის სუბსტრატი ჩანს (გ. როგავა, 1958, გვ.80).

გ. როგავას ფუნდამენტურ განზოგადებას მოსდევს არანაკლებ ფასეული გაგრძელება დებულებისა: „ინდოევროპულ ენათა სისტემის ჰიპოტაქსის ჩამოყალიბებამდე ძველ ქართულს ჰქონდა ზანურის სისტემის ჰიპოტაქსი“ (გ. როგავა, 1988, გვ. 221).

ზანური ჰიპოტაქსის ასეთი მნიშვნელობა უპირველესად ქართველურ ენათა ჰიპოტაქსის ადრეული საფეხურების კვლევისთვისაა ყურადსაღები, ასევე სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათათვის, სადაც ფაქტობრივ რთული ქვეწყობილი წინადადება არცა გვაქვს, თუ გვაქვს, ჩანასახის სახით. აი, აქაა ზანურის ვითარების გარკვევა ძალზე ფასეული. ამდენად, ეს საკითხი ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისითაა საინტერესო.

გამოყენებული ლიტერატურა

დანელია 1983 – კ.დანელია, ქართულ სამწერლობო ენის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1983

ოსიძე 1997 – ე. ოსიძე, პროფესორი გიორგი როგავა, გიორგი როგავას (საიუბილეო კრებული) გამომცემლობა „ქართული ენა“ თბილისი, 1997.

როგავა 1948 – გ. როგავა, ჰიპოტაქსის საკითხისათვის ქართულში, ქუთაისის პედ. ინსტიტუტის შრომები, VIII, ქუთაისი, 1948.

როგავა 1987 – როგავა, არქაული ტიპის ჰიპოტაქსის გადმონაშთები ქართველურ ენებში, იკე XXVI, თბილისი, 1987.

როგავა 1988 – გ. როგავა, ზანური -ნი კავშირ-ნაწილაკის კვალი ჭანურ დიალექტში, იკე XXVII, თბილისი, 1988.

როგავა 1975 – გ. როგავა, ნომინატიური კონსტრუქციის მქონე გარდამავალი ზმნის გენეზისისათვის ქართველურ ენებში, იკეწ, I თბილისი, 1975.

როგავა 1958 – გ. როგავა, ზედსართავის თანაბრობითი ხარისხის გაქვევებული ფორმები ქართულში, იკე IX-X, თბილისი, 1958.

ჩიქობავა 1936 – არნ. ჩიქობავა, ჭანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ, თბილისი, 1936.

ნ ა რ გ ი ზ ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი

რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ერთი ტოპონიმის განმარტებისათვის

ტოპონიმი მრავალპლანიანია. მას სხვადასხვა კუთხით შეისწავლის ენათმეცნიერებაც, ისტორიაც, ეთნოგრაფიაც, გეოგრაფიაც... დროთა განმავლობაში ტოპონიმთა ენათმეცნიერული კვლევის ორი ასპექტი ჩამოყალიბდა: ა) სისტემური და სტრუქტურული დახასიათება, ბ) ამოსავალი ფუძის ტოპონიმამდელი მნიშვნელობის, ანუ ეტიმოლოგიის ამოხსნა და, შემდგომი ფორმოზრივი თუ ფუნქციური ცვლილებების დადგენა (პ. ცხადაია, 2016:11). დიდი ხნის მანძილზე ტოპონიმთა კვლევის ძირითადი მიზანი იყო სწორედ და მხოლოდ და მხოლოდ ეტიმონის (ამოსავალი ფუძის) ძიება, მაგრამ მეცნიერების განვითარების კვალდაკვალ ცხადი გახდა, რომ მეთოდოლოგიურად უფრო მიზანშეწონილია საკუთრივ ტოპონიმურ წარმოებაზე ყურადღების გადატანა. როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, ტოპონიმის მკვლევარმა „უპირველესად ამა თუ იმ ადგილის მდებარეობის და თვისების დამახასიათებელი გარემოებანი უნდა გაითვალისწინოს და ჩაუკვირდეს სხვა იქაურ მსგავსივე გეოგრაფიულ სახელების აგებულებასა და მნიშვნელობას“ (ივ. ჯავახიშვილი, 1950:109). ადგილის საკუთარი სახელი ხომ მისი შემქმნელი კოლექ-

ტივის ენობრივი მასალიდან აღებული სიტყვაა და ჩვეულებრივ, შეიცავს ინფორმაციას სახელდებული ობიექტის შესახებ. ობიექტის სახელდებისას კი ორი ფაქტორი მოქმედებს და ორივე ურთიერშემავსებელი: გეოგრაფიულ-ეკონომიკური და ისტორიული. „ისტორიული ვითარება განაპირობებს იმას, თუ ობიექტის მრავალი ნიშანთვისებისაგან კონკრეტულ ეპოქაში რომელი იქნება ამორჩეული მისი სახელდებისათვის, მაგრამ იმავდროულად, რა სახელიც უნდა იქნეს ამორჩეული, იგი ისევ და ისევ ობიექტის თავისებურებით იქნება განსაზღვრული (ბ. ჯორბენაძე, 1993:76).

ტოპონიმიკური კვლევა-ძიების ერთ-ერთი მთავარი მიზანია მნიშვნელობა-გაუჩინარებული გეოგრაფიული სახელწოდებების ეტიმოლოგია, რაც საშუალებას მოგვცემს წავიკითხოთ ქვეყნისა და ხალხის წარსული (პ. ცხადაია, 2016:86). ხშირ შემთხვევაში ტოპონიმის ამოსავალი ფუძისა და მისი ლექსიკური მნიშვნელობის დადგენაც კი არ გვაძლევს ამომწურავ პასუხს კითხვაზე, თუ რატომ დაერქვა ამა თუ იმ ადგილს ესა თუ ის სახელი? რადგან ტოპონიმის წარმოქმნაში მონაწილეობენ ექსტრალინგვისტური, ხშირად შემთხვევითი ფაქტორებიც კი.

საილუსტრაციოდ მოვიყვანთ ერთ მაგალითს იმის დასადასტურებლად, რომ ამოსავალი ფუძის მექანიკური დადასტურება არაა საკმარისი ტოპონიმთა ეტიმოლოგიისათვის, თუ არ გავითვალისწინებთ გარეენობრივი ფაქტორები, კერძოდ, ეტიმოლოგია – მოტივირება, ე. ი. სახელდების უშუალო მიზეზი.

ჯოჭო – სოფელია ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში. ადგილობრივ მცხოვრებთა : მერი მიქელაძისა და როსტომ თავდგირიძის გადმოცემით, ადგილი, სადაც დღეს სოფელია, უწინ დაბურული იყო ტყით, აქვე ჩამოედინება მდინარე, რომელსაც ჯოჭოს წყალი ეწოდება, ხოლო მის შენაერთს, რომელიც ქვემო ჯოჭოში მიედინება – წყალგველა. მდინარის სათავე იწყება ქედის რაიონის მთათა სისტემიდან, რომელსაც მტრედა (ადგილია, ერთი მხრივ სოფელ ახალშენს ესაზღვრება) ჰქვია. ეს მდინარე ვიწრო ხეობაშია, როცა ადამიანი აქ გაივლიდა, (წყლის აორთქლების შედეგად) იმუხტებოდა. თუ ადამიანს ძილში ერთგვარი შეკრთომა აქვს – ეს მუხტის შედეგია. ძველად ადამიანები ამას „გათვალვას“ ეძახდნენ, იტყოდნენ: „გათვალული, თვალნაცემიაო“ და კიდევ სხვანაირად ამბობდნენ: „ჯოჯო-

ები დაესიაო“ და ე. წ. „ავი სულების“ განდევნას შებოლოვით – „წახრჩოლებით“, ანუ ფიზიკის მეცნიერული კანონებით თუ ვიმსჯელებთ – გამტარობით ცდილობდნენ. ხალხური რწმენა-წარმოდგენების მიხედვით, ადამიანებს, ვინც ამ ხეობის (დაბურული ადგილის) გადალახვისას „თვალს წაიკრავდა“, ანუ გაითვალებოდა, მოაგროვებდნენ სავალ ბილიკზე არსებულ ყველა ნივთს, შეაჭრიდნენ თმას და ფრჩხილს, თავს მოუყრიდნენ სპილენძის ან რკინის ასტამზე (სპილენძიც და რკინაც – ორივე გამტარია), დააყრიდნენ ნაკვერჩხალს და ამ კვამლს „წაუხრჩოლებდნენ“. ასტამს დადებდნენ მიწაზე და გამონაბოლქვის შეხების შემდეგ ავადმყოფი „განიკურნებოდა“. მთელი ეს ცერემონია იყო „გათვალულის“ გამოლოცვის პროცესი. სინამდვილეში კი, პრაქტიკულად, ხდებოდა ის, რომ წვის დროს წარმოიქმნებოდა გამტარობა. კვამლი, რომელიც წვის დროს წარმოიქმნებოდა, გამტარი ხდებოდა და ჭარბად დამუხტულ, ანუ ე. წ. „გამოსალოც“ ადამიანს განმუხტავდა, ანეიტრალებდა. ჯოჭოში არის ადგილი, რომელსაც „ჯოჯოხეთა“ ჰქვია. „ჯოჯოხეთა“ იმერეთშიცაა: აყალოტალახიანი, ეკალბარდიანი ადგილია, მაცვლიანი, გაუვალი ბუჩქნარი (სოფელ ჯვარისაში) (დ. ბაკურაძე, 2004:79). ჯუჯუხეთა – მღვიმეა დანისპარაულში, ზემო აჭარაშიც (მ. ქამადაძე, 1992:82). ამავე სემანტიკის ტოპონიმი დაგვიდასტურეს ბათუმში საერთაშორისო კონფერენციაზე მოწვეულმა მეცნიერებმაც დასავლეთ ციმბირის დაბლობში: „ემშაკის ქალაქი“ (ურალში). „ჯოჯოხეთა“ რთული სახელია. ჯოჯო < ჯოჯოხეთადან ჰაპლოლოგიის გზით მიღებული ტოპონიმი ჩანს, სადაც შემდეგ მომხდარა მჟღერი ხშულების დისტანციური, დისიმილაციური განმსგავსება (გ. ახვლედიანი, 1999:202-206). ჯოჯო < ჯოჭო. { ჯოჯოხეთა < ჯოჯო < ჯოჭო }.

ჯოჯოხეთა – აჭარისწყალზე გზის სახელწოდებაცაა, როგორც ადგილობრივები ამბობენ, ვიწრო ხეობაა, დაბურული ტყით და თუ კაცი ცოცხალი გაივლიდა ამ ხეობას კარგი იყო, თუ არა და ჯოჯოხეთის კლდოვან მასას და მდინარეს შეხვდებოდა. ეს ტოპონიმი ხალხურ რწმენა-წარმოდგენასთან დაკავშირებულ გეოგრაფიულ სახელთა ნუსხაში შეიძლება განვიხილოთ. სინამდვილეში ტოპონიმი ჯოჭო „ჯოჯოებით“ მოცული ხეობა კი არ არის, არამედ გაუვალი, დაბურული, ძნელადგასავლელი, დაბრკოლებადგასალახავი ადგილია.

გამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი, 1999 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თსუ გამომცემლობა, თბილისი 1999.

ბაკურაძე, 2004 – დ. ბაკურაძე, მეტაფორული მიკროტოპონიმები ოკრიბაში: ქართველური ონომასტიკა, ტ. II თბილისი.

ნიკონოვი, 1962 – В. А. Никонов, Этимологические западни, Linguo Poznaniien Т.IX.

ქამადაძე, 1992 – მ. ქამადაძე, ზემო აჭარის ტოპონიმია, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, ბათუმი 1992.

ცხადაია, 2016 – პ. ცხადაია, საკუთარი სახელი მეგრულ (ზანურ) ენაში, თბილისი. 2016

ჯავახიშვილი, 1950 – ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, წიგნი პირველი, საქართველოს კავკასიისა და მახლობელ აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოგრაფიული პრობლემები, თბილისი, 1950

ჯორბენაძე, 1993 – ბ. ჯორბენაძე, ონომასტიკური გულანი, თბილისი 1993

ლი ა ბ ა კ უ რ ა ძ ე , მ ა რ ი ნ ა ბ ე რ ი ძ ე

მე-20 საუკუნის მიგრაციები და ქართული დიალექტების ახალი სივრცული სურათი¹

მიგრაცია რთული საზოგადოებრივი პროცესია, აქვს მიზეზები, მიმდინარეობა და შედეგები. ამ ფაზებსა და მათ კვლევაში დარგობრივი პრობლემების განსაზღვრა მრავალ სამეცნიერო დისციპლინას უბედა, ამიტომ მისი სრულყოფილი კვლევა დისციპლინურ გზაჯვარედინზე თუ არის შესაძლებელი. დემოგრაფია, სოციოლოგია, ისტორია, ეთნოგრაფია, ანთროპოლოგია, ლინგვისტიკა, პოლი-

¹ კვლევა განხორციელდა „ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი **FR-21-336**].

ტოლოგია, სამოქალაქო გეოგრაფია, ეკოლოგია... აი, იმ დარგების არასრული ჩამონათვალი, რომელიც გვერდს ვერ აუვლის მიგრაციულ პროცესებს და მათ შედეგებს თავის დისციპლინურ ველში. სწორედ მიგრაციამ შექმნა პლანეტის თანამედროვე ეთნოპოლიტიკური სურათი და დღემდე რჩება მსოფლიოს ეთნო- და კულტურული პორტრეტის კონტურული შტრიხების ცვლის მთავარ მიზეზად.

შიდა მიგრაციების როლი ენობრივი სურათის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანია. მეტიც, ენობრივი სურათის ცვლილება შიდა მიგრაციების მიმდინარეობისა და შედეგების ჩამოყალიბების ყველაზე ადრეული და ხილვადი სიმპტომია.

მიგრაციების შედეგად მიღებული ლინგვისტური ლანდშაფტი შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც ორი ან რამდენიმე დიალექტის საკონტაქტო არე, სადაც ენობრივი კონტაქტების ფარგლებში ყალიბდება უნიკალური ლინგვისტური სურათი. ამ სურათის მეცნიერული განსაკუთრებულობა ისაა, რომ წარმოიქმნება ორი ურთიერთსაპირისპირო პროცესი: (1) იზოლაცია (საკუთარი დიალექტური ვარიანტის ხაზგასმა და (2) ინტეგრაცია (ახალი სტრუქტურული ვარიანტების მიმართ მიმდებლობა).

მიგრაციის ჩარჩოებში მოქმედი დიალექტური კონტაქტის მამოძრავებელი ეს ურთიერთსაპირისპირო ენობრივი პროცესები, რომლებიც დივერგენციისა და კონვერგენციის ნაკადებად ვითარდება, დამახასიათებელია კონტაქტში მყოფი ორივე (ხან კი რამდენიმე) მხარისთვის, თუმცა, სხვადასხვა ძალითა და განხორციელების განსხვავებული საშუალებებით. აქ უკვე მნიშვნელობა აქვს იმასაც, ავტოქთონურია თუ ალოქტონური განსახილველი დიალექტი.

„ავტო-“ და „ალოქტონური“ ცნებითი დიქტომიის დაფენა მსგავსი წარმატებითაა შესაძლებელი ეთნო-კულტურულ იდენტობებზე, რომელთა ტრანსფორმაცია ასევე წარმოადგენს შიდა მიგრაციების ერთ-ერთ მნიშვნელოვან შედეგს. ადგილი აქვს არა მარტო ენობრივი ელემენტების (ლექსიკა, ენის მოხმარების წესები) გაცვლას, არამედ ფუძნდება ახალი პრაქტიკული წარმოდგენა საერთო ეროვნული იდენტობის კუთხურ ვარიანტებზე, რომელთა ნაწილი ახალი ეთნოკულტურული იდენტობის ნაწილი ხდება.

ისტორიული მიგრაციების შესახებ ჩვენი არასაკმარისი ცოდნა მრავალი თვალსაზრისით აისახება ქვეყნის დღევანდელი კულტურულ-სოციალური სურათის შესწავლისა და ანალიზის პროცესზე.

მართლაც შეუძლებელია ბევრ კითხვაზე პასუხის გაცემა, შიდამიგრაციული პროცესების დეტალური გაანალიზების გარეშე. შიდამიგრაციული მარშრუტები დაწვრილებით არის შესასწავლი საქართველოს მოსახლეობის ისტორიის სრული და ნათელი სურათის დასადგენად.

ქვეყნის ეთნო-სოციალურ და კულტურულ პორტრეტს დიდ და შთამბეჭდავ კვალს ამჩნევს უკანასკნელ ხანს თითქმის ჩვენ თვალწინ მიმდინარე უახლესი მიგრაციული პროცესები. ეს მიგრაციული ნაკადები საქართველოს ისტორიის მკვლევართაგან ფართო ყურადღების საგანი ჯერ არ გამხდარა. თუმცა ძალიან მძაფრად და აქტუალურად დგება მათი შედეგები როგორც ფართო კულტუროლოგიური, ისე ვიწრო დისციპლინური (ლინგვისტური, ეთნოგრაფიული და ა. შ) ინტერესების მქონე მკვლევართა წინაშე.

ამ საკითხის აქტუალობას ასევე ამყარებს ის რეალობაც, რომ მასობრივი შიდა მიგრაციის შედეგად საფრთხის ქვეშ დგება მიგრირებადი დიალექტური ვარიანტების არსებობაც დროის საშუალ პერსპექტივაში. მაგალითად, ხევსურთა მასობრივმა გადასახლებამ შექმნა „დიალექტური კუნძულაკები“ თბილისთან ახლოს (გამარჯვებანორიო) და კახეთში (თეთრწყლები). დიალექტური კუნძულის იზოლაციურობა შიდა მიგრაციის დროს პირობითია, როგორი კომპაქტური და არაკონტაქტურიც უნდა იყოს ჩასახლება. შესაბამისად, დიალექტი ამ რეგიონში განიცდის ცვლილებას და მესამე თაობაში ის უკვე ამოსავალი ქვესისტემის მხოლოდ ცალკეულ თვისებებს ატარებს.

არამასობრივი მიგრაციის შემთხვევაში, სხვადასხვა სახის გემიური გადასახლების დროს ეს ცვლილებები დროის გაცილებით მოკლე მონაკვეთში ხდება.

XX საუკუნეში საქართველოს რამდენიმე მძლავრმა მიგრაციულმა ტალღამ “გადაუარა”.

იძულებითი შიდა მიგრაციის წილი საერთო მიგრაციულ სურათში შთამბეჭდავი და დრამატული იყო. მოვიყვანთ მხოლოდ ზოგიერთ ციფრსა და ფაქტს მოვლენის მასშტაბურობის საჩვენებლად.

- XIX საუკუნის დასაწყისში კახეთში, ლაგოდეხის რამდენიმე სოფელში ჩასახლეს მოსახლეობა იმერეთის მაღალმთიანი სოფლებიდან. მიგრაციული პროცესები რამდენიმე ეტაპად გაგრძელდა სა-

ქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან, ძირითადად იმერეთიდან და რაჭიდან.

- 1918-1919 წლებში სამცხე-ჯავახეთიდან იძულებით აიყარა და საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმოიფანტა დევნილი მართლმადიდებელი მოსახლეობა, მხოლოდ მათი ნაწილი დაუბრუნდა მშობლიურ მხარეს. ე.წ. გეგმიური მიგრაციები სამცხე-ჯავახეთიდან გაგრძელდა და 30-იან წლებში კახეთის რამდენიმე სოფელში გადაასახლეს მესხები.

- 1944 წელს სამცხე-ჯავახეთიდან გაასახლეს მაჰმადიანი მოსახლეობა, მათ შორის ქართულად მოლაპარაკე ეთნიკური ქართველები. იმავე და მომდევნო 1945 წელს მათ ნამოსახლარებზე დაასახლეს იმერეთიდან და ქართლიდან; მიგრაციული პროცესი ამ რეგიონში გაგრძელდა 50-იან წლებში სამცხე ჯავახეთში ჩაასახლეს მოსახლეობა რაჭის, მთიულეთ-გუდამაყრისა და სხვ. რეგიონებიდან.

- 1946-50 -აფხაზეთში **4.200**-ზე მეტი ოჯახი ჩაასახლეს სამეგრელოდან, იმერეთიდან, რაჭა-ლეჩხუმიდან და სვანეთიდან (სულ 1941-1950 – მესხეთში, ქვემო ქართლსა და აფხაზეთში ჩაასახლეს დაახლოებით **60.000** ადამიანი);

- 1940 – გადაასახლეს ხევსურეთის **თითქმის მთელი მოსახლეობა**, ძირითადად შირაქსა და ქვემო ქართლში;

- 1941 - ქვემო ქართლის 12 ყოფილ გერმანულ სოფელში რაჭიდან, ლეჩხუმიდან და ზემო იმერეთიდან ჩამოიყვანეს მოსახლეობა;

- XX ს. 80-იანი წლებიდან იყო ეკოლოგიური მიგრაციები რამდენიმე მნიშვნელოვანი ტალღა აჭარიდან და სვანეთიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

- XX ს. 90-იან წლებში ორი ოკუპაციური კატასტროფის შედეგად საქართველოს ტერიტორიის 20%-დან – აფხაზეთის და შიდა ქართლიდან – გვყავს დევნილი მოსახლეობა ასევე საქართველოს სხვადასხვა რეგიონში.

- მასობრივი, იძულებითი მიგრაციების გარდა მთელი საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა ბუნებრივი მიგრაცია – ურბანიზაციის, მთიდან ბარად მოსახლეობის „ჩამოწოლის“ პროცესი, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ხასიათის მიგრაციებიც, რომლებიც მეტწილად აგრეთვე მონაწილეობენ საერთო ენობრივი სურათის შექმნაში.

ქართული დიალექტების ჩამოყალიბების პროცესი საუკუნეების განმავლობაში გრძელდებოდა. მათი სამეცნიერო კლასიფიკაციისთვის გამოყენებული იყო როგორც ეთნიკურ-ტერიტორიული, ისე სტრუქტურული ერთგვარობის პრინციპი (ბ. ჯგობენაძე, აკ. შანიძე, არნ. ჩიქობავა, ვ. თოფურია და სხვ.). ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში ქართული დიალექტების საზღვრები მთლიანად ემთხვეოდა საქართველოს ეთნოგრაფიული კუთხეების საზღვრებს. ეთნო-ტერიტორიული პრინციპი (ეთნოგრაფიული კუთხის ტერიტორიით დიალექტის საზღვრების გამოყოფა) დიდი ხანია უკვე პირობითი ნიშანიდაა და არანაირად არ ასახავს ქართული და ქართველური დიალექტების იმ სურათს, რომელიც ჩამოყალიბდა საქართველოში მე-20 საუკუნის ბოლოსთვის.

ჩვენი სამუშაო, რომელიც დაგეგმილია რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის, „ენა და კულტურული მეხსიერების დინამიკა XX საუკუნის საქართველოს შიდა მიგრაციების კონტექსტში“, ფარგლებში, პირველად უყრის თავს და სამეცნიერო აპარატის დართვით აქვეყნებს მე-20 საუკუნის საქართველოში მიმდინარე შიდა მიგრაციების დოკუმენტურ მასალას, ჩაწერილს პირველი და მეორე თაობის მიგრანტებისგან (დამუშავდება დაახლოებით 50-70 საათი ვიდეოჩანაწერი). ასევე სიახლეა ის, რომ მასალა დამუშავდება კორპუსული სახით და ის ჩაერთვება ქვეკორპუსის სახით ქართული დიალექტების კორპუსში (ქდკ – <http://corpora.co>); განახლდება ქდკ-ს მიგრაციული ბაზა, როგორც ტექნოლოგიურად, ისე – ინფორმაციულად – ის მაქსიმალურად მოიცავს საქართველოში მე-20 საუკუნეში განხორციელებულ მიგრაციებს, შექმნის ამ მიგრაციებზე ფაქტობრივი მასალის მოპოვების დამატებით არხებსა და საშუალებებს, სრულყოფს მიგრაციების კარტოგრაფიულ სურათს, შექმნის ინფორმაციული უკუკავშირის ტექნოლოგიურ ინსტრუმენტს ქდკ-ს პლატფორმაზე.

„მიგრაციული კორპუსი“, როგორც პროექტის მიზანზე მორგებული კორპუსის სპეციფიკური სახე, გულისხმობს პარალელური ანოტაციის ახალ სახეს, რომლშიც ადეკვატურად უნდა აისახოს ავტოხტონური და ალოხტონური დიალექტების ენობრივი ვარიანტები ისევე, როგორც მიგრაციული პროცესების იდენტიფიკაციისა და რეკონსტრუქციის ენობრივი საბუთები (ენობრივად რეკონსტრუირებადი ისტორიული მიგრაცია). კორპუსის მეტატექსტური ანოტი-

რების სისტემა და მიგრაციების კარტოგრაფიული ვიზუალიზაციის ბაზა, რომელიც მნიშვნელოვნად განახლდება ამ პროექტის ფარგლებში, დაფუძნებულია მიგრაციების დეტალური კლასიფიკაციის სისტემაზე. მიგრაციათა ძირითად საკლასიფიკაციო მახასიათებლებად გამოვყოფთ: მიგრაციის ტიპს (მასობრივი, ინდივიდუალური); მიგრაციის სახეს (იძულებითი, ეკოლოგიური, საყოფაცხოვრებო), ჩასახლების ტიპს (კომპაქტური, არაკომპაქტური), კომპაქტური ჩასახლების ტიპს (კონტაქტური, არაკონტაქტური), მიგრაციის დროს, მიგრაციის თაობას (თვითონ, მშობლები, მშობლების მშობლები, წინაპრები), მიგრაციის საწყისსა და საბოლოო პუნქტებს, მიგრირებულთა ეთნიკურ და კუთხურ წარმომავლობას, დამხვედური მოსახლეობის ეთნიკურ და კუთხურ წარმომავლობას, მიგრირებულთა სალაპარაკო ენასა და დიალექტს, დამხვედური მოსახლეობის სალაპარაკო ენასა და დიალექტს.... ამ მახასიათებლებით აღწერილი ტექსტები და მიგრაციული მარშრუტები დამატებით საკვლევ ღირებულებას ანიჭებს გამოქვეყნებულ მასალას, როგორც ლინგვისტური, ისე ინტერსციპლინური თვალსაზრისით. მაგალითად, ცნობილია, რომ იძულებითი მიგრაციისას მეტია ასიმილაციური პროცესებისადმი შეწინააღმდეგების ხარისხი (დიალექტური თვითგამიჯვნის ტენდენცია), ვიდრე ნებაყოფილობითი, საყოფაცხოვრებო მიგრაციისას. ამის საუკეთესო მაგალითია ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი ირანში, რომელზეც მეტყველებს 400 წლის წინ იძულებით გადასახლებულ ქართველთა შთამომავლობა და რომლის მონოგრაფიულ შესწავლაზეც მუშაობდა ჩვენი სამუშაო ჯგუფი წინა პროექტის ფარგლებში.

მე-20 საუკუნის ყველა მიგრაციული მოძრაობის თვალის გადავხედვა და სრულყოფილი სურათის შექმნა, მით უფრო, დოკუმენტირება, ერთი პროექტის ფარგლებში, რასაკვირველია, ვერ მოხერხდება, მაგრამ ჩვენს არქივში დაცული მასალები ხევსურების, რაჭველების, იმერლების, ფშავლების... კახეთსა და ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და საქართველოს ზოგ სხვა რეგიონში ჩასახლების სურათის აღდგენის საშუალებას იძლევა. კვლევაში გათვალისწინებული იქნება მასალა, რომელიც 2007 წელს „ფოლკსვაკენშტიფტუნგის“ პროექტის ფარგლებში მოვიპოვეთ. ეს არის ვიდეოფორზე ჩაწერილი რამდენიმე მიგრაციული ნაკადის (მესხები – კახეთში, რაჭველები, იმერლები, მთიულები, ქართლები – მესხეთში, ფშავლები, თუშე-

ბი – კახეთში, ხევსურები – ქართლში...) პირველი თაობის მიგრანტთა მეტყველება.

როგორია დამხვდური და მიგრირებული კოლექტივების პირისპირ შეხვედრის პირველი რეაქციები, როგორია კულტურულ და მენტალურ სხვაობათა და წინააღმდეგობათა დაძლევის "ხალხური დიპლომატია", როგორია იდენტობის მახასიათებელთა ცვლის დინამიკა ან შენახვის მექანიზმები? როგორ იცვლება მიგრანტთა მეტყველების ენობრივი თავისებურებები; რა განსხვავებაა ამ თვალსაზრისით „კუნძულურ“ დიალექტურ წარმონაქმნებსა და სხვა ტიპის ჩასახლებებში? როგორია „დიალექტური კუნძული“ საკუთარ ტერიტორიაზე და უცხო ქვეყანაში? რა საერთო ნიშნები იჩენს თავს ასეთ წარმონაქმნებში? როგორია გადასახლებულთა მეტყველების ეთნოკულტუროლოგიური ასპექტები? როგორია ასეთ კუნძულურ წარმონაქმნებში ენობრივი კონტაქტების შედეგები, რამდენად შეეხება ენათა კონტაქტების ცნობილი თეორიები დიალექტთა ურთიერთქმედებისას წარმოქმნილ პროცესებს? კოდების გადართვა, კოდების შერევა, ინტერფერენცია... შეიძლება თუ არა, მოკონტაქტენებისთვის გამოყენებული ეს ცნებები დიალექტების კონტაქტის დროს გამოვიყენოთ? – ბევრ ასეთ კითხვაზე პასუხს მოგვცემს იმ ამოცანათა გადაჭრა, რასაც ჩვენი პროექტი სვამს სამუშაო ჯგუფის წინაშე.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე, ბაკურაძე 2020 – მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ქართული ენის ფერეიდნული დიალექტი, თბილისი, მერიდიანი, 2020.

ბერიძე, ნადარაია 2008 – მ. ბერიძე, დ. ნადარაია, XX საუკუნის შიდა მიგრაციების მონაცემთა ბაზა და საქართველოს ენობრივი სურათი, ბუნებრივ ენათა დამუშავება, VI კონფერენცია, თბილისი, 2008.

ბერიძე, ცოცანიძე 2007 – მ. ბერიძე, გ. ცოცანიძე, მიგრაციები XX საუკუნის საქართველოში და მასთან დაკავშირებული ლინგვისტური საკითხები, XXVII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, 2007 წლის 9-10 ნოემბერი (თელავი).

ბერიძე 2011 – M. Beridze, Language Conceptualization of the Georgian ethno-social reality, FOLIA CAUCASICA, Aniversary issue

dedicated to J. Gippert 55th jubilee, Frankfurt am Main -Tbilisi, pp. 134; Program Logos, Article, 2011.

ვაინრაიხი 1953 – U. Weinreich, Languages in contact, 1953.

ჟირმუნსკი 1976 – Жирмунский В. М. „Проблемы переселенческой диалектологии“, Общее и германское языкознание : избр. тр. Л., 1976: 492–516.

ჯორბენაძე 1983 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ტ. 1, თბილისი, მეცნიერება, 1983.

მ ა ი ა ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი , ე ლ ე ნ ე ნ ა კ ი რ ე ლ ი

ახალი მასალები ქდკ-ის ინგილოური ლექსიკონისთვის¹

ინგილოური დიალექტის რამდენიმე ლექსიკონი არსებობს (რ. ღამბაშიძე, მ. ჯანაშვილი, ნ. როსტიაშვილი) თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ არსებული ლექსიკონები შედგენილია ინგილოურის კაკური კილოკავის მასალებზე დაყრდნობით და დღემდე აღიზაბებული კილოკავის შესახებ ლექსიკონი არ მოგვეპოვება.

დიალექტური კორპუსის ფარგლებში ელექტრონულ ლექსიკონებზე მუშაობის პროცესში ლექსიკონების ახალი მასალით შევსების მდიდარი და საინტერესო გამოცდილება დაგვიგროვდა. ეტაპობრივად, პერმანენტულად მიმდინარეობს ინგილოური ლექსიკონის ახალი მასალებით შევსება. ქდკ-ის ინგილოურ მასალაზე მუშაობისას გამოიკვეთა მთელი რიგი ლექსიკური ერთეულებისა, რომლებიც ასახული არ არის სხვა ლექსიკოგრაფიულ წყაროებში. ამ ეტაპზე, შოთა რუსთაველის ეროვნული ფონდის მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის „დიალექტური კუნძული ტრანსეთნიკურ არეალში – ქართული ენის ინგილოური დიალექტი აზერბაიჯანში“ (HE-21-873 „ფარგლებში მიმდინარეობს კორპუსზე დაყრდნობით ახალი

¹ კვლევა ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [გრანტის ნომერი HT-21-873]

ლექსიკური ერთეულების მოძიების, დამუშავებისა და ლექსიკონებში შესატანად გამზადების ახალი ეტაპი.

საკვლევად ავიღეთ ქართულ დიალექტურ კორპუსში გამოქვეყნებული დიალექტური ტექსტები. კორპუსში ინტეგრირებულია სხვადასხვა დროს საინგილოს სხვადასხვა რაიონში 2005-2013 წლებში ჩაწერილი მასალა, გრიგოლ იმნაიშვილის, ვ. კუზიბაბაშვილის, ვ. თოფურიას მიერ ჩაწერილი ტექსტები, ასევე მდიდარი კოლექცია შინამრეწველობის მასალებიდან (პირველ-ასლები) (შეკრებილი ივანე ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით) და სხვა.

დღეისათვის ქდვ-ისინგილოურლექსიკონში ინტეგრირებული-აროგნედა დამბაშიძისა და ნათელა როსტიაშვილის ინგილოური ლექსიკონები. უახლოეს მომავალში დაემატება მ. ჯანაშვილის მიერ შედგენილი ლექსიკონიც. ლექსიკოგრაფიული რედაქტორი იძლევა იმის საშუალებას, რომ ლექსიკოგრაფიულ წყაროს ნებისმიერ დროს დაემატოს ახალი მასალა ყველა საჭირო საავტორო მითითებით, სწორედ ამ ტიპის სამუშაო სრულდება ამ ეტაპზე.

დღეისათვის გვაქვს ორასზე მეტი სალექსიკონო ერთეული, რომელიც ახალ სალექსიკონო სტატიად შევა ქდვ-ის ონლაინლექსიკონში შესაბამისი წყაროს მითითებით. თითოეული სიტყვაფორმა ლექსიკონში ინტეგრირდება შესაბამისი განმარტებით, გრამატიკული და ფონეტიკური ვარიანტებითა და ილუსტრაციებით. მასალა არის დამუშავების პროცესში და სიტყვაფორმების რიცხვი შესაძლებელია ერთიორად გაიზარდოს.

მოხსენებაში წარმოვადგენთ ლექსიკური ერთეულების მცირე ნაწილს, რომელიც გამოქვეყნებულ ლექსიკონებში არ დასტურდება ან განსხვავებული შინაარსით გვხვდება:

ა) ლექსიკონებში არ დასტურდება:

არსებითი სახელი	ზედსართავი სახელი	ზმნიზედა	მასდარი
ბეგბალა (აზერ.) - ანთროპონიმი	ასას (აზერ.) - მთავარი	ამალლუ (აზერ.) - კარგად.	ბოღრილოვად - ღრიალი
ბელტ - ბელტი	ბაატულ - სულელი		დაბეჭდა - დაბეჭდვა

ბექ - ბეჭი, სხეულის ნაწილი	ბეაბან (აზერ.) - გაუვალი ადგილი	ბუჰთოვ (აზერ.) - მთლიანად	მასხარად ქნად - დაცივნა;
ბეწ - ბეწვი	ბევრჟურად - ბევრნაირი		მოტაცებად/მოტაცევად - ქალის გატაცება;
ბილეთ-ბილეთი	ბეთარ (აზერ.) - უარესი		მაჭაკლა წასლად - გოგოს ხელის სათხოვნელად წასვლა;
ბოვშ//ბავშვ - ბავშვი, ლექსიკონში შეტანილია ყმაწილ.	ბეხაბარ//ბედხაბარ (აზერ.) - უცოდინარი		კელ მოხლევა - შეხება, აღება;
ბოლჩად//ბოლჩოდ - ძღვენი, საჩუქარი	ბირდან (აზერ.) - ძალიან		
მასიფ - ანთროპონიმი;			
მაქსიმად - ანთროპონიმი			
მალრუფ და მამრუფ - ანთროპონიმი, აღმოსავლურ იგავ-არაკებში, ზღაპრებში არსებული პერსონაჟები;			
მაშად - ღუმელში ნაკვერჩხლის მოსარევი ხელსაწყო;			
მამრუფ- ქართულ დიალექტურ კორპუსში არსებულ ინგილოურ ტექსტებში გვხვდება ასევე ტოპონიმის მნიშვნელობით.			
მაჯრად/სახრე/საჯრედ - ჯოხი;			

ყველა ასეთი ლექსიკური ერთეული ქართული დიალექტური კორპუსის ინგილოურ ლექსიკონში შევა ცალკე სალექსიკონო სტატიად, რომელშიც ლემას ექნება სათანადო განმარტება, ილუსტრაციები, ფონეტიკური და გრამატიკული ვარიაციები. წყაროდ მიეთითება ქდკ - ინგილოური ლექსიკონი.

გამოყენული ლიტერატურა

როსტიაშვილი, 1978 – ნ. როსტიაშვილი, „ინგილოური ლექსიკონი“, 1978

დამბაშიძე, 1988 – რ. დამბაშიძე, „ქართული ენის ინგილოური ლექსიკონი“, 1988

ჯანაშვილი, 1911 – მ. ჯანაშვილი, „ინგილოური ლექსიკონი“, 1911

ქდკ-ის ლექსიკოგრაფიული ბაზა <http://corpora.co/#/dictionaries>
მასალაზე წვდომა 20.09.2022

ქართული დიალექტური კორპუსი corpora.co

მ ა კ ა ბ ე რ ი ძ ე

ბილინგვიზმი და დიგლოსია სომეხ სტუდენტთა მეტყველებაში

სოციოლინგვისტიკა ტერმინებს „ბილინგვიზმი“ და „დიგლოსია“ დიფერენცირებულ ცნებებად განიხილავს. პირველი გულისხმობს ორი არამონთესავე ენის გამოყენებას, ხოლო მეორე – ორი მონათესავე ენის, ან ენისა და დიალექტის, ან დიალექტების გამოყენებას.

უნდა აღინიშნოს, რომ თვით ეთნიკურად ერთგვაროვან, ერთენოვან ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ გაერთიანებებშიც კი, სადაც ერთი ენა ფუნციონირებს, შეიძლება იქმნებოდეს რთული

ენობრივი სიტუაცია, სადაც ენის არსებობის თითოეული ფორმა საკუთარ დამოუკიდებელ როლს ასრულებს თავის სოციუმში და გამოიყენება ურთიერთობის საშუალებად.

მხოლოდ დიგლოსიის არსებობის ფაქტები დამახასიათებელია ეთნიკურად ერთგვაროვანი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული გაერთიანებისთვის. ჯავახეთში ასეთად შეიძლება დავასახელოთ რეგიონის ცენტრებიდან საკმაოდ შორეულ სოფლებში დასახლებული ეთნიკურად ერთგვაროვანი მოსახლეობა, რომელიც მხოლოდ სომხური ენის დიალექტურ ფორმას ფლობს, თუმცა ინდივიდის დონეზე ორენოვნებას (ძირითადად სომხურ-რუსულს) ვერც იქ გამოვრიცხავთ.

ზემოთქმულიდან ცხადი ხდება, რომ ერთსა და იმავე ენობრივ კილექტივში, როგორც უშუალო ურთიერთობების საშუალება, შესაძლებელია თანაარსებობდეს ერთდროულად ბილინგვიზმიცა და დიგლოსიაც. ამის მაგალითები დასტურდება სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სომეხ სტუდენტთა მეტყველებაში. განვიხილავთ შემთხვევებს, როდესაც მეორე ენას უპირისპირდება პირველი ენის ენობრივი ნაირსახეობები, (სოციალური და ტერიტორიული დიალექტები, ლიტერატურული ფორმა და ა.შ.). ვინაიდან კონკრეტული კოლექტივის მაგალითზე მეორე ენას თვითონაც შეიძლება გააჩნდეს ეგზისტენციური ფორმები, პირველ ენას დაუპირისპირდება მეორე ენის ნაირსახეობა.

ვითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ სტუდენტთა უმრავლესობა ურთიერთობისას იყენებს, ფაქტობრივად, ერთზე მეტ ენას თუ ენობრივ ვარიანტს, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სომეხი ბილინგვი სტუდენტის მეტყველებაში გარკვეულ სოციალურ-კომუნიკაციურ სფეროში საურთიერთოდ ერთმანეთს ენაცვლება რამდენიმე ენის ენობრივი ნაირსახეობა.

შევეცდებით, განვიხილოთ გამოვლენილი კანონზომიერებები. სტუდენტთა ენობრივ კოლექტივში გამოყენებული ენობრივი ქვესისტემებიდან ერთ-ერთი ფუნქციურად დომინირებს, ანუ იღებს თავზე ძირითად ფუნქციურ დატვირთვას, გამოიყენება ურთიერთობების სფეროების დიდ უმრავლესობაში. დანარჩენი ვარიაციული ფორმები კი ხშირად დამხმარენი ან სიტუაციურად შეპირობებული არიან. დიგლოსიის პირობებში მოცემული ჯგუფის წევ-

რებს შეუძლიათ ურთიერთობის მიზნით გამოიყენონ ენის ეგზისტენციური ფორმები სხვადასხვაგვარი აქტივობითა და მისადაგებით. დიგლოსიის ტიპები აღწერილია ლ. ბ. ნიკოლსკის მიერ (ნიკოლსკი 1966) ჩვენ მეცნიერის მიერ მოცემულ დიფერენციას მივუსადაგებთ სტუდენტთა მეტყველებას, შევეცდებით, აღვწეროთ დიგლოსიის რომელი ტიპია ნიშანდობლივი.

პირველია მოდელი, რომელიც სქემატურად შეიძლება გამოვსახოთ შემდეგნაირად: ა1 - - - ა2. სტუდენტთა მეტყველებაში დადასტურებული დიგლოსიის ყველაზე გავრცელებული ფორმაა, განსაკუთრებულ როლს განათლების ენა თამაშობს.

სახეზეა სომხური ენის დიალექტური ფორმისა და სალიტერატურო ფორმის თანაარსებობაც. თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ამ მხრივ ქართული და სომხური ენების სალიტერატურო ფორმები თანაბრად თანაარსებობენ. მათ ფუნქციურ გადანაწილებებს შორის შეიმჩნევა მსგავსებები და განსხვავებები, რომლებიც ობიექტური მიზეზებითაა განპირობებული.

სომეხი სტუდენტები შედარებით სუსტად ფლობენ სომხურ სალიტერატურო ენას, ვიდრე ქართველები ქართული ენის სალიტერატურო ფორმას. ამის ერთ-ერთი მიზეზი შესაძლოა თვითონ ენობრივი თავისებურებაცაა (განსხვავება დიალექტსა და სალიტერატურო ენას შორის). თვალშისაცემია ისიც, რომ სასაუბრო მეტყველების ფუნქციით ორივე ენის დიალექტი შესაბამის სალიტერატურო ფორმებთან მიმართებით მყარად ინარჩუნებს საკუთარ პოზიციებს, რის შედეგადაც ფუნქციურ-სოციალური სტრატეფიკაცია იძენს შემდეგი ოპოზიციის სახეს: სალიტერატურო ენა წერილობითი (მხატვრული ლიტერატურა, სასწავლო ლიტერატურა, რეგიონული გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“, რომელიც იბეჭდება როგორც ქართულ, ისე სომხურ ენაზე) და ზეპირი (განათლება, რადიო და ტელევიზია, სამსახური) ფორმებით / დიალექტი.

მეცნიერის მიერ გამოყოფილი დიგლოსიის მეორე ტიპი – ა1 - - ა3, ჩვენი აზრით, ჯავახეთის ენობრივ რეალობაში დასტურდება რეგიონის ცენტრალურ ქალაქებში არსებული ენობრივი კოლექტივების დონეზე. იქ, სადაც შედარებით სუსტია დიგლოსიის პირველი ტიპი, მის ადგილას სწორედ სალიტერატურო ენა და ყოველდღიური სასაუბრო ენა ერთმანეთის მიმართ ოპოზიციურად თანაარსებობენ.

ეს შეიძლება ავხსნათ იმით, რომ ქალაქში მცხოვრები სტუდენტების მეტყველებაში სულ უფრო მცირდება დიალექტური ფორმების გამოყენება. ასევე იმ ეთნიკურად სომეხი სტუდენტების მეტყველებაში, რომლებმაც აითვისეს ქართული, როგორც მეორე ენა, არა მხოლოდ ბუნებრივ, არამედ ფორმალურ გარემოში (სკოლაში, ენის შემსწავლელ კურსებზე, საშუალება აქვთ ქართული არხების ყურებისა).

დასკვნის სახით რომ ვთქვათ, ყველგან, სადაც სუსტდება დიალექტის მოხმარება, პირველი ტიპის დიგლოსიას ენაცვლება მეორე და ვიღებთ შემდეგ დაპირისპირებას: სალიტერატურო ენა / ქალაქური ყოველდღიური სასაუბრო ენა.

დოგლოსიის მეოთხე ტიპი გულისხმობს ერთი ენის ორი დიალექტის თანაარსებობას. სომეხ სტუდენტთა მეტყველება განსხვავდება იმის მიხედვით, თუ ისტორიულად თურქეთის რომელი რეგიონიდან მოხდა მათი მიგრირება. სტუდენტები აფიქსირებენ წინაპარლოკაციას და თანატოლების მეტყველებაში არსებულ გასხვავებებს ამით ხსნიან.

სომეხ სტუდენტთა მეტყველებისათვის ერთი მოდელის მისადაგება გაგვიჭირდება. საყურადღებოა, რომ ენების/ქვესისტემების არჩევანზე მოქმედებს საკომუნიკაციო გარემო, დასტურდება, რომ ზოგიერთ შემთხვევაში სტუდენტები ერთენოვნები არიან.

მ ე რ ა ბ ბ ე რ ი ძ ე

-კარ კომპონენტიანი ტოპონიმი სამცხეში

დღევანდელი ჭაჭკარი მე-16 საუკუნეში საშუალო ზომის სოფელი იყო და 14 კომლი ცხოვრობდა. იმდროინდელი ჭაჭკრული ოჯახის უფროსების ზოგი სახელი შემოგვრჩა, ზოგის სახელი ამოუკითხავია ს. ჯიქიას მიერ. აი, ისინიც: ოქრო, ივანე, შაჰი, პაპუნა, ვიქრია, კიდევ ორი ივანე და ერთი ოქრო, პეტრე, იასელ, ხასიკი, ელიაზარი, მერაბა, ამროსი, მიქაელი, დავითგული, რევაზა, რამაზა.

ჭაჭკარი მდებარეობს ერუშეთის მთათა ფერდობის ძირზე, მტკვრის მარცხენა ნაპირზე, ეკვრის ვარძიას, კერძოდ, მის **სადალატო ხეცს**. ჭაჭკარს აღმოსავლეთიდან ესაზღვრებოდა სოფელი **ალაგური (ალაგი)**, რომელიც უშუალოდ ემეზობლებოდა თმოგვის ციხის რაბათს და რომელსაც აკავშირებდა გზა ზედათმოგვთან (მ. ბერიძე). ჭაჭკარი ზოგი მონაცემით მოიცავდა მტკვრის მარჯვენა ნაპირსაც.

ს. ჯიქია მე-20 საუკუნის 30-იან წლებში მესხეთში მოგზაურობის დღიურში წერს: „გოგაშენს ქვემოთ, მტკვრის ორთავე ნაპირას ამჟამად ბაღებია და ამ ადგილას ჭაჭკარს ეძახიან (ჭაჭკრის გაღმა ნაპირი ვარძიის მონასტრის ქვემოთაა, გამოღმა (გოგაშენისაკენ მდებარე ჭაჭკარში) დარჩენილია ნასახლარების კვალი“.

სოფელთა თანმიმდევრობა დავთრის დროს ისეთია, რომ გოგაშენის ბაღებში (ნათენადეთა სასტუმროს ტერიტორიაზე არსებული ნასოფლარი) უნდა იყოს ან ვაშლოვანი, ან ვანისხევი და არა ჭაჭკარი. დავთრის დროს რომ ყოფილიყო ორი ჭაჭკარი (გაღმა-გამოღმა, ზემო-ქვემო, დიდი-პატარა), უეჭველად იქნებოდა დაფიქსირებული.

ჭაჭკარის (ჭაჭკრის) ეტიმოლოგიის დროს შეიძლება გამოიყოს **-კარ** კომპონენტი და სიტყვის წარმომავლობა შესაბამისად დაეუკავშიროთ კომპოზიტს. **-კარ** კომპონენტისა სახელები მხოლოდ ოიკონიმთა შორის 77-ია (ტოპონიმისა II), რაც გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ვივარაუდოთ, თუ რომელ სიტყვებს რა სემანტიკის ლექსიკასთან ქმნის **-კარ** კომპონენტი კომპოზიციას. პირველ რიგში უნდა გამოიყოს ნათესაობით ბრუნვაში მდგომი მსაზღვრელი მრავლობით რიცხვში. მაგალითად: კობიანთკარი, ჭილანთკარი, აღდგომელანთკარი, გრიგოლანთკარი, ჩირდელელიანთკარი, ჯავახიანთკარი, წინამძღვრიანთკარი, მჭედლიანთკარი, მეზვრიანთკარი და სხვა.

-კარს ამ შემთხვევაში უბნის მნიშვნელობა აქვს, რაც გამოწვეულია დიდი ოჯახების დაყოფის შედეგად. მონოგენური გვარების დაყოფა ხდება „უბნებად“. „კარებად“ ქვევის საფუძველია გვართა, დიდსახლთა, დიდ ოჯახთა დაყოფა, რაც, შესაბამისად, სათავეს უდებს შტოგ-ვარებსა და უბნებს, კარებს, გვარებს მრავლობით რიცხვში. **-კარ** კომპონენტის კომპოზიტებიდან აბსოლუტური უმრავლესობა ასეთი წარმოებისაა.

ახალი სახელები გვაქვს ანალოგიის ნიადაგზე შექმნილი, რომელთაც თავის დროზე იდეური დატვირთვა ჰქონდა. ასეთია ცოდნისკარი და შრომისკარი, ასევე მალაროსკარი და ხიდიკარი. ამავე რიგში

დგას ტაშისკარი, ოღონდ ნათესაობითში მდგომი მსაზღვრელი, ერთი ვერსიით, თურქულად ქვას უნდა ნიშნავდეს. -კარი გამოიყოფა ცნობილ ისტორიულ სახელში **კლდეკარი**, რომელშიც გვაქვს ზედსართავად ქცეული არსებითი სახელი კლდე. კლდეკარმა მიიღო ერთგვარი გეოგრაფიული ტერმინის შინაარსი და კლდეში გასასვლელი გზის აღმნიშვნელად იქცა. კლდეკარია თმოგვის ციხის გაცდენისას ვანისქვაბუბის გადასახედის კლდეთა შორის გასასვლელი გზის მონაკვეთი.

რეალურად კარს უნდა აღნიშნავდეს მუხისკარი, რომელიც ისტორიულ საქართველოში ტაო-კლარჯეთში მდებარეობდა.

-კარი გამოიყოფა სამცხეში შემოსასვლელი ერთ-ერთი გზის სახელში, – **ზეკარი**, რომელშიც ზე- ზედა მსაზღვრელიდან მოდის და შინაარსიც ნათელია.

ხევი ფართო ცნებაა, ის ზოგჯერ მოიცავს მთელ მხარეს ისევე, როგორც, მაგალითად, ხევი საქართველოს ჩრდილოეთით ან იმერხევი და ა.შ. ასეთ ხევს შეიძლება ჰქონოდა თავისი კარი შესასვლელი. ხევისკარი ადგილის სახელია „დავთრის“ მიხედვით. ასეთი კარები სხვა კუთხეთა თუ ქვეყანათა შესასვლელებსაც ჰქონდა, როგორც, მაგალითად, ისტორიული ტაოსკარი. შდრ. დარიალანთა (ალანთა კარი) და სხვა.

შეიძლება კარი თვითონ იყოს მართული მსაზღვრელი. ასეთი რამ დასტურდება ქიქინეთსა და წახნისწყაროს შორის ნასოფლარის სახელად. ეს არის **კარისჯვარი**. ამ შემთხვევაში კარი იმავე დანიშნულებით უნდა განვიხილოთ, როგორც კარის ეკლესია. მისი ერთი ვარიანტი არის **კარჯვარი**.

ჭაჭკარში გამოყოფილი კარის შემდეგ გვრჩება მის პირველ ნაწილად **ჭაჭ- ფუძე**. არის ცდუნება, რომ ეს ფუძე დაუკავშირდეს **ჭაჭას**, როგორც ცოტა ხნის წინ ერთი ფეისბუკვილით გამოთქვეს მოსაზრება ახალგაზრდებმა. მართალია, მათი მიზანი სახელის რეკლამირება იყო, რომ **ჭაჭკრის** ვაზი და შესაბამისად საწნახელი უძველესია, რომ ყურძნისგან მზადდებოდა **ჭაჭაც** და ამიტომ ეწოდა სოფელს ეს სახელი, მაგრამ ტოპონიმური მონაცემები ამის თქმით საშუალებას არ გვაძლევს.

ჭაჭი მოხევურ დიალექტში არის „კლდის ნატეხი ბრტყელი ქვა“. ასევე გვიხსნის **ჭაჭის** მნიშვნელობას „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“: „ასპიტის ფიქალი“. ფიქალი ქვა ტრადიციულად კარგი სამშენებლო მასალა იყო. **ჭაჭის** ქვა მთიულეთში ნასვრე-

ტებიან ქვას ნიშნავს. მოსალოდნელია, რომ ჭაჭკარში იყო კარი, რომელიც უკავშირდებოდა თმოგვის ციხის რაბათს.

ასეთი კარები ხშირად საბაჟოს ფუნქციასაც ასრულებდა. აქვე ნასოფლარ ალაგურის მიკროტოპონიმიში, ალაგურის თავზე ორ კლდეს შუა გადის გზა. შავი ნალისმაგვარი ოთხი ნიშანი აქვს თეთრ კლდეებს. ეს „ნალები“ ჩამკეტი კარის ანჯამების ადგილი უნდა იყოს.

ამგვარად, ჭაჭკარი დაერქვა სოფელს ფიქლის ქვის გამო, რომელიც გამოიყენებოდა მესხეთში სამშენებლოდ.

სოფიკო ბერულავა

ნაოსნობა-მეთევზეობის ლექსიკა ლაზურში ერთი მთქმელის მეტყველების მიხედვით

2008 წელს არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტიდან სარფში მივიღინების დროს ადგილობრივი ლაზებისგან ჩავიწერეთ ლაზური მეტყველების არაერთი ნიმუში. მოპოვებული მასალა თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამჟამად წარმოვადგენთ ერთი ლაზი მთქმელის, მირიან ნუმანიშვილის, მეტყველების ნიმუშს, რომელიც ეხება მეთევზეობას, თევზის სახეობებს, თევზსაჭერ მოწყობილობებს, ნავის აგებას და მასთან დაკავშირებულ ლექსიკას, სანაოსნოდ ზღვაში გასვლისათვის ხელსაყრელი ამინდის შერჩევასა და ტოპონიმებს, რომლებიც ზღვასთან არის დაკავშირებული.

თევზჭერა-ნაოსნობა ლაზებისთვის ძირითად სამეურნეო საქმიანობას წარმოადგენდა. ლაზები უმთავრესად მეთევზეობას ადახელოსნობას მისდევენ. სარფის მეთევზეების სათევზაო ადგილები იყომდინარეჭოროხიდან დაწყებული ლიმიანის სანაპირომდე (ვანილიში, თანდილავა 1964, 78). ზღვის პროდუქტებს არა მხოლოდ საკვებად იყენებდნენ, არამედ შემოსავლის წყაროც იყო. ამას ადასტურებს ჩვენი ინფორმატორიც: მზოლა პიჯის ვირდი. სარფის დოვიბადი, მზოლა-პიჯის ვირდი. პაპულიჩქიმი ბოლინე მზოლაშა გოიტუ, რეიზი უწუმეტეს, რეიზი ტუ. მუში არიალი უნიემენ ოჩამჩირეშაკადარ, ჰამ იე-

ფეს ჩხომი ჭოუპტუ. ჩხომი ნა ჭოფატუ, ედო მორგატუ. ჰია მორგა-
ფეი ფაათენ ეჭოფუმტუ ლეტა, დიხა, ოხოი კიდუფტუ. მა მუმიჩქინ
თელი. „ზღვისპირას (ზღვის სანაპიროზე) გავიზარდე. სარფში და-
ვიბადე, ზღვისპირას გავიზარდე. ბაბუაჩემი ყოველთვის ზღვაში შე-
დიოდა, კაპიტანს უწოდებდნენ, მეთაური იყო. მისი ტერიტორია
იყო უნიედან ოჩამჩირემდე, იმ ადგილებში იჭერდა თევზს. თევზს
რომ დაიჭერდა, ყიდდა. ნავაჭრი ფულით ყიდულობდა მიწას,
სახლს აშენებდა. რა ვიცი, მთელი“.

ლაზი მეთევზე ზღვაში გასასვლელად განსაკუთრებულად ემ-
ზადებოდა, არჩევდა შესაბამის ამინდს, აკვირდებოდა მზეს, მთვა-
რეს, ვარსკვლავებს, ქარის მიმართულებას.

სათევზაოდ ზღვაში გასვლის წინ გამოცდილ და დაკვირვე-
ბულ მეთევზეებს შეეძლოთ ამინდის წინასწარ გამოცნობა. აკვირდე-
ბოდნენ ზღვის მიმოქცევას, მნათობებს – ტაონი ვაგიჩქინ ნა, მზოლა-
შა კუჩხე, მზოლაშა ჭელუკას კუჩხე ვაგედგაგიონ „ამინდი თუ არ
იცი, ზღვაში ფეხი, ზღვაში ნავს ფეხი არ უნდა შეადგმევიწო“.

ძველად ტაროსი ხან ყოველგვარი ამინდის მნიშვნელობით
იხმარებოდა, ხან კი მხოლოდ ზღვაოსნობისათვის ხელსაყრელი
ამინდის სინონიმად (კუტალიეშვილი, 2005, 77). (შდრ. მეგრულში
ტაროზი / ტაროსი ძირითადად კარგ, მშრალამინდს ნიშნავს – ტარო-
ზირე, „მშრალიამინდია“ (ელიავა, 1997: 295).

პაპულიჩქიმძე არ კვირა წოხლე ტაონი მუჭო იყუასი ტუ, მუ-
ჭო ვაიყვას. სო რტუ ჰემ ვახთის ინტერნეტი დო სო რტუ მუთუ. ჰე-
მუქ ნაგნეფტუ არ კვირას წოხლე მუფეი ტაონი იყვას დო ზოპონტუ
ქი: ამდლა ზოლაშა ვაგამილენ, მუუცხი ჭკადეი, კაი ტაონი, მზოლა
დოდგინეი, ვაგამიტუ. ედო, ბაზიქ ვანუსიმინტე, გამიტენან ჭელუ-
კა, მზოლაშა დოლონჭუ ვანაჭიშინეტეს, ჰემენ ემედენისთი ტაონი
ოკოხუფტუ დო კაპინეი–კაპინეი გამიტეს მზოლაშე „ბაბუაჩემმა ერ-
თი კვირით ადრე იცოდა ამინდი როგორი იქნებოდა, როგორი არა.
სად იყო იმ დროს ინტერნეტი და სად იყო რამე. ის ხვდებოდა ერთი
კვირით ადრე როგორი ამინდი იქნებოდა და ამბობდა: დღეს ზღვაში
არ შეისვლება, ვარსკვლავებით მოჭედილი, კარგი ამინდი. ზღვა და-
მდგარი (მდორე, მშვიდი), არ წავიდოდა. და, ზოგიერთმა არ მოუს-
მინა. გამოიყვანეს ნავი და ზღვაში შესვლას ვერ ასწრებდნენ, ამინდი

სწრაფად შეიცვლებოდა და სირბილ-სირბილით გამოდიოდნენ ზღვიდან“.

ქართველურმა ენებმა საკმაოდ მდიდარი და მრავალფეროვანი ლექსიკა შემოგვინახა, რადგან ნაოსნობა-მეთევზეობა აქ მაცხოვრებელთათვის ოდითგანვე იყო დამახასიათებელი, რამაც, ბუნებრივია, გამოიწვია ადგილობრივი ნავის ტიპებისა და თევზსაჭერი საშუალებების შექმნა-განვითარება (კუტალიევილი, 2005:75). ჩვენთან საუბარში ბატონი მირიანი აღნიშნავს, რომ მან ნავის აგება და ბადის ქსოვა მამა-პაპისგან ისწავლა:მა პაპული ჩქიმი ქომშუნს, ჰედო მუში, მუქ ნა იქიფტუ დულიას ვოწკეტი, მანთი დიდო ინტერესი მაყუ ა დულიაფეშა. ვახთი ნა მილუტას, დრო ნა მილუტას, ვახთის ჰაშო ჭელუკაფე პკიდუფ, მოსა ფშუფ. ა მა ბაბაქ მოგუფ. „*მე ბაბუაჩემი მახსოვს, და მისი, ის რა საქმესაც აკეთებდა, ვხედავდი. მეც ინტერესი გამიჩნდა ამ საქმისადმი. დრო როცა მაქვს, დრო როცა მაქვს, ამ ნაგებს ვაგებ. ბადეს ვქსოვ, ეს მამამ მასწავლა*“.

ჩვენი რესპონდენტი თავადაც ქსოვს ბადეებს, კარგად იცნობს და გვიზიარებს ქსოვასთან დაკავშირებულ გამოცდილებას და ტერმინებს: მა მიჩქინ მოსაშ ოშუ. მოსა ოშუმუს, გააჩნია მუფედ მოსა შუაგიონ. მოსაფეში იენ ბაშქა-ბაშქა ჯიშის მოსაფე „*მე ვიცი ბადის ქსოვა.ბადის ქსოვას, გააჩნია როგორი ბადის მოქსოვა გინდა. ბადეების სხვადასხვა სახეობაა*“.სხვადასხვა თევზისთვის ბადეც განსხვავებული იყო. ინფორმატორი ჩამოთვლის ბადის შემდეგ სახეობებს: **სარგანაში მოსა** „გველთევზას ბადე“, **ბარბონის მოსა**,„ბარაბულის ბადე“,**მოლოზმა**,„ბადის სახეობა მეჩხერი წყლისთვის“ (თანდილავა 2010: 508), **სუაკიშ მოსა**,„ქამბალას ბადე“.

ბატონი მირიანი კარგად იცნობს ლაზეთში გავრცელებულ თევზის ჯიშებს. ის წუხს, რომ ქართველური სახელწოდებების ნაცვლად ხშირად ლათინურ და რუსულ ტერმინებს იყენებენ – ჩქინ მზოდას, მა ჰემუში ოთქვალუთი მინონ ქი, ჩქინ, ლაზეფეს დოსქიდინეი მილუნან კათა ჩხომიში ჯოხო. საქართველოში ჯოხოფე, ონდიში, ჩხომიშ ჯოხოფე რუსული ნენაფეთენ ზოპონან, ია ლათინურითენ. ანდლანეი მეცნიერეფქ ლაზური ჩხომიშ ჯოხოფე ლიტერატურული ჯოხოშა ამიყონასიონა. სმარიტკას, **სმარიტკა** მოთ თქვაგიონ გდურჯი კოჩიქ, ქართველი კოჩიქ სმარიტკა მოთ თქვაგიონ, ნამუ-

თხანისთი ჯოხონ **ჭაფალა**. მიდიას, ჰაწი მიდია ოჭკომუ გოჭკეს მთელი, მიდიას ჯოხონს **ღეჭია**. სუფთა ლაზუი ნენა.ართანი ჩხომი-ენ,კაროვა უწუმელან მთელი, ჩქინეფე მითხანი ნა საქართველოს სქიდუნ კაროვა უწუმელან, ჰემუს ჯოხონს **ფორწო**. **კამბოლას**, კამბალას ჯოხონს **სვიაკი/სუაკი** ჯოხონს.ჩქვა მუ ფთქვათ, **სტავრიტა**, **სარგანა**, **მამული ჩხომი**, **ლაბუ**, ლაბუ ენ **მირლანკა**. ანუდოსკიდიანი ნენაფე ნამუთხანი ნა ან მზოლას ლაზუი ა მთელი ჩქინიენ „ჩვენს ზღვაში, მე ამის თქმაც მინდა, რომ, ჩვენ, ლაზებს დარჩენილი გვაქვს ზოგიერთი თევზის სახელი. საქართველოში სახელებს, იმის, თევზის სახელებს რუსულად ამბობენ, ან ლათინურად. დღევანდელ მეცნიერებს ლაზური თევზის სახელები ლიტერატურულ სახელამდე-აჰყავთ[არქმევენ]. სმარიტკას, სმარიტკა რატომ უნდა თქვა ქართველმა კაცმა, ქართველმა კაცმა სმარიტკა რატომ უნდა თქვა, რომელსაც ჰქვია **ჭაფალა**. მიდიას, ახლა მიდიას ჰამა დაიწყო ყველამ, მიდიას ჰქვია **ღეჭია**. ნამდვილი ლაზური სიტყვა. ერთი თევზია, კაროვას ეძახის ყველა, ჩვენები, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ, კაროვას ეძახიან, მას ჰქვია **ფორწო**. **კამბოლას**, **კამბალას** ჰქვია **სვიაკი // სუაკი** ჰქვია. სხვა რა ვთქვათ, **სტავრიტა**, **სარგანა**, **მამული ჩხომი**, **ლაბუ**. ლაბუ არის **მირლანკა**. ანუ **დარჩენილი სიტყვა**, რომელიც არის **ზღვაში ლაზური**, ყველა ჩვენია“.

მთქმელი იქვე შენიშნავს, რომ ნავისა და მისი დეტალების სახელები ლაზურში ბერძნულიდან და თურქულიდან არის შემოსული, მაგრამ თევზის სახელები ადგილობრივია – ჭელუკაში ჯოხოფეს, ჭელუკაში დეტალი ჯოხოფე უფრო ბერძნული დო თურქული დოსქიდიანი ენ. ჰამა ჩხომი ჯოხოფე ლაზუი მილუნან „ნავის სახელოდეები, ნავის მოწყობილობის სახელები უფრო ბერძნული და თურქულია დარჩენილი. მაგრამ თევზის სახელები ლაზური გვაქვს“.ჩვენი მხრიდან შევნიშნავთ, რომ ლაზურში ნავის აღმნიშვნელი ბევრი ქართველური სახელოდება გვაქვს, მაგ., **ნიში / ნუში**,**ოლაჭკანდერი**,**ორჩხომელი**...

რესპონდენტი ასახელებს ადგილის სახელებს, რომლებიც მისი წარმოდგენით, ლაზმა მეთევზემ უნდა იცოდეს – მაჟუაქ ნა კითხასთი ჩხომი სონ იეიკალა ტუია, სარფიშენ კვავიათიშა კადა გიჩკიტასიონ მუ იეიკალა ჩხომი ჭოფი „ვინმემ („მეორემ“) რომ გკითხოს,

თვეზი სად იყო, სარვიდან კვარიათამდე უნდა იცოდე სად დაიჭირე თვეზი“.

ეს ტოპონიმებია: **ქვადომგო, ქვამორგვალი, ქვაოწუდე, ქვადომგო, ქვამხაზი, ქვასფაო, სუმქუა, უჯოხელი, ღუმუყინი**და გადმოგვცემს ამ სახელთა ეტიმოლოგიასა და სახელდების მოტივაციას. სამეცნიერო ლიტერატურაში ამ ეტიმოლოგიებზე ბევრჯერაა მითითებული და აქ არ გავიმეორებთ. განსახილველად შემოგთავაზებთ მხოლოდ ერთს, რომლის ხალხური ეტიმოლოგიაზე თავად ინფორმატორი მოგვითხრობს: **ქვამხაზი, ქვა უმხაზი**, უმხუჯვათი ზოპონან, ვამიჩქინ მა ჰაწი ჰამუში ისტორია. ამა ჰია ხაზეითი ენ ჰეშო, ჰკოდეი ქვათი ენ. პია მუშენი უწუმელან, ჰიათი დაგაფეს მხუჯითენ ნოდგინ დო ფეჟიმთი ჰამუშენი? დიდი პროფესორეფეს დო ენათმეცნიერეფე, ლინგვისტეფეჟ ონდი ყვასიონან, ნაგნასიონან. ჩქინ მუ ნა შეი ენა პაპულეფეშენ ჰია მიჩქინ. *„ქვამხაზი, ქვა დასერილი, უმხროსაც ამბობენ, არ ვიცი მე ამის ისტორია, მაგრამ ის დახაზული არის ასე, დამსკდარი ქვაც არის. ნეტავ რატომ უწოდებენ, ის ზღვის ტალღებისკენ მხრით დგას და ამიტომ? პროფესორებმა და ენათმეცნიერებმა, ენათმეცნიერებმა უნდა გამოიკვლიონ. ჩვენ, რაც არის, ბაბუებისგან (წინაპრებისგან) ვიცით“*.

განსახილველი ტექსტი შეიცავს სხვა საინტერესო ინფორმაციას ნავის აგების, ნაწილების, ბედის ქსოვის, თვეზაობის სეზონის, ბადით თვეზის ჰერის მეთოდების და სხვა დეტალების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

ელიავა, 1997 – გ. ელიავა, მეგრული ლექსიკონი, თბილისი-მარტვილი.

ვანილიში, თანდილავა 1964 – მ. ვანილიში, ა. თანდილავა, ლაზეთი, თბილისი

თანდილავა 2010 – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი

კუტაღეიშვილი, 2005 – ზ. კუტაღეიშვილი, ზოგიერთი საზღვაო ტერმინისთვის, ქართული ეთნოლოგია I, თბილისი

მ ა ნ ა ნ ა ბ უ კ ი ა

ერთი მეგრული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის – არხა-ხატი

აღიო ქობალიას თავის მეგრულ ლექსიკონში შეტანილი აქვს სიტყვები, რომლებიც დოკუმენტირებულ წყაროებში (ლექსიკონები, ეთნოლოგიური და ფოლკლორული ტექსტები) და ცოცხალ მეტყველებებში არ გვხვდება. ეტიმოლოგიური კვლევის გარეშე მათი დაკავშირება შემოთავაზებულ განმარტებასთან ჭირს.

ერთი ასეთი სიტყვაა **არხა-ხატი** „მიუდგომელი, უძლეველი, მკაცრი ხატი“ (ქობალია, 2010: 54).

კომპოზიციური წარმოების სიტყვაში კითხვას აჩენს **არხა-ელემენტი**.

იმავე ლექსიკონში **არხა** განმარტებულია, როგორც „მიუვალი, მიუდგომელი კლდე; მყინვარი, გაყინული თოვლი, რომელზედაც სიარული შეუძლებელია“ (იქვე).

ო. ქაჯაიას მეგრულ-ქართულ ლექსიკონში **არხა**-ს პარალელურ ფორმად მიჩნეულია **ახრა** – **არხა** იგივეა, რაც ახრა, – პიტალო, სალი კლდე – თიჯგურა არხას ქიმიოდირთვ, ეშე თოლი ვაანჭულუ „ისეთ სალ კლდეს მიადგა, ზევით თვალი ვერ მისწვდება“ (ქაჯაია, 2001: 196).

ა. ქობალიასთან **ახრა** განმარტებულია, როგორც „მიუვალი კლდე, ციცაბო; ქარაფი, კორტოხი“ (იხ. არხა) (ქობალია 2010: 54); პარალელურ ფორმებად მითითებულია **ახირა** (იქვე), **აქრა** „ქიმი, მიუვალი კლდე“ (გვ. 43).

ა-ხრა აფხაზური სიტყვაა და „ციცაბო კლდეს“ ნიშნავს (ჯანაშია 1954: 416). როგორც ჩანს, ჩვენი საკვლევი სიტყვა ჰიბრიდული კომპოზიციისა და ზედმიწევნით ნიშნავს „ციცაბო კლდესავით ძლიერ, მიუდგომელ ხატს“. აფხაზიზმები მეგრულში, მითუმეტეს, ა. ქობალიას ლექსიკონში სულაც არ არის გასაკვირი. ძირითადი სალექსიკონო მასალა აზერულში, შუასოფელშია მოპოვებული. არც რ ~ ხ სუბსტიტუციისა მოულოდნელი (შრდ. ქართ. **ხრიალი** ~ მეგრ. **რხიალი**).

ახრა ელემენტი ხშირად გვხვდება სამურზაყანოს ტოპონიმიაში: **ახრაწყარი** – ოქუშწყარის ერთ-ერთი მდგენელი (ზედმ. „ახრას წყალი“; **ახრაშქვინჯი** // **ახრამწა** „კლდისძირი“ (მეგრ., აფხ.) – კლდისძირები ყვარათბაში (მთა); **ახრამ წყურგილი** – წყარო ახრაში (წარჩე); **გორღამილი ახრა** „დაღარული კლდე“ (მეგრ.) – კლდეები მთა; **მიკოთოლირი ახრა** – პიტალო კლდე ახრაჯარაში, ჯუხუს ნაპირას (მ. კოპიტე), ზედმ. „ჩამოთლილი კლდე“; **წკონწკერიმ ახრა** – კლდეები წკონწკერში (მთა); **ჭითა ახრა** „წითელი კლდე“ (მეგრ.) – ტყე, კლდეები ოფუჯესა და ოჭაკეს შუა (მთა) (ცხადაია 2003).

ახრა – ელემენტი ჩანს სხვა კომპოზიტებშიც:

ახრა-კვრდე „კლდე“ (ზედმ. „კლდე-კლდე“) – ვარა რეზუნდას რაში ცხენი, ახრა-კვრდეთ მაფურინე (სამუშია 1990: 116) „ან გყავდეს რაში ცხენი, კლდეებში მფრინავი“. ამ ორენოვანი (აფხაზურ-მეგრული) კომპოზიტის ორივე ნაწილი „კლდეს“ ნიშნავს. მდრ. ლაზური **მჭითაკიზილ** „წითელ-წითელი“, სადაც კომპოზიტში შემავალი ორივე სიტყვა, ლაზური და თურქული „წითელს“ ნიშნავს; აფხაზური **აჩაქაბალ** „ყურძნის ჯიში“, ზედმ. (აფხაზურ-მეგრული „პური-პური“) (მაჭავარიანი 2006: 126)

ახრა-ჩეგემი „ციცაბო და უფსკრული“ (ქობალია 2010: 54) – **შხვაგანიშე უჯინენი, ვორწყეჟ ახრა-ჩეგემეფც** (სამუშია: 1990: 116) „სხვა მხრიდან რომ ვუყურებ, ვხედავ ციცაბო-უფსკრულებს“;

ჩეგემი მეგრულში განმარტებულია, როგორც უფსკრული – **წყარიში უჩა ჩეგემეფს ინოშხუფინი** „წყლის შავ უფსკრულებში დგაფუნი“ (ქაჯაია 2002-ა: 298)

ახრა-ჩეგემში ორივე სიტყვა აფხაზურ-ადიღური ენობრივი სამყაროდან არის შემოსული. ყაბარდოში არის ხეობა და მდინარე, რომელსაც ჩეგემი ჰქვია, მაგრამ ზოგად სახელად ის არ დასტურდება. ჩეგემის „გამეგრულებასთან“ დაკავშირებით შევნიშნავთ, რომ საინტერესო ენობრივი მოვლენა მოხდა. ჩერქეზული გეოგრაფიული სახელი მეგრულმა განაზოგადა და უფსკრულს უწოდა.

თავად კომპოზიტის სემანტიკისთვის – ზუგდიდში, სოფ. ოდიშში არსებობს უგურყელის წმიდა გიორგის ხის ეკლესია. **უგურყელი** ხატს ჰქვია. გადმოცემით იგი სამეგრელოს ყველაზე ძლიერი სალოცავების – ყულის, ილორისა და ალერტის ხატების ძმაა. უგურყელი ო. ქაჯაიას ლექსიკონში განმარტებულია, როგორც 1. მყინვა-

რი; 2. გაურყენელი. 3. გაუყრელი; 4. გაუვალი, გაუკავავი ადგილი (ქაჯაია 2002-ა: 35). მას შეურყევლის, მედგარის მნიშვნელობაც აქვს.

არხა-ხატს ა. ქობალიასთან სხვა მნიშვნელობაც აქვს: „მდიდრულად მორთული ხატი“ (ქობალია 2010: 54).

არხამა / არხანა მეგრულში განმარტებულია, როგორც „ატლასისმაგვარი ქსოვილი, კეთილდღეობის სიმბოლო; ხვავი, სიმდიდრე (გადატ.)“ (იქვე). შესაძლებელი იყო, საანალიზო ფორმა ამ უკანასკნელთან დაგვეკავშირებინა და „ატლასებით მორთულ ხატად“ წარმოგვედგინა, მაგრამ ვვიქრობთ უპირატესობა ზემოთ წარმოდგენილ ეტიმოლოგიას მივანიჭოთ და განვიხილოთ როგორც აფხაზურ-ქართული კომპოზიტი.

გამოყენებული ლიტერატურა

მაჭავარიანი 2006 – ნ. მაჭავარიანი, მცენარეთა ლექსიკა აფხაზურში (სემანტიკურ-სტრუქტურული ანალიზი), თბილისი, 2006

სამუშია 1990 – ვ. სამუშია, ქართული ზეპირსიტყვიერება, თბილისი, 1990

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 1, თბილისი, 2001

ქაჯაია 2002-ა – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ. 3, თბილისი, 2002

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010

ცხადაია 2003 – ვ. ცხადაია, სამურზაყანოს გეოგრაფიული სახელები, თბილისი, 2003

ჯანაშია 1954 – ბ. ჯანაშია, აფხაზურ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 1954

გიორგი გოგოლაშვილი

ჰ- და ს- პრეფიქსები ერთპირიან ზმნებთან

ქართული ენის დიალექტებში

(კიდევ ერთხელ „აღდგა/აღსდგა“ პარალელურ ფორმათა შესახებ)

* * *

ჰ- და ს- პრეფიქსების პრობლემასთან დაკავშირებით აქტიური საუბრები იყო XIX საუკუნეშიც.

გრამატიკული თვალსაზრისით, ერთი შეხედვით, ერთპირიანი ზმნების ვითარება თითქოსდა ნაკლებად პრობლემურია, ნაკლებად საინტერესო ამ მხრივ... მაგრამ ჩვენ ასე არ ვფიქრობთ; პირიქით, პრობლემის გასაღები შეიძლება სწორედ ერთპირიანებში იდოს...

ჯერ კიდევ XX საუკუნის დასაწყისში აკაკი შანიძე წერდა: „გაზეთების სააღდგომო ნომერში ყოველ წლივ ერთი და იგივეა გამოჩენილი: ქრისტე აღსდგა...“ და იქვე: „ჩვენი პრეფიქსების გამოსაკვლევად ძვირფას მასალებს გვაძლევს, ძველი ძეგლების გარდა, დღევანდელი ცოცხალი კილოები“ (შანიძე 1920, 143)... საუკუნოვანმა ფიქრმა ამ საკითხს ბევრი საინტერესო აზრი შესძინა; შემუშავდა სალიტერატურო ენის ნორმაც, თუმცა პრობლემა დღემდე რჩება ბოლომდე გადაუჭრელი.

ჩვენ ამჯერად „პრობლემის გასაღებს“ ვეძებთ დიალექტებში, კერძოდ ერთპირიან ზმნებში...

* * *

თანამედროვე გრამატიკულ ლიტერატურაში ერთპირიან ზმნებში გამოვლენილი ჰ- და ს- ზმნური პრეფიქსები მიიჩნევა „ზედმეტ პირის ნიშნებად“. ლოგიკა მარტივ ანალიზს ემყარება: ფორმებში – ს-ჩან-ს, ჰ-ყვა-ს – სუბიექტური მე-3 პირია წარმოდგენილი; მისი ნიშანი არის სუფიქსი -ს; პრეფიქსები (ჰ-, ს-) ამ ფორმებში პირის ნიშნად ვეღარ მოიაზრება. ამიტომ ჩნდება გამოთქმა „ზედმეტი პირის ნიშანი“...

დღეს მიღებული გრამატიკული წესის მიხედვით, ჰ-/ს- პრეფიქსების არსებობა ზმნაში დაკავშირებული უნდა იყოს მეორე სუ-

ბიექტური ან მესამე ირიბობიექტური პირის არსებობასთან. ყველა სხვა შემთხვევა გრამატიკულად გაუმართლებლად და გამონაკლისად მიიჩნევა... წესი საერთოა ძველი და ახალი ქართულისათვის, თუმცა ქართული ენის განვითარების ნებისმიერ ეტაპზე **გამონაკლისი** თითქმის **სჭარბობს წესს...**

ვთქვით: კვალიფიკაცია „არანორმატული“ ფორმებისა ასეთია – „**გამონაკლისი**“, „**ანალოგია**“, „**არასწორი ფორმა**“, „**ნორმის დარღვევა**“, „**ზედმეტი პირის ნიშანი**“...

საგანგებოდ გვინდა შევჩერდეთ დიალექტების ვითარებაზე **ჰ-ლ-** პრეფიქსების გამოყენების თვალსაზრისით (ცხადია, მხედველობაში გვაქვს ამ პრეფიქსთა ფონეტიკური ვარიანტების სიმრავლეც... – იხ. გოგოლაშვილი და სხვა 2017, 255...).

ჩვეულებრივ, რომელ დიალექტშიც კი გვაქვს ეს პრეფიქსები (და ისინი მეტ-ნაკლებად ყველა კილოში იჩენს თავს), **ჩვეულებრივია მათი ხმარება ერთპირიან ზმნებთან.** **ჰ-ლ-** თავსართები საერთოდ განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენება აღმოსავლურ დიალექტებში; მათგან უფრო საინტერესოა კახურისა და ფშაურის ვითარება... მონოგრაფიაში კახური დიალექტის შესახებ ამ პრეფიქსების ხმარებაზე ერთპირიან ზმნებში საგანგებოდაა გამახვილებული ყურადღება და საამისო მრავალი მაგალითია მოყვანილი. მოვიხმობთ ამ მაგალითებს კონტექსტის გარეშე: **მა-მ-კურცხლა, და-მ-მძობილდნენ, გა-მ-წყდა, გა-მ-წყრა, ა-მ-ტყდა, არა-მ-სუქდება, მო-მ-კვდა, მა-მ-ხდა, ს-ცხოვრობდა, ა-ს-ტყდა, გა-ჰ-წია, და-ჰ-ბერდება, ჰ-ბნელდება, ჰ-გმინავდა, ჰ-ყვავის, ჰ-ქრება, ს-დგას, ს-დუმს, ს-ჩანდა, ჰ-დულს, ჰ-ტრიალებს, ჰ-ცხვებოდა** და სხვა (მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956, 106-107). საგანგებოდაა მინიშნებული, რომ ერთპირიანებში **„ზმნათა უპრეფიქსო ხმარების შემთხვევები შედარებით ცოტაა** (თუ ზმნის ფუძე თანხმოვნით იწყება)“ პრეფიქსიანებთან შედარებით (იქვე); ე. ი. **ბუნებრივია პრეფიქსიანი ერთპირიანები...**

თუმცა, უმეტეს შემთხვევაში დიალექტების მიმოხილვისას არაა გამახვილებული ყურადღება ამგვარ „გამონაკლისებზე“ – ერთპირიან ზმნებზე... როგორც ჩანს, მიიჩნევა, რომ ეს არ არის **დიალექტური მოვლენა** (თუმცა რა არის, არც ამაზე კეთდება კომენტარი); ხოლო რომელი დიალექტის განხილვისასაც მიანიშნებენ ამ ფაქტზე, როგორც ზემოთ ვთქვით („გამონაკლისი“, „ანალოგია“,

„არასწორი ფორმა“, „ნორმის დრღვევა“, „ზედმეტი პირის ნიშანი“), ისევეა კვალიფიცირებული ერთპირიან ზმნებში **ჰ-ლ-** პრეფიქსთა პოვნირება; ხანაც „ზუსტდება“: „ზოგჯერ ერთპირიანი ზმნებიც ობიექტურ ნიშნებს ირთავენ **ორპირიან ზმნათა გავლენით**“ (მარტი-როსოვი, იმნაიშვილი 1956, 106).; ანდა: „ჰაე და სანი ხშირად მოუ-დის ერთპირიან ზმნებს“... აქ და ორპირიან ბრუნვაცვალებადობიექ-ტიან ზმნებში **ჰ-ლ-** პრეფიქსების არსებობა „გამოწვეულია ბრუნვა-უცვლელი ობიექტის **ანალოგიით**“ (ბერიძე 1988, 110)...

ფაქტია, ზეპირმეტყველებაში ერთპირიან ზმნათა პრეფიქსია-ნი ფორმები ასე ფართოდაა გავრცელებული. ვიმეორებთ: ეს ფაქტი კი ამ პრეფიქსთა გამოყენების ბუნებრიობაზე მიანიშნებს; სხვა ფორ-მათა ანალოგიასა და გავლენას ვერ მივაწერთ (სხვაგვარად: სალიტე-რატურო ნორმის არცოდნით გამოწვეულ შეცდომას ვერ მივაწერთ); მოვლენას ახსნა უნდა, „არასწორ“ გრამატიკულ ფორმებზე საუბარი არამართებულია (ვერ გავარკვევს საქმის არსში)...

ანუ: **აღდგა/აღსდგა** ფორმათა შემთხვევაშიც ისეთივე მდგომა-რეობაა, როგორც ნებისმიერ ერთპირიან ზმნაში (ცხადია, ვითვა-ლისწინებთ პრეფიქსის გამოვლენისათვის საჭირო ფონეტიკურ გა-რემოს)...

და კიდევ, ხაზგასმით უნდა ითქვას: ამ პრეფიქსთა გამოყენე-ბის თვალსაზრისით ერთპირიანებში ისეთივე ვითარებაა, როგორც ორ და სამპირიან ზმნებში, თუმცა ორ და სამპირიან ზმნათა საკი-თხი დროებით გადავდოთ გვერდზე...

ვთქვით: სამწერლობო ქართულში ერთპირიან ზმნებში პრე-ფიქსთა არსებობა ნორმის დარღვევად და მცდარ ქართულად დას-დება. **ჰყავის** და **სჩანს** ფორმებზე მსჯელობა მე-19 საუკუნიდან მო-ყოლებული აქტიურია (ა. წერეთელი, ი. გოგებაშვილი, ს. ხუნდაძე... კ. გამსახურდია, მ.მ. ჯავახიშვილი...) (იხ.: გოგოლაშვილი 2022, 105-119)... ჩვეულებრივ მხარს უჭერენ პრეფიქსიან ვარიანტს, თუმცა და-საბუთება არამეცნიერულია (მაგ. **ყვავის** – ვერ გაარჩევ, ზმნაა თუ სა-ხელიო... **ჩანს** – „რა ქართულიაო!“)... ძირითადად აქცენტი კეთდება ფორმის შინაარსზე და არა გრამატიკულ ფორმაზე.

ბოლო წლებში ეს საკითხი განსაკუთრებით გააქტიურდა **აღ-
დგა** თუ **აღსდგა** პარალელურ ფორმათა გამო... უპრეფიქსო ფორმის
მოძიება არგუმენტი არსებული ნორმა; ანუ: მათი აზრით, ერთპი-
რიან ფორმაში პრეფიქსი „ზედმეტია“... ისინი პრეფიქსიანი ფორმის
მხარდამჭერებს „გრამატიკის უცოდინარობაში“ სდებენ ბრალს...
ასეა ვითომ?

ის მდგომარეობა, რაც გვაქვს დღეს დიალექტებში, სათავეს
ძველ ქართულში იღებს. ქართული სალიტერატურო ენის მთელი
ისტორიის მანძილზე **ერთპირიანი ზმნები ზმნურ პრეფიქსებს და-
ირთავენ**; მაგალითად, ხანმეტი ფორმები: **ხ-იყო, ხ-იქმნების** (მანიძე
1973, 176)... სხვაც არაერთი შემთხვევაა ერთპირიანებში პრეფიქსის
ხმარებისა ხანმეტ ტექსტებში – **შე-ხ-ცთეს, და-ხ-შრტების, და-ხ-
ცხრა... ხ-ილოცვიდა, ხ-ილოცვედ, ხ-ისადილნეს... ხ-იხარებს** (ციხე-
ლაშვილი 2005, 259)... ფაქტის კვალიფიკაცია ტრადიციულია: „ხან-
მეტ ოთხთავში ზოგჯერ **ხ-** პრეფიქსი **ჭარბია** ერთპირიან ზმნებთან“
(ციხელაშვილი 2005, 259)... თუმცა საგანგებოდაა მიიზიწება იმაზე,
რომ „დარღვევათა რიცხვი **მატულობს IX-X საუკუნეების ძეგლებში**“
(იქვე).

ფაქტია, ძველსა თუ საშუალო ქართულში ერთპირიანი ზმნუ-
რი ფორმები პრეფიქსებს დაირთავენ, თუმცა ამ პრეფიქსებს მორფო-
ლოგიური ფუნქცია არ ეძებნება... ამიტომ ვერც დღეს ვერ მოხდება
პრეფიქსებისათვის გრამატიკული კვალიფიკაციის მიცემა და შესა-
ბამისად მისი მოქცევა „ხელოვნურად“ შემუშავებული ნორმის ფარ-
გლებში.

დავსვამთ რამდენიმე კითხვას, რომლებზეც პასუხის გაცემა
აუცილებელი გვგონია სამსჯელო საკითხის გასარკვევად.

- რა არის **ჰ-** და **ს-** პრეფიქსთა მორფოლოგიური ფუნქცია?
- **ჰ** და **ს-** პრეფიქსები არის კი პირის ნიშანი?

– რა იყო მიზანი არსებული ნორმის ამ სახით მიღებისა და
რამდენად მართებულია სადავო საკითხის (თუნდაც: **აღდგა/აღ-
სდგა**) გარკვევა ამ ნორმათა მიხედვით?

* * *

დავიწყოთ ასე:

რა არის პირის ნიშანი?

– პირის ნიშანი არის ის აფიქსი, რომლის გამოვლენაც ფორმაში შეპირობებულია ზმნასთან პირიანობით დაკავშირებული ამა თუ იმ პირის არსებობით; სხვაგვარად: პირის არსებობა განაპირობებს პირის ნიშნის არსებობას; მაგალითად: **ვ-ტირი**, **ვ-არსებობ** ფორმებში **ვ-** პრეფიქსი უკავშირდება ფორმაში პირველი სუბიექტური პირის არსებობას; **ვ-**ს ჩამოშორება ამ პირის გაგებას უკარგავს ზმნას... ასევე: **ტირი-ს** – ფორმაში **-ს** სუფიქსის არსებობა მესამე სუბიექტურ პირთანაა დაკავშირებული; მისი ჩამოშორება ფორმას ამ პირის გაგებას აკარგვინებს...

ეს არის პირის ნიშანი...

რა ხდება **ჰ-ს-** პრეფიქსებთან დაკავშირებით?

ფორმებში – **ჰ-კითხა** და **კითხა**, **მო-ჰ-კლა** და **მო-კლა**, **ჰ-ყვა-ვის** და **ყვავის**... **ჰ-** პრეფიქსის ქონა-არქონა ზმნურ ფორმაში შემავალ პირთა ყოფნა-არყოფნაზე გავლენას ვერ ახდენს...

ასეა **ს-**ს შემთხვევაშიც: **ს-ცოდნია** და **ცოდნია**, **ს-თქვა** და **თქვა**, **ს-ჩანს** და **ჩანს**...

საერთო დასკვნა შეიძლება გაკეთდეს: **ჰ-ს-** პრეფიქსების ფუნქციური დატვირთვა ერთნაირი ჩანს ყველა შემთხვევაში – სამპირიანშიც, ორპირიანშიც და ერთპირიანშიც... კონკრეტული პირის არსებობა ზმნაში მასთან არ არის დაკავშირებული, ანუ მორფოლოგიური ფუნქციისაგან დაცლილია...

ამან გააჩინა სწორედ მთავარი კითხვა: **ჰ-ს- პრეფიქსები არის კი პირის ნიშნები?** შესაბამისად: – ერთპირიანებში „**ზედმეტი პირის ნიშანი**“?

* * *

მოვუსმინოთ კლასიკოსებს:

აკაკი შანიძე: „ჰაესა და სანს ისეთ უადგილო ფორმებში შეჰხვდებით, სადაც მოსალოდნელი არ არის, ანდა, პირიქით, ხანდახან იქ ვერ იპოვით, სადაც მართლა საჭიროა და აუცილებელი. რის სუბიექტური პრეფიქსი, რა ობიექტური ნიშანი! რის ბრძანებითის გარჩევა თხრობითისაგან, რა მიცემითის დამატების განსხვავება სახე-

ლობითისაგან! რის აწმყო, რა ნამყო! საქმე იქამდის არის მისული, რომ კაცს აკვირვებს არა უთავბოლოდ და არეულად ნახმარი ფორმები და საშინელი სხვადასხვაობა, არამედ ის გარემოება, თუ სადმე ჰაე და სანი თავის ალაგას არის როგორმე ნახმარი და ფორმა სწორია. ერთი სიტყვით, **ახალ სალიტერატურო ენაში ეს პრეფიქსები მკვდარია და მათი გაგებისათვის გრამატიკული ალღო და გრძნობა სრულიად დაჩლუნგებულია**“ (შანიძე 1981, 222);

ისევ აკაკი შანიძე: „დღესაც ერთადერთი საზომი ჰაესა და სანის ხმარების საკითხის გადასაჭრელად არის თვითეული მწერლის სურვილი და მოწონება: ვისაც როგორ მოსწონს, იმგვარად ხმარობს საუბარშიცა და წერაშიც“ (იქვე, 224)...

გიორგი ახვლედიანი: „ახალ სალიტერატურო ქართულში ეს პრეფიქსები იხმარება იშვიათად და, თუ იხმარება, არა მორფოლოგიური, არამედ ემოციური დანიშნულებით“ (ახვლედიანი 1999, 109)

არნ. ჩიქობავა ჰ-/ს- პრეფიქსებს პირის ნიშანთა სისტემაში სხვა სისტემიდან (კლასის ნიშანთა სისტემიდან) გადმოსულად მიიჩნევს (ჩიქობავა 2013, 406...); მისი აზრით, **მხოლოდ ამგვარი დაშვებით არის შესაძლებელი ახსნა იმ თავისებურებებისა, რაც ამ პრეფიქსების ხმარებასთან არის დაკავშირებული:** ა) რატომ დამკვიდრდა ეს ნიშნები „ორი განსხვავებული პირის ნიშნად; რატომ არ გვექონდა S²O³ ერთად...“ გ) „რატომ ეძლევა უპირატესობა ობიექტს სუბიექტის წინაშე, როცა ერთმანეთს ხვდება S¹ და O², ანდა S² და O¹...“ დ) რატომაა უფუნქციო ხ ერთპირიან ვნებითებში (ხ-ვიყავ, ხ-იყავ, ხ-იყო...) (იქვე 456)...

პრაქტიკოს-გრამატიკოსთაგან, რომელთაც ძალიან საინტერესო ენობრივი ალღო ჰქონდათ, მხოლოდ სილოვან ხუნდამეს დავიმოწმებ: „ჰ-ს არსებობა (...) ჩემი აზრით, სრულიად უსაფუძვლოა; არც აზრისთვის არის საჭირო და არც კეთილხმოვანებისათვის“ (ხუნდამე 1901, 49-50. სალიტერატურო ქართული, ქუთაისი, 1901)...

არის ფრთხილი შეფასებებიც:

ივანე ქავთარაძე: მოხეურ დიალექტში „დასტურდება ნიშნის (იგულისხმება ჰ-/ს- – გ.გ.) ხმარების აღრევის შემთხვევებიც“... „ცნო-

ბილ წესს გარდა, ნიშნის ხმარება თითქოს **ინტენსიურობის**, მეტი **ექსპრესიულობის** მიზნითაც იხმარება“ (ქავთარაძე 1985, 50).

გიორგი ცოცანიძე: „ვფიქრობ: რომ (ფშაურ დიალექტში – გ. გ.) ჰ-ს მორფოლოგიური ფუნქცია ერთობ შესუსტებულია და იგი აღჭურვილია **ექსპრესიული ფუნქციით**. ამას მხარს უჭერს ისიც, გვხვდება საკმაო შემთხვევები, როცა ჰ-ს ხმარებას **მორფოლოგიურ გამართლებას ვერ მოუძებნით**; მაგალითად: ვჰყოფილვარ; მე ვჰტყუი; კალო გაავჰფიწლეო; ვჰფიქრობ, ძალიანა ვჰწუხები; მემრე უნდა დავჰჩეჩოთ“ (ცოცანიძე 1978, 71).

ლელა ციხელაშვილი: „ვინაიდან S² და O³ პირის ალომორფები თავისუფლად მონაცვლეობს ნულთან“, „დღეს ეს ელემენტები უფრო **ექსპრესიული ფუნქციით იხმარება, სტილიზაციისათვის, ვიდრე – მორფოლოგიური ფუნქციით**“ (ციხელაშვილი 2005, 254)...

* * *

ცხადია, გაჩნდება ასეთი კითხვაც:

– **თუკი ასეთი შეფასება ებღეოდა ამ პრეფიქსთა გამოყენებას, რა იყო მიზეზი (და მიზანი) არსებული წესის შემოღებისა?**

ამასთან დაკავშირებით საინტერესოა კიდევ ერთი კლასიკოსის, **იოსებ ყიფშიძის**, აზრი: იგი კერძო წერილში სერგი გორგაძეს განუმარტავს (1915 წელია):

„აკაკი შანიძე ცდილობს დაამტკიცოს, რომ არც ხევსურულში და არც ძველ მწერლობაში მესამე პირის ობიექტი, როდესაც ის სახელობით ბრუნვაშია დასმული, აღნიშნული არ არის, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის დასმულია მიცემით ბრუნვაშიო. შეიძლება ასეთი მტკიცება **გადაჭარბებული იყოს**, მაგრამ რომ ასე უფრო მარტივდება საკითხი, ეს ცხადია“ (ი. ყიფშიძე, თზულებანი, 2015, 481).

ანუ: ი. ყიფშიძეს მიაჩნია, რომ **გრამატიკულად წესი არ არის დამაჯერებელი, მაგრამ მარტივია და პრეფიქსების ხმარების უაღრესად გართულებულ ვითარებაში შეიძლება ხელი შეუწყოს წესრიგის დამყარებას; საქმის გაიოლებას...**

თუ რამდენად მოგვარდა პრობლემა, თავად განსაჯეთ: **ხელოვნურად შემუშავებულმა წესმა ენას ვერ უკარნახა განვითარების მიმართულება; ენა თავისი გზით მიდის...**

ჩვენი დასკვნა:

ერთპირიან ზმნებში პრეფიქსიან და უპრეფიქსო პარალელურ ფორმათა შორის „მართებული“ ვარიანტის არჩევისათვის სალიტერატურო ენის ნორმის მოშველიება ეწინააღმდეგება სალიტერატურო ენის ისტორიის მანძილზე ერთპირიანებში ამ პრეფიქსთა გამოყენების ტრადიციას (იგივე ითქმის ორ და სამპირიანებზეც)...

საგულისხმოა და გასაზიარებელი კლასიკოს ენათმეცნიერთა თვალსაზრისი იმის თაობაზე, რომ **ჰ- და ს- პრეფიქსებს მორფოლოგიური ფუნქცია არა აქვთ**; „ეს პრეფიქსები მკვდარია“; ასევე, გასათვალისწინებელია მინიშნებები ამ თავსართთა „ექსპრესიულ“, „ემოციურ“ თუ „სტილისტურ“ ფუნქციებზე და კვლევა-ძიება ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს.

ყოველ შემთხვევისათვის: **გრამატიკული წესებით არაგრამატიკული ელემენტების შეფასება პრინციპული შეცდომაა.**

გამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი 1999 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბ., 1999;

ბერიძე 1988 – გ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბ., 1988;

გოგოლაშვილი... 2017 – გ. გოგოლაშვილი და სხვა, ახალი ქართული ენა, წიგნი III, დიალექტების მორფოლოგია, კრებისთი ანალიზი, თბ., 2017

გოგოლაშვილი 2022 – გ. გოგოლაშვილი, რა ფერისაა სიტყვა?, თბ., 2022

მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956 – ა. მარტიროსოვი, გ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბ., 1956;

ქავთარაძე 1985 – ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ., 1985;

ყიფშიძე 2015 – ი. ყიფშიძე, თხზულებანი, თბ., 2015 –

შანიძე 1920 – ა. შანიძე, სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნაში, ტფ., 1920;

შანიძე 1973 – ა. შანიძე, ქართული ენის გრამატიკის საფუძველები, თბ., 1973;

შანიძე 1976 – ა. შანიძე, ძველი ქართული ენის გრამატიკა, თბ., 1976

შანიძე 1981 – ა. შანიძე, თხზულებანი, ტ. II, თბ., 1981;

ჩიქობავა 2013 – არნ. ჩიქობავა, თხზულებანი, ტ. VII, თბ., 2013

ს ა ლ ო მ ე გ უ მ ბ ა რ ი ძ ე

პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში*

დასავლეთ საქართველოს (კერძოდ, ქუთაისელ) ებრაელთა მეტყველებაში გამოიკვეთა პირის ნაცვალსახელთა წარმოების თავისებურებანი. ამჯერად ვისაუბრებთ I-II პირის ნაცვალსახელთა შესახებ; სახელდობრ, აუსლაუტში გამოვლენილი -ე ელემენტის თაობაზე. ჩვენი მსჯელობა ემყარება როზა თავდიდიშვილის მიერ XX საუკუნის 30-40-იან წლებში ჩაწერილ ტექსტებს.

-ე დაბოლოება გვხვდება I პირის ნაცვალსახელის მრავლობითის, აგრეთვე II პირის ნაცვალსახელის მხოლობითისა და მრავლობითის ფორმებში: **ჩვენე, შენე, თქვენე**. ასეთი ფორმები სხვადასხვა ბრუნვის ფუნქციით ხშირად დასტურდება აღნიშნულ ტექსტებში.

როგორც ითქვა, ე ხმოვანს დაირთავს I პირის ნაცვალსახელი მრავლობითში – **ჩვენე**. გვხვდება სხვადასხვა ბრუნვის ფუნქციით. მაგალითად:

სახელობითი: *ნუ გეშინიაო, აგერ ჩვენე ქალები ვართო და ყურ გათხვიებთო* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ჩვენე კი ვერ დავიჭირეთ, გვასტავლევე, ბეყეირათო* (იქვე); გვხვდება -ც ნაწილაკიანი ნაცვალსახელიც, რომელსაც -ე ზოგჯერ უსწრებს, ზოგჯერ კი მო-

* ნაშრომი შესრულებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის „ქართველ ებრაელთა მეტყველების სტატუსი და მისი ადგილი ქართველურ ენობრივ სივრცეში“ (N RF 21– 4768) ფარგლებში.

სდევს და არ იწვევს არანაირ ცვლილებას. მაგალითები: *ჩვენც დავდივართ და ვემბებთ, ამტონი ხანი არი ერეჯახე [გაურკვეველია] დავიარებით მაგრამა* (იქვე).

მოთხრობითი: და *ჩვენე* კი ვერ დავიჭირეთ, გვასტავლევ, ბეყერათო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *ჩვენც* ღმერთის სახელზე ისრეელის წესით მივაბართო მიწას (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); ...*ჩვენე* ვეცადოთ, რომ ჩვენ სახენწიფოში ქურდები აღარ გვეყოლოს (დადუნაშვილი... 1999: 12).

მიცემითი: *ჩვენე* ის გვადლევდავე თქვენთვინ დასარიგებლათ (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *ესე და ე [ასეა, ნ. სურმავა]* ჩამოსახჩობი კაცი რო ქვყავსე *ჩვენე*, ჩენი მოლალატე, გამაიყვანე **დღესე** (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); ცოლი ეჩხუბებოდა ხომე ამ კავ, *ჩვენეო* რჩენა გვინდავეო (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

ე ხმოვანს დაირთავს I I პირის ნაცვალსახელი მხოლობითში – **შენე:**

სახელობითი: *შენე* სესხითაც არავის უმართამ ხეელ (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944); *ამლამიდგან ვებ დაიდგამო შენეო და ვაიშვილი გეყოლებო* (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940).

მოთხრობითი: *იხარე ახლა შენე, ოქროს ქოჩრიანო!* (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939); *შენე* ხომ მაინც კვირეს უნდა მამცე ფული (ქდვ: „იეკუთიელ მხატვარი“, №3944).

მიცემითი: *შენე* რა გააქ ხელეგში ამნაირი რომა ასე უცფათ დავიჭირე... (ქდვ: „ბატის მწყემსი“, №3939).

ე ხმოვანს დაირთავს I I პირის ნაცვალსახელი მრავლობითშიც – **თქვენე.**

თქვენე: **სახელობითი:** *თქვენე* ყველკანაი ჩემი შვილები ხაართ (ქდვ: „ბატონი სანატრელი“, №3940); *რა საჭირო ხაართ თქვენე ჩემთვინ* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *უცნიხართ თქვენე* ღმერთ, როგორც ჭკვიანი და ბრძენი ხალხი (იქვე); *თქვენე* იყავით მაცადინი, რომა სიტკბო-სიგემრიელე გექნესე თქვენ ოთხკედელში (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950).

მოთხრობითი: *უნდა იცოდეთ თქვენე, რომა შვილისთვინ ჯობის დამკლები დედა – შვილის მტერია* (დადუნაშვილი... 1999: 12);

მიცემითი: *თქვენეც ისევე დაგიტვებევო ჩემ ქონებასაო* (ქდვ: „ღარობი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951).

შენე, თქვენე ფორმების შესახებ აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში (ენუქაშვილი 2001: 75; ლომთაძე 2005: 108). **შენე, თქვენე** ტიპის ფორმები დადასტურდა ჩვენ მიერ სოციალური ქსელით მოპოვებულ ისრაელში მცხოვრები **კულაშელი** ებრაელის მეტყველებაშიც: *ამს თორებ რას უშვებით თქვენე* (ფბ, 2018) (ასეა ჩანაწერში: **ამს – ს. გუმბ.**).

-ე აუსლაუტში, გარდა ქართველი ებრაელებისა, დამახასიათებელია ქართული ენის იმერული, ლეჩხუმური და აჭარული დიალექტებისათვის; „მაგრამ მას ყველაზე მეტად დიალექტებიდან გავრცელება ქვემოიმერულში აქვს: რამდენი წლის ხარ, ბიჭო, შენე... (კუბლაშვილი 1985: 106). იმერულში -ა სუფიქსის ბადლად -ე დაერთვის ნაცვალსახელებსა და ზმნისართებს: შენ-ე „შენა“, ჩვენ-ე „ჩვენა“, თქვენ-ე „თქვენა“, ვინ-ე „ვინა“, ზეთ-ე „ზეთა“ (ჯორბენაძე, კობაიძე, ბერიძე 1988: 113-114).

ქართული ენის აღმოსავლურ კილოებში ანალოგიურ შემთხვევებში დასტურდება -ა ხმოვანი: **შენა, ჩვენა, თქვენა...** გამოთქმულია მოსაზრება, რომ **შენე, ჩვენე, თქვენე** ფორმებისათვის ამოსავალია: შენა, ჩვენა, თქვენა, რომელთა ბოლოკიდური -ა სახელობითის -ი ფორმანტის დართვის შედეგად ნაწილობრივი ასიმილაციით -ე-დ ქცეულა, თვითონ -ი კი დაკარგულა (შენაი > შენაი > შენე) (მოწენიძე 1953: 61; მარტიროსოვი 1964: 91; კუბლაშვილი 1985: 106).

აღსანიშნავია, რომ მსგავსად აღმოსავლური დიალექტებისა, სურამში მცხოვრები ქართველი ებრაელის მეტყველებაში დასტურდება **შენა** ტიპის ფორმები. მაგალითად:

შე უბედურო შენა... (დადუნაშვილი... 1999: 35); *სასმელი ყველაფერი ქონდა შიგ იმ ოჯახეორსა (იმაზე შენა მორწმუნე)...* (იქვე).

ჩვენი საანალიზო მასალის მიხედვით, -ე ხმოვანი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, განსაკუთრებით დომინირებს რ. თავდიდისშვილის მიერ ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექ-

სტეპში. შეიძლება ითქვას, რომ პირის ნაცვალსახელებთან -*ე* ხმოვნის გავრცელებულობა პროცენტულად საკმაოდ დიდია. აღსანიშნავია, რომ -*ე* ხმოვანი დასტურდება მათს მეტყველებაში არა მარტო ნაცვალსახელებთან, არამედ სხვა მეტყველების ნაწილებთანაც, მაგალითად, ზმნისართთან:

ზედე დახეული ჭილოფი ააქ მიფარებული (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); *დაწერა ზედე და დაწეპა* (ქდვ: „ბრძენი მეტია წინასწარმეტყველზე“, №3941); *ჩიტი თუ შეფრინდება ზედე თვარამა* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3951); *რა ქენი დღესე*, (ქდვ: „ვაშკაცის სიბრძნე“, №3943); *იკუთიელ, დღესე პარასკევი არი* (ქდვ: „ღარიბი კაცის ამბავი (სიმძარის ახსნა)“, №3944); *გავიგე დღესე შენი უბედურება* (ქდვ: „უდარდელი კაცი“, №3949); ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონის მიხედვით, -*ე* სუფიქსი: *ძირს-ე, კაცს-ე...* ტიპის ფორმებში ახსნილია, როგორც -ა ემფატიკური სუფიქსის ბადალი (ჯორბენამე, კობაიძე, ბერიძე 1988: 113-114).

I-II პირის ნაცვალსახელთა აუსლაუტში -*ე* ხმოვნიან ფორმათა პარალელურად რ. თავდიდიშვილის ტექსტებში იშვიათად ნაცვალსახელები ხმოვნის გარეშეც გვხვდება:

აპა, შენ იციო, რავა ფთხილათ იქნებოი (ქდვ: „ფარჩხების მხიკავი“, №3950); *ცოლათაც შენ წამოქცევიო* (იქვე).

ჩვენს მასალაში, რომელიც ჩაწერილია *ონსა და ახალციხეში* მცხოვრები ქართველი ებრაელებისაგან, *ე* დაბოლოებიანი პირის ნაცვალსახელები არ დასტურდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ფორმები არის არა ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი თავისებურება, არამედ ცალკეული ქართული კილოების ნიშანდობლივი ფაქტები.

შენე, თქვენე ტიპის ფორმები ვერ დავადასტურეთ ვერც 2014 - 2016 წლებში ჩაწერილ ქუთაისელ ებრაელთა მეტყველების ამსახველ ტექსტებში. ეს კი შეიძლება იმით აიხსნას, რომ მოცემული პერიოდის შედარებით ახალ მასალაში ნაკლებია დიალექტებისათვის დამახასიათებელი წარმოება და ჭარბობს სალიტერატურო ენის გავლენა. მაგალითები: *შენ ამაში, ამაში და დანომრილი იყავი* (ტექ-

სტები 2014: 214); *ჩვენ ახლა რო ისა, როგორ ვითხრა ახლა* (იქვე); *ჩვენ ქონდათ ერთი აი რვეულის ფურცელის ხელა სპრაუკა* (იქვე).

ამდენად, დასავლეთ საქართველოში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველ მასალაში სპეციფიკური ფაქტებიდან აღსანიშნავია რ. თავდიდიშვილის ტექსტებში პირის ნაცვალსახელთა, კერძოდ, I-II პირის ნაცვალსახელთა (მხოლოდითსა და მრავლობითში) აუსლაუტში -ე ხმოვანი (შენ-ე, ჩვენ-ე, თქვე-ნე). საყურადღებოა, რომ მსგავსი ფორმები არის იმერეთიდან წასულ ამჟამად ისრაელში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაშიც. ჩვენ მიერ ონსა და ახალციხეში მცხოვრები ქართველი ებრაელებისაგან ჩაწერილ მასალაში ე დაბოლოებიანი პირის **ნაცვალსახელები არ დასტურდება, რაც იმაზე მიუთითებს, რომ აღნიშნული ფორმები არის არა ქართველ ებრაელთა მეტყველებისთვის დამახასიათებელი თავისებურება, არამედ ზოგიერთი ქართული კილოს ნიშანდობლივი ფაქტი**; სურამში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველებაში, ანალოგიურ შემთხვევებში, მსგავსად აღმოსავლური დიალექტებისა, II პირის ნაცვალსახელს (მხოლოდითში, მიმართვის ფორმაში) დაერთვის ა (შენა).

ხაზგასასმელია ერთი პრინციპული ხასიათის ფაქტი: **საკუთრივ ქუთაისური მეტყველებისათვის შ ე ნ ე, ჩ ვ ე ნ ე, თ ქ ვ ე ნ ე ტიპის ფორმები არ არის დამახასიათებელი**. ამ ნიშნით **ქუთაისური მეტყველება ემიჯნება გარემომცველ დიალექტს**; მაგრამ თავის რეპერტუარში ე ელემენტის ფორმების შემოტანით **ქუთაისურ მეტყველებას ემიჯნება ქუთაისელ ებრაელთა მეტყველება**.

გამოყენებული ლიტერატურა

დადუნაშვილი, დოლიძე, ტაბუცაძე 1999 – დადუნაშვილი ე., დოლიძე ს., ტაბუცაძე ნ. (1999). თსუფა ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლორი, გამომცემლობა „ლომისი“, აღმოსავლეთ-დასავლეთის ურთიერთობათა კვლევის ცენტრი, თბილისი.

ენოხი 2001 – ენოხი რ. (2001). ქართველ ებრაელთა მეტყველების ზოგიერთი თავისებურება (სოფ. ბანძის მეტყველების მაგა-

ლითზე), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ძველი ენის კატედრის შრომები, №29.

ლომთაძე 2005 – ლომთაძე თ. (2005). ქუთაისური ქართული, ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მარტიროსოვი 1964 – მარტიროსოვი ა. (1964). ნაცვალსახელი ქართველურ ენებში, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, თბილისი.

კუბლაშვილი 1985 – კუბლაშვილი ვ. (1985). ქართული ენის ქვემოიმერული დიალექტი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი.

ძოწენიძე 1973 – ძოწენიძე ქ. (1973). ზემოიმერული კილოკავი, თსუ გამომცემლობა, თბილისი.

ჯორბენაძე., კობაიძე., ბერიძე 1988 – ჯორბენაძე ბ., კობაიძე მ., ბერიძე მ. (1988): ქართული ენის მორფემებისა და მოდალური ელემენტების ლექსიკონი, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი

წყაროები

დადუნაშვილი... 1999 – დადუნაშვილი ე. ... (1999). ქართველ ებრაელთა ყოფა და ფოლკლორი“ (შესავალი წერილი და შენიშვნები ელგუჯა დადუნაშვილისა).

ქდვ 2017: ქართული დიალექტური კორპუსი, ტექსტები, შემდგენლები: მ. ბერიძე, ნ. სურმავა: <http://corpora.co/#/texts>

ქართველური დიალექტური ტექსტები: ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის დიალექტოლოგიური სამეცნიერო ინსტიტუტის (დირექტორი პროფ. ტ. ფუტკარაძე) თანამშრომელთა მიერ 1998 და 2005 წლებში ჩაწერილი ქუთაისში მცხოვრებ ქართველ ებრაელთა მეტყველების ამსახველი ყოფითი ხასიათის ტექსტები, რომლებიც გამოქვეყნებულია (ე. დადიანის მიერ) ჟურნალში „ქართველური მემკვიდრეობა“ (2014 წ.; 2016 წ.)

ისრაელში მცხოვრები ქართველი ებრაელის სტუმრობა ქუთაისში: ჯგუფი „მსოფლიოს ქართველი ებრაელები“ file:///C:/groups/309989872702198/?ref=group_header განთავსებულია 15 ივნისს 2017 წელს: <https://www.facebook.com/mario.tzur.7/videos/711122302415267/> მოძიებული 10. 05 2018 წელი;

ლ ე ლ ა თ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი

ახალციხის მუნიციპალიტეტის ოიკონიმათა შესწავლის საკითხისათვის

ოიკონიმები (დასახლებულ პუნქტთა სახელები) ის ძირითადი ტოპონიმიკური ერთეულებია, რომელთა შესწავლაც ინტერდისციპლინურ კვლევას მოითხოვს, ვინაიდან ობიექტის სახელდების პროცესი მხოლოდ ლინგვისტური ფაქტორებით განპირობებული როდია, აქ მნიშვნელოვანია იმ ექსტრალინგვისტური რეალიების გათვალისწინება, რაც დასახლებული ტერიტორიების სახელთა შესწავლას მრავალპლანიან პროცესს ხდის. მრავალპლანიანობასთან ერთად ოიკონიმები გამოირჩევიან, ასევე სემანტიკური მრავალმნიშვნელოვნებითაც, რაც ცალკეულ სახელწოდებას ინდივიდუალური კვლევის ობიექტად წარმოგვიდგენს და თითოეული სახელის შესწავლას დიდ მნიშვნელობას სძენს.

ახალციხის მუნიციპალიტეტი (ს/ნ. 224101317; რეგ. თარიღი – 29 ნოემბერი, 2006) წარმოდგენილია სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, მესხეთში. დღეისათვის მის შემადგენლობაში ორმოცდაშვიდი დასახლებული პუნქტია, ორმოცდახუთი სოფლის სტატუსის მქონე დასახლება, ორი კი ქალაქის.

ტერიტორიათა სიმრავლის გათვალისწინებით სამიზნე მუნიციპალიტეტის ოიკონიმურ სახელთა ლინგვისტურ ჭრილში შესწავლამ საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო სურათი მოგვცა. კვლევამ ცხად ჰყო, რომ სახელთა უმრავლესობა საკმაოდ ძველია, ამასთან ქართველური წარმოშობის, უმეტესი მათგანი დასტურდება ისტორიულ წყაროებში, ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მე-16 საუკუნის ოსმალთა მოხელეთა მიერ შედგენილი ფისკალური დოკუმენტი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, სადაც, მართალია, განსხვავებული ადმინისტრაციული დაყოფით, თუმცა დღევანდელი მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სოფელთა უმრავლესობაა წარმოდგენილი. ოიკონიმათა ლინგვისტური ანალიზისას ისტორიული წყაროების შესწავლამ ასევე მოგვცა საშუალება წარმოგვეჩინა ისტორიის მანძილზე სახელთა ფორმოზრივი ვარიანტები, გვემსჯელა მათ დიაქრონულ განვითარებაზე ლინგვისტურ ჭრილ-

ში. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ მუნიციპალიტეტში არც თუ ისე ბევრია იმ სახელთა რაოდენობა, რომლებმაც გარკვეული სახის ენობრივი ცვლილებები განიცადეს. ფონეტიკურ ცვლილებათა უმეტესობა სახელთა არაქართულენოვან წყაროებსა და პირობებში დასტურდება.

სამიზნე მუნიციპალიტეტის ოიკონიმთა სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით ანალიზმა შემდეგი სურათი მოგვცა:

სტრუქტურული თვალსაზრისით სამიზნე ადგილის სახელები სამ ჯგუფად შეგვიძლია მოვიაზროთ: 1. უაფიქსო სახელები, რომლებიც განეკუთვნებიან პრიმარულ, პირველად სახელებს და აპელატივის იდენტურნი არიან. ამგვარ სახელთა წარმოშობა ძირითადად ტერიტორიის რაგვარობით, ლანდშაფტური ფაქტორებით არის განპირობებული. მაგ: კლდე, ხაკი. ნახსენები სახელები ტოპონიმური კონვერსიის სემანტიკურ სახესაც წარმოადგენენ. 2. ტოპონიმური აფიქსაციის გზით (პრეფიქსით, სუფიქსით და პრეფიქს-სუფიქსით) მიღებული ადგილის სახელები, რომელთა შორის დომინანტია ყველაზე პროდუქტიული მატოპონიმბელი სუფიქსი -ა შემდეგ სახელებში: აგარ-ა, წირ-ა, ტყემლან-ა, ბოგ-ა, წყორძ-ა, წყალთბილ-ა, ჭვინთ-ა, ასევე მაწარმოებლად გვევლინება -ელ სუფიქსი: ურავ-ელი, გურკ-ელი, სა-ი აფიქსი: სა-ძელ-ი. 3. კომპოზიტური წარმოების სახელები, რომლებიც საკმაოდ მრავლადაა სამიზნე მუნიციპალიტეტში. კომპოზიტთა ჯგუფს განეკუთვნება ადამიანთა რწმენა-წარმოდგენებით, რელიგიური ფაქტორებით მოტივირებული ეკლესიონიმური ხასიათის ოიკონიმები, რომელთა აპელატიურ ლექსიკაში წარმოდგენილია წმინდანის სახელები, მაგ: გიორგიწმინდა, ელიაწმინდა, ანდრიაწმინდა, მიქელწმინდა. აღსანიშნავია, რომ კომპოზიტური წყობის ოიკონიმები (არსებითი + ზედსართავი) მსაზღვრელ-საზღვრულის პოსტპოზიციური წყობითაა წარმოდგენილი, რაც არ იყო უცხო ძველი ქართულისათვის, ამასთან სავარაუდებელია, რომ სოფლის სახელები ტოპონიმური მეტონიმის გზითაა მიღებული. ვფიქრობთ, ნახსენებ სოფელში უნდა ყოფილიყო წმინდანთა სახელობის ტაძრები, ეკლესიები, მფარველ წმინდანთა კულტი, რამაც შემდგომ ტერიტორიათა სახელდება განაპირობა. კომპოზიტური წყობისაა ორონიმული, ჰიდრონიმული თუ ურბანომული ფაქტორითა წარმოქმნილი სახელები: აბათხევი, წინუბანი, წყალთბილა.

მუნიციპალიტეტის ფარგლებში ვხვდებით ბინარული ოპოზიციის სახის მქონე ოიკონიმებსაც, მაგ: დიდი და პატარა პამაჯი, ქვემო და ზემო სხვილისი.

ანთროტოპონიმიკური ოიკონიმია – ივლიტა, რომელის სახელდებაც წმინდანს უკავშირდება, ასევე დასტურდება ოიკონიმიფერსა. იგი „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარშია“ (ჯიქია, 1941:35) ნახსენები და მასკულინურ ანთროპონიმიას განეკუთვნება. ანთროპოპონიმიკურ ოიკონიმებიდან აღსანიშნავია ოიკონიმი-მინაძე, ეპონიმური წარმოშობის გვარი, რომელიც მხ. რიცხვის ფორმით ეწოდა დასახლებულ პუნქტს.

საინტერესოა, საზღვრულ ინდიკატორიანი ოიკონიმი ახალციხე, რომელიც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია. ფუძის სახით წარმოდგენილი მსაზღვრელი ახალი საკმაოდ პროდუქტიულია ქართულ მაკროტოპონიმიაში, შდრ. ახალგორი, ახაშენი, ახალდაბა, ახალქალაქი... და იგი ერთგვარად ძველის საპირისპირო ვარიანტს წარმოადგენს.

მუნიციპალიტეტის ოიკონიმთა სახელდებისას მნიშვნელოვანია ჰიდრონიმული ტერმინი-წყალი და წყლის ფაქტორი სამიზნე ტერიტორიაზე, აღნიშნულს უკავშირდება შემდეგი სახელები: აწყური, წყორძა, წყრუთი. ასევე ვხვდებით ფიტოფორული და ზოონიმური ფაქტორით განპირობებულ ოიკონიმებს: ჭვინთა, ტყემლანა, გურკელი.

ამრიგად, სამიზნე მუნიციპალიტეტის ოიკონიმთა ფორმობრივი სტრუქტურა და წარმოქმნის გზა მრავალგვარია, ემორჩილება რა ტოპონიმიზაციის ზოგად სტრუქტურას ქართველურ სინამდვილეში, სახელთა უმეტესი მათგანის სემანტიკა ნათელია, წარმოშობის მოტივაცია სარწმუნო, მაგრამ ნახსენები საკითხის შესწავლა, რა თქმა უნდა, კიდევ უფრო მეტ მეცნიერულ კვლევა-ძიებას აუცილებლად მოითხოვს.

გამოყენებული ლიტერატურა

ჯიქია 1941– ჯიქია ს., „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“, წიგნი II, 1941.

ლამზირა კობაიძე

მესხეთში მცხოვრებ მთიულთა მეტყველების თავისებურებანი

დიდი სამამულო ომის შემდგომ პერიოდში, 1944 წლის დეკემბერში, მასობრივად იწყება ხალხის ჩამოსახლება მთიულეთიდან ასპინძის რაიონის მთელ რიგ სოფლებში: იდუმალა, ოშორა, ორგორა, სახუდაბელი, ახალშენი, ღობიეთი, ხერთვისი, რუსთავი, ინდუსა, ოთა. დასახელებული სოფლებიდან დღეს რამდენიმე ნასოფლარია. ესენია: ინდუსა, ღობიეთი, ახალშენი. საინტერესოა ჩამოსახლებული მოსახლეობის გვარები, რომლებიც დიდი და საინტერესო ინფორმაციის შემცველია. არანაკლებ საყურადღებოა, ჩამოსახლებულ მთიულთა მეტყველება და თავისებურებები, რომელიც ისევე მრავალფეროვანია, როგორც მათი ონომასტიკური სურათი. უფრო მეტიც, მთიულთა მეტყველების გავლენა დამხვედურ, მესხურ მეტყველებასთან და პირიქით. შეუძლებელია, არ აღინიშნოს ერთი მნიშვნელოვანი გარემოება, რაც ჩვენთან, ასპინძაში, იჩენს თავს ამ თვალსაზრისით. მოგახსენებთ, რომ ზემოდასახელებულ სოფელთაგან ცალკე გამოვყოფდით ორ მეზობლად მდებარე სოფელს: ორგორა და სახუდაბელი, რომელიც სრულიად განსხვავებულია დანარჩენ სოფელთაგან მეტყველების თავისებურების მიხედვით. ამ სოფლის მკვიდრნიც მთიულნი არიან და მათთან ერთად ჩამოსახლებული. მიუხედავად ამისა, მეტყველება განსხვავებული აქვთ დანარჩენ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისაგან. საინტერესოა არნ. ჩიქობავას მოსაზრება აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, რომ მთიულურ მეტყველებაში ტერმინი „გრძელი ხმოვანი“ პირობითია, რადგან გრძელი ხმოვანი წარმოადგენს ტონის მოდულაციაზე დამყარებულ ტონურ მახვილს, რომ გრძელი ხმოვანი არ გვხვდება ცალკე სიტყვაში, გრძელი ხმოვანი არ გვხვდება ლექსში და გრძელი ხმოვანი დასტურდება ფრაზაში სიტყვის ბოლოდან მეორე მარცვალზე (არნ. ჩიქობავა). მთიულურში გრძელი ხმოვანი, იგივე ტონური მახვილის მქონე აკუსტიკურად აღიქმება როგორც დიფთონგი (სოფაღლი (=სოფელი) (მ. კობაიძე). არანაკლებ საინტერესოა, სახელთა ბრუნე-

ბასთან მიმართებით ორივე დიალექტის (მესხური და მთიულური) მდგომარეობა და ბრუნვათა სისტემაში მიმდინარე ცვლილებები. რომელიც მისდევს თითქმის ქართულ სალიტერატურო ენას. სახელობითსა და მოთხრობით ბრუნვებში მაწარმოებელთა მხრივ იდენტური სურათია. თანხმოდანსა და სახელების სახელობითსა და მოთხრობითი ბრუნვის გაფორმების მხრივ, მესხურსა და მთიულურს სალიტერატურო ქართულთან სხვაობა არა აქვს. რაც შეეხება ხმოვანფუძიან სახელთა მოთხრობითი ბრუნვის გაფორმების მხრივ. ფონეტიკური პროცესების შედეგად აქ ბრუნვის ნიშანი ნ-ს სახით გვექნება : „ამ გოგონ რავი რა იფიქრა, იშვირა ფეხი და გადახტა (მარტიროსოვი). ხმოვნის დართვის შემთხვევაში ამგვარ ფორმებზე, კვლავ აღდგება მ ელემენტი.

მთიულურ დიალექტში ა ხმოვანფუძიან საზოგადო და საკუთარ სახელებს დაერთვის ი: მაგ : გიორგა-ი, ჳმალა-ი, სარეკელა-ი, შესაძლებელია, ა ხმოვანფუძიანი სახელი უნიშნოდაც იყოს და ნიშნითაც- ი . სამცხურში ხმოვანფუძიან სახელებთან დასტურდება ი : დედა-ი, მამა-ი, პეტრე-ი... (გოგოლაშვილი).

მთიულური დიალექტისთვის უცხო არ უნდა იყოს ი→ი ორ და მეტმარცვლიან სახელებთან: ვაჟა-ი.. დასაშვებია, შეგვხვდეს სრული მარცვლიანი ი. მაგ: სარეკელა-ი... მესხურ დიალექტში ბ. ჯორბენამე აღნიშნავს, რომ გვხვდება როგორც საკუთარ, ისე საზოგადო სახელებთან ი სახელობით ბრუნვაში: ნინა-ი, პეტრე-ი, შოთა-ი... ხშირად სახელობითი ბრუნვის ნიშანი -ი სახელიც ფუძის გავლენითაც სუსტდება და გადმოიცემა ი -თი. ქოთილა-ის; კატა-ით, ასე თვლის გ. გოგოლაშვილიც.

ქართული ენის დიალექტებში ფართოდ გავრცელებული პროცესია თემისნიშანთმონაცვლეობა. -ავ---ამ: ერთ ჯგუფში -ავ თემის ნიშანს ენაცვლება -ამ: მალ-ამ-ს, თეს-ამ-ს, ბარ-ამ-ს, ხატ-ამ-ს. ეს დასტურდება, როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოს დიალექტებში, მათ შორის მესხურ-ჯავახურშიც.

ქართული დიალექტოლოგიის ერთ-ერთი აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს დიალექტთა ურთიერთზემოქმედების შედეგების შესწავლა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია მთიულთა მეტყველება და მათში მომხდარი თავისებურებანი. ხმარებიდან გამოსული გრაფე-

მებიდან აქტიურია **ა** , რომელიც ორივე დიალექტში იჩენს თავს – როგორც მესხურში, ასევე მთიულურშიც. ის გვხვდება სახელებთანაც, ზმნებთანაც და ზმნისართებთანაც. ასევე გვხვდება **ჟ** ფონემაც, რომელსაც ენაცვლება თანამედროვე **ხ**. საფიქრებელია, რომ მესხურში დასახელებული ფონემა არ გვხვდება ასე აქტიურად. აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია მისი **ხ** ბგერით დამკვიდრებისა. არანაკლებ საინტერესო სურათს წარმოადგენს სახელთა ბრუნების წარმოება , რომელიც გვერდით მიჰყვება მესხური დიალექტის თავისებურებებს.

შეიძლება ითქვას, რომ მესხური დიალექტი, მიუხედავად დროის სიმცირისა, დიდ ზეგავლენას ახდენს მთიულთა მეტყველებაზე.

გამოყენებული ლიტერატურა

გოგოლაშვილი, არაბული, 2017 – გ. გოგოლაშვილისა და ავთ. არაბულის რედაქციით, ახალი ქართული ენა, დიალექტების მოზოლოგია, კრებსითი ანალიზი, წიგნი III, 2017წ. თბილისი.

ბერიძე, 1988 – გრ. ბერიძე, ქართული ენის ჯავახური კილო, თბილისი, 1988წ.

იმნაიშვილი, 1974 – გრ. იმნაიშვილი, ქართლური დიალექტი, თბილისი, 1974წ.

კობაიძე, 1982 – მ. კობაიძე, მთიულური დიალექტის ზოგიერთი თავისებურება (სადიპლომო ნაშრომი), თბილისი, 1982 წ.

სარჯველაძე, 1984 – ზ. სარჯველაძე, ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის შესავალი, თბილისი, 1984 წ.

უთურგაიძე, 1986 – თ. უთურგაიძე, ქართული ენის მორფოლოგიური ანალიზი, თბილისი, 1986წ.

უთურგაიძე, 1960 – თ. უთურგაიძე, თუშური კილო, 1960 წ

ჯორბენაძე, 1989 – ბ. ჯორბენაძე, ქართული დიალექტოლოგია, ნაწილი I თბილისი, 1989წ.

მარიამ კობერიძე

თუშების ყოფა-ცხოვრების აღმნიშვნელი ლექსიკა ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით

ენის ლექსიკური ფონდის შესწავლისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს მეურნეობის ამა თუ იმ დარგის, ყოფა-ცხოვრების ამსახველი მასალების მოძიებასა და კვლევას. მოსკოვის აღმოსავლური ენების ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორმა ალექსანდრე ხახანაშვილმა განსაკუთრებული წვლილი შეიტანა ისტორიული, ეთნოგრაფიული, დიალექტოლოგიური და ფოლკლორული მასალების შეკრების, შესწავლისა და გამომზეურების საქმეში.

ალექსანდრე ხახანაშვილი იყო ერთ-ერთი პირველი ეთნოგრაფი, რომელმაც შეადგინა „პროგრამა ეთნოგრაფიული და იურიდიული ცნობების შესაკრებად“ (შედგება 1260 კითხვის, 11 თავისა და 12 ქვეთავისაგან). „თუ რომელიმე ერის შესახებ ცნობების შემკრებს არ შეუძლია, შეისწავლოს კარგად მისი ენა, მხედველობაში უნდა მიიღოს შემდეგი პირობები: ა) ჩაიწეროს სიტყვები და ფრაზები სწორი ტრანსკრიპციით, თუ ეს ენა ეკუთვნის იმ ენათა რიცხვს, რომელთათვის არსებობს ტრანსკრიფცია. ბ) თუ ენა ნაკლებ ცნობილია, იხმაროს ქართული ასოები... 2. ყურადღება უნდა მიექცეს ენის ლექსიკონს და გრამატიკას“ (ა. ხახანაშვილი 1899 , 78-81).

ამ პროგრამის შედგენაში მონაწილეობდნენ მოსკოვის უნივერსიტეტის ქართველი სტუდენტებიც. პროგრამა პრაქტიკულად გამოსაყენებელია ველზე სამუშაოდ არა მარტო ეთნოგრაფიისა და ისტორიისათვის, არამედ დიალექტოლოგიის, ფოლკლორისტიკისა და ქართული სამართლის ისტორიის შესწავლისათვის (მ. კობერიძე 2022, 288-289).

ალექსანდრე ხახანაშვილი აქტიურად ჩაება სავსე მუშაობაში: შემოიარა აღმოსავლეთ იმპერკავკასიის, ყიზლარისა და მოზდოკის მხარე და ორ ქართულ სოფელში ჩაიწერა ეთნოგრაფიული მასალები. მან შეკრიბა, აღწერა და თავი მოუყარა საქართველოს მთიანეთის ეთნოგრაფიული ყოფის ამსახველ მასალას.

თუშეთში ჩაწერილი მასალები დაიბეჭდა 1888 წლის 18 აგვისტოს გაზეთ „ივერიაში“, სახელწოდებით „მგზავრის დღიურიდამ“. საყურადღებოა, ქართველი ხალხის ყოფისა და კულტურის ისეთი ელემენტების განხილვა, როგორცაა: გეოგრაფიული მიმოხილვა, განსახლების სტრუქტურა, ზნე-ჩვეულებანი, საქმიანობა, სოციალური ურთიერთობები, საქორწილო ტრადიციები, გლოვის წესები, ხევის-ბერის ფუნქცია, მთისა და ბარისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა.

გეოგრაფიულ მდებარეობა: „თუშეთი მდებარეობს კახეთის სამხრეთით, მეზობლად ცხოვრობენ აღმოსავლეთით დიდოელები¹, დასავლეთით – ფშავ-ხევსურები, ჩრდილოეთით – ჩაჩნები“. თუშები შეადგენენ ოთხ თემს: წოვათა, გამოწრის (შდრ. გომეწარი. ივ. გიგინეიშვილი და სხვ., 1961,102), ჩაღმისა და პირიქითის. ს. მაკალათიას აღწერით, თუშეთის მოსახლეობა სამ თემად იყოფა: პირიქითი, გომეწარი და ჩაღმა (ს. მაკალათია 1983,10).

თემში გაერთიანებულია საზოგადოება² ანუ სოფელი. წოვათა თემი შედგება საგირითისა და ინდურთის საზოგადოებისაგან; გამოწრის თემი-ჯვარ-ბოსლისა და ილურთის საზოგადოებისაგან; ჩაღმის თემი ნაციხვრისა და უმალოს საზოგადოებისაგან; პირიქითელების თემი-ფარსმისა და დართლოს საზოგადოებისაგან. „სამი თემი – ჩაღმელები, გომეწარელები და პირიქითელები ლაპარაკობენ წმინდა ქართულს, წოვა-თუშები-ქართულ-ქისტურ ენაზე. წოვა-თუშებს, რომლებიც შედგებიან ქართველებისა და გაქართველებული ქისტებისაგან, იმდენად შეუთვისებიათ ქართული ზნე-ჩვეულებანი, რომ არაფრით განსხვავდებიან ქართველთა თემის თუშებისაგან. ისინი მღერიან ფშაურს ან ქართულ-თუშურ ლექსებს“ (ა. ხახანაშვილი 1888 ა., 2-3).

„წოვა-თუშები“ ზამთარს ატარებენ ალვანში, ზაფხულობით მიდიან მთაში. მათი საზაფხულო ბინა არის ტბათანი, ალაზნის თავი და საყორნე. დასახელებული სოფლებიდან დღეს ნასოფლარია: საგირითა, ინდურთა. ზოგი ტოპონიმი დღეს მცირე ფონეტიკური

¹ „დიდოელები“ დაღესტანში მცხოვრები ტომთა ჯგუფის – „ცეხების“ ქართული სახელწოდებაა. ნ. არდოტელი დიდოელთა აღმნიშვნელ ეთნიკურ ტერმინს ცეზი (მრ. ცეზი-ზი) არწივის გამომხატველ ცე, ცემ („არწივი“) ლექსემას უკავშირებს ცე+ზი (ზედმიწ. „არწივი“+ ეთონიმთა ფორმატი) (ნ. არდოტელი 2007, 9-10).

² საგირითა, ინდურთა, ჯვარ-ბოსლი, ილურთა, ნაციხვრი, უმალო, ფარსმა, დართლო.

ცვლილებით დასტურდება: **ნაციზვარი (ნა-ციხ-ევ-არ-ი) – ნაციხარი; უმალო- ომალო; ჯვარ-ბოსლი – ჯვარბოსელი; გამოწარი – გომეწარი.**

დასტურდება გეოგრაფიულ სახელთა პრეფიქსიანი, პრეფიქს-სუფიქსიანი და სუფიქსიანი წარმოება.

პრეფიქსიანი: **საგირითა** (სა-გირ-ი-თა).

პრეფიქს-სუფიქსიანი: **ნაციხვარი (←ნა-ციხ-ევ-არ-ი); საყორნე** (სა-ყორნ-ე); **უმალო** (უ-მალ-ო)...

სუფიქსიანი: **ტბა-თან-ი.** ა. შანიძის ვარაუდით, „თანა“ თანდებულებიანი გეოგრაფიული სახელები წარმოადგენს თუშურის შემონატანს ქართულში (ა. შანიძე 1953, 140). თანა თანდებული მთის კილოებში გამოყენებულია გეოგრაფიულ სახელთა საწარმოებლად: ქვათანი, ჯითანი (< ჯიდთანა), სასვენათაცთანა, ტბათანა და სხვ. (თ. უთურგაიძე 1966, 75).

წოწ-ურ-ა. თუშ. „წოწკურაყი – წვრილი, შორს სატყორცნი ისარი“ (გ. ცოცანიძე 2012, 290). ხევს. „წოწკი-წვრილი ტოტი“ (ა. ჭინჭარაული 2005, 1090). სოფლის სახელწოდების მოტივაცია შესაძლებელი იყოს „წვრილი“.

მსაზღვრელ-საზღვრულიანი ტოპონიმი: **ალაზნის თავი.**

კომპოზიტიური წარმოების: **ჯვარ-ბოსლი** (ახლანდელი ჯვარბოსელი).

გურგაჭალა. ალ. ხახანაშვილის მოსაზრებით, სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს „**მრგვალი ჭალიდან**“. შდრ. ზ. აჭარ. მურგვი-მაფის გორგალი (მ. კობერიძე 2011, 51). იგივე ძირია, რაც ჭან. მურგვ-ალ-ი//მუგვ-ალ-ი (მრგვალი) (არნ. ჩიქობავა 2008, 235).

ფხაკალყურა. „ფხაკალი – კურდღელი“ (ა. ხახანაშვილი, 1888 ბ., 3). სახელწოდების მოტივაცია შესაძლებელია იყოს „კურდღლის ყური“.

გვარები ნაწარმოებია -ძე, შვილი, -ოვი სუფიქსით: **ლაზი-ძე, ქადაგი-ძე, ინა-შვილი, გუგუ-შვილი, ცისკარ-ოვი ...** ალ. ხახანაშვილი მიუთითებს დასახელებული გვარების ქართულ წარმომავლობაზე. „ბევრი აქ დადასტურებული გვარი გავრცელებულია როგორც თუშეთში, ისე საქართველოს სხვა მხარეში. **ცისკაროვი** გვარის წარმომადგენლის გადმოცემით, ისინი გადმოსახლებულან ჩეჩნეთიდან. გვარი მომდინარეობს ქართული სიტყვიდან – **ცისკარი**“ (ა. ხახანაშვილი 1888 ა., გვ. 2-3).

გამოწრელებს, ჩაღმელებს და პირიქითელებს აქვთ ბინადრული ცხოვრება და ეწევიან ხვნა-თესვას. ხვნა-თესვას წოვა-თუმები არ მისდევენ, ერთადერთი იმათი ხელობა და სარჩო არის **ცხვარი**. აგვისტოს გასულს თუში ბრუნდება სახლში, **ალვანში, გაჰკრეკს** ცხვარს, მოამზადებს **ხორაგს** (საჭმელ-სასმელი), ცოლ-შვილს დატოვებს და გადადის **შირაქში**. შინაური საქმე მინდობილი აქვთ დედაკაცებს. ისინი ქსოვენ ჭრელ **ფარდაგებს, ხურჯინებსა და შალებს, აჭრელებენ ქსოვილს ბალახების წვენით**. კაცები აკეთებენ **კიდობნებს, კეხებს, ქულებს** (ა. ხახანაშვილი, 1888 ა., 2-3).

ფარდაგი. შდრ. „ფარდაგი – კედლის შესამოსია“ (ს.ს. ორბელიანი 1993, 183); ხევს. „ფლასი – ფარდაგი“ (ალ. ჭინჭარაული 2005, 890). „ფარდაგი – 1. მსხვილი მატყლის ძაფის უხაო ქსოვილი საფენად და კედელზე გასაკრავად; 2. იგივეა, რაც ფარდა“ (ქეგლ). **კიდობანი**. „ხის დიდი ჭურჭელი მარცვლეულისა და დაფქულის შესანახად“ (გ. ცოცანიძე 2012, 130). **კეხი**. შდრ. „კეხი – შეუმზადებელი უნაგირი“ (ს.ს. ორბელიანი 1991, 368); „კეხ-ნაბადი-საბარგე ცხენის საკმაზი, კეხი და მის ქვეშ საფენი ნაბდები“ (გ. ცოცანიძე 2012, 128).

„თუმეთშიც ახსოვთ – **ხევისბერები, დეკანოზები, ხუცები, მნათეები** – მეთაურები ძველი ცხოვრებისა. ...იგინი ხანდისხან იჩენენ ხოლმე თავს, როგორც წარმომადგენელნი ხალხისა, მაგრამ ძველებური მნიშვნელობა, ანუ ავტორიტეტი სამუდამოდ დაუკარგავთ, ზღუდე იმათის მოქმედებისა ანუ კომპეტენციისა შემოკლებულა და შესუსტებულა. წინად, ჰვიქრობდნენ, **დეკანოზები** იყვნენ წარმომადგენელნი სარწმუნოების წესებისა და ჩვეულებისა, **ხევისბერს** კი ეკუთვნოდა საერო საქმეები-ადმინისტრაცია, მოსამართლისა და ომში წინამძღვრის თანამდებობა“ (ა. ხახანაშვილი, 1888 ა., 2).

ხევისბერის ფუნქცია. „ქრისტიანობის გავრცელებამ მთიელთა შორის და ახალი მოქალაქეობრივი წესების შეტანამ, დეკანოზებსა და ხევისბერებს შორის გაყოფილი თანამდებობა არია: **ხევისბერებზე** გადავიდა სარწმუნოებითი მოვალეობა, რაც წინათ **დეკანოზებს** ეკუთვნოდათ“. ხევისბერების რიცხვი არ აღემატება 3-4-ს. **პირველ ხევისბერს** ეკუთვნის შეუცილებელი უფლება: აკურთხოს **კურატი**, მოუწვას **მატყლი წმინდა სანთლით, დალოცოს, დაამწყალობოს** და **კურატის სისხლი** წაუსვას შუბლზე კეთილმორწმუნე შემომწირველს. გასამრჯელოში იგი იღებს კურატის ბეჭსა და ტყავს. მეორე ხევისბერი, **პირველი ხევისბერის** ბრძანებით, აგროვებს **ქა-**

დებს, ღვინოს, პურს ლუდის გამოსახდელად, მესამე ხევისბერი ლუდს ხდის. როცა უფროსი ხევისბერი დაიღლება, მაშინ იმის მოვალეობას რიგით შესარულებენ უმცროსი ხევისბერები. ხუცებს (მღვდლებს), ხევისბერის სხვაგან ყოფნის დროს უფლება ჰქონდათ აღესრულებინათ დამარხვის, მონათვლის წესი და სხვ.

ხევისბერის ხელქვეითია მნათე, რომელიც ხევისბერის ბრძანებით დაკლავს კურატს სიპ ქვაზე. ხევისბერი აბრძანდება სიპ ქვაზე და კითხულობს დასამწყალობელ ლოცვას. ის უვლის ხატის კურატებს, ვენახებს (ხატის მთელ ქონებას), ხატის ღვინოს, დაკლულ კურატებს მიაერთმევს მლოცველებს. კურატის გარდა, მასთან მოჰყავთ ქათმები, სწირავენ ზარებს, სარტყელს, ღვინოსა და ქადებს... შესაწირავის დასახელება ეკუთვნის მკითხავს.

დასამწყალობელი ლოცვა. შდრ. „სამწყალობნო/სამწყალობნელი-ღმერთის (ხატის) წყალობის მიმცემი“ (ალ. ჭინჭარაული 2005, 757).

სამწყსოს ჯვარი- ღმერთის ჯვარი, წყალობის მომცემი.

ალ. ხახანაშვილს, „დასამწყალობელი ლოცვის“ რამდენიმე ვარიანტი ჩაუწერია. 1. „დიდება შენდა, წმ. გიორგიო, ხახმატის ჯვარო, ნაღვარ მშვენიერო, შენამც იდიდები დადგმულის ბარძიმითა, დანთებული სანთლითა, დაქერეთილი სეფებითა.... 2. „ღმერთმა გაუმარჯოს ჩვენს ლაშარის ჯვარსა შორს მტერზედა, ახლოს ნადირზე, მისცეს წყალობა ქუდოსანს, მანდილოსანს, დიდსა, პატარას, ამ ეკლესიის კარზე მომსვლელთა... (ფშავში ჩაწერილი) (ა. ხახანაშვილი, 1888 ბ., 3).

ბარძიმი. ხევეს. „ვერცხლი თასი (ჯვართა ენაზე)“ (ალ. ჭინჭარაული 2005: 89).

დაქერეთილი სეფები. შდრ. ხევეს. „სეფები- სარიტუალო, ხატისათვის შესაწირი ნამცხვარი“. აქედან არის „სეფე-პური – იგივე, რაც სეფე“, „სეფე-სანთელი – სარტუალო სუფრა“ (ალ. ჭინჭარაული 2005, 803). „ქერქი – გაბრტყელებული ცომი ხინკლის ან კოტრის გასაკეთებლად“ (გ. ცოცანიძე 2012, 237). ზ. აჭარ. ქერეჭი – პურის ან ჭადის ქერქი. შდრ. „ქერქეჭანა – ფიჭვის განაყარი ქერქი“ (ს.ს. ორბელიანი 1993, 229). „გაუქერქავი – ქერგაუცლელი, კანგაუცლელი“ (ალ. ჭინჭარაული 2005, 197). **დაქერეთილი სეფები** შესამღებელია აღნიშნავდეს ხატისათვის შესაწირავ ქერქიან ნამცხვარს.

აღ. ხახანაშვილს მღვდელ ხარიტონ **ინაშვილისაგან** ჩაუწერია მთიელთა ლოცვა: „**ყუდროში** ქუდოსან მანდილოსან ჯვარ დაუწერ-დი. **ნახნავსა, ნამუშრევსა** ბარაქას მისცემდი, ჰვარავდი, შველოდი, სწყალობდი, **მუხის წვერისანგელოზმა** გიკუთხოს სასმელ-საჭმელი“ (ა. ხახანაშვილი 1888 ბ., 3).

ყუდრო. შდრ. „ადგილი ქარ-უხვედრელი“ (ს.ს. ორბელიანი 1993, 272); „სახლი ჯვართა ენაზე“ (ჭინჭარაული 2005, 944). ქართ. „ყუდროზე ზის-არაფერი ედარდება არ ნაღვლობს“ (მესხიშვილი 2006, 152).

ნამუშრევი. შდრ. ხევს. ნამუშაელი – 1. ნამუშავარი, ნაკეთები; 2. ჭირნახული, ყანა (ჭინჭარაული 2005, 655).

მუხის წვერის ანგელოზი. „მუხის გიორგი – სოფელ ბლოში არსებული წმინდა გიორგის ეპითეტი“ (აღ. ჭინჭარაული 2005, 627).

ქორწინებასთან დაკავშირებულიორ ტრადიცია: 1. „**ნეფიანი** მიდის პატარძალთან, ის შიგნით ჰყავთ დამალული. შეისყიდის მის ნათესავს, ჩაუდებენ ხელში რამდენიმე მანეთს და ეს დედაკაცი პატარძალს გამოიყვანს ხელჩაკიდებულს“. შდრ. ხევს. ნეფიონი – ნეფის (სასიძოს) ამხანაგები (ა. ჭინჭარაული 2005, 673). 2. სახლის წინ გააჩერებენ ნეფე-დედოფალს იმდენ ხანს, ვიდრე მომზადებულ და ანთებულ **მაშხალას** ქალის მაყრები არ გააქრობენ თოფების სროლით. შდრ. ხევს. მაშხარა. 1. მაშხალა 2. ცეცხლი ჯვართა ენაზე (ა. ჭინჭარაული 2005, 564).

გლოვასთან დაკავშირებული ლექსიკა.**წლის ბერები** – მიცვალებულის ნათესავი მამაკაცები წვერსა და თმას იყენებენ წლამდე. **დოღი** – მიცვალებულის სულის დასამშვიდებლად გამართული ცხენოსანთა შეჯიბრი. შდრ. ხევს. დოღვი (ა. ჭინჭარაული 2005, 324). **ფემქაში** – საჩუქარი. „პირველად მისულისათვის სამი ცხვარია; შემდეგი ორისათვის – ხუთი, ბოლოსათვის – 10 შაური. თოფის სროლაშიც დანიშნულია **ფემქაში:** პირველად მომრტყმელისათვის – **ჭედოლა**, მეორეს – **ჩითები** (მთაში ჩასაცმელი სქელი წინდები), მესამეს – **წინდები**, მეოთხეს – **ხელსახოცი** (ა. ხახანაშვილი 1888 გ., 3).

თუშეთში გავრცელებული დღესასწაულია **ხატობა „ლაშარობა“**. ქალი და კაცი მორთული მიდის ამ დღესასწაულზე, კაცები იცმევენ საუკეთესო **ჩოხებს**, ქალები – „**ჯუბებს**“ – ვიწრო შალის კაბას, ძვირფასი გულისპირით, რომელსაც უწოდებენ „**სამკაულს**“ (ა. ხახანაშვილი 1888 ბ., 3).

ალექსანდრე ხახანაშვილმა შეკრიბა, შეისწავლა და დავიწყებას გადაარჩინა ქართული ყოფისა და კულტურის მრავალი კომპონენტი. მის მიერ ჩაწერილი მასალების დიალექტოლოგიური კვლევა-ძიება ქრონოლოგიურად საინტერესო და მნიშვნელოვან დარგობრივ ლექსიკას გამოავლენს თანამედროვეობასთან მიმართებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

არდოტელი 2007 – ნ. არდოტელი, დიდოური ენა, უნივერსალი, თბილისი, 2007.

გიგინეიშვილი და სხვ., 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1961.

კობერიძე 2011 – მ. კობერიძე, ზემოაჭარულის დარგობრივი ლექსიკა, მერიდიანი, თბილისი, 2011.

კობერიძე 2022 – მ. კობერიძე, ალექსანდრე ხახანაშვილის ეთნოგრაფიული მემკვიდრეობა: ისტორია, არქეოლოგია, ეთნოლოგია. VII. გორი, 2022.

მაკალათია, 1983 – ს. მაკალათია, თუშეთი, ნაკადული, თბილისი, 1983.

მესხიშვილი 2006 – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი, უნივერსალი, თბილისი, 2006.

ორბელიანი, 1993 – ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, მერანი, თბილისი, 1993.

უთურგაძე 1966 – თ. უთურგაძე, ქართული ენის მთის კილოთა ზოგი თავისებურება, მეცნიერება, თბილისი, 1966.

ქეგლ-ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. <http://www.ena.ge/explanatory-online>. 09.09.2022.

შანიძე 1953 – ა. შანიძე, ქართული გრამატიკის საფუძვლები, I, მორფოლოგია, თსუ გამომცემლობა, თბილისი, 1953.

ჩიქობავა 2008 – არნ. ჩიქობავა, ჭანურ-მეგრულ-ქართული შედარებითი ლექსიკონი: შრომები, IV, თბილისი, 2008.

ცოცანიძე 2012 – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა, თბილისი, 2012.

ჭინჭარაული 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, ქართული ენა, თბილისი, 2005.

ხახანაშვილი 1888 ა. – ა. ხახანაშვილი, მგზავრის დღიური-დამ: ივერია, №173, ტფილისი, 1888.

ხახანაშვილი 1888 ბ. – ა. ხახანაშვილი, მგზავრის დღიური-დამ: ივერია, №177, ტფილისი, 1888.

ხახანაშვილი, 1888 გ. – ა. ხახანაშვილი, მგზავრის დღიური-დამ: ივერია, №181, ტფილისი, 1888

ხახანაშვილი, 1899 – ა. ხახანაშვილი, პროგრამა ეთნოგრაფიული და იურიდიულ ცნობების შესაკრებად: აკაკის თვითური კრებული . XI, ქუთაისი, 1899.

ლ ე ვ ა ნ კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი

შუალობითი ასიმილაცია ქიზიყურში

ცნობილია, რომ შუალობითი ასიმილაცია, რომელიც რთული ასიმილაციის ერთ-ერთი სახეობაა, გულისხმობს ასიმილატორის ზეგავლენას ასიმილირებულზე სხვა ბგერის მეშვეობით¹.

ა. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი ნაშრომ „ქართული ენის კახურ დიალექტში“ აღნიშნავენ: „მასიმილირებელი ე თავსართის გავლენა ვრცელდება პრევერბისეულ ხმოვანზე, თუნდაც მათ შორის იყოს სუბიექტური თუ ობიექტური პირის ნიშანი. ამ მოვლენას ადგილი აქვს განსაკუთრებით მაშინ, როცა ზმნას რთული პრევერბი გააჩნია“².

ქიზიყურშიც გვხვდება ხმოვანთა რეგრესული, დისტანციური ასიმილაცია, მეტადრე ზმნურ ფორმებში შეინიშნება, სადაც ფუძისეული ხმოვანი მიიმსგავსებს ზმნისწინისას. განვიხილოთ მაგალითები:

ეე<ააე

გედეგედება < გადაგედება:

¹ ახვლედიანი 1949, 196.

² იმნაიშვილ-მარტიროსოვი 1956, 35.

მოიდა, შვილო, მემეცა, ნუ მკოცნი, გრიპი გედეგედება.
გედევეყარე < გადავეყარე:
ჯო, ევიდ გედევეყარე, რატოიგრე შამაღონა!
გედემეკიდა < გადამეკიდა:
ბაღლი გედემეკიდა, მაღტა ახალ წელ ქალაქში წამიყვავო.



გ ე დ ე გ ე დ ე ბ ა < გ ა დ ა გ ე დ ე ბ ა

მოცემულ ნიმუშებში შუალობითი ასიმილაციის არსი შემდეგია: ფუძისეული ე- ხმოვანი თავდაპირველად სრულად მიიმსგავსებს გადა- ზმნისწინის ბოლოკიდურ ა-ს (გადა>გადე), ხოლო მომდევნო საფეხურზე სახეცვლილი ხმოვნის თანამონაწილეობით ზემოქმედებს მეორე ვოკალურ ერთეულზეც (გადა>გადე>გადე).

უნდა აღინიშნოს, რომ გადა- ზმნისწინი გარდაისახება მხოლოდ ე- თავსართთან მეზობლობისას, სხვა შემთხვევაში უცვლელია¹; მაგალითად, გადაიტანე: სკოლა ანგე დაცულტყეფთან, ინტერნატში გადაიტანე, მინამ ახალ ააშენებენ (ბოღბ.)².

ეეე <აოე

გედმეელო< გადმოელო:

ემაწვილ პაპი თავი გარმონი გედმეელო.

გედმემედო < გადმამედო:

ჯერ ბაღი ეხლა არ დაიწყო, უკე გრიპი გედმემედო ბაღლებიდან.



გ ე დ მ ე ე ლ ო < გ ა დ მ ო ე ლ ო

უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს უკანასკნელი ფორმები გვერდიგვერდ გვხვდება ქიზიყურში. ჩვენ დავაკვირდით ზმნისწინთა იმ ფორმებს, რომელთაც კახურში აღწერენ ა. მარტიროსოვი და გრ. იმნაიშვილი³ და გადავამოწმეთ, თუ როგორ გამოიყურებიან ქიზიყურში.

¹ შდრ. მარტიროსოვ-იმნაიშვილი 1956, 35.

² აქვე შევნიშნავთ, ე-სთან შედარებით ი-ს აწეულება და პალატალობა უფრო მაღალია, თუმცა გავლენას არ ახდენს სიტყვის წინამავალ ხმოვნებზე.

³ იხ. მარტიროსოვ-იმნაიშვილი 1956, 36.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ამ უკანასკნელში კახურისაგან განსხვავებით უმეტესად უპირატესობა ენიჭება ზმნისწინის პირვანდელ ფორმას და ე- თავსართი ფონეტიკურად ყოველთვის არ გარდაქმნის მის ვოკალურ კომპონენტს; მაგალითად, ბოდბურ თქმა-შივე დასტურდება:

გადმაეტანა:

ფიჩხი თონითვინ ტყიდან გადმეეტანა.

გამაექანა:

რო დამინახა, ბალღი ქუჩიდან გამაექანა და შამამახტა.

შუალობითი ასიმილაციით გამოწვეული ცვლილებები გაფანტულია მთელი სამეტყველო სივრცის მოცულობით და ყველა თქმაში შეინიშნება სახეუცვლელ ზმნისწინურ ფორმასთან თანაარსებობით. ამ მხრივ ქიზიყური კახურისაგან განსხვავებულ ვითარებას ქმნის.

გამოყენებული ლიტერატურა

ახვლედიანი, 1949 – გ. ახვლედიანი, ზოგადი ფონეტიკის საფუძვლები, თბილისი, 1949

მარტიროსოვი, იმნაიშვილი 1956 – ა. მარტიროსოვი, გრ. იმნაიშვილი, ქართული ენის კახური დიალექტი, თბილისი, 1956

ნ ა თ ე ლ ა მ ე ლ ი ქ ი ძ ე

განკერძოებული შემასმენელი და განკერძოება შემასმენელთან

განკერძოებული სიტყვებისა და გამოთქმების გრამატიკული ბუნების სწორად გაგებას, წინადადებაში მათი როლისა და ფუნქციის დადგენას საჭიროდ მიიჩნევდა რ.შამელაშვილი (შამელაშვილი, 1958). სამეცნიერო ლიტერატურაში მითითებულია, რომ წინადადების შემადგენლობაში ხშირად მოიპოვება აზრობრივად და ინტონა-

ციურად გამოყოფილი წევრები, რომელნიც იძლევიან დამატებით ცნობას ამა თუ იმ წევრის შესახებ (კვაჭაძე, 1996). სხვანაირად რომ ვთქვათ, განკერძოება არის რიტმულ-ინტონაციური გამოყოფა წინადადების მეორეხარისხოვანი წევრისა, რომელსაც დამოუკიდებელი საკომუნიკაციო ღირებულება აქვს (ფეიქრიშვილი, 1996).

მე-19 საუკუნის მეორე ნახევრამდე ძველ გრამატიკებში ცალკე გამოყოფილი არ ყოფილა განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები, როგორც წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი ერთეულები. სოლომონ დოდაშვილს კი შეუძნევია შორისდებულის, მიმართვის, განკერძოებული განსაზღვრებისა და ჩართულის არსებობა ქართულში, მაგრამ შესატყვისი ტერმინები არ მოუცია (შემოკლებული ქართული ღრამმატიკა, 1830).

ქართულ გრამატიკულ ლიტერატურაში საანალიზო სიტყვებისა და გამოთქმების აღსანიშნავად გამოიყენებოდა „მცირედ დამოკიდებულნი სიტყვანი და წინადადებანი“ (თ. ჟორდანიას, 1889), „განკერძოებული წევრები წინადადებაში“ (ი. სიხარულიძე, 1937; კ. გაგუა, 1941), „განკერძოებული სიტყვები და გამოთქმები“ (ა. შანიძე, 1948), „განკერძოებული წევრები წინადადებისა; წინადადებასთან გრამატიკულად დაუკავშირებელი სიტყვა-თქმანი“ (ლ. კვაჭაძე).

„განკერძოებული“ პირველად დ. ჩუბინაშვილმა იხმარა მიმართვასთან დაკავშირებით („წოდებითი ბრუნვა იცნობების კითხვითა: ვინაო? რაო? მუდამ ჰზის ჰაზრში განკერძოებით“). რ. შამელაშვილის აზრით, იგი უნდა იყოს პეშკოვსკის „ობოსობლენნიეს“ თარგმანი. არნოლდ ჩიქობავა იყენებს „განმხოლოებულს“ (ჩიქობავა, 1952). პ. კვიციანიძე „საყურსის“ ანუ მისახმარი სიტყვების სახელწოდებით აღნიშნავს შორისდებულებს, კავშირებსა და ნაწილაკებს, ხოლო „სიმეტნეს“ უწოდებს განკერძოებულ განსაზღვრებასა და დანართს. არ. ქუთათელაძემ „შემოკლებულ განსაზღვრებით დამოკიდებულ წინადადებაში“ იგულისხმა განკერძოებული განსაზღვრება.

განვიხილავთ განკერძოებული შემასმენლის შემთხვევებს. საგულისხმოა, რომ ამ ფაქტს (შემასმენლის განკერძოებას) ყურადღება მიაქცია ლ. კვაჭაძემ, რომლის თანახმადაც, შემასმენლის, როგორც წინადადების მთავარი წევრის განკერძოება თეორიულად მოსალოდნელი არაა, მაგრამ მასაც შეიძლება ახლდეს ისეთი შემასმენელი, რომელიც განმარტავს და აზუსტებს მას (კვაჭაძე, 1996). ჩვენი

ყურადღება მიიქცია გურამ დოჩანაშვილის შემოქმედებამ, რომლის-თვისაც დამახასიათებელია განკერძოებული შემასმენლის შემთხვევები. „დაბზარული ღამე ჩუმად ჟრიალებდა და ლურჯ, დაბუქებულ ნამცეცებად იბნეოდა ჰაერში, – თენდებოდა“ (დოჩანაშვილი, 1990); „ასე სჩვეოდა – თუკი რამე ძალიან გაეხარდებოდა, თუკი ნამდვილ ბედნიერებას იგრძნობდა, იქაურობას სასწრაფოდ უნდა გასცლოდა – ეშინოდა, რაიმე რომ არ შეცვლილიყო...“ (დოჩანაშვილი, 1987).

განკერძოებული შემასმენლისაგან უნდა განვასხვავოთ განკერძოება შემასმენელთან. გურამ დოჩანაშვილთან სიტყვა ხან ჭინჭარივით გაუსხავს, ხან ალმურს გაფრქვევს, ხან გიწკრიალებს, ხანაც გიღიმის. მაგალითად, „ავად შრიალებდა ღელე და უცებ დაზრინა – სიჩუმე იდგა. უშველებელი, ერთიანი...“: ვიგრძენით, როგორ აიტაცა შიშმა, როგორ გაეყინა სისხლი ძარღვებში. ანდა: „შოორს, ვიღაცა გლეხი, უკან გადახრილი, ალბათ წყალს თუ სვამდა – უზარმაზარი მუჭი დაედო პირზე, კოკა იქნებოდა“: ვიგრძენით კოკამოყუდებული გლეხი თვალწინ როგორ აგვესვეტა. „გულიანად იკრიჭებოდა – ამდენი გამბიარულებული ადამიანის დანახვაზე პირზე ღიმილი მოსდიოდა“: გადამდებია სითბო.

დოჩანაშვილის მოთხრობებსა და „სამოსელ პირველში“ ხშირია შემთხვევა, როცა **განკერძოებულია მთელი წინადადება.** ასეთი ამხსნელ-დამაზუსტებელი წინადადებანი უმთავრესად დამატებას მიემართება, იშვიათად – ქვემდებარეს ან მთლიან წინადადებას: „მათი გულგრილობა აბნევდა – ისინი ქალაქს შეჩვეულნი იყვნენ“; „ამაყად შეხედა გოჭის თავს – საბუთივით ეჭირა ხელში“; „ეს უკვე გაზაფხულს ჰგავდა – ხალხი ჩრდილს ეტანებოდა, შუა ქუჩაში აღარავინ დადიოდა“; „ხელები მაღლა ასწია და ცხენზე მჯდარ სტუმარს პირთამდე სავსე ჯამი მოგაწოდა – რძე იყო“; „ნელა მიდიოდა ეს ოხერი წყალი – წყალი აშკარად მთრებელის მხარეზე იყო“; „მათ ფრთხილი ძილი იცოდნენ – მაშინვე თავს წამოყოფდნენ“; „ყველას ისევ იმ ყარაჩოხელმა აჯობა – ნიკოსთან მივიდა, ხელი მოჰკიდა და თავისი სუფრისაკენ წამოიყვანა“; „დომენიკომ, თუმცა ნატკენი ფეხი აწუხებდა, ქუსლი მიირტყა ქუსლზე და თავი დახარა – ამჯერად მშვენივრად ადასრულა ლამაზ-ქალაქელთა წესი, არავის გაღიმებია“.

ზოგჯერ განკერძოებული წინადადება მიზეზის გარემოებით დამოკიდებულ წინადადებას ემსგავსება. სწორედ ეს გვაფიქრები-

ნებს, რომ იქ, სადაც მთელი წინადადებაა განკერძოებული, ხომ არა გვაქვს რთული წინადადების შეკვეცილი სახე: „რამდენიმე ნაბიჯი ძალაუნებურად გადადგა, ისე ძალიან ქროდა“; „ქედს ბოლომდე ვერ მოახრევეინებ - ნამდვილი ვაჟკაცია“; „ოდნავ მოლონიერდა თითქოს, მაგრამ უეცრად შეკრთა – ხის უკან ვიღაცა იდგა“; „დასამახსოვრებელი სურათი იყო – მიხაკო დამწვარ ტუჩებს ენით ილოკავდა და უშნოდ იჯღანებოდა“; „ხმალს ხომ ვერავინ ამგერებდა – ვის გაიკარებდა შორიახლოს“; „ერთხელ დაღრიალება ყველაფერს ერჩია – ოდნავ მაინც იჯერებდა გულს“.

ც ი ა ლ ა ნ ა რ ა კ ი ძ ე

ზღვაოსნობა-თევზჭერის ტრადიციებთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ ლაზურში

ლაზეთი, საქართველოს ზღვისპირეთის სხვა კუთხეებთან შედარებით, ზღვაოსნობაში დაწინაურებული ყოფილა და, ამდენად, ლაზეთის მოსახლეობაც ზღვასთან დაკავშირებულ ყოველ საქმიანობაში იყო დახელოვნებული. ამის შესახებ ვახუშტი ბაგრატიონიც მიუთითებდა: „კაცნი არიან ხელოვანი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა დიდთა და მცირეთა“ (ვახუშტი, 1941:12).

„ზღვაოსნობა – თევზჭერის ტრადიციები ლაზეთმა (ჭანებმა) დღემდე შემოინახეს, უმლიერეს მეზღვაურთა სახელს ისინი ამჟამადაც ინარჩუნებენ“ (თანდილავა, 1972:47) და, ბუნებრივია, მეურნეობის ამ დარგთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიასაც გარკვეული ადგილი უჭირავს ლაზურ ლექსიკაში. სიტყვა ზღვა ლაზურად აღინიშნება ტერმინით *მზოღა*.

მზოღა პიჯი კი ზღვის პირი, სანაპიროა.

ტალღა ლაზურში აღინიშნება თურქული ტერმინით *დაგა* (თ.daga).

ზღვის კენჭი *ქვანჭალაა* (შდრ. აჭარ. ქალიქვა).

ზღვის ღელვის დროს ტალღის ზედაპირზე წარმოიქმნება ქაფი, რომელიც იერთებს სხვადასხვა მასას და მკვრივდება, ქვად იქცევა. ასეთ ქვას *ქვაპაჯი*-ს ანუ *მზოლაპაჯის*-ს ეძახიან ლაზები (შდრ. ქართ. ლაქვარდი).

ადრე ლაზები ნავის ნაცვლად სიტყვა *ნიში||-ნუში*-ს გამოიყენებდნენ. „ნიში მზოლაშა მენდახთუ მურუნაში ანკეცითენ“ – ნავი ზღვისკენ გაემურა ზუთხის საჭერი ანკესებით (ვანილიში, თანდილავა, 164:168). ნიში შუაგულამოდებული დიდი ხის მორია, რომელიც თავისი ფორმით ნავს ჰგავს.

ნავის უძველეს სახეობად სწორედ ერთ ხეში ამოთლილ ნავს მიიჩნევენ, რომელიც დასავლეთ საქართველოში უძველესი დროიდან ნაოსნობის ძირითადი საშუალება ყოფილა. „ერთ ხეში გამოჭრილ ცალვა – მორა ნავს უნდა დაედო საფუძველი საქართველოში ნაოსნობისათვის. გამოთქმულია მოსაზრება, რომ *ნიშა||ნუში* სახელწოდება ლაზურში უნდა მომდინარეობდეს მეგრული *ნისორიდან*-რაც გობს ნიშნავს (ბერაძე, 1981:62).

ნიშის სახესხვაობაა ჭირნილი, რომელსაც, ლაზები ძირითადად, მდინარეზე სანაოსნოდ იყენებდნენ. „ჭირნილი ძენ ჭუტა ჭელუკა (ჟღენტი, 1938:215) – ჭირნილი პატარა ნავი.

საბასთან ვხვდებით ტერმინს *ოჩხომელი*, რომელიც გვიანნი ფეოდალური ხანის ქართული საზღვაო ნავის სახელწოდება უნდა იყოს (ბერაძე, 1981:58).

ჩხომი ლაზურსა და მეგრულში თევზს ნიშნავს, ხოლო *ოჩხომელი* – სათევზაოს. ცხადია, ფეოდალურ საქართველოში სანაოსნოდ გამოყენებული ნავის სახელწოდება *ოჩხომელი* მეგრულ-ლაზურიდან მომდინარეობს.

მოგვიანებით ნავის მნიშვნელობით ლაზურში შემოვიდა ბერძნული ტერმინი *ჭელუკა*, რომელმაც ფართოდ მოიკიდა ფეხი ლაზთა მეტყველებაში. ჭელუკას პარალელურად, იშვიათად, მაგრამ მაინც ლაზები დღესაც ხმარობენ თურქულ ტერმინს *სანდალი* (თურქ. Sandalie).

თურქულია ტერმინი გემი, რომელიც ხომალდის აღმნიშვნელად იხმარება საქართველოში მე-18 საუკუნიდან და სალიტერატურო ენაშიც დამკვიდრდა. ლაზურის ზოგიერთ კილოკავშიც იხმარე-

ბა ტერმინი გემი „აერქენლი გემეფეს ოწკენან“ იალქნიან გემებს უყურებენ (კარტოზია, 1972:204).

ლაზები დიდი მოცულობის გემს ეძახიან კარავი-ს. ლაზური კარავი მოგვგაგონებს რუსულ корабль-ს, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ კარავი გვხვდება როგორც ძველ, ისე თანამედროვე ქართულ-შიც და ნიშნავს ადგილიდან ადგილზე გადასატან სადგომს.

სთუმბი – კანაფის ძენძია, რითიც ხდება ნავის ფიცრებს შორის დატოვებული სივრცეების ამოვსება. შემდეგ გარედან კუპრს წაუსვამენ. ამ პროცესს **კალაჭატი** ეწოდება. ტერმინი **კალაჭატი** საბას ლექსიკონში განმარტებულია და ნიშნავს ნავის ამგებ ხელოსანს (საბა, 1928:160).

ლაზ მთქმელთა განმარტებით კალაჭატი თვით პროცესს აღნიშნავს და არა ამ პროცესის შემსრულებელ ხელოსანს. საგულისხმოა, რომ ძველბერძნულ და თანამედროვე ბერძნულ ლექსიკონებშიც ტერმინი Kalachatie ნიშნავს დაგმანვა-ს (Дворецкий, 1958:105).

კუმენიწა – ნავის უჯრაა, სადაც საპოხავ ნივთიერებას ინახავენ. ლაზურში, საერთოდ, უჯრის აღმნიშვნელ ტერმინად იხმარება ჩექმეჯე (თურქ. çekmece-უჯრა). მაგრამ ნავთმშენებლობის ლექსიკაში ნახმარი ტერმინი კუმენიწა გვაფიქრებინებს, რომ ლაზურში უჯრის აღმნიშვნელად საერთოდ უნდა გვქონოდა ტერმინი კუმენიწა.

ლაზები საუკეთესო მეთევზეები არიან. ლაზი მეთევზე ადიდებულ ზღვას არ ერიდებოდა და დიდი რისკით გადიოდა ღია ზღვაში სარჩოს მოსაპოვებლად.

ცნობილი ლაზი სახალხო მთქმელის ხასან ჰელიმიშის თანახმად, ზღვაზე დაბადებული ლაზი გულმაგარი და უშიშარია.

დოვიბადი მზოდამ ჟინ,
ექ ბღურარე ქომიჩქინ,
შქურინა ჩქარ ვა მიღუნ,
გული კაპეტი მიღუნ.

ზღვაზე დავბადებულვარ,
ვიცი აქვე მოვკვდები
მე გული მაგარი მაქვს
სულაც არ შევშინდები.

(ჰელიმიში, 2005:26).

თევზსაჭერ ხელსაწყოდ, ძირითადად, ბადეს ხმარობდნენ, რასაც ლაზები **მოსა**-ს ეძახიან. საბასაც თევზთა შესაპყრობელ ბადეთა სახეობად მოხსენებული აქვს **მასე** (საბა, 1991:505).

მოსა ფართოდ იხმარება სხვა სიტყვა ბადის აღსანიშნავად ლაზურში არ იძებნება.

დასტურდება, რომ *მოსა* ქართული ენისთვისაც არ უნდა ყოფილიყო უცხო. გვაქვს სიტყვები *სამოსი* (სა-მოს-ი). შემოსვა (შე-მოს-ვა), რომლებშიც ძირეული *მოს* იგივეა, რაც ლაზურ-მეგრული *მოსა*.

ქართულ და ქართველურ ენებში მოსა ადრე უფრო ფართო მნიშვნელობისა უნდა ყოფილიყო: იგი აღნიშნავდა ნაქსოვს საერთოდ (თანდილავა, 1976:62-63).

მილიდა მცხაჯი ბადის საქსოვი ხელსაწყოებია.

ლაზეთში ცნობილია სათევზაო ბადეთა შემდეგი სახეები:

აპლადი ბადის ერთ-ერთი სახეობაა. ამ ბადით ზღვის ნაპირთან ახლოს იჭერდნენ თევზს. ბადე 15-20 მეტრის სიგრძისაა. იგება ზღვის ნაპირზე საღამოთი და ამოიღებენ მეორე დილას.

მეზგიითი წვრილთვალება ბადეა და პატარა თევზებს იჭერენ *მოლოზმა* სამკედლიანი ბადეა; შუა ბადე წვრილთვალებაა, ხოლო გარეთა ბადე – უფრო მსხვილთვალება და მას „ფაინა“-ს ეძახიან.

გირგირი ყველაზე დიდი მოცულობის ბადეა.

მოსა ოტკომილეში სასროლი ბადეა. თევზის დასაჭერად ერთ-ერთი ყველაზე მოხერხებული ბადეთაგანია და ფართოდ არის გავრცელებული როგორც საქართველოში, ისე მსოფლიოს სხვა ხალხებში. სამეგრელოში მას ოთამალი ბადე ეწოდება, ხოლო საქართველოს სხვა კუთხეებში საგდები ბადეც ჰქვია.

პარაპათი დიდი სათრეველა ბადეა. მას შუა ნაწილი ჩადრმავებული აქვს ტომრისებურად, რასაც ლაზები *კუკუნი*-ს ეძახიან.

კამანგი ჭვილთია (შდრ. ჩქიფი) კამანგით უმეტესად ღამით თევზაობენ. თევზაობისას იყენებენ *ფაკლას* (მაშხალას). მძინარე თევზი კარგად ჩანს სინათლეზე. კამანგი ფრთხილად მიაქვთ თევზთან ახლოს და კრავენ.

ლაზური კამანგი დიდი ზომისაა. იგი სამზე მეტწახნაგოვანიცაა.

ჭინო თევზის საჭერი საშუალებაა. მას მეორე სახელწოდებაც შეარქვეს ლაზებმა – *ოსარგანე*, რადგანაც ჭინოთი იჭერდნენ, ძირითადად. სარგანა-ს (ნემსა-ს) ჭინო შედგება სამი ნაწილისაგან: *თუდენი* (ქვედა) – საძირე; იგი დაახლოებით სამმეტრიანი მსხვილი თხი-

ლის ჯოხია; მეორე *შქაში (შუა)*, მესამე – დოულიში (თავი). ეს უკანასკნელი ტყემლის ხის, დაახლოებით, ერთმეტრიანი ნორჩი შტოა. სამივე ნაწილი ერთმანეთზეა დამაგრებული წვრილი მაგარი თოკით. ამრიგად შეკრული ჭინო დრეკადია და მასზე 9-12 ხოლის (მხარის) სიგრძის მსხვილი ძაფი – *ტონო*-ა დამაგრებული. ტონოზე მიბმულია *ტკომილა* (ცერისა და საჩვენებელი თითის სიგრძე შემოხვეული აბრეშუმის ძაფი ერთი სანტიმეტრის სიგრძისა).

ლესა გოდრისებური ხელსაწყოა, რომლითაც მდინარეში თევზს იჭერენ. *ქულეხი||ხოლეხი* მდინარეში თევზის საჭერი ბადეა. რკალისებურად, ნახევარწრედ მოღუნულ ჯოხის ბოლოზე გაჭიმულ თოკზე ამოდგმულია პატარა ბადე. აჭარულში გვხვდება ხოლის ხის სახელწოდებით. ასეთ ბადეს გურიაში *კალბადეს* უწოდებენ, ხოლო ქართლსა და ქიზიყში აჭარულის მსგავსად, ცნობილია *ხოლიხი||ხოლეხის* სახელწოდებით (ღლონტი, 1975:378).

როგორც ჩანს, ლაზთა ზღვაოსნობის ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად, ლაზურში გვხვდება სხვა ენებიდან ნასესხები ტერმინებიც. (*დაგა, ფელუკა, სანდალი, კალაფატი* და სხვ.). მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სახელწოდებების სხვა ენებიდან სესხება ზღვაოსნობაში მართო ქართველურ ენათათვის არ არის დამახასიათებელი. მსოფლიოს მრავალი ხალხის ენაში ზღვაოსნობის ტერმინთა დიდი ნაწილი არის შესული იმ ხალხის ენებიდან, რომლებიც ამა თუ იმ ეპოქაში ზღვაოსნობაში იყვნენ დაწინაურებული.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერაძე, 1981 – თ. ბერაძე, „ზღვაოსნობა ძველ საქართველოში“, თბილისი;

ვანილიში, თანდილავა, 1964 – მ. ვანილიში, თანდილავა, ლაზეთი“, თბილისი;

ვახუშტი, 1941 – ვახუშტი „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, თბილისი;

თანდილავა, 1972 – ზ. თანდილავა, „ლაზური ხალხური პოეზია“, ბათუმი;

კარტოზია, 1972 – გ. კარტოზია, „ლაზური ტექსტები“, I, თბილისი;

ჟღენტი, 1948 – ს. ჟღენტი, ჭანური ტექსტები, ტფილისი;
საბა, 1938 – სულხან საბა ორბელიანი, „ქართული ლექსიკონი“, ტფილისი;
ღლონტი, 1975 – ალ. ღლონტი, ქართული კილო-თქმათა სიტყვის კონა, II, თბილისი.
ჰელიმიში, 2005 – ხ. ჰელიმიში, „ბირაფაფე“, ბათუმი;
Дворецкий, 1958 – И. Дворецкий. Древнегреческо-русский словарь т. I-II, Москва.

ნ ა ნ უ ლ ი ნ ო დ ა ი დ ე ლ ი

სათუთა და დედიფერა (მასალები რძისა და რძის ნაწარმის დამზადების ლექსიკიდან ზემო აჭარაში)

„სათუთა“ და „დედიფერა“ ასეთი ალერსით მიმართავენ ზემო აჭარაში მეწველ საქონელს და ამით გამოხატავენ თავიანთ მადლიერებას და სიყვარულს ოჯახის მარჩენალი ამ არსებების მიმართ. გარდა ამისა, მეწველ საქონელს ეძახიან: **ბუჯერას, გათენას, თვარიას, კაკაბას, კეთილას, ნარინჯას, სანათას, შველიას, ძოწენას** და სხვ. პირუტყვისადმი ამგვარი დამოკიდებულების მაჩვენებელია ისიც, რომ საქონელს „**საჭმელს მიაართმევენ**“. პატარა ასაკში ხბოს „**პატივს ეცემიან და ხბოც აიზრდება**“; მეწველ საქონელს მოფერებით დედას და გოგოს უწოდებენ და საკვების მიცემისას მიეფერებიან, მიუსაყვარლებენ: „**მოდო, დედავ, მოდო, გოგოვ, გენაცვალო**“. მოწველისას კი მწველავი მიუმღერებს, მიუნანიებს.

მესაქონლეობა ძველთაგანვე მაღალმთიანი აჭარის მეურნეობის ერთ-ერთი ძირითადი და წამყვანი დარგია. შესაბამისად, რძესა და რძის პროდუქტებს, აჭარის საოჯახო ეკონომიკაში, ისევე, როგორც საქართველოს სხვა მთიან რეგიონებში, წამყვანი ადგილი ეჭირა. ნაშრომში წარმოდგენილია რძესა და რძის პროდუქტების დამზადებასთან დაკავშირებული ლექსიკური მასალა, რომელიც ნა-

თლად წარმოაჩენს სამეურნეო ყოფის ამ დარგის უმდიდრეს ლექსიკას:

ძროხა რომ **ხბოს**, **ხპოს** იშოვს და პირველად მოიწველის, ის რძე ხსენია. ხსენს პირველად ხბოს გამოაწოვინებენ – **კარგი ხპო დადგებაო**, ან მოწველიან და **გადააქცევენ** (გადაასხამენ). შემდეგ ჯერებს მოწველიან, ცოტა ფქვილს **ამოუკიდებენ**, **ამოკრავენ**, კეცზე დაასხამენ და ქაბაბივით შეწვავენ ან გააცხელებენ, გაწურავენ, გააკეთებენ **ფუნჩხას** და სჭამენ.

რძეს ამუშავებენ და ინახავენ სარძიებში – **საოხდურეში**. მას კიდევ უწოდებენ: **მარანს**, **ქილერს**. სარძიე თითქმის ყველა საცხოვრებელ სახლს ჰქონდა, ანდა **მუთვალში** (სამზად ოთახში) მას ცალკე კუთხე ჰქონდა მიჩენილი.

ზემო აჭარაში გვიან გაზაფხულიდან იჭერენ მთაში წასვლის თადარიგს. 7 მაისი გაივლის თუ არა, **მემთევრე**, უმეტესად ოჯახის დიასახლისი, **გაიბარგება** კიდევ მთაში. რძის ნაწარმის დამზადება, ძირითადად, მთაში ხდება. მთაში, საძოვრებზე მიჰყავთ საქონელი თავის ნამატთან ერთად. მთაში ერთმა მემთევრემ შეიძლება რამდენიმე ოჯახის საქონელი წაიყვანოს. ეს საქონელი **ამზარებიისაა**. მათ ცალკე წველიან, ნაწველს ცალკე ამუშავებენ და ნამზადსაც ცალკე ინახავენ.

ძროხებს წველიან ორჯერ: დილით და საღამოს. დილით ადრე ახორში **ბაგას** ამოასუფთაებენ, **ნაბაგას|ნამარხელას|ნაფერჩხს|ფაჩხუმს** გადაყრიან და ახორს დახვეტენ. ნეხვს თოხით ჩახვეტენ **სანაწყალში**, **სანარწყალში** და ნიჩბით გადაყრიან სანათურში. ძროხას სველი ტილოთი გამოუსუფთაებენ ან წყლით ჩამობანენ **ძუძუღერებს**, **ცურნეს**. მერე ძროხასთან მიიყვანენ ხბოს და **მოაგენებენ** – **მოაგანურებენ|მოაგანვებენ|მონანაგუებენ** – ძუძუს მოაწოვებენ. ცოტას რომ მოწოვს ხბო, დააბამენ დედის წინ და დაიწყებენ წველას, **ჩამოწველიან**. ძროხა **ლოკავს|ტლაკავს**, ეხუტება ხბოს და **ჩამოყრის** რძეს.**ძუძუღე ჩამდერებს კარდალში**.

ზოგ ძროხას არ ყავს ხბო. ასეთ ძროხას **ნარცხს**, **ლაფს** დაუდგამენ და ისე მოწველიან, ზოგი „**უხპოვროდაც**“ მოგაწველინებს, თუ არა და დაბორკავდნენ და ისე მოწველიდნენ. ზოგი ძროხა **ტლინკავაია|წრიხალი** – **ფიცხი|ნაჩარი** ძროხაა. ასეთ ძროხას მოფერება უნდა, თორემ **აიკრეფს** და „**ღარ მოგცემს ძეს**“. ძროხა რომ **რძის მალვას**

იწყებს ან შრება და ცოტას იწველება, ამბობენ, **წვენტავს|იწკინტე-ბა|აწკაპუნებსო.**

ძროხას წველიან ორივე ხელის თითებით ან მუშტებით|**მჯი-ღებით.** არის **შუათითურა** წველაც. წველას რომ დაამთავრებენ, რძის ჭურჭელს **სათვალით** აიტანენ სარძიეში, ძროხებს კი სამოვარზე გა-უშვებენ – **გაამებენ.** შემდეგ მიხედავენ რძეს – „**რძეს სამსახური უნ-და!**“ რძეს გაწურავენ **საწურში** ან **სუზგში** და შემდეგ გადაამუშავენ **ძიმაშინაში, სეფერატორში.** სალამოს ნაწველს გაწურავენ და სუფთად შეინახავენ. დილით ნაწველს **მიუტოლებენ** და ისე **გამობდიან.** უწინ ძიმაშინა რომ არ ჰქონდათ, თბილ, **უმ რძეს** დაასხამდნენ **გობზე, კა-რავანაზე.** ოჯახს 9-10 გობი ჰქონდა. რძე თუ ცოტა იყო, **ხელგობსაც** (პატარა ზომის გობი) იყენებდნენ.

გობებს დადგამდნენ, **გააწკაპებდნენ** სარძიეს **თაროზე–ქანდა-რაზე|დანდალაზე.** რძე გობზე შემჟავდება, **თავს|ძითავს|ძინალებას-ქერეჭსავით** (ქერქვით) მოიცვამს. ესაა **კამაღი,კამაღს მოხდიან** და **მოჭუჭკავენ|მომამცრევენ კოთხოში, კაპიწში, ჩოლმეხში** ან **კასრში.** მოგროვებული კამაღისგან გააკეთებენ **აღს|კარაქს.** კამაღს დაას-ხამენ დიდ გობზე და ხანგრძლივად ურევენ ხელით ან **მორეკა-ვენ|მორაქავენ ციცხვით.** მორეკვისას თანდათან გამოეყოფა ერთმა-ნეთს სითხე და **აღი.** კარაქის პირველი პატარა მარცვლები რომ გა-ჩნდება სითხეში, **აღი მოდის, დაიწიწილაო,**– იტყვიან. შემდეგ ეს „წიწილები“ შეერთდება, **მოკურკუტდება, აღმდება** და **მოგორდება.** ააღს ამოიღებენ გობიდან და რამდენჯერმე კარგად გარეცხავენ, თან ხელით ზეღენ. რეცხავენ სანამ **წნე წყალი** არ გადინდება, წვენი არ **გაუწმინდდება.** გარეცხილ ააღს მარილს შეაზეღენ. მარილით ზომა-ზე შეზავებული ააღიდან **გოროხებს|კვერებს|კოკვებს** გააკეთებენ. ააღის გოროხები კარგად რომ დაიწურება **შრატისაგან, ჩატკებნი-ან|ჩაქელავენ** ჭურჭელში. გვარდაში ან კასრში. კამაღისაგან ააღს **ვარიაშიც** აკეთებენ. ვარია ცაცხვის ან თელის ხისგან გაკეთებული სა-დღვებელია. გრძლად მოჭრილ ხეს გული აქვს **გამოხვეწილი|გამოხა-პიწული** და **ღრუიანია.** თავი და ბოლო **გამომწინებული** აქვს. აქვს **პი-რი|თვალი,** საიდანაც ვარიაში ისხმება კამაღი. პირზე ეხურება **ბოლკო.** ვარია შეიძლება დაამზადონ ფიცრებითაც. ვარია ჩამოკიდე-ბულია **თავანში** თოკებით. ააღს **რეკავს** ორი ადამიანი. ხანდახან ბოლკოს ამოაძრობენ და ვარიის თვალში ჩახედავენ. კამაღს ჯერ

გამოაყრის, შემდეგ **ალომდება**, გააქან-გამოაქანებენ, **მოვა ძალი**, დაიწერება – **ლომიჩხასავით** გახდება, **დაგორგვალდება**. შემდეგ **კამაძლი დაიძინებს** – აღარ გაექანება. გააგრძელებენ დღევბას. ცოტა ხანში **კამაძლი ამოიღებს ხმას**, გაწყალდება – ერთმანეთს **გამოუორიდება**– გამოეყოფა **დო** და **ძალი**. კიდევ მოუქანებენ ვარიას თავს. კარაქი **შეგორგვალდება** – დიდი **გუნთები** გახდება. **დოს|ნარეკას** გადმოსახამენ, ძალს გობზე ამოიღებენ და კარგად გარეცხავენ. გარეცხილ ძალს **მოჭაჭვილ** მარილს ჩააყრიან, კარგად შეაზელენ და ჩადებენ ჭურჭელში.

ძალს, ვარიის გარდა, რეკავენ **ბულულისას** და **ვარელაშიც**. ბულულია თიხის მოზრდილი ქოთანია, რომელშიც მოთავსებულია ბოლოში სარეკელიანი მსხვილი ჯოხი – **გეზი**, რითიც ირეკება ძალი. **ვარელა** კი მცირე ზომის ვარიაა. ძალს **ამცვრევენ**. ჭურჭელი რომ აივსება, ძალს კარგად **ჩააგლესენ**, თავს მოუსწორებენ და ზევიდან **დაჭიჭინავენ|დაამჭრელებენ**: ძალის მოსწორებულ ზედაპირს მოხატავენ. დაახურავენ თავს კარგად და ასე შეინახავენ. ძალს – კარაქს თუ სიმწარე შეეპარა, **ამწვაგდა**, გადაადნობენ და მიიღებენ ერბოს – **გადაბალასებულ ძალს**. მას **ჭინჭინასაც** უწოდებენ.

კამაძლიდან ძალის დამზადების შემდეგ რჩება სითხე–**ნარეკა|ნარეკა|ნაჟღერთა|ნაჟღერთა**. რადგანაც ვარიას ძლიერად აქანებენ – **აჟღართუნებენ**.

ნარეკას ჩაასხამენ ჭურჭელში და შედგამენ ნელ ცეცხლზე. ნარეკა ნელ-ნელა გაცხელდება, **მოჟრება** და **წამოიქაფებს**. მოჟრევენ კოვზით. რომ ადულდება, ცალი მხრით მიუდგამენ ცეცხლს. ნარეკას **ქაფი წამოაწვება**, **ჩაქარდება|ჩაინამირებს|დაილეკებს** და მოდულდება – ქვეშ **გაიგდება დოს**, ზევიდან მოიშრატება. გააცივებენ, ჩაასხამენ **ჩახვში**, დაკიდებენ და გაიწურება. გამოვა **დო**. დარჩება შრატის – **წურუქა**. წურუქას ჩომას|ბოხრიკს–საქონელს დააღვინებენ.

ძალს ამზადებენ მაწვნითაც. მაწვნისთვის რძეს აადულებენ და ოდნავ რომ შეგრილდება, **მოცხელაო|ჯინჯიხი** რომ იქნება, **მისცემენ დედოს|ძირს|მაიას**, შეფუთავენ და რამდენიმე ხანში **შედგება** მაწონი. თუ რძე ცხელია ან ზომამზე მეტი **მაია მისცეს**, მაწონი **აიშრატება|აწყალდება** და ამჟავდება. მჟავე მაწონი **ალაპარაკდება**, **აჭიჭინდება**. მაწონს ვარიაში შერეკავენ. **მორეკვისას** მაწონს **ტამარი|ძარღვი შეატყდება**, გაერჩევა **დო** და **ძალი**, **მოგუნთავდება**. ძალს ამოიღებენ,

გარეცხავენ და შეინახავენ. მაწვნის მორეკვის შემდეგ რჩება **აირანი**. თუ ბევრი აირანი მოგროვდება, **მოაჟრობენ**, გაწურავენ და მიიღებენ **ნადულ დოს|ჩოროთანს**.

რძისგან ამზადებენ სხვადასხვა სახის ყველს. თავმოხდილ ან გამოხდილ რძეს გააცხელებენ და **ჩაკვეთავენ**: რძეში ჩაასხამენ *კვეთს*. ცოტა ხანში რძე **მოიყველება** – შედგება. მოურევენ ციცხვით. თუ რძე ციცხვზე დაეხვია, უკვე **მოსულია** და შეიძლება **ყველის ამოღება**. ყველს ხელით **მოჭუჭკავენ** და **სუზგში** ჩადებენ. ყველს გადინდება შრატი. ყველს თავიდან მოზელენ ციცხვით და ჩაადებენ შრატში. ცოტა ხანში ისევ ამოიღებენ და კიდევ შეზელენ. ასე **ხელავენ** ოთხ–ხუთჯერ, რომ ყველმა დრეკადობა შეიძინოს, **გაწიაპდეს**, გაიწელოს და **ხასი** გახდეს. ბოლოს ყველს ამოიღებენ, **გააწიაპებენ** და ხელზე მოგრებენ. მოგრებილ ყველს გააბრტყელებენ ლავაშივით და გამოზადებულ **ლავაშს** ჩადებენ ჭურჭელში. ესაა **ჩლეჩილა ყველი**. ერთი ლავაში ერთი **ხელეფრა ყველია**. ამოღებულ ყველს **წნავენ|და-თხზნიან** კიდევ და დააწნილ|დათხზნულ ყველს ამზადებენ. ყველს აყრიან მარილს. მარილი ამაგრებს და ინახავს ყველს. ბევრი მარილიც არ ვარგა – ყველს ძალიან გაამაგრებს, **მოკერტავს**. ყველს ინახავენ **დერგში** ან **ნიგაში** და ასხამენ წათხს. **წათხი** მარილწყალია. გამოხდილი რძე შეიძლება, არც გააცხელონ, გობზე დასხმულ რძეს დატოვებენ სარძიეში. რძე თავისით **მოიდედება**. შემჟავებულ რძეს ამოასხამენ ტაფაზე, გააცხელებენ და თუ **შრატი** და **საყველე** გამოეყო ერთმანეთს, ამოიღებენ ყველს. საერთოდ, თავმოხდილ რძეს კვეთი არ უნდა. თუ რძე ტკბილია ან თუ **ითავაზა – მოსვლა დააგვიანა**, მაშინ ჩაამატებენ და კვეთს. რძე **შეყენდება** და ყველს ხელით ამოიღებენ.

ყველი ამოღების დროს ხშირად უფუჭდებათ – **ჩლეჩილა** არ კეთდება, **დაბერებული|ფუნჩხაა**. ასეთი ყველი არ იგრიხება, **ფუშკურო|ფუშტურო**, **ფშნილაა|სასრება|გორჯოლო** ყველია. ასეთ ყველს გუნდად ამოიღებენ და შეინახავენ. მისგან ამზადებენ მოშუშვილ ყველსაც. ფუშკურო ყველს მოაგროვებენ, გობზე დაფშვნიან, დაბურავენ (შეახვევენ) და დადგამენ სითბოში. სითბოში ყველი ჩაშუშდება. ასე შემზადებულ ყველს ქვაბით შედგამენ ცეცხლზე, დაასხამენ მდუღარე წყალს, ჩაამატებენ ნალებს, მარილს და დიდხანს ადუღებენ, თან ციცხვით ურევენ. კარგად რომ ჩადულდება, გაკეთდება მო-

შუშვილი ყველი. თბილ მოშუშვილ ყველს ჩაასხამენ გვარდაში ან ქილეკში და შეინახავენ.

ყველის ამოყვანისას იციან ბავშვებისათვის პატარა ყველის – **ყველიკვერას|ყველჭიპას** გაკეთება. იშვიათად ამზადებენ **აღიან ყველსაც**: გამოუხდელ რძეს გაწურავენ, შეათბობენ და **ჩაქნიან|ჩაკვეთავენ** – მაიას მიცემენ და ცეცხლთან მოათბობენ. რძე **მოდედდება** – გაერჩევა შრატი და **ხინჭი**. ხინჭს ხელით **ასტეხენ|აფცქნიან** – მოურევენ. ხინჭი ჩაინამირებს. ჩანამირებულს ნელ-ნელა ხელით **მოაგორებენ** – **მოაგორგვალებენ|**მოგუნთავენ და **თეხიაზე|კოფარაზე** დადებენ, თან მარილს დააყრიან. ერთ დღეს ასე გააჩერებენ. ყველი დაიწურება და ჩადებენ წათხში. ასეთ ყველს თუ ბევრი შრატი შეყვა, **ფუმფურუჭი** ყველი იქნება.

რძიდან ყველის ამოღების შემდეგ დარჩება **ჩოროთანი**. ჩოროთნიდან, როგორც ნარეკადან, ამზადებენ დოს. ესაა **მშრალი დო,წუთხედო**. დოთი ამზადებენ **ყურუთს**. ნადულ დოს იშვიათად იყენებენ ყურუთისათვის. ის შედარებით უფრო მჟავია. ყურუთს ამზადებენ შემდეგნაირად: დაწვავენ ბლომად ააღს, მოხრაკავენ შიგ სიმინდის ფქვილს, შეაზელენ დოს და **გაყურუთავენ** (მოგრძო კვერებს გააკეთებენ). ყურუთს სხვაგვარადაც ამზადებენ: კამაღიდან გააკეთებენ ხავიწს: ადუღებულ კამაღში ჩაყრიან სიმინდის ფქვილს და მოშუშავენ. შემდეგ დაასხამენ ადუღებულ რძეს, შეაზელენ დოში, გააგრილებენ და ხელით **დააგორგვალებენ** – მოგრძო ფორმის კვერებს გააკეთებენ.

გამზადებულ ყურუთს ქარსაქროლ ადგილზე დააწყობენ და გაახმობენ. ყურუთის მზისგულზე გახმობა არ შეიძლება – **მზე ყურუთს ააღს აართმევს** და **სულიც აუვარდება**. ყურუთი მზეში დასკდება და უცხად მოიხაპრება. გამხმარი ყურუთი დიდხანს შეინახება. არის **რძიანი ყურუთიც**: რძეს ადუღებენ განახევრებამდე, ჩაყრიან მასში სიმინდის ფქვილს და კარგად ჩახარშავენ. **ძიფიაში** ჩაამატებენ დოს, კამაღს; შეზელენ კარგად, გააგრილებენ და გააკეთებენ ყურუთს.

ამ ერთი დარგის ამსახველი ლექსიკური მასალიდან კარგად ჩანს, რა მდიდარი და მრავალფეროვანია აჭარული დიალექტის ლექსიკა. ნაშრომში წარმოდგენილი ლექსიკური ერთეულები მრავალმხრივაა საინტერესო. მათ ნაწილს სათავეები ძველსა თუ საშუა-

ლო ქართულში აქვთ; მაგალითად: **ბაგა, გაძება, გვარდა, კაპიწი, კინთი, უხდური, ციცხვი, წნე, ხსენი** და სხვ. საყურადღებოა სიტყვათა ის ნაწილიც, რომელიც ამ რეგიონში ფიქსირდება და ნაკლებადაა ცნობილი სამეცნიერო ლიტერატურისათვის; მაგ.: **გალენტქვა, დაწიწილება, მოკერტვა, სასრება, ფუნჩხა, ფშნილაჲ, ყველიკვერა, ჩოლმეხი, ჯინჯიხი, წუთხედო, ჭინჭიხა, ხელევრა ყველი** და სხვ. რძისა და რძის ნაწარმის დამზადების ზემოაჭარულ ლექსიკაში გამოიყოფა საინტერესო გამოთქმები, რომლებიც ხატოვნად ასახავენ იმ შრომატევად სამუშაოს, რაც ამ დარგთანაა დაკავშირებული, მაგ.: **რძეს სამსახური უნდა, რძის დაბერება, რძის ჩამოყრა, ჩამღერებს ძუძუ კარდალში, ძუძუები მღერიან** და ა.შ.

ნიკოლოზ ოთინაშვილი

დიალექტოლოგიური მასალები შიდა ქართლიდან – სოფელი ყელქცეული

სოფელი მდებარეობს შიდა ქართლის დასავლეთ ნაწილში, ცხინვალიდან მდინარე დიდი ლიახვის მარჯვენა ნაპირიდან დატანილი „დიდრუს“ მარცხენა მხარეს, რომელიც როგორც სოფლის, ისე სხვა დასახლებული პუნქტების მამულების მრწყველი არტერია იყო. ვახუშტი ბაგრატიონის შრომას დართული სოფლების სიაში აღნიშნულია (ვ. ბაგრატიონი 1997, 207). სწავლულის მიერ შედგენილ რუკაზე სოფელი დატანილია ჯვრის ნიშნით (ვ. ბაგრატიონი 1745). იოანე ბაგრატიონის შრომაში სოფელი მოხსენებულია როგორც „მოსახლე“ (ი. ბაგრატიონი 1986, 41).

სოფლის შესახებ, რომელიც მთელი რიგი მოვლენებით ხასიათდება, მნიშვნელოვანი წყაროა 1818 წლის კამერალური აღწერა (ი. ალიმბარაშვილი 2021, 476, 477). როგორც ნაშრომშია მოცემული, XIX საუკუნის 20-იან წლებში სოფლის მცხოვრებლები სხვადასხვა მხრიდან არიან მოსულები. მათ შორის აღსანიშნავია თავადები, აზნაურები, მებატონეები, გლეხები. აღწერაში დასახელებული არიან თავა-

დები გიორგი აბაშიძე, ლევან აბაშიძე, ქაიხოსრო აბაშიძე, დიასამიძე, მაჩაბელი, რუსაშვილი, ხერხეულიძე.

როგორც ზემოხსენებული წყარო მოგვითხრობს: „აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი, ამათ ერთობასა შინა აქუნდათ მამულნი იმერეთსა და ქართლსა შინა და შემდგომად განყოფისა სამეფოსა ერთი მძა იქით და ერთი აქათ დაშთენენ, ვითარცა აჩენს მამულნი და სიგელნი მათნი“... (ვ. ბაგრატიონი 1997, 25). როგორც დამატებითი წყაროები მოგვითხრობენ, ზემოაღნიშნული გვარის წარმომადგენლებს როგორც ფრონეს, ისე დიდი ლიახვის ხეობის სოფლებში ჰქონდათ მამულები და ჰყავდათ ყმებიც.

ხსენებულ კამერალურ აღწერებზე დაკვირვება იმის საფუძველს იძლევა, რომ დავადგინოთ წინამორბედთა შემდგომ ვინ დარჩა და რომელი გვარის წარმომადგენლები უკვე აღარ არიან სოფელში. სოფელში აღარ ჩანან: აბაშიძე, ფალავანდიშვილი და ამირეჯიბი, მაგრამ ტოპონიმიკაში სხვადასხვა ფორმით არის შემონახული მათი ცხოვრების ნაკვალევი.

ესტატე აბაშიძის ნაკვეთები სოფლის ჩრდილოეთით ერთი კილომეტრის დაცილებით არის ოთხი ჰექტარი, რომელიც მერე სოფლელებზე განაწილდა. ლევან აბაშიძის მამული სამი ჰექტარი ისიც ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეზეა, რომელიც ასევე განაწილებულია.

ამ სოფელში მფლობელობა ჰქონდა დიასამიძეს, რომლის სახელის მიხედვით არის ბაღი ონიანთ (ონიაშვილი) უბანში და ეს უკანასკნელი გვარის ადამიანების საკუთრებაა.

აღწერაში ბეჟან ფავლენიშვილი მოხსენებულია როგორც მებატონე, რომელსაც ასევე ჰქონდა მფლობელობა სოფელში. დოკუმენტი შემონახულია, სადაც კათალიკოსი ანტონი წერს: „ჩვენ დია კარგად ვიცით, რომ თქვენ დიდის გუარისგან ხართ გამოსულნი და ფავნისიდან მანდ ერედვს გასულნი და დასახლებულნი და სასაფლაოდ როგორ მოგცემიათ ნიქოზის ეკლესია ან ნიქოზის ეკლესიის ყმათ თქვენი რა სდებიათ (ს. კაკაბაძე 1920). როგორც სოფელში ჩაწერილი მასალები გვიდასტურებს, ფავლენიშვილებს დიდი მამულები სჭერიათ სოფელში და ცხოვრობდნენ როგორც ყელქეცულში, ისე ნიქოზში. ამ ბოლო სოფლის ეკლესიაში არის მათი სამკვალეები, რომელიც საინტერესოა ისტორიული თვალსაზრისით.

დღეს სოფელში აღარ სახლობენ კუტიაშვილი, რუსაშვილი, შუახიშვილი, ხროკელაშვილი, ხვედელიძე, ხერხეულიძე, ყაზაშვილი.

როგორც ზემოხსენებული აღწერის ბოლოს შენიშვნაში აღნიშნულია, სოფელში გაჩენილა ეპიდემია და ადამიანები გარდაცვლილან, ზოგი კი სხვა სოფლებში გადასახლებულა (აღწერა, 480).

ჩანს, ერთ-ერთი მიზეზი სოფლის განახევრებისა ეპიდემია ყოფილა და შემდგომ სხვა მხარეებიდან მოსულა მოსახლეობა და სოფელიც ამ გზით უფრო გაზრდილა. სოფელში სახლობს გვარი გამგებელი 70 კომლი. ამათი თავდაპირველი გვარი გამცემლიძე ყოფილა, რომლის შესახებ კარგად იციან სოფელში, გვარი პირველს ამათ წინაპარს გადაუკეთებია და მერე სხვებმაც ასე გააკეთეს. ამ გვარის შტოგვარებია:

გიგლიაანი – გიგლაანთი, რაც აღნიშნავს კრებითობას და კუთვნილებას.

ზაქაროანი – ზაქაროანთი.

საჩინოანი – საჩინოანთი.

გულაანი – გულაანთი.

ტატოანი – ტატოანთი.

კვადინიძე სახლობდა დიდი ღიახვის ხეობის სოფელ ანძისში, უცხოტომელთა ხშირი თავდასხმების გამო დატოვეს მშობლიური ადგილები. ჯერ სოფელ დგვრისში ჩამოვიდნენ, სადაც ეხლაც სახლობენ და ერთი მათი წინაპარი ფრონეს ხეობის სოფელ ძლევიჯვარში დასახლდა, შემდეგ კი ყელქცეულში წოწოლაანთ ქალს (წოწოლაშვილი) დაადგა ზედსიძედ და ამჟამად სულ ხუთი ოჯახია.

პირველი, ვინც ჩამოვიდა, იყო ბესო და მათი შტოგვარია

ბესაანი – ბესაანთი

ნიკოლოზაანი – ნიკოლოზაანთი, ასევე ეტყვიან ნიკოლაანი.

წვეელიძის წინაპარმა თავისი აზნაური მოკლა და როცა სოფელს შემოეხიზნა შეარქვეს წვეელიძე, ხანაც იწერებიან წაველიძედ, ამათი შტოგვარებია:

წაველიძიანი – წაველიძიანთი,

შაქარაანი – შაქარაანთი,

ცუკაანი – ცუკაანთი.

ონიაშვილები არიან ერთი უბანი – ონიანთი – ონიანთი. როგორც ამ გვარის ადამიანები გვაცნობებენ მათი თავდაპირველი გვარია გამყრელიძე და სოფელში როცა რამდენიმე ოჯახი ჩამოვიდა დაეწერნენ ონიაშვილებად. ამ გვარის ოჯახები სულ 25 კომლია.

სოფელში ჩიტაძეთა ათამდე ოჯახია, სოფლის ცენტრში მათი შტოგვარებია:

გიორგანთი – გიორგანთი,
დავითაანთი – დავითაანთი,
ნინიაანთი – ნინიაანთი,
შიოაანთი – შიოაანთი.

ბეროზაშვილები ცოტანი არიან, დაახლოებით 5 ოჯახი, რომელთა შტოგვარებია:

ბეროზაანთი – ბეროზაანთი,
ანდრეანთი – ანდრეანთი,
მიხაანთი – მიხაანთი.

სამხარაძე მოსულია შროშიდან და სულ 12 ოჯახია. ჩხეიძე 4 ოჯახი. გობეჯიშვილი მოსულია რაჭიდან – 10 ოჯახია. მაღალაძე და ოთინაშვილი დიდი ღიახვის ხეობის სოფელ ქემერტიდან – 3 ოჯახი. წოწოლაშვილი ერთ-ერთი პირველი მოსულა და სულ 5 ოჯახია. დღეისთვის სოფელში აღარ სახლობენ: ტალახაძე, ელიზბარაშვილი, ბლიაძე, ჩიტაშვილი, ჯავახი, ციცილაშვილი, მეტრეველი, ბედიანიძე...

სოფლის ტოპონიმები და ანთროპონიმები რამდენიმე განსხვავებას გვიჩვენებენ, რაც შეიძლება მიზეზი იყოს, რომ აქ მოსახლეობა სხვადასხვა კუთხეებიდან არის მოსული, მაგრამ ამავე დროს შიდა ქართლის მეტყველება მაინც გადამწყვეტია.

სოფლის მეტყველებაში შეიძლება რომელიმე ბგერა დაიკარგოს, ხმოვანი ან თანხმოვანი, ან შეიძლება განვითარდეს.

სოფლის ჩრდილოეთით არის სახნავი ადგილი ყვავი(ს) საყდარა, აქ ს მეტყველებაში ხან ისმის, ხან არა.

აქვე არის ნაცარგორა, რომელიც ცნობილი ცხინვალის ნაცარგორის არქეოლოგიური გათხრების სამხრეთით მდებარეობს. ადგილობრივ მეტყველებაში ასევე გვხვდება „ნაცრიგორა“.

ტყი(ს) გზა, რომელიც ჩრდილოეთიდან სოფელში შემოდის და, ადრე ცნობილი იყო დიდი მუხის ტყეებით, რომელიც მერე მოა-

ხალშენებმა გაჩეხეს. ასევე ჩრდილოეთით არის ადგილი, რომელსაც ეწოდება „საწნახლები“/ „საწნახები“, აქ ლ ჩავარდნილია, რაც ქართლურში ჩვეულებრივი მოვლენაა. ხვნის დროს აქუხვად ამოდიოდა ქვევრის ნატეხები, სხვა ნივთები, რომელთა შესახებ ხალხში დარჩენილია გადმოცემა, რომ უწინდელი სოფელი მათ შორის თავადების საცხოვრებელი ადგილები, სწორედ აქ ყოფილა. თავადების ნაკვეთები ათ ჰექტარს აღწევს.

აბაშიძეების ნაკვეთები სულ არის ოთხი ჰექტარი.

სოფლის აღმოსავლეთით სოფელ შინდისთან არის ფართობები, რომელსაც ფუტურულები ეწოდებათ. აქვე არის წოწოლაანთ ნაკვეთები და სასაფლაო. სოფლის სამხრეთით არის ბრეთის გზა, რომელიც ასევე დასავლეთით დვანის ფრონესაკენ მიემართება. აქვეა ტყემლი(ს) მიწები, რომელიც 40 ჰექტარია. ნათხარები არის 40 ჰექტარი, რაც (თიხა) გამოიყენებოდა სახლების ასაშენებლად.

სოფელში ასევე გვხვდება მთელი რიგი მამულების სახელები, რომლებიც შემორჩენილია ძველი გვარებიდან, ესენია:

მაჩაბლისეული – სახნავი, აწ უკვე ხილიანი ბაღი, რომელიც მოსახლეობაზე არის განაწილებული.

რუსაანთ ბაღი, აქ უცხოვრია აზნაურ რუსაშვილს და მათ გვარის მიხედვით გვხვდება ეს სახელი.

სიდამონისეული, ადგილი, რომელიც შემორჩენილია საკუთარი სახელის მიხედვით.

ჰიდრონიმებიდან აღსანიშნავია: როგორც ითქვა, სოფელში ჩამოდიოდა დიდრუ, სარწყავი არხი, რომელიც დიდი ღიახვის მარჯვენა ნაპირზე იღებდა სათავეს და რწყავდა როგორც ცხინვალს, ისე გორის სოფლების ვრცელ მამულებს. სარწყავი რუებიდან ასევე აღსანიშნავია ყაიბულა, ანუ ყაიბულას რუ, რომელიც სათავეს სოფელ კეხვიდან, ღიახვის მარჯვენა ნაპირიდან იღებდა, რომელიც ჩადიოდა სოფელ დგვრისში, გაივლიდა დასავლეთის მხარეს და ხვითის გავლით ყელქცეულში ჩადიოდა.

1654 წლის 19 თებერვალს ქართლ-კახეთის მეფე როსტომმა და დედოფალმა მარიამმა სამეფოს ერთგულ ყმას თავლიდარ ყაიბულას უბოძეს წყალობის სიგელი: „ჩვენ ღვთივგვირგვინოსანმა ქართლისა და კახეთის ორთავე ტახტის მპყრობელმან, პატრონმან როსტომ, პატრონმან მარიამ, ძეთა ჩვენთა უკუნისამდის ჟამთა და ხანთა უც-

ვალეხელი წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენი სახლის თავლიდარსა ყაიბულსა, შვილსა თქვენსა ალავერდის და სახლისა ქვენისათა ყოველთავე (ფუთურიძე 1955, 246, 247).

ვახუშტი ბაგრატიონის თავის ნაშრომში ცალკე აქვს გამოყოფილი სოფლები, რომლებიც აღნიშნული რუთი ირწყვებოდა, ესენია: თვალათუბანი, ყელქცეული, ვარიანი, ფხვენისი, ხვითი, სალთვისი, ნიქოზი და სხვები. აღსანიშნავია, რომ როგორც დიდრუს, ისე ყაიბულსა რუს მოსახლეობა ძველად სასმელადაც იყენებდა.

ეკლესიონიმებიდან აღსანიშნავია ყვავისსაყდარა, რომელიც ქვემო ხვითისკენ პატარა ბორცვზე იყო ნიში, ამჟამად გაუქმებულია, სახელი კი შემორჩენილია. ეს არის ცნობილი გადმოცემა, რომელიც შიდა ქართლში რამდენიმე სოფელში არის გავრცელებული. ზოგან კი აგებულია ეკლესიები, რომელიც ხალხის გადარჩენას უკავშირდება უხსენებლისაგან.

სახატო არის გორის ნიში, გადმოცემით დაუარსებიათ მაჩაბლებს, როცა ამ სოფელში მამულები ჰქონდათ და ეხლაც არის სალოცავი დიდი მუხის ხე... ამ ადგილს ასევე ეწოდება სახატო.

წმინდა გიორგის ეკლესია არის მოქმედი, რომელიც აგებულია აქ მცხოვრები ჩხეიძეების მიერ. ეკლესია დღეს მოქმედია და ისევ ჩხეიძეების ძალისხმევით, სოფლის მცხოვრებთა გარჯით ტაძარს შემოავლეს გალავანი და დაამშვენეს იქაურობა.

ენობრივი მოვლენებიდან, რომელიც საინტერესოა და აუცილებლად შესწავლილი უნდა იქნეს, წარმოვადგენთ რამდენიმეს.

სოფლის სიახლოვეს არის ტოპონიმი „ნადავრები“. სადაო მიწაა. დავა ონიაშილებსა და ჩიტაძეებს შორის წარმოიშვა, რაც არ დამთავრდა კარგი შედეგით. აქ სწორი ფორმა იქნება „ნადავები“, რადგან რ განვითარებულა, რაც დამახასიათებელია ქართლური დიალექტისთვის და ასე დამკვიდრდა ზეპირ და წერით მეტყველებაში.

რუ(ს)პირები, ასევე გამოითქმის „რუპირები“. ამ შემთხვევაში ს ხან ჩნდება მეტყველებაში და ხან კი გაუჩინარებულია.

სოფლის სახელი „ყელქცეული“ გამოითქმის როგორც ყექცეული და აქაც ლ ბგერა გაუჩინარებულია ზეპირ მეტყველებაში.

ნაფუზრები არის ადგილი, სადაც ძველად იყო სოფელი, ის გამოითქმის როგორც ნაფუძრები, სადაც სიტყვა ფუძე ფუზედ არის

გაქვდრებული. მეტყველებაში ორივე სახელი არის დამკვიდრებული.

ნათხრები არის მინდორი, რომელიც სოფლელთა მეტყველებაში გამოითქმის როგორც ნათოხრები, სადაც ეთესა სიმინდის ყანები და ითოხნებოდა სამჯერ კოლმეურნეობის დროს.

ნაკვეთის სახელი ნაკენჭნარი გამოითქმის როგორც ნაკეჭარი, აქაც ნარნარა ნ ჩავარდნილია.

კუნლი მიწები გამოითქმის როგორც კულიმიწები, აქაც რედუქციის მოვლენაა მომხდარი და სხვ.

სოფელ ყელქცეულის სახელწოდების შესახებ რამდენიმე ვერსია არსებობს, რაც მოსახლეობაშია დარჩენილი. სოფლის ადგილას დიდი ტყე ყოფილა, როცა გაჩეხვა დაუწყიათ პირველად შეერქვა - ტყედქცევა - ტყედქცეული და პირველი მოსახლე ყოფილა წოწოლაშვილი, მერე სხვებიც ჩამოსახლებულან. ასე გაშენდა სოფელი.

მეორე ვერსიით რაჭიდან და იმერეთიდან ახალი სამოსახლო ადგილების ძიებაში ადამიანები დვანის ფრონეს ხეობის გზით მოდიოდნენ და ხეობის სათავეში სოფელ წორბისის ტყეში ათევდნენ ღამეს. გზა მოდიოდა ყელ-ქედ, რაც შემდეგ იყოფოდა და დღევანდელი ყელქცეულის მიმართულებით სოფელ წუნარის გზით ჩადიოდნენ და ეს ტერმინი თითქოს სოფლის სახელწოდების საფუძვლად იქცა. შემდეგ სოფლელები წორბისის ტყეში დადიოდნენ ხე-მასალის დასამზადებლად და „ყელქედი“ დღესაც დამკვიდრებულია მათ მეტყველებაში.

სოფლის სახელი დასაწყისი ყე ნაწილაკი დასტურდება მთელი რიგი დიალექტებში: იმერულში, რაჭულში, მოხეურში, ფერეიდნულში, ინგილოურში.

სპეციალურ ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ რაჭულში -ყე ობიექტისა და რეალური სუბიექტის სიმრავლეს გამოხატავს (ვ. თოფურია 1961, 244).

ყე ნაწილაკის ფუნქცია არის მრავლობითობის აღნიშვნა, მოქმედების მრავლობითობის აღნიშვნა, მრავალგზისობის ჩვენება (ა. ჩიქობავა 1923, 24, 41).

ამ ნაწილაკის შესახებ მთელი რიგი შეხედულებები არსებობს, რომელთა მოხმობა მომავალში შესაძლებელია.

გამოყენებული ლიტერატურა

ჩიქოზავა 1923-24 – არნ. ჩიქოზავა. ყე ნაწილაკი ფერეიდნულში, თბ., 1923-24.

ბაგრატიონი 1997 – ვ. ბაგრატიონი. საქართველოს გეოგრაფია, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1997.

ბაგრატიონი 1745 – ვ. ბაგრატიონი. რუკები, 1745.

თოფურია 1961 – ვ. თოფურია. მთარაჭულის დახასიათებისათვის. ქესს, I, თბ., 1961.

ფუთურიძე 1955 – ვ. ფუთურიძე. ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, თბ., 1955.

ალიმბარაშვილი 2021 – ი. ალიმბარაშვილი, შიდა ქართლის (გორის მაზრის) მოსახლეობა XIX საუკუნის პირველ ოცწლეულში რუსული კამერალური აღწერების მიხედვით. გორის უნივერსიტეტის გამომცემლობა, გორი, 2021.

ბაგრატიონი 1986 – ი. ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა, გამომცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1986.

კაკაბაძე 1920 – ს. კაკაბაძე. კვლევა-ძიებანი საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ, ბ., 1920.

მ ე დ ე ა რ ი ჟ ვ ა ძ ე

ცეკვის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინებისათვის აჭარულში

ცეკვის არამატერიალურობის, ასევე ძველ დროში მისი დაფიქსირების ხერხების არქონა-არარსებობის გამო, საცეკვაო ქმედების შესახებ იმ ფაქტობრივი მასალის თავმოყრა-დაფიქსირება, რომელიც ნაწილ-ნაწილ სხვადასხვა წყაროებში თუ მონოგრაფიულ და მხატვრულ ლიტერატურაშია გაბნეული, დეტალური შესწავლა და მასალის სისტემიზირება სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, სხვადასხვა, მათ შორის, დიალექტურ-ლექსიკური ასპექტით.

დიალექტებად დაშლის პროცესი ქართული ქორეოგრაფიული ფუძე-ენის თვალსაზრისით, ისე შორს არ წასულა, როგორც სამეცყველო ენისა, თუმცა ქართულ საცეკვაო ხელოვნებაში საკმაოდ ფერადოვანი გამა ჩამოყალიბდა: აღმოსავლეთის მთიანეთისა და ბარის, აფხაზურის, რაჭულის, აჭარულის, სვანურის....

მუსიკალური დიალექტების დადგენისა და ურთიერთმიმართების თემა თავის დროზე დამუშავებული აქვთ ეთნო მუსიკოლოგებს, ენათმეცნიერული თვალსაზრისით კი, ზემოაჭარული საცეკვაო ხელოვნების შესახებ გარკვეული ინფორმაცია გვხვდება ჯ. ნოღაიდელის, ალ. მსხალაძის, ალ. ინაიშვილის და სხვათა შრომებში.

აჭარაში საცეკვაო ქმედების აღმნიშვნელი ზოგადქართული ტერმინია „სამა“ (სამა ჩვენი რეგიონის ხალხებში ცნობილი ტერმინია და ძირითადად სარიტუალო-საკრალური ცეკვის აღმნიშვნელია). **სამა*** – როკვა შუშპარი, **სამა*** – სასმენელი, როგორც სულხან-საბას აქვს მინიშნებული, უცხოური წარმოშობისაა (თუმცა, სასმენელი განმარტებული აქვს როგორც ყური (სულხან-საბა ორბელიანი, 1949, 294). აქედან გამომდინარე, სამა-ს მნიშვნელობა არის ყურიც). ჯ. ნოღაიდელი აღნიშნავს: „საერთოდ“ სამას აჭარაში პირვანდელი მნიშვნელობა დაკარგული აქვს და ახლა იგი სხვაგვარად არის გაშინაარსებული. ყოველგვარ ცეკვას, ხორონს, ფერხულს და სხვებს – „სამა“ ეწოდება. პირდაპირი მნიშვნელობით იგი ახლა ცეკვას, შესრულებას აღნიშნავს. ასე მაგალითად: ისამე ხორონი – იცეკვე ხორონი“ (ჯ. ნოღაიდელი 1981, 15). ის **ხორონს**, სახეცვლილ სამას უწოდებს და მათ შორის განსხვავებას ასე ხსნის: „სამა სახელწოდებას კი არ აღნიშნავს, არამედ მოქმედებას (იქვე, 15). „ხორონსა“ და „სამას“ შორის არსებითი განსხვავება შეინიშნება: „ხორონი“ ფერხულის, ხოლო „სამა“ ზოგადად ცეკვის შესაბამისად მოიაზრება“. ფაქტობრივად ჯ. ნოღაიდელი „**ხორონსა**“ და „**სამას**“ აიგივებს. რადგან ხორუმს ტრადიციულად სამი კაცი ასრულებდა, სწორედ აქედან წარმოსდგა მისი სახელწოდებაც „სამა“, თუმცა მას **ფერხულისაგან** განასხვავებს: „ფერხული ხორონის შემდეგ დროინდელი უნდა იყოს, რადგან ფერხული უფრო მრავალფეროვანია: მასში სამზე მეტი მონაწილეა და სამსართულიანია, თუმცა ხალხი ფერხულის შესრულებასაც „სამას“ უწოდებს შესაბამისად, აჭარაში სამა როგორც

ხორონის, ასევე ფერხულის სინონიმადაც მოიაზრებოდა (ჯ. ნოღაი-დელი, 1981,15).

ზემო აჭარაში სანახაობაში ასრულებდნენ: **ლაზარობას, ფადიკო-ქოჩეგურის, აქლემის შევაზმვას, ზირიკობიას, ხორუმს, ო ჰოი ნანას, ქურთბარსა** (შუამთობაზე დადასტურებულია ქურთი ეთნოსის მონაწილეობაც, აჭარაში ქურთთა ეთნოსიც ბინადრობდა, რაც დღესასწაულს განსაკუთრებულ ელფერს სძენდა: ქურთი ქალების საფერხულო ცეკვებში, განსაკუთრებით **ქურთ ბარში** მათი მონაწილეობა ახალისებდა და ექსტაზში შეჰყავდა მოცეკვავეთა მთელი ანსამბლი).

ცეკვა-თამაშით გამოირჩეოდა გავრცელებული ხალხური დღესასწაული შუამთობა (ხულოსა და შუახევის რაიონებში). შუამთობას **ფერხულობასაც** უწოდებდნენ. ზოგიერთ ხეობაში მას **მემხლიანობას** (მენხლიანობას, მერხლიანობას- რადგან მოსახლეობა მთის სათიბებში ჩამოვლიდნენ და ერთი სახეობის მხალს, ე. წ. „დვარულას“ კრეფდნენ. ეს მცენარე გარდა საკვებისა, სამკურნალოდაც გამოიყენებოდ „მხალს“ (ფხალს) საზამთრო მარაგის დაგროვების მიზნით კრეფდნენ, სწორედ აქედან უნდა მიეღო ამ დღესასწაულს კიდევ ერთი სახელწოდება - მენხლიანი). ან **სეირანს** ეძახიან. მემხლიანებში განსაკუთრებული ადგილი ეჭირათ **მეჭიბონებს** (მეგუდასტვირებს) მათი მთავარი ინსტრუმენტი **ჭიბონი** იყო. ჭიბონზე ძირითადად საცეკვაო მუსიკა სრულდებოდა. ჭიბონზე შემსრულებელთაგან ყველაზე სახელგანთქმული იყო „**ქოჩახელა**“ (ეჰედემ სურმანიძე).

ცეკვა-სიმღერა იყო ძეობის აუცილებელი ელემენტიც. მას „**ძიობის**“ სახელით იცნობდნენ. საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის მკვლევარი ალ. მსხალაძე. „ძეობის აუცილებელი ელემენტი იყო ცეკვა-სიმღერა. საერთოდ, აჭარული ძეობის რიტუალურ მხარეში ძირითადად ქალები მონაწილეობდნენ (ალ. მსხალაძე, 1969, 92). პარალელი შეგვიძლია „სამაიასთან“ გავავლოთ, რომელიც აღმოსავლეთ საქართველოში მამაკაცების შესრულებითაც ფიქსირდება. საყურადღებოა „**ნაი-ნაი, ნინანა**“ – ძველი საფერხულო სიმღერა ქალთა შესრულებით.

ქორწილის რიტუალმა აჭარაში შეინარჩუნა ძირძველ აჭარულთან სიახლოვე. „**საფერხულო**“, იმართებოდა მამისეულ სახლ-

ში, მხოლოდ ახლობლების გარემოცვაში: „ფერხულის დროს ახალგაზრდა ქალებს პირბადე ჩამოფარებული, აცრემლებული საპატარძლო წრის შუაში ჰყავთ ჩაყენებული, ნელ-ნელა წრეს უვლიან და ლექსებს უმღერაინ. – მაი აბრეშუმის საკაბე ვინ მოგიტანა? – ჩემმა ადამ, საყვარელმა, მან მომიტანა.... (ალ. მსხალაძე, 1969, 61). აჭარულ ქორწილში სუფრულ და მაყრულ სიმღერებს თან ახლდა **გადახვევა** ანუ **გადაქცევა**. როცა სასიძოს ოჯახში საპატარძლოს მიიყვანდნენ და მაყრულს დაამთავრებდნენ, იქვე წრეს შეკრავდნენ და ცეკვა გაჩაღდებოდა. იშვიათი არ იყო ცეკვაში სასიძოს ჩათრევაც (ალ. მსხალაძე, 1969, 61). მკვლევარი ამბობს, რომ აჭარის მთიან რაიონებში არ დასტურდება „გადახვევები“, თუმცა ქვემოთ აღნიშნავს „ზემო აჭარაში „გადახვევა//გადაქცევა“ აუცილებელი იყო სუფრულ სიმღერებში. მართის ხეობის სოფ. ოლადაურში ჩაწერილი „ივერის“ გადაქცევა უფრო მარტივია. აჭარაში საცეკვაოს „საცეკურს“ უწოდებენ. ქორწილში „საცეკური“ სიმღერაზე – ცეკვა იყო. სიმღერაში იყო ყივილი და ბანები, ყვებოდა ტაში, საჭირო იყო **შელაპარიკებაც**. „საცეკურის“ ნაირსახეობა ქედის რაიონში იყო „**ჰაინანი**“, რომლის შესახებ იუსუფ ბეჟანიძე გადმოგვცემს: „იყო კიდევ საცეკვარი, **ჰაინანის** ეტყოდნენ“ (ალ. მსხალაძე, 1969, 65).

ქორწილში სრულდებოდა შემდეგი ცეკვები: **„ყოლსამა** (მხარული), **ქოჩეგური**, **თოფალოინი**, **ფერხული**, **სამა** („მარტუაი იცეკვებდა ერთი კაცი), **შემოსარები** (ქობულეთის რაიონში „ჩამოსარებს უწოდებდნენ), **ბაღდადური**, **შამილი**, **შალახო**, **ყარშიბერი**, **უზუნდერე**, **ლაზხორომი**, **ნანიდა ნანაი**, **ო ჰოი ნანა...** ზოგიერთი მათგანი დაუკავშირდა საქორწილო რიტუალს მაგ. **ქურთხორომი** და, რაც მთავარია, ძველი ქართული მეომრული ცეკვა **ხორუმი**, რომელიც იუსუფ ბეჟანიძის ცნობით „ქორწილში საბოლოო ცეკვა იყო (ალ. მსხალაძე, 1969, 61).

ქორწილის დროს იცოდნენ ასევე **„ფათიკო//ფადიკო“**, აჭარაში საქორწილო რეპერტუარს მოგვიანებით დაუკავშირდა. **„ფადიკო-ქოჩეგური“** ქალის თავსაბურავს აღნიშნავს. ფადიკო ფატედან ანუ ფატადან მომდინარეობს, ქოჩეგიც თავსაფარს ნიშნავს. მისი გამართვა უმეტესად მთიან აჭარაში იცოდნენ, განსაკუთრებულ მსგავსებას ლაზეთში შემორჩენილ „ბერობანასთან“ ამჟღავნებს და შუამთობისას გამართული მარიობის დღესასწაულის ანალოგიურია: კაცს კაზმავდნენ ქალის ფორმაში. ერთი კაცი ეთამაშებოდა მას, კაცი ქა-

ლად ჩაცმულზე იტყოდა: ჩემი ფატეაო. კაცი თვითონ კოჭლი არ იყო, მაგრამ ისე იქცეოდა, რომ კოჭლად გამოდიოდა, ქალს თავს აწონებდა. იტყოდნენ – ახლა ფათიკო მოვრთოთ, ბიჭებო. კაცს ჩააცმევდნენ კაბას, ახალგაზრდას, ბალანი არ უნდა ქონებოდა პირზე. თავზე ექნებოდა თავშალი. ერთი ჭირდებოდა ქურთი, **მუქურთიედა**. ეს ქურთი ვითომ თხოვნილობდა. ეცვა ძველი ურუბა (ტანისამოსი), თავზე ქეჩა ეხურა, წოწოლაი, ხელში ჯოხები ექნებოდა. ვინმეს რომ ფათიკოსთვის გლახა ეთქვა, დაარტყამდა (ალ. მსხალაძე, 1969, 94).

ინსტრუმენტის გამოყენებისას „ყოლსამას“ მელოდია სრულდებოდა, ხოლო ხალხური ვოკალური ნიმუშებით აკომპანირებისას **„ნანი და-ნანას“** (ქედაში) და „ოჰოი და ნანის“ (მაჭახელაში). მსგავსი სანახაობა ლაზეთსა და შავშეთშიც იმართებოდა. აჭარაში იცოდნენ ასევე **„ქალური“**, მისი სახელწოდება მამაკაცის მიერ ქალის როლის შესრულებიდან გამომდინარეობს და კომიკურობით ხასიათდება. ფადიკო-ქოჩეგური, ყოლსამა თუ ჯაყდანანა, ქალური თუ ე. წ. ზეგნური და ზოგჯერ ოჰოი ნანაც კი, ხალხში განდაგანას ადრინდელ სახეობებად არის მიჩნეული. ცეკვის ილეთები იყო **„დისყირმე“** – მუხლის ტეხვა, **„თოფალიონი“** კოჭების ცეკვა (საინტერესოა ტერმინი „კოჭა“. იგი ს.ს. ორბელიანთან განმარტებულია, როგორც „ცეკვა ბუქნით, ხოლო ბუქნა ნახევრადმჯდომარე ცეკვაა“. დაახლოებით ამგვარი მოძრაობა-ილეთი დამახასიათებელია განდაგანას ერთ-ერთი საბაზისო ცეკვისათვის, რომელმაც ჩვენამდე თურქული სახელდებით – „თოფალიონი“ მოაღწია. ამ ცეკვის ძირითადი ხასიათი და მოძრაობა კოჭლისებურად, ცალმუხლჩაკეცვით შესრულებაში გამოიხატება. ჩანს ოსმალურმა გავლენამ სახელწოდებაც შესაბამისი მისცა, მაგრამ აჭარელი კაცის ტრადიციულ ყოფას ვერ ჩამოაშორა), **„ყოლსამა“** – მკლავების ცეკვა, **„მხარული „მეხტომილაი“ „ტუტული ნანი“ „ყარშიბერი“** (პირდაპირ მდგომი ქალების ცეკვა) .

აჭარის მაღალმთიანი რაიონებისათვის დამახასიათებელია კოლექტიური შრომის ამსახველი **„ხერტლის ნადი“** ის სიმღერის თანხლებით სრულდებოდა: ოჰოი-ნანი და ნანა, ხერტალმა ხელი დამგალა, ოჰოი ნანი და ნანა, ხერტალ გასატეხელმაო. ქალები ცეკვაში მამაკაცებსაც ბაძავდნენ და ცეკვის ემზში შესულნი, ქალთა „ხორუმსაც“ ჩამოუვლიდნენ“ (ალ. ჯიჯეიშვილი, 1995, 42).

ხორუმი **ხორონი** (ხორუმი) ან **ბარი** აჭარაში, გუნდური, მასობრივი ცეკვის აღმნიშვნელ ტერმინთა შორის გვხვდება მაგ.: „ქურთბარი“, „ლაზხორონი“ და ა.შ. ტერმინი – ბარი – შედარებით მუნწად ჩანს. **„ბარში“** მწკრივის თავში მდგომს (მეთაურს) ხელში ჯოხი უჭირავს. ცეკვა-თამაშის ყველა მონაწილე მოძრაობს და უსიტყვოდ ასრულებს (იმეორებს) იმ საცეკვაო ილეთებს, რასაც სთავაზობს მეთაური. თუ რომელიმე მათგანმა შეაგვიანა ან შეცდომით შეასრულა მეთაურის მიერ ნაკარნახევი მოძრაობა, ჯოხის დაკვრით ისჯება. ეს ცეკვა-თამაში **„ბარი“**-ის სახელწოდებით ძირითადად ხულოს რაიონში გვხვდება. ხიხადირში მას **„ოჰოი ნანო“** ეძახიან. ხორონი (დღევანდელი სახით ხორუმი), ხშირად განსაზღვრულ ტოპონიმებს მოსდევს, რაც მის წარმომავლობაზე მიგვითითებს მაგ: „ლაზხორუმი“, „ხიხადირული ხორუმი“, „ცხმორისული ხორუმი“, „დორჯომული ხორუმი“, „ქობულეთური ხორუმი“, „ზედა მახუნცეთური“, „ორთაბათუმური ხორუმი“ „ცხმორისულ ხორუმს“, ასევე „ანანური ხორუმი“ ჰქვია მისი ხელმძღვანელის გვარის – ანანიძის – გამო, რომელმაც ამ ხორუმის ტრადიცია გააგრძელა. ასევე, გვაქვს ხორუმის სხვაგვარი ნაირსახეობები, მაგ.: „დელიხორუმი“, „გადახვეული ხორუმი“, სადაც მათი შესრულების ხასიათი იკვეთება.

ტერმინი **„ფერხული“** ზემო აჭარაში იშვიათად გვხვდება. ყოველნაირ გუნდურ ცეკვას აქ „ხორუმს“ უწოდებენ, საბრძოლო ხასიათის „ხორუმის“ საცეკვაო ლექსიკაა **ფარულა/მალულა, ჩოქმალულა, ჩოქით მუხლმოქნევა, ბუქნურა, ფეხმოქნევით გასმა, ქობულეთური ჩაკრული და სხვ.** „ხორუმის“ ვარიანტია ასევე ცეკვა „საზღვარზე“. ხულოს რაიონის სხალთის ხეობაში იცოდნენ მამაკაცთა წრეგახსნილი სახუმარო ფერხული „ო, ჰოი, ნანო“, რომელსაც სპეციალური დანიშნულება ჰქონდა; მექორწილე ხალხის გამოსაფხიზლებლად კარგი საშუალება იყო: „ადგებოდა ერთი კაცი, დეიჭირავდა ხელში ჯოხს დაჩაბამდა ხალხს, მოცეკვავეები დეიძახებდნენ „ოჰოი, ხოლო წინამძღოლი უპასუხებდა „ნანო“. ამ ჯოხს ხან მწოლარე კაცს დაარტყამდა, ხან მოცეკვავეებს. ამ მომენტში მძინარე ხალხიც ადგება და **მეენადებიან** (მოემატებიან-სიტყვა „ნადიდან“) (ა.თათარაძე, 1986, 5). მსგავსი შინაარსობრივია, **„იალის თამაში“, „წინამძღოლა“, „ლალონი“, „იავ ქალთი“..**

ჯაყდანანას მთის აჭარაში ცეკვავდნენ. **„ჯაყდანანა“** მამაკაცების რეპერტუარის ნაწილია.

„ყოლსამას“ „მხარულსაც“ უწოდებენ, რადგან თურქულად „ყოლ“ მხრებს ნიშნავს, ხოლო „სამა“ – ცეკვას. ყოლსამას შესახებ ინფორმაციას გვაწვდიან მოგზაური მეცნიერები. ალ. მსხალაძესთან ვკითხულობთ: „ლოკალიზაციის საკითხის გარკვევაში გარკვეულ სირთულეს ქმნის ცეკვა „ყოლსამა“ (ყოლსარმა), რომელიც დღეს განდაგანას სახელითაა ცნობილი. მუსიკალური და წეს-ჩვეულებრივი თვალსაზრისით მასთან ახლოს დგანან „ქოჩეგური“, „ფადიკო“, და „თოფალიონი“ ქოჩეგურსა“ და „ფადიკოს“ შორის თითქმის არანაირი განსხვავება არ არის. „თოფალიონი“ კი, კოჭლი კაცის ცეკვას განასახიერებს (ალ. მსხალაძე, 1969, 37).

ცეკვა **„განდაგანა“** არ მიეკუთვნება ავთენტურ ნაწარმოებთა რიცხვს, მის საფუძველს, აჭარასა და ლაზეთში, ხალხში ფართოდ გავრცელებული **„ყოლსამა“** წარმოადგენს. **„ყოლსამას“ „ჯაყდანანასთან“** აიგივებენ, ასევე მხარულსაც უწოდებენ, ქალთა მხარული კი **„თარნანინოს“** სახელწოდებითაა ცნობილი. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ყველა ჩამოთვლილი ავთენტური ნიმუში ერთურთის მსგავსი, ანუ ვარიანტებია.

საინტერესოა, რომ ლაზურ-შავშურ და აჭარულ ცეკვებს შორის მნიშვნელოვანი პარალელების გავლენაა შესაძლებელი. ამას საფუძველად უდევს გეოგრაფიული მეზობლობა და არსებობა მსგავს ისტორიულ ვითარებაში.

შუამთობის აღნიშვნის ტრადიცია, როგორც ლაზეთში, ასევე, აჭარაში (გურიასა და მესხეთშიც),

„ვაჰაჰაჰაჰაჰა“ ლაზეთში და „ო, ჰოო ნანო“ აჭარაში, „ყოლსამა-მხარული“ და ქალთა „მხარული-ხერტლის ნადი“ ორივე კუთხეში, „ფადიკო“ აჭარაში და „ფატე“ შავშეთში, „ხორონთა“ მრავალფეროვნება და ა.შ..

გამოყენებული ლიტერატურა

თათარაძე, 1986 – ა. თათარაძე, ქართულ ცეკვათა განმარტებანი, „განათლება“, თბ., 1986.

ინაიშილი, ნოლაიდელი, ჩხიკვაძე 1961– ალ. ინაიშილი,ჯ. ნოლაიდელი, გრ. ჩხიკვაძე მასალები აჭარული მუსიკალური ფოლკლორიდან, საქ. სსრ. მეცნ. აკად. გამომც., თბ., 1961.

მსხალაძე, 1969 – ალ. მსხალაძე აჭარის საოჯახო-საწესჩვეულებო პოეზია, საბჭ. აჭარა, ბათუმი, 1969

ნოლაიდელი 1981– ჯ. ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები IV , „საბჭ. აჭარა“, ბათუმი, 1981.

ორბელიანი, 1949 – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონაქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, საქართველოს სსრ სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1949.

ჯიჯეიშვილი 1995 – ალ. ჯიჯეიშვილი, აჭარული საცეკვაო ფოლკლორი და მისი მესვეურები , „აჭარა“, ბათუმი, 1995,

მედეა საღლიანი, ნატო შავრეშიანი

კვლავ ემოციების გამომხატველი შორისდებულებისათვის სვანურში

ცნობილ ქართველ გრამატიკოსთა მიერ შორისდებულის დახასიათებისას ხაზგასმულია მისი როგორც ემოციურ-გამომსახველობითი ფუნქცია: „არიან იგინი, რომელნიცა ერთითა ნაწევროან ოხრვითა დაღათუ თავით თვსით არსებისა არ არიან მნიშვნელ, არამედ ჰნიშვნენ სიხარულსა, ანუ მწუხარებასა სულისა კაცობრივისა, ანუ განკვრვებასა მხიარულებითითა, ანუ განკვრვებითითა ჳმითა... ხოლო ესე გჳარნი იწოდებიან შორისდებულებად“ (ანტონ I 1885:5-6). ცხადია, ყოველ ენას აქვს ადამიანთა სულიერი განცდებისა და გრძნობების გამომხატველი სიტყვათა საკუთარი კრებული (ე. წ. შორისდებულთა ჯგუფები), რომელიც მოცემული სოციო-კულტურის წევრებისათვის არის დამახასიათებელი. ემოციებს კი ორ ჯგუფად ყოფენ: *სტენური* და *ასტენური*. სტენური ემოციები ზრდის აქტიურობას, ენერგიასა და სიცოცხლისუნარიანობას, იწვევს ადამიანში

აღზნებას, სიმხნევას, დამაბულობას. ასტენური ემოციები კი პირიქით ადამიანის აქტიურობასა და ენერგიას ამცირებს, თრგუნავს მის სიცოცხლისუნარიანობას – მწუხარება, დარდი, უგუნებობა და ა.შ. (ლ. ვიგოტსკი, პ. იაკობსონი, კ. იზარდი...), რომელთა გამოხატვაც შესაბამისი შორისდებულებით მიიღწევა.

ამჯერად სწორედ ასტენური ემოციების გამომხატველი შორისდებულების შესახებ გვექნება მსჯელობა სვანური ენის ტრადიციულად ცნობილი დიალექტებისა (ბალსზემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურისა და ლენტეხურის) და ჩოლურული მეტყველების მეტად საინტერესო და მრავალფეროვან მონაცემებზე დაყრდნობით. მეტი თვალსაჩინოებისათვის კი, ცალ-ცალკე წარმოვადგენთ ემოციურ შორისდებულთა შემდეგ ქვეჯგუფებს: *მოთქმა-გოდებისა, მწუხარებისა, მწუხარება-სინანულისა და დანანება-სიბრაალულისა*, რომელთაც *წუხილის, დარდის, სინანულის, დანანების* და ა. შ. სემანტიკა აერთიანებთ.

1. **მოთქმა-გოდების გამომხატველი შორისდებულები.** სიკვდილ-სიცოცხლის მიმართ დამოკიდებულება, როგორც სპეციალურ ლიტერატურაშია მითითებული, არაერთგვაროვნად არის წარმოდგენილი ენებში. მიცვალებულისადმი დამოკიდებულების მიხედვით კი, არსებობს სტილურ გრადაციათა მდიდარი სპექტრი: *იუმორისტული, დრამატული, ტირილის ეტაპები* და ა. შ. (ლაგვილავა 2018:62). ამ თვალსაზრისით სხვა ენათაგან მეტნაკლებად განსხვავებულ სურათს წარმოგვიდგენს სვანურიც, სადაც მოთქმისა და დატირების აღმნიშვნელი ტერმინების სპექტრი მეტად მრავალფეროვანია. ცხადია, ასევე მრავალფეროვანია მოთქმა-გოდების გამომხატველი შორისდებულებიც დიალექტ-კილოკავთა მიხედვით. მაგ.: **დედეშ** (ბზ.)/**დედეშ**, **დედეშ** (ლშხ., ჩოლ.) „ვაი, დედა; დედა გენაცვალოს (ზედმიწ. – დედ-ის-{ა})“; **დედე**, **დედე** (ბზ., ლშხ., ჩოლ.), **დედე**, **დედე** (ლნტ.) „დედა, დედა“; **მამშ** (ლშხ., ჩოლ.)/**ბუშშ/ბუაშ** (ბქ.) „ვაი შენს მამას (ზედმიწ. – მამ-ის{ა})“; **ოტ** (ბზ.)/**ატ** (ბქ.) „ო“; **ჭამ** (ზს.)/**ჭამ** (ლნტ.) „ვაი“; **ჭამ**, **მი**, **ს** (ბქ.) „ვაი, მე“; **ჭამ**, **დაჩურემ** (ბქ.) „ვაი, შენს დას (ზედმიწ. – ვაი, დისამ)“; **ჭამ**, **ჭიდლშ** (ბქ.) „ვაი, შენს დას (ზედმიწ. – ვაი, დისამ)“; **ჭომ**, **დედე** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ჭამ**, **დია** (ბქ.) „ვაი, დედა“; **ჭუშ**, **ჭუშ** (ლშხ., ჩოლ.)/**ჭუშ**, **ჭუშ** (ბქ., ლნტ.) „ვაი, ვაი“; **შაჭ მი**, **ს** (ბქ.)/**შაჭ მი**, **ს** (ჩოლ.) „ვაი ჩემს მოსწრებას (ზედმიწ. –

შავ-ი მე, შავ-ი მე)“; **ტმა**, მიშგტა ლირდეს (ბქ.) „ვაი, ჩემს მოსწრებას (ზედმიწ. – ვაი, ჩემ[ს] ყოფას)“ ...

საილუსტრაციო მასალა:

ოტ, საბრელა მირანგულა, დედეს ისგტა სი გარ ხორდჷს! (ბზ.) „ო, საბრელო მირანგულა, დედაშენს მხოლოდ შენ ჰყავდი!“

ტმა, დია, მნ ხოლა დრეჷ ემჰიდ, **ტმა** (ბქ.) „ვაი, დედა, რა დღე მომესწრო, ვაი (ზედმიწ. – ვაი, დედა, რა ცუდი დრო მომესწრო, ვაი!)!“

ტრმ, **ტრმ**, მნდ დესმა ლეჯშად, ეშრ ქრგდე ღერთემდ ისგტი თხუმ (ლშხ.) „ვაი, ვაი, არაფერი გეშველა, მაინც წაგვართვა უფალმა შენი თავი (ზედმიწ. – ვაი, ვაი, რა არაფერი გეშველა, მაინც წაგვართვა ღმერთმა შენი თავი!)!“

დედე, **დედე**, მნდმაბედიგტუმ მაკუ ისკტაურად ალ ქტეყანაჟი! (ლნტ.) „დედა, დედა, არაფერი მინდა უშენოდ ამ ქვეყანაზე (ზედმიწ. – დედა, დედა, არა-ბედ-ი და საქმე მინდა უშენოდ ამ ქვეყანაზე!)!“

მამაშ, ქორა ხტერა, კტამი დეგა, ისგტაურად ლირდე, **მამაშ**! (ჩოლ.) „ვაი მამაშენს, ოჯახის დაქცევაა უშენოდ ყოფნა, მამა გენაცვალოს (ზედმიწ. – მამ-ის-[ა], სახლი[ს] ნგრევა, კვამლ-ი[ს] ქრობა, უშენოდ ყოფნა!)!“ ...

როგორც მოთქმა-გოდების აღმნიშვნელ შორისდებულებზე დაკვირვებამ აჩვენა, მათი ერთი ნაწილი საერთოქართველურია, ნაწილი საკუთრივ სვანური, ნაწილი კი ქართულ-ზანურიდან (უშუალოდ თუ შუალოდ) შეთვისებული სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (უმლაუტის, სიგრძის, რედუქციის და სხვ.) გავლით. ეს შორისდებულები ძირითადად მიმართულია ფართო აუდიტორიისაკენ, სადაც მთქმელი საჯაროდ ახდენს საკუთარი ემოციების დემონსტრირებას, თუმცა ხშირად არ აკონტროლებს, ან არ აქვს არსებითი მნიშვნელობა, ახდენს თუ ვერა ზემოქმედებას მსმენელზე, მაგრამ შეიძლება ზოგჯერ მსმენელისაგან მოითხოვოს თანადგომა და ემოციათა გაზიარება (მაგ.: **დედე**, **დედე**, მამაშუმშტ ჯიჟრიდ, ამნურად ერ გტერო ლერდე?! (ჩოლ.) „დედა, დედა, ალბათ როგორ გეცოდებით, რომ ამის გარეშე მოგვიწევს ცხოვრება (ზედმიწ. – დედა, დედა, რა-ზომ-ით გეცოდებით, ამის გარეშე რომ გვექნება სამყოფი?!)?!“; **ტუმი**, **ტუმი**, ჯაჯრატახმა, შალიკო ერ ჩუ ხაკაფა?! (ლნტ.) „ვაი, ვაი,

გჯერათ, რომ შალიკო აღარ არის (ზედმიწ. – ვაი, ვაი, გჯერათ, შალიკო რომ წაქცეულია?!)?! ...

2. **მწუხარების გამომხატველი შორისდებულები.** მწუხარება, როგორც წესი, გამოხატავს უსიამოვნო, შემაწუხებელ გრძნობას, რომელიც გამოწვეულია მძიმე მდგომარეობით, უბედურებით. მწუხარების გამოხატვა კი, რასაკვირველია, აქაც შესაბამისი შორისდებულებით მიიღწევა, რომელთა რაოდენობა საკმაოდ ბევრია სვანურში. მაგ.: ა, ბა-ბჷ, ი (ბზ.), ა, ბა-ბა, ია (ბქ.), ა, ბა-ბა, ი (ლშხ.), ა, ბა-ბჷ, ი/ა, პა-პჷ, ი (ლნტ.) „ვაი, ვაიმე, ავაიმე (ზედმიწ. – ა, ბა-ბა, და); შდრ. ქართ. აბაბა“; აპა-პა-პა/პა-პა-პა (ზს., ქს.) „ვაი, ვაი, ვაი (ზედმიწ. – აპა-პაპა)“; ა, საბა (ლშხ.) „ა, საწყალო (ზედმიწ. – ა, სა-ბრალ-ო)“; ა, უჷა, უჷაჷს, ა (ბქ.) „ვაი, ვაი (ზედმიწ. – ა, ვაი, ვაი-ს, ა)“; დედჷ ცოდულდ (ბზ.) „ჩემი ცოდვა (ზედმიწ. – დედ-ი[ს] ცოდ-ვა)“; ეტ/ატ (ზს., ქს.) „აჷ“; ეჷ, ბაბალო (ბქ.) „ეჷ, ბაბუა გენაცვალოს“; ეჷ, ბუბაღჷარა (ლშხ., ჩოლ.) „ეჷ, ბიძია გენაცვალოს“; ი (ზს.) „ო“; ი, საბლუ (ბზ.) „ო, საწყალებო (ზედმიწ. – ი, სა-ბრალ-ო-ებ-ო)“; იხხრ (ჩოლ.) „ოჷ/ოჷო“; სა-ბრა (ბზ., ლშხ.)/საბრალ (ბქ.) „საწყალი, საბრალო“; სგანჩუ ლეკჷანე, ა (ბქ.) „დასანანი, სამწუხარო (ზედმიწ. – შიგნით ჩასაგდები, აი)“; უჷა (ზს., ლნტ., ჩოლ.)/უჷა (ლშხ., ჩოლ.) „ვაი“; უჷა, გუჷმჷე ცოდ (ბქ.) „ვაი, ჩვენი ცოდვა“; უჷა, დია (ბქ.) „ვაი, დედა“, უჷა, დედჷ (ლშხ., ჩოლ.) „ვაი, დედა“; უჷ, საბრელა (ბზ.) „ო, საბრალო“; უჷხ/ოხ (ზს., ქს.); უჷჷ (ბზ., ლშხ., ჩოლ.); უჷჷ, სი საბრალ (ბქ.) „უი, შე, საწყალო (ზედმიწ. – ვუი, შე სა-ბრალ-ო)“; ჰე (ბზ., ლშხ., ჩოლ.) „ეჷ“; ცოჷ (ბქ.)/ცოჷჷ (ლნტ.)/ცოჷჷრ (ჩოლ.) „ოჷ/უჷ/ოჷო“...

საილუსტრაციო მასალა:

თერალ ქუხუხუბერ ლაგუჷანს, უჷა, დედჷ! (სვ. პრ. ტექსტ., 1939:9) „თვალეზი დავითხარე ტირილით, ვაი, დედა (ზედმიწ. – თვალ-ებ-ი დავითხარე ტირილს, ვაი, დედა!)!“

აბაბაა, გუჷმჷე ცოდ, ლეგ დრეჷ მად ოგჷიდა?! (ბქ.) „ვაი, ჩვენი ცოდვა, რა ცუდი დლე მოგვესწრო (ზედმიწ. – ა-პა-პა-პა, ჩვენი ცოდვა-ა, საშინელი დრო არ მოგვესწრო?!)?!“

ოხ, მად ძნელ ლოქ ლი ჯრული კუჷმა! (ლშხ.) „ოჷ, რა ძნელია ოჯულის გატეხვა!“

აბაბაა/აპაპაა, მაკალი ხოლა გუემ აღჩუემნელი! (ლნტ.) „ვაი, რა ცუდი საქმე მომხდარა (ზედმიწ. – ა-პა-პა-პა, რა-ყალიბ-ი ცუდი საქმე *ნაქნარა!)!“

ყოპპო, ლეგ გუემ ენსყან სოფელისა! (ჩოლ.) „ოპო, რა ცუდი საქმე მოხდა სოფელში (ზედმიწ. – **ოპო**, ცუდი/უვარგისი საქმე გაკეთდა **სოფელ**-ში!)!“...

მწუხარების აღმნიშვნელ შორისდებულთა მეტი წილი, როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, ქართულიდანაა ნასესხები სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტის*, *სიგრძის*, *ბგერათ-მონაცვლეობის*, *ბგერათა დაკარგვის*, *ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვისა* და სხვ.) განხორციელებით, ნაწილი, როგორც წესი, საერთო-ქართველურია, ნაწილი კი საკუთრივ სვანური.

3. **მწუხარება-სინანულის აღმნიშვნელი შორისდებულები**. სვანურში, ისევე როგორც ბევრ სხვა ენაში დასტურდება ისეთი შორისდებულებიც, რომლებიც ერთდროულად გამოხატავენ მწუხარებასა და სინანულს. მაგ.: აყ (ზს., ქს.) „აჰ“; ახჰჰ (ზზ./ახხა (ბქ.) „აჰა“; აჰ (ზზ., ქს.)/გჰ (ზს., ჩოლ.) „ეჰ“; ეჰ (ზზ.) „ეჰ“; ეჰ (ზზ., ლშხ., ჩოლ.) „ეჰ“; ო (ზზ., ლშხ., ჩოლ.)/ო (ბქ., ლნტ.) „ო/ოო“; ოჰ (ზს.) „ოო“; უჰ (ზს., ქს.) „უჰ“; უჰ (ბქ., ლნტ.)/უჰჰ (ზზ., ლშხ., ჩოლ.) „უჰ“; უჰჰ, დია (ბქ.), უჰ, ტეტჰჰ (ჩოლ.) „ვაი, დედა“; უჰჰ, მიშგუ ბედ (ბქ.) „აფსუს (ზედმიწ. – ვაი, ჩემი ბედ-ი)“; უჰჰ, მიშჰი ცოდ (ქს.) „ვაი, ჩემი ცოდვა“; ყეჰ/ყოჰ (ზს., ქს.) „ეჰ/ოჰ“; ჰატ (ზზ.), ატ (ზს., ქს.) „ატ“; ჰჰ (ზზ.) „ჰჰ“...

საილუსტრაციო მასალა:

მიჩა ლირდე, ყეჰ, დემნარ ხაჯონა! (ზზ.) „ჩემი სიცოცხლე, ეჰ, არაფრად ღირსო (ზედმიწ. – მისი ყოფა, ეჰ, არად ღირებულა!)!“

უჰჰ, დია, მიშგუ ცოდ, მწ ლადელ ემჰიდ?! (ბქ.) „ვაი, დედა, ჩემი ცოდვა, რა დღეს მოვესწარი (ზედმიწ. – ვაი, დედა, ჩემი ცოდ-ვა, რა დღე მომესწრო?!)!“

ატ, საბა, იმე ლოქ არი მიჩა მუხუბე გეგი?! (ლშხ.) „ოჰ, ნეტა სად არისო ჩემი ძმა გეგი (ზედმიწ. – აჰ, საბრალო, სადო არის მისი ძმა გეგი?!)!“

უჰჰ, მიშჰი ცოდ, ათხე მამჯ მემდენი შტამუ?! (ლნტ.) „ვაი, ჩემი ცოდვა, ახლა რა მემველებათქო მარტოკას (ზედმიწ. – ვაი, ჩემი ცოდ-ვა, ახლა რა-მეთქი მემველება მარტო?!)!“

უჭ, მაკვ ხოჩა ხალხ ჰრდა ვალდეს! (ჩოლ.) „იგ, რა კარგი ხალხი ცხოვრობდა ხალდეში (ზედმიწ. – **უჭ**, რა კარგი **ხალხ**-ი იმყოფებოდა **ხალდე**-ს!)!...“

მწუხარება-სინანულის აღმნიშვნელი შორისდებულების ერთი ნაწილი საერთოქართველურია, ნაწილი ნასესხებია ქართული ენისაგან სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა (*უმლაუტის*, *სიგრძის*, *რედუქციის*, *ხმოვანთა შემართვისა* და ა. შ.) გავლით, ნაწილი კი, როგორც მოსალოდნელი იყო, საკუთრივ სვანურია.

4. **დანანება-სიბრალების აღმნიშვნელი შორისდებულები.** რაც შეეხება დანანება-სიბრალების გამომხატველ შორისდებულებს, მათი რაოდენობა სვანური ენის დიალექტ-კილოკავებში საკმაოდ ბევრია. მაგ.: **ატ** (ზს., ქს.), **ჰატ** (ზზ.) „ატ“; **აუჭ**, **ლეშყედ ილეკუანე**, **ა** (ზს.) „აფსუს, დასანანი (ზედმიწ. – აუ, [და]საგდები და [გადა]საგდები, აი)“; **დედე** (ზზ., ლშზ., ჩოლ.)/**დია** (ბქ.)/**დედე** (ლნტ., ჩოლ.) „ვაიმე (ზედმიწ. – დედა)“; **ო** (ზს., ქს.)/**რ** (ზზ., ლშზ., ჩოლ.) „ო“; **ომ** (ზზ., ჩოლ.)/**[ტ]ომ** (ბქ.)/**ტომ** (ჩოლ.) „ვაი/ვუი“; **ოტ** (ზზ.) „ო“; **[ტ]ახ**, **სი მარე** (ბქ.), **ტზხ**, **სიმზ** (ლშზ., ჩოლ.) „ვაჰ, შე კაცო“; **ტამ**, **დია**, **მიშყუ ცოდ** (ბქ.) „ვაი, დედა, ჩემი ცოდვა“; **ტამ**, **მი საბრალ** (ბქ.) „ვაი, მე საცოდავი (ზედმიწ. – ვაი, მე **საბრალ-ო**)“; **ტამ**, **ცოდლიან** (ჩოლ.) „ვაი, საცოდავი (ზედმიწ. – ვაი, **ცოდ-ვ-იან-ი**)“; **ტომ** (ბქ.)/**ტომ** (ჩოლ.) „ვაი“; **ტრ** **საბრელა/საბრა** (ჩოლ.) „ო, საწყალო (ზედმიწ. – **ო**, **საბრალ-ო**)“; **ტუე**, **შატ მი**, **ა** (ბქ.)/**ტი**, **შატ მი**, **ა** „ვაი ჩემ დღეს (ზედმიწ. – ვაი, **შავ-ი** მე, აი)“; **ცოდამ კალან**, **ა** (ბქ.), **ცოდ-კალონ** (ლშზ.), **ცოდი-კალონ** (ლნტ.) „აფსუს (ზედმიწ. – **ცოდვ**-ის **კანონ-ი**, აი)“; **ცეჰ** (ზს., ქს.)/**ცეჰან** (ჩოლ.), **ცან** (ზს., ლნტ., ჩოლ.) „ეჰ/ეჰა/აჰ“; **ჰამ** (ზზ.) „ვაი“...

ტო, **ლეშყედი** ჰელმა საფტინ! (ზზ.) „ოო, დასანანო სულთა შაბათო (ზედმიწ. – **ო**, საგდები ულიშის შაბათი!)!“

ცოდამ კალან, **ა**, ამგუარ დინამ ამჟი უწტილად ლიცტრე (ბქ.) „აფსუს, ამისთანა გოგოს ასე გაუთხოვრად დატოვება (ზედმიწ. – **ცოდვ**-ის **კანონ-ი**, აი, ამ-**გვარ**-ი გოგოს ასე გაუთხოვრად დატოვება/დარჩენა)“

ტზხ, **სიმზ**, დემ ედბიზან, ეჰკად ხადღენ (ლშზ.) „ოჰ, საწყალი, ვერ გაძღა, ისე შიოდა (ზედმიწ. – **ოჰ**, შე კაცო, ვერ გაძღა, ისე შიოდა)“

უპ. ცოდიკალენ, ბეფშ მწიდარ ლემწარ (ლნტ.) „ოპ, საწყალი, ბავშვი მშიერი ყოფილა (ზედმიწ. – ოპ, ცოდვ-ის კანონ-ი, ბავშვ-ი მშიერი ყოფილა)“

ატ. საბრა, ხატს ლოქ ლახლჷტერენახ მინ ი ჩოლარ უმხტწარ (ჩოლ.) „აპ, ხატზე დაუფიცებიათო მათ და ჩოლურელებს (ზედ-მიწ. – აპ, საბრალ-ო, ხატ-ს-ო *დანაფიცებიან თვითონ და ჩოლურ-ელ-ებ- ი ერთმანეთს)“...

ამ ქვეჯგუფშიც შორისდებულთა ერთი ნაწილი საერთოქარ-თველურია, ნაწილი ქართულიდან ნასესხები სხვადასხვა ფონეტი-კურ პროცესთა (*ულაუტის, სიგრძის, რედუქციის, ბგერათა დაკარ-გვისა* და სხვ.) გავლით, უმეტესი ნაწილი კი საკუთრივ სვანურია.

როგორც მასალის განხილვამ აჩვენა, ზემოთ წარმოდგენილ ოთხივე ქვეჯგუფში დადასტურდა საკუთრივ სვანურად მიჩნეული რამდენიმე სიტყვიანი შორისდებულები (მაგ.: **შაჷ მი**, **ა** (ბქ.)/**შაჷ მი**, **ა** (ჩოლ.) „ვაი ჩემს მოსწრებას (ზედმიწ. – შავ-ი მე, შავ-ი მე)“; **ჷმამ**, **გუბიშე ცოდ** (ბქ.) „ვაი, ჩვენი ცოდვა“; **ჷუჷმ**, **სი საბრალ** (ბქ.) „უი, შე, საწყალო (ზედმიწ. – ვუი, შე სა-ბრალ-ო)“; **ცოდამ კალან**, **ა** (ბქ.), **ცოდ-კალონ** (ლშხ.), **ცოდიკალენ** (ლნტ.) „აფსუს (ზედმიწ. – ცოდვ-ის კანონ-ი, აი)“ და მისთ.), რომელთაგანაც ზოგი საერთოქართველურია, ზოგიც ქართულიდან (უშუალოდ თუ შუალობით) შეთვისებული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მთლიანი ფრაზები საკუთრივ სვანურად მივიჩნიეთ, ვინაიდან ქართულში იგივე ფრაზები (ე. წ. შორისდებულთა ფორმულები) იმავე სემანტიკით არ დასტურდება. მეტიც, ხშირად თვით ქართულიდან ნასესხებ შორისდებულებსაც აქვთ სემანტიკა მეტნაკლებად შეცვლილი, ანუ სემანტიკურად სახეცვლილი შორისდებულებიც გვიდასტურდება.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასტენური ემოციების გამოხატ-ველ შორისდებულთა მეტი წილი ეტიმოლოგიურად მეტნაკლებად გამჭვირვალეა, მათი ადგილი წინადადებაში კი მკაცრად განსა-ზღვრული არ არის, მაგრამ, სხვა ენების მსგავსად, სვანურშიც ჭარ-ბობს წინადადების საწყის პოზიციებზე და წინმსწრები შორისდებუ-ლი, მისთვის დამახასიათებელი ექსპრესიულობით, რომელიც ზე-გავლენას ახდენს მომდევნო წინადადებაზე და წინადადებაც შორის-დებულის ემოციის მატარებელი და მისი სემანტიკის ამხსნელია. ცხადია, გვხვდება როგორც ინლაუტში, ასევე აუსლაუტშიც.

გამოყენებული ლიტერატურა

ა) სამეცნიერო ლიტერატურა

ანტონ I 1885 – ქართული ღრამმატიკა, შედგენილი ანტონ I-ის მიერ, თბილისი, 1885

გაჩეჩილაძე 1979 – ო. გაჩეჩილაძე, შორისდებული ახალ სალიტერატურო ქართულში, თბილისი, 1979

ლაგვილავა 2018 – ც. ლაგვილავა, გარდაცვალების სემანტიკა ქართულსა და თურქულში, ფილოლოგიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, ბათუმი, 2018.

ბ) ლექსიკონები

დონდუა 2001 – ვ. დონდუა, სვანურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2001

თოფურია, ქალდანი 2000 – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000

ლიპარტელიანი 1994 – ა. ლიპარტელიანი, სვანურ-ქართული ლექსიკონი (ჩოლურული კილო), თბილისი, 1994

ნიჭარაძე 2007 – ბ. ნიჭარაძე, ქართულულ-სვანურ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, 2007

ფენრიხი, სარჯველაძე 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველაძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

მ ა მ ი ა ფ ა ლ ა ვ ა

-ეთ სუფიქსი შავშეთის ტოპონიმიაში

ტოპონიმთა ფუძის საწარმოებლად შავშეთის ტოპონიმიაში, ისევე როგორც ზოგადად ქართულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში, ხშირად გამოიყენება თს შემცველი სუფიქსები სხვადასხვა ხმოვნის თანხლებით: -ეთ, -ით, -ათ, -ოთ, -უთ, -თა. ამათგან ყველაზე დატვირთულია -ეთ, სხვები შედარებით - ნაკლებად.

-ეთ სუფიქსის შესახებ მრავალმა მკვლევარმა გამოთქვა მოსაზრება (Mapp, 1938,50; 1925:69; კეკელიძე, 1955:116-119; ჩიქობავა, 1926: 308; დონდუა, 1948:133-146; ზურაბიშვილი, 1961:144). ყველა მკვლევარი თანხმდება, რომ „-ეთ სუფიქსის ფუნქციაა მრავლობითობის თუ კრებითობის გამოხატვა“ (ფაღავა, 2015:3). შესაძლებელია, ვიფიქროთ, რომ „-ეთ და ყველა თ’ს შემცველი სუფიქსისეული თ’ იგივეა, რაც სახელებსა და ზმნებში რიცხვის მაწარმოებელი -თ(ა)“ (ფაღავა, 2015:3). ქართულ მეცნიერებაში -ეთ სუფიქსის შესახებ გამოთქმულია განსხვავებული მოსაზრებაც:

ა. -ეთ და -ელ ერთი და იგივე ფუნქციის მატარებელია (ყაუხ-ჩიშვილი, 1959:077-078), ანუ აწარმოებს წარმომავლობის სახელებს?

ბ. -ეთ აწარმოებს მამაკაცის გვარებს (ენუქიძე, 1977:39; შდრ. კახიძე, 2013:31). მოყვანილი მოსაზრების შემდეგ დაიბადება კითხვა: ქალის გვარებს რაღა აწარმოებს? გამოთქმული მოსაზრება აცდენილია რეალობას. თინა ენუქიძისა და სხვათა მოსაზრების შესახებ მსჯელობას აქ აღარ გავაგრძელებთ, რამდენადაც მასზე საუბარია მონოგრაფიაში „კლარჯეთი“ (კლარჯეთი, 2016:610-611) და ჩვენს ერთ ნაკვლევეში (ფაღავა, 2015:9). მკითხველის ყურადღებას მივაქცევთ პ. ინგოროყვას ერთ თვალსაზრისს: „საქართველოთი“ ძველ ქართულად აიხსნება აგრეთვე როგორც „საქართველოსეული“ და შესაძარებლად მოიყვანს დავით აღმაშენებლის მატთანში ნახმარ სინტაგმას „მამული ლიპარიტეთი“ – „მამული ლიპარიტისეული“ (ინგოროყვა, 2009:287; შდრ. ქავთარაძე, 1985: 65-67). ვიტყვი, რომ „ლიპარიტეთი“ ლიპარიტისა და მისი სახლეულის კუთვნილია, საცხოვრისია (სწორად ხსნის პ. ინგოროყვა), მაგრამ ძნელი დასაჯერებელია, რომ „საქართველოთი“ = „საქართველოსეულია“, სხვაგვარად, „მამული ლიპარიტეთი“ და „საქართველოთი“ არ შეიძლება ერთ სიბრტყეზე მოთავსდეს (იხ. ტაო, 2020:827-828).

-ეთ გეოგრაფიულ სახელს აწარმოებს ეთნიკური სახელისაგან: შავში (ეთნიკური სახელი), შავშთა ქვეყანას შავშეთი უწოდეს. ბარემ აღვნიშნავთ, რომ ქართველოლოგიაში შავშეთის „ეტიმოლოგიის“ რამდენიმე ცდაა მოცემული:

ნუგზარ ცეცხლაძე (იხ. ცეცხლაძე, 2004:15) მოიყვანს ვახუშტი ბატონიშვილისა და ზაქარია ჭიჭინაძის მოსაზრებებს: „სიტყვა „შავშეთში“ გამოიყოფა „შავ“ ფუძე და -ეთ მაწარმოებელი. ვახუშტი ბა-

ტონიშვილის ცნობით, ეს ფუძე დაკავშირებულია შავთან, – რადგან შავშეთი ტყეებით გამორჩეული ქვეყანაა, სახელდებაც მოხდა ამის მიხედვით. ვახუშტი თავის შრომაში „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ წერს: „შავშეთი – ვითამ შავში და არა სპეტაკში, მთა-კლდოვან ტყის გამო“ (ქ.ცხ. IV, 653).

შეგნიშნავთ: შავშეთში გამოიყოფა **შავშ'** ფუძე და არა **შავ'** (უკანასკნელის შემთხვევაში **შავეთი** გვექნებოდა და არა **შავშეთი**). **შავშ'** ფუძე ჩანს ტოპონიმში **შავშები** (სოფელი მცხეთასთან ახლოს). რომ არ გავაგრძელოთ, ვახუშტი ბატონიშვილისა და მასზე დაყრდნობით გამოთქმული მოსაზრება ე. წ. ეტიმოლოგიურ ლეგენდას არ სცილდება და არ აქვს საერთო მეცნიერულ ეტიმოლოგიასთან.

ზაქარია ჭიჭინაძე ამბობს, „იქაური მკვიდრნი ამბობენ, რომ შავშეთს ოსმალურად ნისლათას უწოდებენო, ე.ი. ნისლიანი ქვეყანაო... ვახუშტის თქმით, შავშეთს სახელი მისგან დარქმევია, რომ შავშეთში ყოველთვის, ნაძვნარის მეოხებით, სიბნელეა, შავით არის მოსილი და იმიტომ უთქვამთ, რომ „შავშიო“. ამნაირად, სიტყვა შავშიდან წარმომდგარა შავშეთი“ (ჭიჭინაძე, 1913:264).

დავიწყოთ იმით, რომ შავშეთის ეტიმოლოგიაზე მსჯელობისას ფაქტად ვერ გამოდგება, რომ ოსმალები შავშეთს ნისლათას უწოდებენ. ჩანს, ოსმალებმა ქვეყნის სახელდებისას ახალი ნიშანი შეარჩიეს, რომ კუთხე ნისლიანია. **შავში'** სატომო სახელია და არა -ში' თანდებულიანი გასუბსტანტივებული ზედსართავი. შავშეთი ისეთივე წარმოების გეოგრაფიული სახელია, როგორც **კახეთი** (შდრ. კახი), **იმერეთი** (შდრ. იმერი), **მესხეთი** (შდრ. მესხი), **კლარჯეთი** (შდრ. კლარჯი), **კოლხეთი** (შდრ. კოლხი), **ჰერეთი** (შდრ. ჰერი), **სვანეთი** (შდრ. სვანი)...

მოგვიანებით შავშეთის ახსნა სცადა იური სიხარულიძემ: „შავშეთი -ეთ მაწარმოებლით მიღებული ტოპონიმია ფუძიდან შავში“ (სიხარულიძე, 1988:6). „შავშ“ ფუძეს ხედავს მკვლევარი შავშაქში (ან შავშაკში, – ტყე აღმოსავლეთ გურიაში). შავშაქ' თავად მარტივი ფუძეა. თუ ამოსავლად მივიჩნევთ შავშაკს, მაშინ შეიძლება შავშ' ძირი და -აკ სუფიქსი გამოვყოთ...

ანანია შირაკაცი ახსენებს „შავშეთს“ ხევის და ქვეყნის მნიშვნელობით, განაგრძობს მსჯელობას მკვლევარი (სიხარულიძე, 1988:6). ანანია შირაკაცი შავშეთში ხევის მნიშვნელობით ალბათ

აწინდელ შავშეთისწყლის ხეობას გულისხმობს, ქვეყანაში – თავად შავშეთს.

იური სიხარულიძე ცდილობს **შავშეთი** ამოიკითხოს რუსულ რუკებზე დატანილ **შავკეთ**ში (Шавкетъ. Пагирев, 1913), მდებარეობს შავშეთისწყლის მარცხენა ნაპირზე. რუსულ **Шавкет**ში **შავკედი** უნდა წავიკითხოთ და არა **შავშეთი**.

მამასადაძე: **შავში** – სატომო სახელი.

შავშეთი – შავშთა საცხოვრისი (შდრ. ჟამთააღმწერელი, 1987: 65;78).

შედგომა: შავშელი. ამ შემთხვევაში შავში ქვეყანის სახელია და არა ტომის.

თუ რატომ უწოდეს **შავში** ამ ქართულ ტომს, პასუხის გაცემა ჭირს, რამდენადაც სახელდებისათვის შერჩეული ნიშანი ნათელი არაა. ამიტომაც მოსალოდნელია ამ თემაზე მსჯელობა მომავალშიც გაგრძელდეს და ახალი ვარაუდებიც გამოითქვას. არსებული მოსაზრებები სარწმუნო არ არის.

მცირე ჩანართი: ერთ შრომაში ვმსჯელობთ შატბერდის ეტიმოლოგიაზე. დასტურდება ტოპონიმის ორი ფორმა: **შატბერდი** და **შატბერთი** (უკანასკნელს იყენებს პავლე ინგოროყვა (იხ. ინგოროყვა, 1954: 306). ამოსავალ ფორმად მიჩნეულია **შატბერთი** < ***შატბერთა**’საგან. შატბერთი მრავლობითის ფორმად მიაჩნია (ვრცლად იხ. კლარჯეთი, 2016: 650-657). **შატბერა**’ ფუძე დასტურდება გვარსახელში **შატბერაშვილი**. მსჯელობა დამაჯერებელია, ცდა – გამართლებული. დასაშვებად მიგვაჩნია მსჯელობის ასე გაგრძელება: **შატბერთი** < **შატბერეთი**’საგან. თუ ეს მოსაზრება მისაღებია, მაშინ მოიხსნება სპეციალურ ლიტერატურაში არსებული ბევრი უხერხულობა, რამდენადაც შატბერთი < შატბერეთი’საგან ქართულია და აღნიშნავს **შატბერას** კუთვნილს, მისი ოჯახის საცხოვრისს. იგი იმავე ყალიბით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელია, რითაც ასეულობით ტოპონიმი ჭოროხის ქვეყნებში.

აქვე შევეხებით კიდევ ერთ საკითხს: ბოლო ხანებში ქართულ მეცნიერებაში გაჩნდა ცდა **შარბიეთისა** და **შატბერდის** იდენტიფიკაციისა. რასაც გაუჩნდა მომხრეებიც. ჩვენ ისევ ჩვენს აზრზე ვრჩებით. იოანე ბაგრატიონი ქართლში ასახელებს სოფელს **შარაბეთი**. სქოლიოში გატანილია ვარიანტები: **შარამეთი**, **შარბეთი** (ბაგრატიონი, 1986:

48). ამოსავალი ფორმა ჩანს **შარაბეთი** (შარაბ-ეთ-ი), ხოლო **შარბეთი** **შარაბეთ**'ის შეკუმშული ფორმაა. რაც შეეხება **შარამეთ**'ს მიღებულია **შარაბეთ**'ისაგან **მ:ბ** მონაცვლეობით. ამდენად, **შარბეთი** და **შარამეთი** **შარაბეთის** ფონეტიკური ვარიანტებია. **შარაბ'** სახელური ფუძე დაცულია გვარში **შარაბისძე** (შდრ. შარბიენთი შავშეთში). **შარაბი** მამაკაცის სახელი ან მეტსახელი ჩანს.

ჩვენი მსჯელობიდან ჩანს, რომ **შარბიეთი** და **შატბერთი** (<შატბერეთი) ორი სხვადასხვა ფუძეა. დაუჯერებელია **შატბერდი**'საგან **შარბიეთ**'ის მიღება. და რაც მთავარია, **შატბერდიცა** და **შარბიეთიც** ქართულია.

დავუბრუნდეთ -**ეთ** სუფიქსიანი ტოპონიმების განხილვას.

ა. -**ეთ** დაერთვის საკუთარ სახელს//მეტსახელს და აღნიშნავს სახლის//სახლეულის კუთვნილს, მის საცხოვრისს:

კოკლი-ეთ'ი – დიობნის უბანი (მარი, 2012:170): კოკოლა-ეთ-ი>კოკლი-ეთ'ს (შდრ. ქოქოლა>ქოქლი-ეთ-ი, გვარი: ქოქოლაძე). კოკოლა კაცის სახელი//მეტსახელი ჩანს (შდრ. კიკოლა < კოკოლა რეგრესული დისიმილაციით).

ბალტი-ეთ'ი – ზაქიეთის უბანი (მარი, 2012:216). ჩვენ ადგილზე ჩავიწერთ ბელტიეთ'ი. ბალტი//ბელტი (ბალთი//ბელთი) მამაკაცის სახელი ჩანს (შდრ. „გვარი“ ბალთოღლი).

გიგი-ეთ'ი – ადგილი დასამობის გვერდით (მარი, 2012: 216). გიგი – მამაკაცის სახელია.

გორგოშ-ეთ'ი – სოფელი ჩხაკათხევის მარცხენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1988:15). გორგოშ' სახელური ფუძე შეიძლება მიღებული იყოს გორგოშ'ისაგან გ'ს დაკარგვით. გორგოში' სალექსიკონო ერთეულად შეაქვს სულხან-საბას, თუმცა არ განმარტავს (საბა, 1949), ხოლო ავტოგრაფული ნუსხების მიხედვით გამოცემულ ლექსიკონში (იხ. საბა, 1, 1991) იგი განმარტებულია, როგორც ხე. გორგოშა იგივე ხურტკმელია (Крижовник, Grosularia recnilata) დიალექტებში გორგოშა სხვადასხვა სახელით იხმარება:

მესხურ-ჯავახური; ღორღოშო, გორგოშა, ღორღოშინა;

ზემოიმერულსა და რაჭულში: რუსული მოცხარი... (მაცაშვილი, 1991).

გორგოშა კაცის სახელი ჩანს, იქნებ მეტსახელიც, დაუცავს გვარს გორგოშაძე (<გორგოშასძე).

ხანთუშეთი – სოფელი შავშეთში. ტოპონიმს ახსენებს შუმანა ფუტკარაძე (იხ. ფუტკარაძე, 1993:184), თუმცა რაიმე განმარტებას არ იძლევა. რ. ხალვაშმა გაარკვია ხანთუშეთის მნიშვნელობა. XVI საუკუნის მიძნაძორელ მოღვაწეთა შორის არიან ჯანთუშისძეები. მკვლევარი მიუთითებს, სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრდა არასწორი დაწერილობა ჯანთუშძე/ხანთუშძე/ხანთუშძე. რ. ხალვაში ხელნაწერის ფოტოკოპირებში ამოიკითხავს „ჯანთუშისე“ და „ხანთუშისძე“, უკავშირებს მას შავშეთის სოფელ ხანთუშეთს და აკეთებს დასკვნას: „არსებობს საფუძველი ვიფიქროთ, რომ ჯანთუშისძეთა//ჯანთუშძეთა//ხანთუშძეთა გვარის სამკვიდრებელი სწორედ შავშეთის ხანთუშეთი იყო“ (კლარჯეთი, 2016: 157). ვფიქრობთ, მსჯელობა დამაჯერებელი და მისაღებია.

ბელეშეთი – საძოვარი საბუდარას ახლოს (მარი, 2012: 147; სიხარულიძე, 1988: 40). **ბელეშ(ა)** ანთროპონიმი ჩანს (შდრ. გვარი ბელეშაძე).

მარკუეთი – სოფელი შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1958: 40). მარკუეთი//მარკვეთი < *მარკოეთისაგან. მარკო მამაკაცის სახელია, შდრ. მარკოძე – გვარი ზემო აჭარაში. მარკუეთი//მარკვეთი მარკოს ოჯახის საცხოვრისია.

ქადაგეთი, „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია „Кадагетъ“ [კადაგეტი] (Пагирев, 1913) ქადაგეთის გარუსულელებული ფორმა. გეოგრაფიული სახელი მომდინარეობს ანთროპონიმიდან „ქადაგი“, იგივე სახელი დადებია საფუძვლად გვარს „ქადაგიძე“ (შდრ. სიხარულიძე, 1988: 44).

მიქელეთი – სოფელი ყვირალას ხეობაში, მიქელეთი ქვია ადგილს შოლტისხევშიც. სოფლის სახელი გვარსახელიდან (მიქელაძე) უნდა მომდინარეობდესო, წერს ი. სიხარულიძე (იხ. სიხარულიძე, 1988: 46).

განვმარტავთ: შავშეთმა არ იცის გვარი „მიქელაძე“. მიქელეთი მიქელას სახლის საცხოვრისია.

ივეთი – ივხრეულის უბანი. ი. სიხარულიძე ასახელებს ფორმას – ივიეთი (სიხარულიძე, 1988: 51). ივეთი შეაქვს ლექსიკონში თ. ართვინლის (ართვინლი, 2013). ჩანს, ამოსავალია ივეთი. აღვნიშნავთ, რომ იოანე ბაგრატიონი გორში ასახელებს სოფელს ივრეთი (იხ. ბაგრატიონი, 1986: 40). ხომ არ შეიძლება, ივეთისა და ივრეთის

დაკავშირება? ივრეთი < ივერეთისაგან; ივეთი < ივრეთი' < ივერეთისაგან.

ზაქი-ეთი – სოფელი იმერხევში. „სოფელს ზაქიეთი ჰქვია, მაგრამ არავინ იცის, ზაქი რა არის. ზაქიეთში და მთელს შავშეთში კამეჩს ჯამუშს ეძახიან, მის შვილს კი – კოტოს//კოტიას“ (ფაღავა, 2013: 43). ზაქი სახელი//მეტსახელი ჩანს კაცისა...

გამიშ-ეთი//გამემ-ეთი – მცირე სოფელი ბაზგირეთს ზემოთ, ახლა მისი უბანი. ი. სიხარულიძე ასახელებს გომიშეთსა და გამიშეთს ცალ-ცალკე (სიხარულიძე, 1988: 57), რაც შეეცდომაა. სოფლის სახელია გამიშეთი, დასტურდება მისი ასიმილირებული ფორმაც – გამემეთი. ტოპონიმს საფუძვლად უდევს გამიშ//გამემ ანთროპონიმი (დაცულია გვარში – გამიშიძე//გამეშიძე).

დავით-ეთი სურევანის უბანი. იური სიხარულიძის აზრით, „უბნის სახელი გვარსახელისაგან მომდინარეობს...“ (სიხარულიძე, 1988:59). ვერ დავეთანხმებით მკვლევარს. დავითეთი მომდინარეობს მამაკაცის სახელისაგან დავითი და მისი სახლის საცხოვრისს, რომელიც სოფლის უბანს ქმნის, აღნიშნავს. დავითეთი და მისთანა ანთროპონიმული წარმოშობის გეოგრაფიული სახელები გაცილებით ძველია, ვიდრე გვარი თანამედროვე გაგებით.

კუტალ-ეთი – სურევანის უბანი. ნ. მარი ასახელებს კოტალაძე//კუტალაძე ფორმებსაც. კუტალა' კაცის მეტსახელი ჩანს.

წიქრ-ეთი – დიოზნის უბანი. ნ. მარი ასახელებს წითელაძე, წიქრაძე, წიქრეთი (მარი, 1911:75). წიქრეთი<წიქარეთი'საგან, შეკუმშული ფუძეა. წიქარ' ფუძე დასტურდება ტოპონიმში **წიქარეული** (სოფელი ორთაბათუმის თემში). წიქარა' მეტსახელი ჩანს, დაცულია გვარში – წიქარიძე.

ჩაქურ-ეთი – ზაქიეთის უბანი. გეოგრაფიული სახელის ფუძედ გამოყენებულია კაცის სახელი//იქნებ მეტსახელი ჩაქური, შენახულია გვარსახელში ჩაქურიძე. ჩაქური<ჩაქვურისა'გან ვს დაკარგვით, – წარმომავლობის სახელია.

ყამჩი-ეთი – ადგილი მანატბაში. ყამჩი თურქულია (Kamçı) მათრახს, შოლტს ნიშნავს. (იხ. ლექსიკონი, 2001; ნიჟარაძე, 1971). შდრ. შოლტისხევი. ჩანს, ყამჩი//შოლტი კაცის მეტსახელი იყო.

ოხეთი – სოფელი წეთილეთის ჩრდილო-აღმოსავლეთით. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Охеть [ოხეტი] (Пагирев, 1913),

რაც **ოხეთ**ის რუსული ტრანსლიტერაციაა. აღ. ჯავახიშვილთან დასტურდება ახმეტი (შდრ. ახმედი). ვფიქრობთ, ოხეთი<მოხეთისაგან თავკიდურა მ'ს დაკარგვით. მოხი' სოფელია მესხეთშიც. ფუძის მნიშვნელობა ჩვენთვის უცნობია.

კიტნ-ეთი – სოფელი ქვაბიკარის წყლის მარჯვენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1988: 38). კიტნეთი<კიტანეთისაგან. კიტა' მამაკაცის სახელია.

ჯავრი-ეთი – ადგილი მანატბაში. ჯავრი (ჯევრი) მამაკაცის სახელი ჩანს. დაცულია გვარსახელში – ჯავრიშვილი.

ჯუმი – ეთ//**ჯუშია-ეთი** – ადგილი უსტამისთან. ჯუშია' მამაკაცის სახელი ჩანს.

ჩიმაგ-ეთი – ჩაქველთას უბანი. ჩიმაგ//ჩიმაკ ანთროპონიმი ჩანს გვარსახელში ჩიმაკაძე.

ქიზინ-ეთი – ადგილი მანატბაში. ქიზინეთი<ქიძინეთი'საგან ძ:ზ მონაცვლეობით. ქიზინ//ქიძინ კაცის სახელი//მეტსახელი ჩანს, შენახულია გვარში ქიძინიძე.

სომეხ-ეთი – შოლტისხევის უბანი. სომეხი სალანძღავი სიტყვაა იმერხევეში, ფოშის//ზოშის სინონიმი. ერთი მელექსე ამბობს: „დილას ავდექ, შინ არ იყო,/მე რა ვიცი ი ზუნკალი,/ ტყვილ-ტყვილანუ ფიცავო,/შენ სომეხო, შენ ფოშაო...“ (შოშვილი, 2016:85). სომეხი აქ უარყოფითი შინაარსის შემცველია. სომეხი' ცუდი კაცის/კაცების მეტსახელი შეიძლება იყოს, სომეხეთი კი მათი საცხოვრისი.

სვან-ეთი – ადგილი ზაქიეთში. სვანი კაცის მეტსახელი ჩანს, დაცულია გვარში სვანიძე<სვანისძე.

სარი-ეთი – ადგილი უსტამისთან. სარი მამაკაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში სარიძე, სარიშვილი.

რუბან-ეთი – ადგილი ზენაგარაში. რუბა' მამაკაცის სახელი ჩანს (შდრ. გვარი რუბაშვილი. მაისურაძე, 1990:139).

რობან-ეთი ადგილი მანატბაში. რობან//რუბან ერთი და იგივე ფუძეა. საბას ლექსიკონში შეუტანია რობა – ხელგობი (საბა, 1949). რობა//რუბა მეტსახელი ჩანს.

მესხი-ეთი – უბანი უკანეთის მაჰალეში. მესხა' კაცის სახელი ჩანს, შენახულია გვარში მესხაძე. მესხას კუთვნილია მესხიეთი.

ლაზ-ეთი – ჩაქველთას უბანი. ლაზი' სატომო სახელია, უპირველესად, მაგრამ შესაძლოა ანთროპონიმადაც შეგვხვდეს, – სახელად ან მეტსახელად. ლაზეთი აქ ლაზის კუთვნილს აღნიშნავს.

კოკბერ-ეთი//კოკვერ-ეთი – სოფელი იმერხევში. კოკბერ-ეთი - ადგილი ჩივისხევში.

კოკბერ-ეთი//კოკვერ-ეთი (ბ:ვ'ს მონაცვლეობით მიღებული ფორმებია) // კოკიბერ-ეთი – სამივეს საერთო სახელური ფუძე აქვს. კოკბერი/კოკვერი/კოკიბერი – ანთროპონიმი ჩანს. შესაძლოა, იგივე ფუძე გამოიყოს გვარში კობერიძე (< კოკბერიძე).

კვირიკ-ეთი – ადგილი შოლტისხევში. კვირიკეს სახლეულის საცხოვრისია კვირიკეთი. შევნიშნავთ: ქობულეთის მუნიციპალიტეტში დასტურდება სოფელი კვირიკე', გეოგრაფიული სახელი ყოველგვარი მაწარმოებლის გარეშე.

კარ-ეთი – ადგილი ზაქიეთს იქით, სადაც ზიარეთია: „ზიარეთი არის იქ, კარეთ ვებნევით...“ (უბე). კარ' ანთროპონიმი დასტურდება გვარში კარიძე. კარეთი კარის კუთვნილია, მისი სამოსახლო.

ირკახი-ეთი – ადგილი კოკბერეთში. ირკახი' მეტსახელი ჩანს.

იმნი-ეთი – ადგილი ივეთში. „იმნიეთ არი თამარას ციხე“ – ივეთელი ინფორმატორის განმარტება. იმნა' კაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში იმნა[ს]ძე, იმნაი[ს]შვილი.

თეთროზ-ეთი – ზენაგარას უბანი. თეთროზეთი<თერომეთი>საგან ზ:ძ მონაცვლეობით. თეთრო//თეთრა კაცის მეტსახელი ჩანს. თეთრიენთი სახლის სახელია ბაზგირეთში (საქართველოში გვარიცაა თეთრამე).

ზუბი-ეთი – ადგილი ჩივისხევში. ზუბიენთი სახლის სახელია ბაზგირეთში. ზუბი/ზუ[მ]ბი/სუბი/სუ[მ]ბი კაცის მეტსახელი ჩანს. ზუბიეთი ზუმბიენთის სამოსახლოა ჩივისხევში.

გოგი-ეთი – სოფელი იმერხევში. ოსმალობამდელი დასახლება უნდა იყოს გოგიეთი.

გორგვი-ეთი ადგილი უბეში. გორგვიეთში ვ' განვითარებული ჩანს. გორგი < გიორგისაგან.

ბათინ-ეთი – ადგილი შოლტისხევში. ბათინ'ი//ბათნი კაცის სახელი/მეტსახელი ჩანს. შდრ. გვარი ბათნიძე<ბათნისძე.

დევი-ეთი ადგილი დაბაში. დევი საკუთარი სახელია (გვარ სახელი - დევიძე). დევის' კუთვნილია დევეთი.

წიწვ-ეთი – სოფელი შავშეთში. წიწვი//ციცივი საკუთარი სახელი/მეტსახელი ჩანს. დაცულია გვარებში - წიწვაძე, ციციძე (იხ. მაისურაძე, 1990: 214; 208).

მაჩხატ-ეთი – სოფელი იმერხევში. მაჩხატი საკუთარი სახელი ჩანს, დაცულია გვარში მაჩხატიძე. ზოგჯერ სოფელს მაჩხატიძე-დაც იხსენებენ (იხ. ფაღავა, 2013: 207-208).

გოჯელ-ეთი – ადგილი ახალდაბაში. გოჯელა (<გორჯელა) კაცის მეტსახელი ჩანს (შდრ. გვარი გორჯელაძე). გოჯელ'ი წარმომავლობის სახელია, იგივეა, რაც გოჯიდან.

პაპი-ეთი – ადგილი ახალდაბაში. პაპი' მამაკაცის სახელია, დაცული გვარში – პაპიძე.

თურმან-ეთი (//თურმანიძე//თურმანიზე) სოფელი ჩაქველთას ზემოთ. თურმანის' ოჯახის სამოსახლო, დღეს – მეთურქულე.

ნიოლ-ეთი (იგივე ლეონიძე) – სოფელი შავშეთში.

ვაჩენ-ეთ-ური – ადგილი მანატბაში. ორმაგსუფიქსიანი ტოპონიმი: ვაჩენეთური' სიტყვასიტყვით ვაჩენეთიდან მოსულის სამოსახლოა.

ზოვრ-ეთი – სოფელი შავშეთისწყლის მარჯვენა სანაპიროზე (სიხარულიძე, 1988:40).

წეთილ-ეთი – სოფელი შავშეთისწყლის ხეობაში. „ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Цетилетъ [ცეტილეტი] გარუსურებული ფორმა.

აღ. ჯავახიშვილთან ვკითხულობთ ჩეტილეტი(?).

ამოსავალი ფორმაა წეთილეთი. წეთილა კაცის მეტსახელი ჩანს.

ოქრობაგ-ეთი სოფელი შავშეთში.

ოქრობაგეთი' ლექსიკონში შეაქვს თ. ართვინლისაც, ამოსავალ ფორმად მიიჩნევს ოქროვაკეთი და გვთავაზობს ფუძის ასეთ სეგმენტაციას: ოქრო+ვაკე+ეთი (ართვინლი, 2013).

ნ. მარი ასახელებს – ოქრობაგეთი (მარი, 2012:111).

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Окробагетъ [ოქრობაგეთი] (Пагирев,1913).

ოქრობაგეთი ჩაიწერა ჩვენმა ექსპედიციამაც.

ოქრობაგე' შეიძლება მეტსახელი იყოს კაცისა, ისეთივე, როგორცაა ოქროპირი, ეს უკანასკნელი მამაკაცის სახელადაც გვხვდება.

შოთა მამულაძემ ჩიხორის ხეობაში ჩაიწერა (იხ. შავშეთი, 2011:69):

ვარდი-ეთი – ვარდი' მამაკაცის სახელი ჩანს, დაცულია გვარში ვარდიძე. ვარდიეთი – ვარდის საცხოვრისია.

ბერი-ეთი – ბერი ანთროპონიმია, საცულია გვარში ბერიძე, ბერიშვილი... ბერიეთი – ბერის კუთვნილია.

მახრი-ეთი (<*მახარა-ეთი), მახარა' ანთროპონიმია, დაცულია გვარში მახარაძე, მახარაშვილი... არ დაგვიდასტურებია მახრიენთი, სახლის გვარი, ტოპონიმმა შეინახა მისი არსებობა ჩიხორის ხეობაში.

წყური-ეთი – საყურადღებო გეოგრაფიული სახელია წყურ ფუძით (შდრ. ა-წყურ').

მამლი-ეთი – სოფელი იმერხევში. მამალა ანთროპონიმია, იქნებ მეტსახელიც, დაცულია გვარში – მამალაძე.

იშხნი-ეთი – ადგილი იმერხევში. შდრ. იშხნელი, იშხნელიძე.

შ. ფუტკარაძე ივეთში ადასტურებს გეოგრაფიულ სახელ **კოეთი//კოვეთი** (ფუტკარაძე, 1993: 283)¹. კოეთი<კოვეთისაგან. დასტურდება გვარი კოიძე<კოვიძე//კოზიძე.

ბუღანჯ-ეთი – საყანე ხოზაბირიდან ნორგიელის გზაზე (სიხარულიძე, 1988:15). შდრ. ბუღანჯები<ბუღაჯები, – ხელობის სახელი მეტსახელად ქვეული.

წამოვადგინეთ ადამიანის საკუთარ სახელზე/მეტსახელზე -ეთ სუფიქსის დართვით ნაწარმოები გეოგრაფიული სახელები: ბათინეთი, ბალტიეთი, ბელეშეთი, ბერიეთი, გამიშეთი, გიგიეთი, გოგიეთი, გორგვიეთი, გოროშეთი, გოჯელეთი, დავითეთი, ვარდიეთი, ვაჩენეთური, ზაქიეთი, ზოვრეთი, ზუბიეთი, თეთროხეთი, თურმანეთი, ივეთი, იმნიეთი, იშხნიეთი, კარეთი, კვირიკეთი, კიტნეთი, კოკბერეთი//კოკვერეთი, კოკლიეთი, კუტალეთი, ლაზეთი, მამლიეთი, მარკუეთი, მაჩხატეთი, მახრიეთი, მესხიეთი, მიქელეთი, ნიო-

¹ შ. ფუტკარაძე ჩაიწერს საინტერესო ამბავს კოვეთთან დაკავშირებით: „კოვეთ არი სამი ქუა, ერთმანეთში შეწყობილი. ამბობენ ერთმა გოგომ დადგაო. ამ ადგილს ქვაშეწყობილი ქვია. იქვე ახლოს ლომის მეხერია. ლომი მოუკლავან ჩუნ ზველებსა და ჩოლდვიან მიწაში... ერთი კაცი ყოფილა, მირი, იმ მირსა მოუკლავს ის ლომი, მირიც მომკდარა. ლომსა დოუიარალებია. მეზერი შუაზე გოუჭრიან: ცალ თერეფზე ლომი წევს, ცალ თერეფზე – მირი. მირის საფლავს უზახიან“ (ფუტკარაძე, 1993:183). მშვენიერი ლეგენდაა ლომისა და მირის შესახებ.

ლეთი, ორკახიეთი, ოქრობაგეთი, ოხეთი, პაპიეთი, რუბანეთი, სარეთი, სვანეთი, სომეხეთი, ქადადეთი, ქიზინეთი, ყამჩიეთი, ჩაქურეთი, ჩიმაგეთი, წეთილეთი, წიქრიეთი, წიწვეთი, წყურიეთი, ხანთუშეთი, ჯავრიეთი, ჯუშიაეთი, ორმოცდაათზე მეტი ტოპონიმი (-ეთ სუფიქსიანი ტოპონიმები შეტანილია თ. ართვინლის ლექსიკონშიც, ბევრი განსხვავებულიც, რომელთა აქ მოყვანა საჭიროდ აღარ ჩავთვალეთ. შესაძლოა, ანალოგიური სახელები სხვაგაა შავშეთში. მნიშვნელოვანია, რომ -ეთ სუფიქსიანი სახელები ქმნის შავშეთის ტოპონიმის ძველ ფენას. ყურადღებას მივაქცევთ ერთ ფაქტსაც: ადამიანის საკუთარ სახელზე/მეტსახელზე -ეთ სუფიქსის დართვით იწარმოება გეოგრაფიული სახელი, რომელიც აღნიშნავს კონკრეტული სახლის საცხოვრისს და ხშირად წარმოადგენს სოფლის უბანს, ზოგჯერ სოფელსაც. შავშეთში მეორდება სოფელში გვართა განსახლების წესი, რაც დასტურდება ტაოსა და კლარჯეთში, ანალოგიური იყო აჭარული სოფლის სტრუქტურაც. რაიც კიდევ ერთი დასტურია, რომ ჭოროხის აუზი ერთიანი კულტურული სივრცეა.

ბ. -ეთ სუფიქსი სიმრავლის//კრებილობის აღსანიშნავად:

ვაკ-ეთი – ზაქიეთის ყიშლა, იგივეა, რაც ვაკეები.

ძვარ-ეთი (<ზვარ-ეთი) – ადგილი ჩაქველთაში, შდრ. ზვარები (>ზვრები).

ყიშლ-ეთი – სოფელი ქერეთისხევში (სიხარულიძე, 1988:56). შდრ. ყიშლები.

საბზელ-ეთი (<საბმ-ელ-ეთი) – ადგილი შარათხევში.

დარვი-ეთი – ადგილი იმერხევში. დარვიეთში დარვ' ძირეული მასალაა. იგივე მარტივი ფუძე დასტურდება ზმნაში არვევს (>დარვევა). თუ დაკავშირება სწორია, მაშინ დარვიეთი იგივე დარვეულებია, დახნულები. დარვევა' შავშურში ხვნის' მნიშვნელობით იხმარება (შავშეთი, 2011: 579).

გ. -ეთ სუფიქსი დაერთვის ფლორონიმებს და მცენარის გარკვეული სახეობის სიმრავლეზე/კრებულზე მიუთითებს:

ჩხავრი-ეთი – ადგილი მანატბაში (ფაღავა, 2013:191). ჩხავრიეთი<ჩხავერი-ეთის შეკუმშული ფიძეა. ჩხავრი ვაზის ჯიშია საქართველოში. მიწას შეუნახავს შავშეთში ჩხავრის არსებობა.

ბარდნან-ეთი – ადგილი მანატბაში: ბარდნანეთი<ბარდნარეთისაგან ნ-ნ<ნ-რ პროგრესული ასიმილაციით. ორმაგსუფიქსიანი

ტოპონიმია, ორივე – კრებითობას აღნიშნავს. ბარდი' შეუტანია საბას „სიტყვის კონაში“ განმარტების გარეშე (საბა, 1949), რედაქციებში ვკითხულობთ: „ბარდი – ხე“ (საბა, I,1991), გვაგზავნის შებარდულ'თან, „შებარდული – ბარდით შეფარული“ (საბა, II, 1993).

„ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ (ახალი რედაქცია) ვკითხულობთ: „ბარდი – ბუჩქების ან ბალახეული მცენარის ერთმანეთში გართხმულ-გადახლართული ღეროები“ (ქეგლ).

ბარდნანეთი<ბარდნარეთი ბარდებით დაფარული ადგილებია.

კოპიტ-ეთ' – სოფელი სხლოზანისწყლის ხეობაში. შდრ. კოპიტნარი.

დ. -ეთ სუფიქსი დაერთვის სივრცეში ორიენტაციის აღმნიშვნელ ზმნიზედებს:

ქვეშ-ეთ' – მაჩხატეთის უბანი, რაც რაღაცის ქვემოთა, ქვემო უბანია: „ზემოთ მიხუალ თუ ქვეშეთ?“ (ჩიხვთა).

უკან-ეთ' – ადგილი უკანეთის მაჰალეში; ის რაც უკანაა, უკანეთია.

გაღმი-ეთ' – ადგილი უსტამისში: „გაღმიეთი (აქ: გაღმიეთი-დან - ავტ.) აბლაჲ მყავდა. გაღმიეთი ჩაქველთას უბანიცაა.

ე. -ეთ სუფიქსი სხვადასხვა ფუძეებთან:

ჩართულ-ეთ' – ადგილი შავშეთში.

ღურღულ-ეთ' – ადგილი მანატბაში. ღურღული გვხვდება აჭარულში, „ხმამაღლა, არეულად ლაპარაკი, ყაყანი, ღრიანცელი (?) (ნიჟარამე, 1971). საბა განმარტავს ღურღულა'ს: „მუცლის ხშირად ყვანა“ (საბა, 1949). ღურღული მიწიდან ამომავალი წყლის ხმაა უფრო, ასევე მუცლის ხმაური: „წყლის ღურღული ისმის“; „მუცელი მიღურღულეებს“ (ორთაბათუმი). ღურღულეთი ადგილია, სადაც მიწიდან ხმა (წყლის...) ისმის.

უხერ-ეთ' – ადგილი მანატბაში(?).

ქოშლი-ეთ' – ადგილი შავშეთში: ქოშლიეთი < ქვაშლიეთი'საგან, ადგილი, სადაც ქვა იშლება.

ტანზ-ეთ' – სოფელი მანსურეთისწყლის ხეობაში.

„ხუთვერსიან რუკაზე“ დატანილია Танзотъ [ტანზოთი] (Пагирев,1913).

ი. სიხარულიძე ვარაუდობს, რომ სახელის ადრინდელი ფორმა შეიძლება ტანძეთი ყოფილიყო (სიხარულიძე, 1988: 33). ძ:ზ მონაცვლეობა სამხრულ კილოებში დაშვებულია.

ველზე ჩავიწერეთ ტანზოთი//ტანძოთი. თ. ართვინლის აზრით, ტანზოთი (დანზოთი) სომხურია და სხლობანს ნიშნავს (ართვინლი, 2013).

-ეთ სუფიქსი ადამიანის სახელისაგან/მეტსახელისაგან აწარმოებს გეოგრაფიულ სახელებს. სხვა ფუნქციით -ეთ შედარებით ნაკლებად იხმარება.

გამოყენებული ლიტერატურა

ართვინლი, 2013 – Taner Artvinly, Artvin Adlari Sözlüğü, Istanbul.

დიასამიძე, 1988 – გ. დიასამიძე, ქვემო აჭარის ანთროპონიმია. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებელთა XLV სამეცნიერო კონფერენცია, მასალები, ბათუმი.

დონდუა, 1948 – ვ. დონდუა, ლიპარიტეთისა და ანალოგიური ფორმის გვარ-სახელებისათვის ქართულ ისტორიულ წყაროებში. თსუ შრომები, XXXIIIb, თბ.

ენუქიძე, 1977 – თ. ენუქიძე, გამოკვლევა წიგნზე: ტბეთის სულთა მატიანე, თბ.

ზურაბიშვილი, 1961 – თ. ზურაბიშვილი, ტოპონიმის შესწავლისათვის. ქესს, II, თბ.

ინგოროყვა, 1954 – პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, თბ.

კახიძე, 2013 – ნ. კახიძე, ეტრატზე ამეტყველებული ისტორია, ბათუმი.

კეკელიძე, 1955 – ვ. კეკელიძე, -ეთ სუფიქსიანი კრებითი სახელები ქართულში. ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, III, თბ.

კლარჯეთი, 2016 – მ. ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიომშვილი, შ. მამულაძე, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, ჯ. კარალიძე, კლარჯეთი, თბ.

ლექსიკონი, 2001 – თურქულ-ქართული ლექსიკონი, I-II, სტამბული.

მაისურაძე, 1990 – ი. მაისურაძე, ქართული გვარ-სახელები, თბ.

მარი, 1911 – Н. Я. Марр, Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандзийского... с дневником поездкий в Шавшетию и Кларджию. Кн. Тексты и Разыскание по Армяно-Грузинской Филологии т. VII, СПб.

მარი, 2012 – ნ. მარი, შავშეთსა და კლარჯეთში მოგზაურობის დღიურები, ბათუმი.

მაცაშვილი, 1991 – ა. მაცაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბ.

ნიჟარაძე, 1971 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი.

ჟამთააღმწერელი, 1987 – ჟამთააღმწერელი, ასწლოვანი მატია-ნე, გამოსცა რ. კვიციანი, თბ.

საბა, 1949 – სულხან-საბა ორბელიანი, სიტყვის კონა ქართული, რომელ არს ლექსიკონი, ს. იორდანიშვილის რედაქციითა და წინასიტყვაობით, თბ.

საბა, I, 1991 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, თბ.

საბა, II, 1993 – სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, თბ.

სიხარულიძე, 1988 . ი. სიხარულიძე, შავშეთ-იმერხევი, ბათუმი.

ტაო, 2020 – მ. ფაღვა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიომვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შამიკაძე, მ. ხალვაში, ჯ. ჩხვიმიანი, ჯ. კარალიძე, ტაო, თბ.

ფაღვა, 2013 – მ. ფაღვა, შავშური ჩანაწერები, თბ.

ფაღვა, 2015 – მ. ფაღვა, ჭოროხის აუზი კავკასიის ხუთვერსიან რუკაზე. ბსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ქართველოლოგიის ცენტრი, კრებული, X, ბათუმი.

ფუტკარაძე, 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი პირველი, ბათუმი.

ქ.ცხ. IV – ვ. ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ. 1973.

ქავთარაძე, 1985 – ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბ.

ქეგლ – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით, ტ. I-VIII, თბ. 1950-1964.

ქეგლ ახალი რედაქცია – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ახალი რედაქცია, ავთანდილ არაბულის რედაქციით, ტ. I-IV, თბ. 2008-2019.

ყაუხჩიშვილი, 1959 – ს. ყაუხჩიშვილი, „ქართლის ცხოვრების“ ძეგლთა ენა, იხ. ქართლის ცხოვრება, II, თბილისი.

შიოშვილი, 2016 – თ. შიოშვილი, ისტორიული სამხრეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, 1, შავშური ფოლკლორი, ბათუმი.

ჩიქობავა, 1926 – არნ. ჩიქობავა, -ონ სუფიქსი მეგრულში. თსუ მოამბე, VI, ტფილისი.

ცეცხლაძე, 2004 – ნ. ცეცხლაძე, ძიებანი ჭოროხის აუზის ტოპონიმიიდან, ბათუმი.

ჭიჭინაძე, 1913 – ზ. ჭიჭინაძე, მუსულმანი ქართველობა და მათი სოფლები საქართველოში, ტფილისი.

Март, 1925 – Н. Я. Март, Грамматика Древнелитературного Грузинского Языка, М-Л.

Март, 1938 – Н. Я. Март, О Языке и Истории Абхазов. История Термина „Абхаз“, М.

Пагирев, 1913 – Алфавитный указатель к пятиверстной карте Кавказского края, издания Кавказского ВоенноТопографического Отдела, Тифлис.

ელზა ფუტკარაძე

ტაოს ქართულის ლექსიკიდან

როგორც ცნობილია, ისტორიული ტაოს ვრცელ ტერიტორიაზე ქართული მეტყველება აღარ ისმის. ქართული მეტყველება შემორჩენილია ამიერთაოში, ძირითადად კი, პარხლისწყლის ხეობის რამდენიმე სოფელში. ტაოს ქართული ერთ-ერთი სამხრულდასავლური კილოთაგანია, რომელიც საინტერესო ლინგვისტურ სურათს გვიჩვენებს. აქაურთა მეტყველებაზე დიდ გავლენას ახდენს

თურქული ენა. შესაბამისად, იცვლება ტაოს ლექსიკური ფონდი. თანდათან დავიწყებთ ეძლევა ქართული სიტყვები ან მეტყველებაში ქართულის პარალელურად გამოიყენება თურქული სიტყვები. არის დიდი ალბათობა, რომ ამ მონაცვლე ფორმათა ჭიდილში თურქული სიტყვა დამკვიდრდეს. ამის ხელშემწყობი ერთ-ერთი პირობაა, რომ ქართული ენა ახალგაზრდა თაობის მეტყველებაში ნაკლებად ისმის. არის შერეული ქორწინებები, მოსახლეობა ქალაქში ცხოვრებას ირჩევს. ყველაფერი ეს აისახება ტაოს ქართულ მეტყველებაზეც. ამდენად, ლექსიკურ ერთეულთა აღნუსხვა-ანალიზი საშური და დროული საქმეა, რამეთუ ეს ლექსიკური ერთეულები საერთო ქართული ლექსიკის ნაწილია.

ჯერ კიდევ 1873 წლიდან იწყება ტაოს შესწავლა. არაერთ საინტერესო ინფორმაციას ვხვდებით დ. ბაქრაძის, გ. ყაზბეგის, ე. თაყაიშვილის დღიურებში. ტაოს ქართული შესწავლილი აქვთ: შ. ფუტკარაძეს, მ. ფაღავას, ტ. ფუტკარაძეს, ე. დადიანს... ნაშრომში რამდენიმე ლექსიკურ ერთეულზე გავამახვილებთ ყურადღებას. ლექსიკურ ფორმათა ანალიზისას ვეყრდნობით დიალექტოლოგიური ექსპედიციის დროს ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებს და ვუდარებთ სამეცნიერო მიმოქცევაში არსებულ ტაოურ ტექსტებს.

ტაოს ლექსიკური ერთეულები ზოგჯერ ქართული სალიტერატურო ენის ქვესისტემათაგან განსხვავებულ მნიშვნელობას გვიჩვენებენ და იმავდროულად, კილოთა საერთო სემანტიკურ ველში ექცევიან.

ტალი ტაოს მეტყველებაში ტოტის აღსანიშნავად გვხვდება: „ტალი მოტეხა და“; „მეიწიე ტალი, არ მოტეხო“. შდრ. ფაღავა: ტალი – ტოტი. ტალი იმერხეულ მეტყველებაშიცაა დადასტურებული იმავე მნიშვნელობით (შ. ფუტკარაძე 1993). ამასთანავე, ნიშნავს კბილის მინანქარს: „ტალი ჩამომტყდა კბილიდან და ცივ, ცხელ რამეს ვედარ ვიდებ პირში“(იქვე). საბას განმარტებით: ტალი-კბილის ანახეთქი. სხვა კილოთა მონაცემებით, ტალი – 1. კაჟი, მაგარი, მინერალი, რომელზეც კვების ჩამოკვრით ჩნდება ნაპერწკალი (ბერ. ჩუბ. ალაგ.); 2. ქვამარილის ან სხვა რაიმეს ზედაპირზე გადაკრული შავი ნაგლეჯი (ალავ. ღლ.). ასევე, ლაქა (ალავ.). ძირითადად დიალექტებში ტალი მონატების, ანახეთქის, ნაგლეჯის, ლაქის შინაარსს ატარებს. ტა-

ოს მეტყველებაში დადასტურებული მნიშვნელობით კი, ის ლექსიკურ დიალექტიზმად ჩანს.

საინტერესო სიტყვაფორმაა **ბალულა** – ახალშობილის ჩასაწვენი, ხისგან დამზადებული: „ბალულაში ვაწვენდით ბაღანას, ახლა არა, ადგა“. საანალოზო ლექსიკური ერთეული ანალოგიური მნიშვნელობითაა დადასტურებული მ. ფაღავას მიერ ჩაწერილ ტექსტებში: ბალულა – ხის ქერქისაგან დამზადებული საგები ახალშობილის დასაწვენად: „ბაღანა ჯერ ბალულაში იქნება, მერეა აკვანი (მ. ფაღავა 2020, 1111). თავისი დანიშნულებით ბალულა იგივე ხოჭიჭია. შდრ. საბა: ხოჩიჩი, ნ. ჩუბ.: ხოჭიჭი. ბალულა არ დასტურდება ქართული ენის განმარტებით და დიალექტთა ლექსიკონებში. მხოლოდ მესხურში გვხვდება ბალუნა ფორმით: ბალუნა - ჰამაკივით გაბმულა. ხეებს შორის ორკეცი თოკით აკეთებენ სახელდახელო ჰამაკს: სახში სიცხეა, გარეთ ბალუნაში ჩააწვინე ბოვში (ქ. ფეიქრიშვილი 1992, 23). ამავე მნიშვნელობით ისევ მესხურ კილოში გვხვდება ბალულა (ი. მასისურაძე, 1954, 41). მესხური ბალუნა//ბალულა ფაქტიურად თოკით სახელდახელოდ დამზადებული ჰამაკია, რომელიც სისტემურ არ გამოიყენება ჩვილის ჩასაწვენად. ტაოური ბალულა ხის ქერქისაგან დამზადებული საგებია ახალშობილის დასაწვენად. სწორედ გარკვეული დროით აქ აწვენდნენ ახალშობილს და შემდეგ გადააწვენენ ხოლმე აკვანში. აღნიშნული შინაარსობრივი ნიუანსის გათვალისწინებით, ბალულა ტაოს კუთვნილებად მიგვაჩნია.

ტაოს მეტყველებაში გავრცელებულ ლექსიკურ ერთეულად ისმის **კონკი**. აქ კონკი გაფართოებული მნიშვნელობით გამოიყენება და მხოლოდ დაფრეწილ, დახეულ ტანისამოსს კი არა, ზოგადად სამოსს აღნიშნავს: „ზალ ლამაზ კონკებ ჩააცმენ“; „ყად ძველი, დაფრეწილი კონკები ეცვა“; „ყად კონკევენ, მიდიოდა სახში და ფარას ითხოვდა“; „ქალიც იყო და კონკებ აცმევდა“; „იცმენ კონკებსა“; „გაფრეწილი კონკები ჩააცმენ“; „ზალ ეცვა ლამაზი კონკები“; „ვიკითხავთ, ახალ კონკებ ჩეიცვამ“; „სანდუხში ლამაზ კონკებ ჩავაწყობთ“.

ქართულ სალიტერატურო ენასა და დიალექტებში კონკი ოდენ ძველი, დაგლეჯილ-დაკერებული ტანსაცმელია. შდრ. საბა: კონკი ფარატინთ ნამკესები. ფარატინი ძველის ნაგლეჯი. ქეგლ: კონკი – სიძველით დაგლეჯილი, მრავალჯერ დაკერებული ტანსაცმე-

ლი. გურ. კონკი-ძველი, დახეული ტანსაცმელი (ალ. ღლონტი), კონკიძველი (მენტ.). კონკი დამონძილი, დახეული, დაკერებული სამოსია აჭარულშიც. შ. ნიჟარაძის ლექსიკონში კონკი არ გვხვდება, თუმცა კონკლია ასეა განმარტებული: 1. კონკებით შემოსილი, ძონძებში გახვეული, ვისაც დაკერებული ტანსაცმელი აცვია. 2. გრძელბეწვიან ძაღლს შერქმეული სახელი (შ. ნიჟარაძე 1975). ასევე, კონკი-ძონძი (ჯ. ნოღაიდელი 2015). კონკი – 1. ერთი გვარისათვის შერქმეული სახელია ფერეიდანში. 2. კონკი-კონკი- უშნოდ, უწესრიგოდ სიარული (მ. ბერიძე... 2018).

ამდენად, კონკი ზოგადად სამოსის მნიშვნელობით ტაოს მეტყველებაში დასტურდება.

სახასიათო ლექსიკური ერთეულია **ხამი**. დიალექტურ ლექსიკონებში ხამი ასეა განმარტებული: ხამი (ზ. აჭარული) შალითა. საბნის ხამი საბნის შალითა. მინდრის ხამი ლეიბის (საგების) შალითა. ხამი მიწა-უხნავი, დაუმუშავებელი მიწა (შ. ნიჟარაძე). შდრ. ხამი მიწა – დაუმუშავებელი მიწა (ბერ., ჯაჯ., ღლ.), ხამი ტყავი – გამოუყვანელი ტყავი (მენტ.; ნოდ.) ჩვენებურების ქართულში ხამი ასეა ახსნილი: ხამი – (არ.ham) ბამბის ქსოვილი. 2. დაუმუშავებელი ყამირი მიწა. 3. გამოუცდელი, უწვრთნელი. ძირითადად ხამი დაუმუშავებელი მიწისა და გამოუცდელი ადამიანის აღმნიშვნელად დასტურდება.

საანალიზო სიტყვა განსხვავებული მნიშვნელობითაა დადასტურებული მესხურში: ხამი: (სპარს.) – უცხო, შეუმჩნეველი (ადამიანი, საქონელი, წყალი, მიწა...) (ყ. ფეიქრ.) შდრ. ინგ. მიუჩვეველი, უცხო. ზემოიძვერულში კი, ხამი (წყალი) – ბუნებრივი, ჩვეულებრივი სასმელი წყალი (მოწ.), ხოლო ხევსურულში ხამი: მწვანე ბალახი (ჭინჭ).

ჩვენ მიერ ჩაწერილი მასალითაც, ხამი ძირითადად ორი მნიშვნელობითაა გავრცელებული ტაოს მეტყველებაში: 1. დაუმუშავებელი, ყამირი მიწა და 2. გამოუცდელი ადამიანი: „ტყე იყო, ხამი მიწა“; „ხამი ღარჭია, ხამი“...

თუმცა ტაოს მეტყველებაში ხამი სხვა შინაარსითაც აქვს დადასტურებული მ. ფაღავას: ხამი – მსუქანი: „ჩემი ბღანოა, ხამი არი“ (მ. ფაღავა). ასევე, დამოწმებულია გამოუცდელის მნიშვნელობითაც: ხამი ფუტკარი-გამოუცდელი, უცოდინარი, უწვრთნელი. საბას გან-

მარტებით, ხამი: 1. ცხენი ნასუქარი და ნაბამი, გინა გამოუჯაგავი. 2. სხვილი სამოსელი. საბასეული განმარტების შინაარსით ადასტურებს საანალიზო სიტყვაფორმას მკვლევარი. ხამი მსუქანის მნიშვნელობით ტაოს დიალექტური ლექსიკის ნაწილს წარმოადგენს.

ტაოს მეტყველებაში საუბრის, ლაპარაკის შინაარსის გამო-მხატველი რამდენიმე ლექსიკური ერთეული ისმის. ძირითადად დამკვიდრებული სიტყვაა **ხვართობს**: „არ მეხვართება; ჰემ გურჯიჯა ვხვართობ, ჰემ თურქა“; „ბღანომ იცის გურჯიჯა ხვართი; ოქულში თურქა ხვართობენ“. პარალელურად **ხვართობს/ხართობს** ფორმაც დასტურდება: „ვხართობთ და“; „შენს უკან ვხართობთ“; „ჩვენებურა ხვართობა მიხდი?“

საუბარს აღნიშნავს ასევე **იარინობს**. ჩვენ მიერ ჩაწერილ მასალაში იარინობ ფორმა ნაკლებად გვხვდება: „ვერ გეარენები, ვერ დეგეხვართები“. როგორც მ. ფაღავა შენიშნავს, „ხვართი არის ზოგადად ლაპარაკის აღმნიშვნელი, ვიარინობ, გეარენები – კონკრეტულ მომენტს გულისხმობს საუბრისას: „მე ცქვიტაი ვიარინობ; ვერ უხვართიან, ვერ უხვართიან, ხთებიან, ჰამა, ვერ გეარენებით“ (მ. ფაღავა 2020, 771).

საუბრის შინაარსის გადმოსაცემად ტაოელთა მეტყველებაში დასტურდება **უბარკავს** ფორმაც: უბარკავს, ხვართობს. უბარკავს ფორმა არ გვხვდება ქართული ენის კილოებში, თუმცა ბარ ძირს ასე განმარტავს საბა: უბარი – უზრახი, მოუბარი.

საუბრის, ლაპარაკის მნიშვნელობით მ. ფაღავა იმოწმებს ლექსიკურ ერთეულს **ფართობა, ფართობს**: „იქ ფართობდი, ჰო! მექთებში თურქა ფართობენ“ (მ. ფაღავა 2020, 1166).

ამდენად, საუბრის სემანტიკის გამომხატველი სიტყვები **ხვართობს// ხვართობს/ხართობს, იარინობს, უბარკავს, ფართობს** ლოკალურად მხოლოდ ტაოელთა მეტყველებაში დასტურდება.

ტაოს სიტყვიერი მასალიდან საინტერესო ფორმად მიგვაჩნია არსებობის, ცხოვრების, ოჯახობის აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეული **თუთუნობა**. თუთუნი – ოჯახი, კომლი, მოსახლე. დავსძენთ, რომ ჩვენ მიერ ჩაწერილ ტექსტებში არ შეგვხვედრია ეს ფორმა. მასალას დავიმოწმებ მ. ფაღავას მიერ საილუსტრაციოდ წარმოდგენილი ტექსტებიდან: „ოჯალი თუთუნობს, კვამლი, დუმანი წავა, ია თუთუნობს, იტყვიან ქი – შეხედე მათი ოჯახი თუთუნობს, სახლ არიანო;

ვინმე თუ არი, სახლი თუთუნობს, ვინმე თუ არ არი, არ თუთუნობს; ერთი სახლი-ერთი თუთუნი, ი-მეორე თუთუნი, მესამე თუთუნი... (მ. ფაღავა 2020, 773). მისივე განმარტებით, თუთუნი (თურქ. – თამ-ბაქო) – აქ: კომლი, სახლი. თუთუნობს –კვამლავს.

თუთუნობს ფორმა ოჯახობის, კომლის, არსებობის მნიშვნელობით არ დასტურდება ქართული ენის დიალექტებში. მხოლოდ ივ. ქავთარაძეს დადასტურებული აქვს მოხეურ კილოში თუთუნებს ფორმით და ასე განმარტავს: ნელა და უბარაქოდ, უსულდგულოდ მოქმედებს (ივ. ქავთარაძე 1985).

ამგვარად, ნაშრომში განხილული რამდენიმე ლექსიკური ერთეული მეტნაკლებ წარმოდგენას გვიქმნის ტაოს მეტყველების ლექსიკურ თავისებურებათა შესახებ. იქაურთა მეტყველებაში ჯერ კიდევ ცოცხლობს ქართული სიტყვა, რომელიც მრავალმხრივ საინტერესოა, განსაკუთრებით, ენის ისტორიის, ისტორიული დიალექტოლოგიის, ლექსიკოლოგიის კუთხით. ასევე ანგარიშგასაწევია ლინგოკულტუროლოგიური ხედვითაც. ტაოელთა მეტყველებაში მცირე შინაარსობრივი ნიუანსით დადასტურებული ლექსიკური ერთეულები ტაოური დიალექტის სიტყვიერ მასალას ამდიდრებს, რომლებიც, თავისთავად, ზოგადქართველური ლექსიკის მნიშვნელოვანი ნაწილია.

გამოყენებული ლიტერატურა

ბერიძე... 2018 – მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ნ. ნახუცრიშვილი, ფერიდნული დიალექტის კორპუსული ლექსიკონი, თბილისი 2013;

ბერიძე 1981– გ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბილისი, 1981;

მაისურაძე 1954 – ი. მაისურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან: ბათუმის პედიანტიკუტის შრომები, ტ.4, ბათუმი, 1954;

მენტეშაშვილი 1945 – ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1945;

ნიჟარაძე 1975 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი. ლექსიკა, გამომცემლობა საბჭოთა აჭარა, ბათუმი, 1975;

ნოღაიდელი 2015 – ჯ. ნოღაიდელი, აჭარული კილოს სალექ-სიკონო მასალა, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-სიტეტის გამომცემლობა, ბათუმი, 2015;

ორბელიანი 1991-1993 – ს.ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართუ-ლი, ტ.1-2, თბილისი, 1991, 1993.

როსტიაშვილი 1978 – ნ. როსტიაშვილი ინგილოური ლექსი-კონი, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1978;

ფალავა... 2020 – მ.ფალავა, მ. ცინცაძე, მ. ბარამიძე, მ. ჩოხარაძე, თ. შიოშვილი, რ. ხალვაში, ნ. მგელაძე, ზ. შაშიკაძე, მ. ხალვაში, ჯ. კა-რალიძე, ტაო, ბათუმი, 2020;

ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, I, აჭარის შურნალ-გაზეთების გამომცემლობა, ბათუმი, 1993;

ფუტკარაძე 2016 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, წიგნი მეორე, ბათუმი, 2016.

ფეიქრიშვილი 1992 – ჟ. ფეიქრიშვილი, მესხური დიალექტის სალექსიკონო მასალა, გამომცემლობა საწუთრო, თბილისი, 1992;

ქავთარაძე 1985 – ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დია-ლექტი, გამომცემლობა მეცნიერება, თბილისი, 1985;

ღლონტი 1975 – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სი-ტყვის კონა, გამომცემლობა განათლება, თბილისი, 1975;

ჩუბინაშვილი 1961– ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, 1961.

ჭ ა ბ უ კ ი ქ ი რ ი ა

ქართველურ ენათა ლექსიკონების სტატუსისათვის

ლექსიკონები სხვადასხვა სახისაა როგორც შინაარსის, ისე ფორმის მიხედვით. მასალის დალაგებისას წინასწარ შერჩეული პრინციპისა და თანმიმდევრულობის დაცვა მნიშვნელოვანია ნების-მიერი ამგვარი გამოცემისთვის.

ამა თუ იმ ნაწარმოების სიმფონია-ლექსიკონებში მასალა ახ-სნა-განმარტებების გარეშეა წარმოდგენილი.

მაგრამ, ჩვეულებრივ, ლექსიკონებში არა მარტო აღრიცხავენ სიტყვებს, არამედ უჩვენებენ მათ მნიშვნელობასაც; ეს შეიძლება იმავე ენაზე გადმოიცეს, რა ენისაცაა ლექსიკონი. ასეთი ლექსიკონი იქნება **განმარტებითი**. სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება უჩვენონ სხვა ენიდან სათანადო სიტყვის შერჩევით; ეს იქნება **თარგმნითი** ანუ **პარალელური** ლექსიკონი. თარგმნითი ლექსიკონი ჩვეულებრივ ორენოვანია; შეიძლება იყოს სამენოვანი, ოთხენოვანი და მეტიც... არსებობს **სპეციალური, სოფლის მეურნეობის, ტექნიკური, სამედიცინო, ტერმინოლოგიური, ორთოგრაფიული, სინონიმების, იდიომატურ თქმათა, ჟარგონის** და სხვა ლექსიკონები. სპეციალურ ლექსიკონებში შედის საენათმეცნიერო ლექსიკონებიც: **დიალექტოლოგიური** (ამა თუ იმ დიალექტის ლექსიკური თავისებურებებია აღნუსხული), **ისტორიული** (სადაც ლექსიკონის შემადგენლობისა და სიტყვათა მნიშვნელობების ცვლაა აღნუსხული), **შედარებითი**, რომელშიც, ორი ან მეტი მონათესავე ენის სიტყვებია შედარებული (შედარებულია და არა თარგმნითი, როგორც პარალელურ ლექსიკონებშია). შედარებითი ლექსიკონები მხოლოდ მონათესავე ენებისაა, რომლებსაც საერთო წარმოშობა აქვთ, პარალელური – ერთი მნიშვნელობის სიტყვებს მოიცავს. შედარებითი ლექსიკონი **არსებითად** განსხვავდება პარალელური ლექსიკონისაგან: პარალელური ლექსიკონი შეიძლება ყოველი ორი ენისთვის შევადგინოთ, იქნება ეს ენები მონათესავე თუ არა (მაგ., არაბულ-ქართული, თურქულ-რუსული, ჩინურ-ფრანგული), **შედარებითი** ლექსიკონი კი მხოლოდ **მონათესავე** ენებისა იქნება, ე. ი. ისეთი ენებისა, რომელთაც საერთო წარმოშობა აქვთ. ამისდაკვალად პარალელური ლექსიკონი ერთი მნიშვნელობის სიტყვებს იძლევა, შედარებითი – ერთი წარმოშობის ფუძეებს გამოყოფს, თუნდაც რომ მათი მნიშვნელობა სხვა იყოს. ასე, მაგალითად, პარალელურ ქართულ-მეგრულ ლექსიკონში გვექნება: კაცი-კოჩი, ძმა-ჯიმა, ხე-ჯა, ღამე-სერი... შედარებით ქართულ-მეგრულ ლექსიკონში კი გვექნებოდა: კაცი-კოჩი, ძმა-ჯიმა, ძელი-ჯა, ღამე-ღუმა „წუხელ“. ქართ. ძელი-ი და მეგრ. ჯა „ხე“ **წარმოშობით** ერთი და იგივე ფუძეა. ასევე: ქართ. **ღამე**-ს **წარმოშობით** უკავშირდება მეგრ. **ღუმა**, რომელსაც ამჟამად სხვა მნიშვნელობა აქვს (და არა **სერ**-ი, რომელიც ამჟამად „ღამეს“ აღნიშნავს) [ჩიქოზავა, 2008, 132-133].

თუკი გავიზიარებთ ამ ინფორმაციას და მის მთავარ აქცენტებს, მკაფიოდ და ცალსახად შევძლებთ იმის დეკლარირებას, რომ ნებისმიერი ქართველური მასშტაბის ლექსიკონი, რომელიც ძირფუძეთა შედარებას არ ისახავს მიზნად, სათანადოდ უნდა გავიაზროთ, – როგორც **პარალელური** ანუ **თარგმნითი** ლექსიკონი.

რას ნიშნავს ეს?

იმას, რომ:

გაუგებარია ფორმულირება: „მეგრული ლექსიკონი“, „ლაზური ლექსიკონი“, „სვანური ლექსიკონი“.

უნდა იყოს: „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“; „ლაზურ-ქართული ლექსიკონი“; „სვანურ-ქართული ლექსიკონი“.

კიდევ ერთხელ გავუსვამთ ხაზს: თუკი მეგრულ-ლაზური, სვანური და ქართული არის მონათესავე **ენები**, მაშინ სავსებით ბუნებრივია, რომ **მეგრულ-ქართული** ან **ლაზურ-ქართული** დავარქვათ ლექსიკონს, რომლის მეთაური სიტყვები მეგრულია ან ლაზური, ხოლო განმარტებები **სხვა** (მონათესავე, მაგრამ სხვა) **ენით** არის წარმოდგენილი; ასევე, – **სვანურ-ქართულია** ლექსიკონი, რომლის სალექსიკონო ერთეულები სვანურია, ხოლო შესაბამისი თარგმანი ქართულად დასტურდება.

გარკვეული უხერხულობა ახლავს იმ გარემოებას, რომ მეგრულ-ლაზურს ერთ ენად მივიჩნევთ, ამ დროს კი მეგრულ-ქართულსა და ლაზურ-ქართულ ლექსიკონებზე ვმსჯელობთ. იმის გამო, რომ **ზანური/კოლხური თეორიულად** პოსტულირებული ენაა (გამყრელიძე-მაჭავარიანი, 1965, 15-16) და ამ თვალსაზრისით ის განსხვავდება სალიტერატურო, სტანდარტიზებული ენის სტატუსის მქონე **რეალურად** არსებული ქართულისგან, საჭირო ხდება ასეთი მანიპულირება. თავად არნოლდ ჩიქობავა მსჯელობს „**პარალელურ ქართულ-მეგრულ ლექსიკონზე**“ (იხ. ზევით).

სხვა შემთხვევაში საჭირო გახდებოდა და ძალიან გაჭირდებოდა ოპტიმალური სალექსიკონო მასალის შერჩევა ამ ორი დიალექტის ლექსიკური ფონდიდან, მით უმეტეს, რომ „ზანური ენის ორივე კილო, ჭანურიცა და მეგრულიც, კილოკავებად იშლება. მეგრულის კილოკავებია: ზუგდიდურ-სამურზაყანული და სენაკური; პირველში გამოიყოფა ჯვარული თქმა, მეორეში – მარტვილურ-ბანძური თქმა. ჭანურის კილოკავებია: ათინური, ვიწურ-არქაბული და ხოფური;

ათინურში გამოიყოფა ბულეფურ-ართაშენული, ხოფურის თქმას წარმოადგენს ჩხალური“ [ჩიქობავა, 1936, 30].

არც სვანურია სალიტერატურო და სტანდარტიზებული ენა: როდესაც სვანურ ენაზეა ლაპარაკი, ცხადია, იგულისხმება მისი რომელიმე დიალექტი. „სვანური – X“ თუ „X – სვანური“ ტიპის ლექსიკონებშიც დიალექტური ალტერნატივებიდან უნდა შეირჩეს ლექსიკური ერთეულები, ანუ, ცხადია, მხოლოდ **ტერმინი** „სვანური ენა“, რომელიც არ არის წმინდა ლინგვისტური ღირებულებისა და დატვირთვის მქონე ზანურივით/კოლხურივით **ხელოვნური**, მაინც ვერ ხსნის არსებულ იმანენტურ წინააღმდეგობას, – რეალურად იმავე ფუნქციური დატვირთვისაა, როგორიცაა ზანური/კოლხური.

ბოლო ჟამს გამოცემულ ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ ლექსიკონში სვანური მასალა ბალსზემოურ კილოს (უპირატესად უშგულურ კილოკავს) ეყრდნობა, რომელიც გამოირჩევა არქაულობით. ლექსიკონში ხშირად პარალელურად ან დამოუკიდებლად დაფიქსირებულია ზემოსვანურის უფრო გავრცელებული გრამატიკული ფორმა თუ ლექსემაც მესტიურ-მულახური კილოკავიდან. ქართულ და ინგლისურ მონაცემებთან უფრო სრული ნიუანსური თანხვედრის მისაღწევად მოხმობილია სხვა დიალექტების მონაცემებიც [ლექსიკონი, 2015].

მეგრული ლექსიკა წარმოდგენილია სამივე არეალის (აღმოსავლურის, ცენტრალურისა და დასავლურის) მიხედვით, თუმცა უპირატესობა მიენიჭა დასავლურს ანუ ზუგდიდურ-სამურზაყანულ კილოს, რადგან ძირძველი ლექსიკა იქ უკეთ არის შენახული... ლაზური მასალა მოხმობილია ძირითადად ხოფური კილოს მიხედვით, რაც განპირობებულია იმით, რომ ხოფური კილოს სარგული მეტყველება უკეთ წარმოაჩენს ქართულთან საერთო ელემენტებს; გარდა ამისა, ლაზურში ლექსიკური ერთეულის სრულყოფილად წარმოდგენისათვის მნიშვნელოვანია ყ ბგერის შენარჩუნება, რომელიც, ხმოვნების წინ და ხმოვნებს შორის დაცული აქვს ხოფურს, ხოლო დანარჩენ კილოებში ტრანსფორმირებული ან სრულიად გამქრალია [იქვე, 215].

მეგრულისა და ლაზურის ლინგვისტური შეფასებისას არსებობს განსხვავებული დამოკიდებულება, რომლის მიხედვითაც ესე-

ნი ენებია. ამ შემთხვევაშიც პრობლემა არ იხსნება იმის გამო, რომ ეს ენებიც მხოლოდ კილოების სახით არის რეალიზებული.

პირველი გაურკვევლობიდან („მეგრული ლექსიკონი“, „ლაზური ლექსიკონი“, „სვანური ლექსიკონი“) გამომდინარეა მეორე გაუგებრობა, როდესაც, ვთქვათ, „მეგრულ“ ან „მეგრულ-ქართულ“ ლექსიკონს განმარტებითი ლექსიკონების რიგში აქვს მიჩენილი ადგილი (იხ.: <https://www.ice.ge/liv/liv/index.php>; <https://lev.ge> ...).

რომელიმე „იმერული ლექსიკონი“ არის განმარტებითი ლექსიკონი, – იმის გამო, რომ აქ ქართული ენის დიალექტის –**იმერულის** მასალა განმარტებულია ქართული ენით; „ხევსურული ლექსიკონი“ არის განმარტებითი ლექსიკონი, – იმის გამო, რომ აქ ქართული ენის დიალექტის – **ხევსურულის** მასალა განმარტებულია ქართული ენით და ა. შ.

მეგრული ლექსიკონი განმარტებითი იქნება იმ შემთხვევაში, თუ სალექსიკონოდ გამოტანილი მასალა ახსნილ-განმარტებული იქნება **მეგრულად**; **ლაზური ლექსიკონი** განმარტებითი იქნება იმ შემთხვევაში, თუ სალექსიკონოდ გამოტანილი მასალა ახსნილ-განმარტებული იქნება **ლაზურად**; **სვანური ლექსიკონი** განმარტებითი იქნება იმ შემთხვევაში, თუ სალექსიკონოდ გამოტანილი მასალა ახსნილ-განმარტებული იქნება **სვანურად**.

ასე რომ, ალოგიკურია ფორმულირება „**სვანური ლექსიკონი**“ – „**სვანურ-ქართული ლექსიკონის**“ ნაცვლად, „**მეგრული ლექსიკონი**“ – „**მეგრულ-ქართული ლექსიკონის**“ ნაცვლად, „**ლაზური ლექსიკონი**“ – „**ლაზურ-ქართული ლექსიკონის**“ ნაცვლად. როგორც აღინიშნა, ესენი არის არა **განმარტებითი**, არამედ **თარგმნითი** ლექსიკონები და ეს მათ დასახელებაშიც ნათლად უნდა იკითხებოდეს.

რა მოხდება იმ შემთხვევაში, თუ ქართული მასალა გამოვიტანეთ მეთაურ სიტყვებად და მას მივუწერეთ **სვანური/მეგრული/ლაზური** სათანადო თარგმანები? ეს როგორი ლექსიკონები იქნება, **ქართული**? არა, რა თქმა უნდა. ეს იქნება **ქართულ-სვანური, ქართულ-მეგრული, ქართულ-ლაზური** ლექსიკონები.

ასე თუ არ გავიაზრებთ, გამოდის, რომ ალიო ქობალიას „**მეგრული ლექსიკონი**“ განმარტებითია, ხოლო ახლახან გამოცემული მისივე „**ქართულ-მეგრული ლექსიკონი**“ – პარალელური, ანუ, თარგმნითი.

ძალიან მარტივად დგას საკითხი და მარტივადვე შეიძლება მისი გადაწყვეტა – სწორია: „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, „ლაზურ-ქართული ლექსიკონი“, „სვანურ-ქართული ლექსიკონი“; მეორე მხრივ: „ქართულ-მეგრული ლექსიკონი, „ქართულ-ლაზური ლექსიკონი“, ქართულ-სვანური ლექსიკონი“.

ესენი თარგმნითი ლექსიკონებია და არა განმარტებითი. აქედან გამომდინარე, კუთვნილი ადგილიც უნდა მიეჩინოთ მათ.

გამოყენებული ლიტერატურა და ინტერნეტრესურსები

გამყრელიძე-მაჭავარიანი, 1965 – გამოყრელიძე-მაჭავარიანი, სონანტა სისტემა და აბლაუტი ქართველურ ენებში, საერთო-ქართველური სტრუქტურის ტიპოლოგია, თბ., 1965;

ლექსიკონი, 2015 – ქართულ-მეგრულ-ლაზურ-სვანურ-ინგლისური ლექსიკონი, თბ., 2015;

ჩიქობავა, 2008 – ჩიქობავა არნ., ენათმეცნიერების შესავალი, თბ., 2008;

ჩიქობავა, 1936 – ჩიქობავა არნ., ჭანურის გრამატიკული ანალიზი, თბ., 2008;

<https://www.ice.ge/liv/liv/index.php>;

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

მეგრული კუჩხ-ი „ფეხი“ იდიომებში

მეგრული კუჩხ-ი ფუძისძირეული მნიშვნელობები არის: 1. ა). ფეხი (ცოცხალი არსების კიდური – სასიარულო ორგანო), ბ)ზოგი ნივთის საყრდენი, 2. ჩიხრისხის ნაწილი, ბრტყელი ფიცარი, რომელზედაც მაგრდება ტანი – ბომები, 3. ის შეიძლება იყოს რთული ფუძის შემადგენელი ნაწილი: ნარჩა+კუჩხი „ფეხის გული, ფეხის ძირი, ლანჩა; სუმ+კუჩხ-ი „სამფეხი“... (ო. ქაჯაია 2001).

გარდა ძირეულისა, მნიშვნელოვანია **კუჩხ-** ფუძის შემცველი იდიომების სემანტიკა. საანალიზოდ გათვალისწინებულია პროექტის „მეგრულ-ლაზური ფრაზეოლოგიის“ ფარგლებში შექმნილი ბაზა, რომელიც შეიცავს ტექსტებში, ლექსიკონებსა თუ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოვლენილ იდიომებს და, აგრეთვე, პროექტის განხორციელების შემდეგ ჩვენ მიერ შევსებული მასალა.

კუჩხ- ფუძის შემცველი იდიომებით გადმოიცემა სხვადასხვა შინაარსი:

უპატივეცემლობა, აბუჩად აგდება, შეურაცხყოფა: კუჩხიში გე-ბიჯგაფა, ზედმიწ. ფეხის დაბიჯება. კუჩხი ვეგმაბიჯგე „ფეხს ვერ დავადგამ, ვერ გადავავატები, ვერ ვულალატებ, ვერ შეურაცხვყოფ“; ამავე მნიშვნელობით: **კუჩხიშ გედგუმა** „ფეხის დადგმა“; ქართ. **ფეხი დაადგა**;

მომძრაობის შეზღუდვა: კუჩხიში მიდაღალა, ზედმიწ. „ფეხის წართმევა, დამბლა“. **კუჩხი მიდულგ** „ფეხი წაერთვა, დამბლა მიიღო, მოძრაობა შეეზღუდა“. შდრ. ქართ. **ფეხის წართმევა**, ამ შინაარსისა: **კუჩხიქ ქალაბუ**, ზედმიწ. „ფეხი დაეკიდა (ზედ)“, **კუჩხი ქუხვამილუ** ზედმიწ. „ფეხი დაუჭირა/გაუკავა რაღაცამ“; **კუჩხი უჭოფუ** (id);

ფეხის თრევა, საქმის გააჯანჯლება ან არ გაკეთება: კუჩხიში ათოყოთამა ზედმიწ. „ფეხის ქვეშ მოგდება (მოხრა)“, ე საქმე თიქ ოკო აკეთაკონი, მარა კუჩხი ქათიყოთ, მუთუნი ვაქიმინ „ეს საქმე მას უნდა გაეკეთებინა, მაგრამ ფეხი ითრია, საქმე გააჯანჯლა, არაფერი არ გააკეთა“; || მრავლობითი რიცხვის ფორმით: **კუჩხეფიში ათორღვაფა, ზედმიწ.** „ფეხების ქვეშ შეყრა (მოხრა)“, ი კათაქ ოკო მუმახვარესკონი, მარა **კუჩხეფი ქათორღვეს** „ის ხალხი უნდა დაგვხმარებოდა, მაგრამ ფეხი ითრიეს, საქმე გააჯანჯლეს“; ასევე: **კუჩხიში ალაბუნაფა, ზედმიწ.** „ფეხის გაკავება“. **კუჩხიქ ალებუნუ** „ფეხი ითრია, საქმე გააჯანჯლა, არ გააკეთა“; შდრ. ქართ. **ფეხი ითრია**.

გარდაცვალება, ვისიმე წრიდან გამოსვლა: კუჩხიში(ი) გიშადგუმა, ზედმიწ. „ფეხის გამოდგმა (საიდანმე). მუშოიანებშე **კუჩხი გეგშადგე** „გარდაიცვალა“. თეურე **კუჩხი გაგშადგე** დო კოჩო გინირთე „იმ წრიდან გამოვიდა და კაცი დადგა“. გარდაცვალების მნიშვნელობით სხვა იდიომებიც გამოვლინდა: **კუჩხიშ გოზინდუა, ზედმიწ.** „ფეხის გაჭიმვა“, **კუჩხი გოზინდ** „გარდაიცვალა“. ეს ამპარტავნებასაც აღნიშნავს. **კუჩხიშ რხინუა** ზედმიწ. „ფეხის გაჭიმვა, გაჯგიმვა“, **კუჩხი გურხინგ** „გარდაცვლილა“; **კუჩხი გურჭიპუ** „გარდაცვლილა“;

ზედმიწ. „ფეხები გაუჭიმავს“; **კუჩხი უბირძლინუაფუ** „ფეხები გაუფშეკია“. **კუჩხი გაჩიკინუ** ზედმიწ. „ფეხი გაფშეკა“ „გარდაიცვალა“, შდრ. ქართ.: **ფეხები გაჭიმა, ფეხები გაბშიკა;**

მომაკვდავი, საფრთხის წინაშე დგომა: ცალი კუჩხი სამარეშა ინუღ „მომაკვდავია, საფრთხის წინაშე დგას“, შდრ. ქართ. **ცალი ფეხი სამარეში უდგას;**

სიზარმაცე, წასვლისგან თავის შეკავება: კუჩხი უკახალე ოსქიდუ „წასვლა არ უნდა, ეშინია, ყოყმანობს, გაუბედავად მიდის“, შდრ. ქართ. **ფეხები უკან რჩება;**

რამე წრეში, საზოგადოებაში შესვლა, გარევა: კუჩხიში მიშადგემა, ზედმიწ. „ფეხის შედგმა“, ინეფშა **გემშადგ კუჩხი** დო ქიგიოდირთ კოჩანას „მათში გაერია და კაცი დადგა“;

ხვეწნა-მუდარა: კუჩხის ათონთხაფა, ზედმიწ. „ფეხ(ებ)შიჩავარდნა(მოხვევა)“, კუჩხის ქათანთხ, მუდგიათინი მოლართია „ეხვეწა, რამეფრად წამოდიო“; შდრ. ქართ. **ფეხებში ჩავარდნა;**

სიცოცხლე, არსებობა, დაკვალიანება, გამოჯანმრთელება, გაძლიერება, დამოუკიდებლად გახდომა (ვისიმე): კუჩხისგერინა, ზედმიწ. „ფეხზედგომა“, **კუჩხის გერე** „ცოცხალია, არსებობს“, ზედმიწ. „ფეხზე ქე დგას“, **კუჩხის გერინაფა** „ფეხზე დაყენება“, **კუჩხის ქიგიორინუ** „დააკვალიანა, გამოაჯანმრთელა, გაძლიერა, დამოუკიდებლობა მიანიჭა“, შდრ. ქართ. **ფეხზე დგას, ფეხზე დაყენება;**

ძალ-ღონის წართმევა: კუჩხემქ ქათმაკვათე „ძალ-ღონე წამერთვა, ძალა გამომეცალა“, შდრ. ქართ. **ფეხები მომეკვეთა;**

არაფრად ჩაგდება, უმნიშვნელოდ მიჩნევა, ანგარიშის გაუწევლობა: კუჩხისგილაბუ „არაფრად აგდებს, ანგარიშს არ უწევს, უმნიშვნელოდ მიაჩნია“, შდრ. ქართ. **ფეხებზე ჰკიდია;**

შრომა: კუჩხისტრიალი „შეუსვენებელი შრომა“, ზედმიწ. „ფეხ(ებ)ზე ტრიალი“...თელი დღას **კუჩხის იტრიალუ** „მთელი დღე შრომობს (ფეხზე ტრიალებს), არისვენებს“, შდრ. ქართ. **ფეხ(ებ)ზე ტრიალი;**

დაღლა (შრომისგან, სიარულისგან ან უძლურებისგან): კუჩხიქ გაქთუოლუ „ფეხი დაეღალა“, ზედმიწ. ფეხი გასძვრა, ჩამოუვარდა); **კუჩხიშ გითოღალა** „ფეხის გამოღება, დაღლილობა (ფეხი ეკეცებაო, რომ იტყვიან); კვანტის დადება; ფეხის გამოშლა, სასხლეტის ჩახმახის გამოკვრა“; **კუჩხიშ გითოშირუა** „ფეხისმოცვეთა, განღევა, სიარულის განდაღლა“; შდრ. ქართ. **ფეხი მოსძვრა;**

სიარულის დაწყება, რამე საქმის წამოწყება, გამდიდრება, წინ-სვლა: **კუჩხიშ ადგუმა || ედგმა** „ფეხისადგმა“; **კუჩხი გეიდგ** „სიარუ-ლი დაიწყო, რაღაცაში დაწინაურდა“;

შეფერხება, დაბრკოლება: კუჩხიშ აკობორკუა, ზედმიწე. „ფე-ხისშეკვრა“, კოჩხი აკობორკილი გაფუნო, ვართექქენი? „რამე გაბრკო-ლებს, რომ ვერ აკეთებ?“ ზედმიწე. „ფეხი შეკრული გაქვს...?“ **კუჩხ-თან ერთად შესიტყვევაში გვხვდება ხე „ხელი“: ხე დო კუჩხიქ აკა-ბორკ** „შეფერხდა“, ზედმიწე. „ხელი და ფეხი შეეკრა“. შდრ. ქართ. **ხელ-ფეხის შეკვრა**;

პატივისცემა, მსახურება: კუჩხიშ ბონუა „მსახურება“, ზედმიწე. „ფეხის ბანა“. კუჩხის უბონგნს „პატივს სცემს, ემსახურება“, ზედმიწე. „ფეხს ბანს“; შდრ. ქართ. ფეხთბანის რიტუალი, რომელიც სრულდე-ბა ეკლესიაში დიდ ხუთმზაბათს;

გაჯიუტება, ამპარტავნება, თავმოწონება: კუჩხიშ გოდგუმა, ზედმიწე. „ფეხის გადგმა“. **კუჩხი გოდგ** „გაჯიუტდა, თავი მოიწონა“, ზედმიწე. „ფეხი გადგა“. ამ მნიშვნელობით: **კუჩხი გაბიჯგუ** ზედმიწე. „ფეხი გადგა (გააბიჯა)“;

დამარცხება, დაზარალება, შეცდომა: კუჩხიშ ეკოტახუა ზედ-მიწე. „ფეხის წამტვრევა“. კუჩხი ქეკატახ „დამარცხდა/დაზარალდა“, შდრ. ქართ. **ფეხი წამტვრია**;

მტრობა, მზაკვრობა: კუჩხიშ თუდო დიხას უთხორუნს „ფა-რულად ემტერება, ავ რასმე უმზადებს“, ზედმიწე. „ფეხქვეშ მიწას უთხრის, აცლის; შდრ. ქართ. მიწას უთხრის“;

გაწბილება: კუჩხიშა დოფაში ათოცუმა, ზედმიწე. „ფეხებში ღველფის შეცვენა“. **დოფაქ ქათუციის კუჩხიშა** „გაწბილდნენ“, შდრ. ქართ. **კოვზი ნაცარში ჩაუვარდა**;

მსახური, მონამორჩილი: კუჩხიშ მახონალი, ზედმიწე. „ფეხის დამბანი“; **კუჩხიში ნტვერი** „ვისიმე მონამორჩილი“, ზედმიწე. „ფეხის მტვერი“. შდრ. ქართ. **ფეხთა მტვერი**;

დასაყრდენი, ხელჩასაჭიდი: კუჩხიშ მიკაადგუმალი „ფეხის მოსაჭიდი“, **კუჩხიში მიკაადგუმალი** მუთა ულუ „დასაყრდენი/ხელ-ჩასაჭიდი არაფერი არა აქვს, ძლივს. შდრ. ქართ. **ფეხის მოსაკიდებე-ლი**;

ანაზღაურება, გასამრჯელო: კუჩხიში ქირა „გასამარჯელო რა-იმე საქმის მოგვარებისათვის“, შდრ. ქართ. **ფეხისქირა**;

სიარული: ა) სწრაფი სიარული: კუჩხიში აჩქარება „უფრო ჩქა-

რა წასვლა“, შდრ. ქართ. ფეხის აჩქარება; ბ) ჩუმი, ფრთხილი, უხმაურო, მორიდებული სიარული. კუჩხიმ წვანჯით გიფუდა, ზედმიწ. „ფეხის წვერებზე სიარული“, შდრ. ქართ. ფეხის ფრჩხილებზე სიარული, გ). დაძვრა: კუჩხიში ბიჯიში მოთირა „ფეხის ბიჯის მონაცვლეობა“. კუჩხიმ ბიჯიქ ვამათირუ „ფეხის ბიჯი ვერ მოინაცვლა, ვერ დაიდრა; დ) მისვლა: კუჩხიში დოდგუმა (|| მედგუმა), ზედმიწ. „ფეხის დადგმა“. თავი ვადოდგა კუჩხი „აქ არ მოხვიდე“, ზედმიწ. „აქ არ დადგა ფეხი“; შდრ. ქართ. ფეხი დადგა; ე) გადაადგილება, რამეზე ფასის დაკლება: კუჩხიში მოთირუა 1. „გადაადგილება“, ზედმიწ. „ფეხის მონაცვლეობა (მოცვლა)“, შდრ. ქართ. ფეხი არ მოიცვალა; 2. „რამეზე ფასის დაკლება“. მოჭვაცალო ქეგედოხოდუნი, მუთუნით ფასი ვადურკუ, კუჩხი ვკემითირუუ „კრუხივით რომ დააჯდა, არაფრით ფასი არ დაუკლო, ფეხი არ მოინაცვლა“.

მომძლავრება, მოღონიერება: კუჩხი მიდგ. „მომძლავრდა, მოღონიერდა. “ზედმიწ. „ფეხი მოიღა“. ართიმა კუჩხი მიდგანინი, უკული ვეცი კინოკინა „ერთხელ ფეხი რომ მოიღგან („მომძლავრდნენ“), შემდეგ არ იქნება უკან დახევა“;

ფეხის მოკიდება, დამკვიდრება: კუჩხიში მოკინდაფა. კუჩხი სოთინი ქომიკინდუღუდა, უკული ვეჩერცხიებუ „სადმე თუ დამკვიდრდა (ფეხი მოიკიდა“), შემდეგ არ მოშორდება“. ამ მხრივ, საყურადღებოა კუჩხიში მობიჯგაფა, რომელიც ეკონომიურად გაძლიერებას ნიშნავს, ზედმიწ. „ფეხის მოდგმა (მოსვლა)“, კუჩხი მიბიჯგეს „ფეხი მოიკიდეს, გაძლიერდნენ (ეკონომიურად)“, შდრ. ქართ. ფეხის მოკიდება;

შევიწროება, დაჩავგრა: კუჩხიში გენჭირა, ზედმიწ. „ფეხის დაჭერა“, – გაჭირებულემს კუჩხის გეუნჭირანა „გაჭირებულემს ჩავგრავენ/ავიწროებენ“, ზედმიწ. „ფეხს აჭირენ“. შდრ. ქართ. ფეხის დაჭერა. ამავე შინაარსისაა: კუჩხიში ათოჩარგაზუა „ფეხქვეშ გადდება, გათელვა“, შდრ. ქართ. ფეხქვეშ გაიგდებს;

საწადლის მიღწევა: კუჩხიში დინულა ზედმიწ. „ფეხის ჩასვლა“. მუსოკოდუნი, იმა ვედნალე კუჩხი „მას რომ სწადია, იმაში არ ჩაუვა ფეხი (იმას ვერ მიაღწევს)“;

შედარება, ვარგისიანობა: კუჩხიში ნარჩხიშა ღირება „უვარგისია“, ზედმიწ. „ფეხის ნარეცხად ღირება“) – დიდო მუულუ დუდი დოპუიემი კუჩხიში ნარჩხიშა ვადირუ „დიდად მოაქვს თავი და პუიეს (თიკუნია) ფეხის ნარეცხად არ ღირს (ე. ი. უვარგისია)“; ასევე:

იში კუჩხიში ბირცხაშა ვალირ „მას ვერ შეედრება“, ზედმიწ. შდრ. ქართ. მის ფეხის ფრჩხილად არ ღირს;

მიბაძევა: კუჩხიში ხონარს ეყუნა, ზედმიწ. „ფეხის ხმაზე აყოლა“. ებალანეფიას ემუს გააჩერინე, შხვაში კუჩხიშიხონარს რენა ეყუნელი „ამ ბავშვებს ახლა რა გააჩერებთ, სხვას ბაძავენ (სხვისი ფეხის ხმას არიან აყოლილი)“, შდრ. ქართ. ფეხის ხმას აჰყავა;

მიმსვლელი: კუჩხიში მიმადგმალი/კუჩხიში დგმადგმალი, ზედმიწ. შდრ. ქართ. ფეხის მიმდგმელი/ფეხის დამდგმელი;

წუხილი, თავზარის დაცემა, უსიამოვნო გრძნობის დაუფლება:კუჩხის ნაზა || ნოზა წყარიში ათომწგმაზედმიწ. „ფეხებში ნოზა წყლის შესხმა (შედვრა)“, (ნოზა რალაც მწარე მცენარეა, ნოზა წყარი – ამ მცენარის წყალი). ი ძღაბი ქობძირინი, ნოზა || ნაზა წყარქ ქათომწიუკუჩხიშა „ის გოგო რომ დავინახე, შევწუხდი (თავზარი დამეცა,უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა)“, ზედმიწ. ნოზა წყალი შემეხსხა (შემეღვარა) ფეხებში“. ამ მხრივ, საინტერესოა: **კუჩხიშა დოფა წყარიშიათოწგმა** „წუხილი, თავზარის დაცემა“, ზედმიწ. „ფეხებში მდუღარე წყლის შესხმა (შედვრა)“;

ძლიერი ტკივილი: კუჩხიში მეხარცქუა, ზედმიწ. „ფეხის წყვეტა, სკდომა“. კუჩხიქ მეხორცქ, მეტი ვეშემლებუ „ძალიან მტკივა, მეტი აღარ შემიძლია“;

სიძლიერის, მეურვეობის დაკარგვა, უშწეოდ დარჩენა: ხე დო კუჩხიში მეკვათუა „ხელისა და ფეხის მოკვეთა“. ცალი ხე დო კუჩხი გეგლამწყიო? „უშწეოდ დამტოვე?“ ზედმიწ. „ცალი ხელი და ფეხი ჩამომხსენი“?

დალოცვა, კეთილი სურვილი: კუჩხბედნიერო გილაართუმუდას! „დალოცვილად გევლოს!“ ზედმიწ. „ფეხდალოცვილად გევლოს!“ **კუჩხბედნიერი ცოფედა!** „ბედნიერის შემომტანი, დალოცვილი ყოფილიყავი!“ ზედმიწ. „ფეხბედნიერი ყოფილიყავი!“

გეხვდება გარკვეულ წეს-ჩვეულებებთან დაკავშირებული იდიომი. მაგ.: **კუჩხიშიგედგუმა** „ფეხისდადგმა“ ახალი ტანსაცმლის (ფეხსაცმლის“) ჩაცმამდე ფეხის დადგმა. ამით თითქოს გამოიხატება ახლის შეძენის სურვილი; **კუჩხიში მიკოწონება** „ადამიანის შეხვედრაზე ან სახლში მისვლაზე მნიშვნელობის მინიჭება“, ზედმიწ. „ფეხის დამახსოვრება“. ამას განსაკუთრებით ყურადღებას აქცევენ მეკვლეობას და ბარბარობას. მიაჩნიათ, ამ დღეებში რა სულისა და გულის ადამიანიც შევა მათ ოჯახში და რაც დაეხედებათ, ისე წარიმარ-

თება მათი ცხოვრება მთელი წლისგანმავლობაში.”

ბოროტისული, მლიქვნელი: ეშმაკიში კუჩხი, ზედმიწ. შდრ. ქართ. ეშმაკის ფეხი. ამავე შინაარსისაა: **გლახა კუჩხი უღუ** „ბოროტია“, ზედმიწ. შდრ. ქართ. **ცუდი ფეხი აქვს**;

კეთილი: კარგი ფეხი აქვს „კეთილია“. ზედმიწ. „კარგი ფეხი აქვს“.

როგორც ჩანს, **კუჩხ-** ფუძის შემცველი იდიომები, სემანტიკური თვალსაზრისით, მრავალფეროვანია, სტატისტიკურად ჭარბობს სიარულის შინაარსის გამომხატველი იდიომები. ზოგჯერ ერთი და იგივე იდიომი სხვადასხვა შინაარსს შეიცავს. იდიომების უმეტესობა საერთოა ქართულთან. საყურადღებოა იდიომები ეთნოგრაფიული კუთხითაც.

მნიშვნელოვანია იდიომების სტრუქტურა – გამოვლინდა ორ-, სამ-, ოთხ- და კომპონენტური იდიომები. ყველაზე გავრცელებულია ორ-კომპონენტური, იშვიათია ოთხ- და ხუთ- კომპონენტური. იდიომებში შემავალი ერთეულები გადმოცემულია სხვადასხვა მეტყველების ნაწილით, ხშირია არსებითი სახელი და ზმნა.

გამოყენებული ლიტერატურა

თაყაიშვილი 1961 – ა. თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები, თბილისი.

ქაჯაია 2001 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ-1, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ-2, თბილისი.

ქაჯაია 2002 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი, ტ-3, თბილისი.

ქაჯაია 2009 – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი (დამატებული), ტ-4, თბილისი.

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი.

<https://www.ice.ge/liv/liv/index.php> - ლექსიკონები

<https://idioms.iliauni.edu.ge/>

ლ ე ლ ა ჩ ო თ ა ლ ი შ ვ ი ლ ი

ბოტანიკური საერთაშორისო ტერმინოლოგია და მცენარეთა სახელების ლათინურ-ქართულ ლექსიკონზე მუშაობის თავისებურებანი

ლათინური და ძველი ბერძნული ენები არის ის ბაზისი, რომელზეც იგება ახალი და იხვეწება უკვე არსებული, დამკვიდრებული ბოტანიკური ტერმინოლოგია. ბოტანიკური ნომენკლატურის თანამედროვე კოდექსების მიხედვით, ყველა სისტემატიკური ჯგუფის სამეცნიერო სახელწოდება უნდა დაიწეროს ლათინური ანბანით და დაემორჩილოს ლათინური ენის გრამატიკის წესებს იმისდა მიუხედავად, თუ რომელი ენიდან არის ის ნასესხები (International Code of Nomenclature for algae, fungi, and plants 2018).

თანამედროვე საბუნებისმეტყველო ცნებებს საფუძველი ჯერ კიდევ ძველ საბერძნეთში ჩაეყარა. არისტოტელე (ძვ. წ. IV) პირველად შეეცადა შეეჯამებინა ცოდნა მცენარეთა და ცხოველთა სამყაროზე. მისმა მოსწავლემ, თეოფრასტემ (ძვ. წ. IV-III), შეადგინა ტრაქტატი მცენარეების აგებულებისა და გამრავლების შესახებ, დიოსკორიდმა კი (ახ. წ. I) დაახლოებით 400 მცენარის აღწერილობა მოგვცა. ცხოველებისა და მცენარეების ბევრი ბერძნული სახელწოდება საბოლოოდ გალათინურდა და ზოოლოგიური და ბოტანიკური ნომენკლატურების შემადგენლობაში შევიდა.

ძველ რომში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების განვითარებაში არსებითი წვლილი შეიტანეს რომაელმა ფილოსოფოსმა ლუკრეციუს კარუსმა (ძვ. წ. I), რომელსაც ეკუთვნის პოემა "De rerum natura" („საგნების ბუნების შესახებ“), ენციკლოპედისტმა ავლუს კორნელიუს ცელსუსმა (ახ. წ. I), ავტორმა რვატომიანი თხზულებისა "De medicina" („მედიცინის შესახებ“) და ნატურალისტმა პლინიუს უფროსმა (ახ. წ. I), რომელმაც შექმნა კაპიტალური ნაშრომი "Historia naturalis" („ბუნებრივი ისტორია“).

ახალი იმპულსი ლათინური ენის შეწავლისა და გამოყენებისათვის დასავლეთ ევროპამ აღორძინების ეპოქაში მიიღო. ამ პერიოდში აქტიურად ვითარდებოდა სამედიცინო და ბიოლოგიური მე-

ცნიერებები, რამაც ხელი შეუწყო საერთაშორისო ლათინური ტერმინოლოგიის ჩამოყალიბებას. ლათინურ ენაზე წერდნენ თავიანთ შრომებს დეკარტე, ნიუტონი, ლეიბნიცი, ლეონარდო და ვინჩი, კამპანელა.

დღეისათვის არსებობს საერთაშორისო ტერმინთა ნუსხები, ე. წ. ნომენკლატურები: მიკრობიოლოგიური, ბოტანიკური, ზოოლოგიური, ფარმაკოლოგიური, ანატომიური და ა. შ., სადაც თავმოყრილია ათასობით ტერმინი. მათი უმეტესი ნაწილი შექმნილია ლათინური და ბერძნული სიტყვებისა თუ სიტყვათმწარმოებელი ელემენტების ბაზაზე.

ბიოლოგიაში ტერმინების წარმოების ინტენსიური პროგრესი დაკავშირებულია მცენარეთა და ცხოველთა სამყაროს კლასიფიკაციის ახალ მეთოდებთან. მცენარეთა სამეფო დაყოფილია ჯგუფებად, ტაქსონებად, რომლებიც ტაქსონომიურ კატეგორიათა იერარქიულ სისტემას ქმნიან. კლასიფიკაციის საწყის დანაყოფს (ტაქსონს) წარმოადგენს სახეობა (species, *ei*). თავდაპირველად მცენარეთა სახეობები აღინიშნებოდა სხვადასხვა ლათინური სიტყვით, რაც მოუხერხებელი იყო როგორც დასამახსოვრებლად, ასევე გამოსაყენებლად. XVIII საუკუნეში შევდმა მეცნიერმა, კარლ ლინემ (1707-1778) შემოიტანა ბინომინალური ნომენკლატურა, რომლის მიხედვითაც თითოეული სახეობა განისაზღვრება ორი ლათინური სახელწოდებით: თავდაპირველად სახელდება გვარი, შემდეგ – სახეობის განმსაზღვრელი ეპითეტი (Linnaeus 1753). ეს თანმიმდევრობა ქართულად პირიქითაა – ჯერ სახეობის განმსაზღვრელი ეპითეტია, რომელსაც მოსდევს გვარის სახელწოდება, შდრ.: *Betula ermanii* – ერმანის არყი, *Cytinus rubra* – წითელი ციტინუსი, *Coriandrum sativum* – სათესი კორიანდრუმი.

XIX-XX საუკუნეებში მიმდინარეობდა მცენარეთა კლასიფიკაციის სრულყოფა. 1867 წელს პარიზში, საერთაშორისო ბოტანიკურ კონგრესზე პირველი „ბოტანიკური ნომენკლატურის კანონები“ მიიღეს, ხოლო 1905 წელს ვენაში – ბოტანიკური ნომენკლატურის თანამედროვე საერთაშორისო კოდექსი, რომლის უკანასკნელი რედაქცია XII საერთაშორისო კონგრესმა 1975 წელს მიიღო.

1. ბინომინალური ნომენკლატურის მიხედვით, გვარის აღმნიშვნელი სახელწოდება წარმოდგენილია არსებითი სახელით *nom. sg.*-ში და ყოველთვის დიდი ასოთი იწერება: *Betula* – არყი, *Triticum* –

ხორბალი. სახეობების ლათინური სამეცნიერო ეპითეტის საწარმო-
ებლად კი ძირითადად გამოიყენება მცენარის აგებულების თავისე-
ბურებები, მისი აღმომჩენის ან აღმწერის გვარი (სახელი), იმ გეოგ-
რაფიული ობიექტის სახელი, სადაც ხარობს ან საიდანაც მომდინა-
რობს კონკრეტული მცენარე. გეოგრაფიულ დასახელებებში
გვხვდება როგორც მაკროტოპონიმები, ასევე ორონიმები (მთების სა-
ხელები), ჰიდრონიმები (წყლის ობიექტების სახელები), ოიკონიმები
(დასახელებების სახელები), ურბანონიმები (შიდა ობიექტები) და
სხვა (Stearn 2007; ჩოთალიშვილი 2011).

სახეობის ეპითეტად გვხვდება:

1. ზედსართავი სახელი;
2. არსებითი სახელი;
3. პრეფიქსით ნაწარმოები ეპითეტი (პრეფიქსალური მორფე-
მების როლს ასრულებენ ლათინური და ბერძნული წინდებულები
და რიცხვითი სახელები);
4. ტერმინოლეემენტით ნაწარმოები ეპითეტი;
5. სუფიქსით ნაწარმოები ეპითეტი

ზედსართავი სახელი ეპითეტად

ბოტანიკურ ნომენკლატურაში ზედსართავეები ძირითადად
სახეობის ეპითეტის ფუნქციით გამოიყენება; ასევე გაარსებითებუ-
ლი ფორმით გვხვდება ოჯახების, რიგების, კლასებისა და ტიპების
უნიონომინალურ სახელწოდებებში. ზედსართავი სახელი უთან-
ხმდება არსებით სახელს სქესში, რიცხვსა და ბრუნვაში (შეთანხმე-
ბული მსაზღვრელი), მაგ., *Betula alba* – თეთრი არყი, *Poa alpina* – ალ-
პური თივაქასრა; ზედსართავეების შედარებითი და აღმატებითი ხა-
რისხების ფორმები ძირითადად დადებითი ხარისხის მნიშვნელო-
ბით გამოიყენება, მაგ.: *Plantago major* – დიდი მრავალბარღვა,
Glyceria maxima – დიდი მანანა, *Euphorbia glaberrima* – გლუვი რძიანა
Polycnemum majus – დიდი პოლიკნემუმი, *Bupleurum tenuissimum* –
წვრილი ბუპლეურუმი.

არსებითი სახელი ეპითეტად

არსებითი სახელი ნათესაობით ბრუნვაში (genetivus) შეუთან-
ხმებელ მსაზღვრელს წარმოადგენს და კუთვნილებაზე მიუთითებს,
მაგ.: *Cedrus libani* ვ ლიბანის კედარი, *Bombus agrorum* – მინდვრის

შვრია, *Cerāsus avium* – ბალამწარა (ჩიტების ბალი). ხანდახან გვარიცა და სახეობის აღმნიშვნელი ეპითეტიც წარმოდგენილია სახელობით ბრუნვაში (nominativus) მდგარი არსებითი სახელით: *Arctium lappa* – ჩვეულებრივი ოროვანდი, ძირხვენა, *Punica granatum* – ბროწეულა პუნჯა.

პრეფიქსაციის არსი და მისი თავისებურებები

ახალი სიტყვების წარმოებისას ლათინურში ფართოდაა გავრცელებული პრეფიქსების გამოყენება. პრეფიქსაცია არ ცვლის სიტყვის ძირითად მნიშვნელობას. პრეფიქსალური მორფემების როლს ასრულებენ ლათინური და ბერძნული წინდებულები და რიცხვითი სახელები. ლათინური წინდებულები შეიძლება შეუერთდნენ როგორც ლათინურ, ასევე ბერძნულ ფუძეებს და პირიქით – ბერძნული წინდებულები ბერძნულ და ლათინურ ფუძეებს. ამასთან, პრეფიქსაციის დროს პრეფიქსის ბოლოკიდური და ფუძის თავკიდური თანხმონების შეხვედრა გარკვეულ ფონეტიკურ ცვლილებებს იწვევს, კერძოდ, ხდება ასიმილაცია და თავდაპირველი პრეფიქსი ზოგჯერ ოდნავ სახეცვლილად წარმოგვიდგება. პრეფიქსთა მნიშვნელობა ძირითადად ემთხვევა იმ წინდებულთა მნიშვნელობას, რომელთაგანაც ისინი მომდინარეობენ. ხშირად ლათინური და ბერძნული პრეფიქსები სინონიმებს წარმოადგენენ და წარმოებულ ტერმინს ერთსა და იმავე მნიშვნელობას ანიჭებენ, მაგ. extra- / ecto-, exo- (გარეთა, გარედან) – ectoblastus, i m გარეთა ჩანასახოვანი ფურცელი, exogenous, a, um – ეგზოგენური, გარეთწარმოშობილი; super-, supra- / epi-, hyper- (ზემოთა მდებარეობა; ნორმის ზემოთ; სიჭარბე) – suprafoliaceus, a, um – ფოთოლზედა, epigeios – მიწისზედა, hyperxanthus, a, um – მუქი ყვითელი.

რიცხვითი სახელები პრეფიქსალური მორფემების ფუნქციით

ლათინური	ბერძნული	მნიშვნელობა	მაგალითები
uni-	mono-	ერთი	monoandrus, a, um ერთმტვრიანიანი unifoliatus, a, um ერთფოთოლა
bi-	di-	ორი, ორ-	dipetalus, a, um ორფურცელა bicolor ორფერა

tri-	tri-	სამი, სამ-	trigyna, ae სამბუტკოიანი
quadri-	tetra-	ოთხი, ოთხ-	quadrifoliatus, a, um ოთხფოთოლა tetracoccus, i m ტეტრა- კოკი, ოთხი კოკისაგან შემდგარი წარმონაქმნი
quinque	penta-	ხუთი, ხუთ-	quinqueflorus, a, um ხუთყვავილა pentagyna ხუთბუტკოიანი

სიტყვათწარმოება ტერმინოლემენტების მეშვეობით და ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში მისი თავისებურებები

ბიოლოგიაში ტერმინთა დიდი ნაწილი ბერძნული მორფემული ელემენტების ან ტერმინოლემენტების მეშვეობით იწარმოება. ტერმინოლემენტი არის ნებისმიერი სტაბილური მნიშვნელობის მქონე მყარი კომპონენტი, აფიქსი თუ ფუძე, რომელიც აწარმოებს ერთი აზრობრივი რიგის ტერმინებს. ტერმინთა უმეტესობა შედგენილია ორი ფუძის ან ფუძისა და ტერმინოლემენტის შეერთების გზით; კომპონენტები ერთმანეთს უკავშირდება უშუალოდ ან შემაერთებელი ხმოვნების საშუალებით. თუ ტერმინის მაწარმოებელი ტერმინოლემენტი ან სუფიქსი იწყება ხმოვნით, მაშინ გვაქვს უშუალო შეერთება, ხოლო თუ თანხმოვნით იწყება – ფუძესა და ტერმინოლემენტს შორის ჩაერთვის შემაერთებელი ხმოვანი.

განასხვავებენ საწყის და ბოლო ტერმინოლემენტებს. ბოლო ტერმინოლემენტები I, II და III კანკლედობის (ბრუნების) არსებით სახელთა დაბლოებებს დაირთავენ: tricōlor, ōris – სამფერა; quadriflorus, a, um – ოთხყვავილა, angust-i-folius, a, um – წვრილფოთოლა; alb-o-maculatus, a, um – თეთრლაქებიანი. ლათინური ფიტონიმის საწყისი და ბოლო ტერმინოლემენტები ერთმანეთს ძირითადად -i- (იშვიათად კი -o-) შემაერთებელი ხმოვნით უკავშირდება. თუ ლათინური ტერმინოლემენტი ბერძნულს უერთდება, მაშინ გამოიყენება შემაერთებელი ხმოვანი -o-: macr-o-carpus, pseud-o-bacca. არც თუ იშვიათად ერთი და იგივე ტერმინოლემენტი შეიძლება შეგვხვდეს როგორც ტერმინის დასაწყისში, ასევე ბოლოში: Cephalochorda – თავქორდიანები; dolichocephalus – გრძელთავა.

ბერძნული საწყისი და ბოლო ტერმინოლოგენტები

საწყისი ტერმინოლოგენტები	ბოლო ტერმინოლოგენტები	მნიშვნელობა	მაგალითები
acr-	—	მწვერვალი, ზედა	acrocarpus, a, um მაღლანაყოფა
aër-	—	ჰაერი, ჰაეროვანი	<i>aërophýta, òrum n</i> აეროფიტები, მცენარეები, რომლებიც ჰაერიდან იღებენ ყველაფერ აუცილებელს
andr-	<i>andrus, a, um</i>	1. კაცი, კაცური; 2. მცენარის მტვრიანა	<i>gymnandrus, a, um</i> შიშველმტვრიანაინი
anth-	- <i>anthus, a, um</i> - <i>anthus, i m</i>	ყვავილი	<i>anthoxanthus, a, um</i> ყვითელყვავილა <i>erianthus, a, um</i> ბეწვყვავილა
auto-	—	თავად, საკუთარი	autogenus, a, um თავისითწარმოქმნილი
bi(o)	-bius, a, um	სიცოცხლე, ბინადარი	Biologia ბიოლოგია, სიცოცხლისშემსწავლელიმეცნიერება amphibius, a, um ორგვარადმცხოვრები (წყალშიცდახმელეთზეც)
dolich-	—	გრძელი	dolichocarpus, a, um გრძელნაყოფა
<i>gyn-</i>	-gynia, ae f- gynus, a, um	ბუტკო	Gynaeciatus, a, um ბუტკოიანი trigynus, a, um სამბუტკოიანი
lith-	-lithus, i m	ქვა	lithocarpus, a, um ქვანაყოფა lithophilus, a, um ქვისმოყვარული
petal-	- petalus, a,	ყვავილის ფურცელი	petaloideus, a, um ყვავილისფურცლისებრი

	um		monopetalus, a, um ერთყვავილისფურცელა
—	phylla-	ფოთოლი	polyphyllums, a, um მრავალფოთოლა
trich-	—	თმა	Trichophyllus, a, um თმა- ფოთოლა

ლათინური საწყისი და ბოლოტერმინო ელემენტები

საწყისი ტერმინოელემენტი	ბოლო ტერმინოელემენტი	მნიშვნელობა	მაგალითები
acut- (acutus, a, um)	—	ბასრი	acutirostris, e ბას- რნისკარტა
aequ- (aequus, a, um)	—	თანაბარი, ტო- ლი	aequilatus, a, um ტოლი სიგანის
alb- (albus, a, um)	—	თეთრი	albifrons, ontis თეთრშუბლა
angust (angustus, a, um)	—	ვიწრო, წვრი- ლი	angustifolius, a, um წვრილფოთოლა
atr- (ater, tra, trum)	—	მუქი, შავი	atropurpureus, a, u m მუქიმეწამული
brev- (brevis, e)	—	მოკლე	brevicaudatus, a, u m მოკლეკუდა
—	-cōla, ae <i>f</i>	ბინადარი, მცხოვრები	terrīcōla, ae <i>f</i> მი- წისბინადარი
—	-collis, e (collum, i <i>n</i>)	კისერი	ruficollis, e წითურკისერა
—	-cōlor, ōris (color, ōris <i>m</i>)	ფერი	trīcōlor, ōris სამფე- რა
—	-cidum, i <i>n</i>	გამანდგურებე- ლი, მკვლელი	herbīcidum, i <i>n</i> სა- რეველა ბალახე- ბის გამანდგურე- ბელი პრეპარატი
—	-carpa	ნაყოფი	microcarpus, a, um წვრილნაყოფა

corn- (cornu, us <i>n</i>)	-cornis, e	რქა	corniformis, e რქის ფორმის nigricornis, e შავ- რქიანი
dent- (dens, dentis <i>m</i>)	-dens, entis <i>m</i>	კბილი	dentiformis, e კბი- ლისმაგვარი bidens, entis ორ- კბილა
flav- (flavus, a, um)	—	ყვითელი	flavimaculātus, a, u m ყვითელლაქებია- ნი
—	-florus, a, um		corolliflora გვირ- გვინყვავილა
—	-formis	მაგვარი	eruciformis მუხ- ლუხოსმაგვარი
—	-folius, a, um		rotundifolium მრგვალფოთოლა

სუფიქსები ბოტანიკურ ტერმინოლოგიაში

ბოტანიკურ ტერმინებში ყველაზე ხშირად გამოიყენება შემდეგი ლათინური წარმომავლობის სუფიქსები: **-āl-** (**-ār-**), **-āt-**, **-fēr-**, **-gēr-**, **-ōl-**, **-ōs-**, **-ūl-**. **-an-**; **-ēns-**, **-ic-**.

სუფიქსი **-āl-** (**-ār-**) აწარმოებს II რიგის ორდაბოლოებიან ზედსართავეებს და მიუთითებს ერთი საგნის მეორესადმი მიმართებაზე, კუთვნილებაზე: frons, frontis *f* შუბლი – frontālis, e შუბლის, წინა; vulgus, *i n* ბრბო, სიმრავლე – vulgāris, e ჩვეულებრივი. vesica, *ae f* ბუშტი – vesicaria ბუშტისებრი.

-āt- სუფიქსი წარმოადგენს ყველაზე გავრცელებულ სუფიქსს ლათინურენოვან ბიოლოგიურ ტერმინოლოგიაში. იგი აწარმოებს I რიგის ზედსართავეებს და მიუთითებს იმ ორგანოს ან მისი ნაწილის არსებობაზე, რასაც ძირეული არსებითი გამოხატავს: capitatus, a, um თავიანი (caput, itis, *n* თავი), spicatus, a, um თავთავა (spica, *ae f* თავთავი) იგი შეიძლება ასევე მიუთითებდეს საგნის სხვა თვისებაზეც, მათ შორის ძირეულ არსებითთან მის მსგავსებაზე: reticulatus – ბადისებრი (reticula, *ae f* ბადე), ovātus, a, um – კვერცხისებრი (ovum, *in* კვერცხი).

-fēr- და **-gēr-** სუფიქსები ლათინური არსებითი სახელის ფუძეზე დართვით აწარმოებენ I რიგის ზედსართავებს და მიუთითებენ რომელიმე ორგანოს ან მისი ნაწილის არსებობაზე. ქართულად ისინი ითარგმნება, როგორც *მომტანი, მომცემა*: oleifer, fera, ferum – ზეთისმომცემი (oleum, i *n* ზეთი); saccharifer, fera, ferum – შაქრისმომცემი (saccharum, i *n* შაქარი); somniferus, a, um – ძილისმომგვრელი (somnus, i *m* ძილი); umbelifer, fera, farum – ქოლგოვანი (umbella, ae *f* ქოლგა); baccifer, ferum, fera – კენკროვანი (bacca, ae *f* კენკრა); ramifer, ěra, ěrum – დატოტვილი (ramus, i *m* ტოტი).

-đl-, **-ñl-** სუფიქსები დაერთვის I-II ბრუნების არსებით სახელებს და სიტყვას კნინობით მნიშვნელობას ანიჭებს: arb-uscul-a, ae *f* პატარა ხე, ბუჩქი (arbor, oris *f* ხე); clavi-cul-a, ae *f* პატარა გასაღები, ბოტან.: უღვამი, პწკალი (clavis, is *f* გასაღები); spicūla, ae *f* თავთუნი (spica, ae *f* თავთავი).

-ōs- სუფიქსი აწარმოებს I რიგის ზედსართავებს, რომლებიც გამოხატავენ იმით აღჭურვას ან იმის სიჭარბეს, რასაც ძირეული არსებითი სახელი გამოხატავს: squamōsus, a, um ქიცვიანი (squama, ae *f* ქიცვი); spinōsus, a, um წვეტიანი (spina, ae *f* წვეტი). იგი შეიძლება ასევე მიუთითებდეს რაიმესთან მსგავსებაზე ან საცხოვრებელ გარემოზე: saxōsus, a, um კლდოვანი, კლდისბინადარი (saxum, i *n* კლდე); globōsus, a, um სფეროსებრი (globus, i *m* ბურთი, სფერო); arenōsus, a, um ქვიშისბინადარი (arēna, ae *f* ქვიშა, სილა).

-an-; **-ēns-**, **-ic** სუფიქსები ეპითეტებს ტოპონიმებიდან აწარმოებს: *mexicana*, *sibirica*, *bachmarensis*. ამათგან სუფიქსები **-an** და **-ēns** ძირითადად წარმომავლობასა და ადგილმდებარეობაზე მიუთითებს: *Carthaginensis* – კართაგენელი; *Romanus* – რომაელი; *montanus* – მთის, ხოლო **-ic** უფრო ფართო სემანტიკისაა: იგი დაერთვის როგორც სახელებს, ასევე ზმნას და მიუთითებს კუთვნილებაზე, წარმომავლობაზე ან სხვა რაიმე კავშირზე ფუძე სიტყვასთან: *Gallicus* – გალიური; *metallicus* – მეტალის.

īd-სუფიქსი, რომელიც ნაწარმოებია ბერძნული *eidōs*-იდან (სახეობა, მსგავსება, სახე), ბერძნულ არსებით სახელებში მიუთითებს მსგავს წარმომავლობაზე ან ნათესაობაზე. იგი გამოიყენება ბოტანიკური ქვეკლასების სახელწოდებებში: *Magnoliidae*, arum *f* – მაგნოლიისებრნი, *Liliidae*, arum *f* – შროშანისებრნი. **-īd-** სუფიქსიანი ზედ-

სართავები გამოხატავენ მსგავსებას ძირეულ არსებითთან: ovi-
deus, a, um – კვერცხისებრი (ovum, i n კვერცხი); xiphoideus, a, um –
მახვილისებრი (xiphus (ბერძნ.) მახვილი).

ყოველწლიურად იქმნება მცენარეთა ახალი სახელწოდებები, რომელთა ქართული მნიშვნელობები უმეტესწილად არ არსებობს. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მცენარეთა სახეობების განმსა-
ზღვრელ ეპითეტთა დიდი ნაწილის ქართული შესატყვისი დადგე-
ნილი არ არის, ხშირ შემთხვევაში გამოიყენება მხოლოდ გვარის აღ-
მნიშვნელი სახელი. შესაბამისად, აუცილებელია მცენარეთა სახელე-
ბის ლათინურ-ქართული ლექსიკონის შემუშავება, ახალი ფიტონი-
მების დროული და სისტემატიური აღწერა-დაფიქსირება. 2012 წელს გამოცემული ლექსიკონის შედგენისას ჩვენი მიზანი იყო არა მარტო ლათინური სამეცნიერო ფიტონიმებისა და ქართულ სამეც-
ნიერო ლიტერატურაში არსებული მათი ქართული შესატყვისების თავმოყრა, არამედ იმ სახელების თარგმნა და ტერმინად ჩამოყალი-
ბება, რომელთა ქართული შესატყვისებიც არ არსებობს (ჩოთალიშვილი 2012). მასალის სრულყოფისა და ქართულად თარგმნის სა-
ხელთა დაწერილობის საკითხის მოგვარების მიზნით, აუცილებელი გახდა ლექსიკონის ახალი ვერსიის შემუშავება („მცენარეთა სახელე-
ბის ლათინურ-ქართული ლექსიკონი (საქართველოს ფლორა)“, ლ. ჩოთალიშვილი, დ. ჭელიძე, ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი), რომე-
ლიც შეივსო ფიტონიმთა ქართული სახელების განახლებული ვერ-
სიებით „მცენარეთა სახელების კრებსითი ლექსიკონის“ მონაცემების მიხედვით (ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ჭელიძე 2022).

ლექსიკონი მოიცავს საქართველოს ფლორის სრულ (დღევან-
დელი მონაცემებით) სახეობრივ შემადგენლობას – 1048 გვარის 4275 სახეობას. მცენარეთა სახეობების ლათინური სამეცნიერო სახელები ამოღებულია საქართველოს ფლორის ნომენკლატურული ნუსხიდან (საქართველოს ფლორის ნომენკლატურული ნუსხა 2018). გვარის სა-
ხელის გადმოტანისას, თუ მისი ქართული შესატყვისი არ არსებობს, როგორც ეს სხვა ანალოგიურ გამოცემებშია მიღებული, დავტოვეთ ლათინური სახელწოდება (მაგ., დაქტილორიზა, დაფნე, ექინარია...) (მაყაშვილი 1991, ჩოთალიშვილი 2012). სახეობის ქართულად გადმოტანისას ეპითეტი ვთარგმნეთ სიტყვასიტყვით, ამასთანავე გა-
ვითვალისწინეთ ბინომინალური ნომენკლატურის პრინციპები:

თავდაპირველად წარმოვადგინეთ მცენარის ორკომპონენტური სამეცნიერო სახელი, ხოლო შემდეგ – მოცემული სახეობის ქართული შესატყვისი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ლინგვისტურ-ფილოლოგიური ანალიზის შედეგად შევიმუშავეთ ლათინურ ფიტონიმა ქართულად გადმოტანის გარკვეული წესები, კერძოდ:

1. ქართული სალიტერატურო ენის ნორმების გათვალისწინებით, სახეობის აღმნიშვნელი რთული შედგენილობის ეპითეტი დეფისის გამოყენების გარეშე გადავაქციეთ ერთ სიტყვად ფორმათა შერწყმის გზით. მაგ.: *Echinochloa crus-galli* – მამლისდებუა ექინოქლოა, ბურჩხა, *Inula oculus-christi* – ქრისტესთვალა ინულა, *Ficaria vetchizii* – დიდბაისფოთოლა ჩაწყობილაბაია;

2. გვარ-სახელების გადმოტანისას ვავითვალისწინებთ კონკრეტული ენის ფონეტიკური წესები და წარმოთქმის თავისებურებები, საკუთარი სახელების ქართულად გადმოტანის ტრადიცია და თავად ფიტონიმა წარმოშობის ისტორია, მაგ.: *Araujia sericifera* – აბრეშუმბიანი არაუხია (António de Araújo e Azevedo – არაუხო, პორტუგალიელი ბოტანიკოსი), *Bunium bourgaei* – ბურგოს ბუნიუმი (Eugène Bourgeau – ბურჟო, ფრანგი ბოტანიკოსი), *Silybum marianum* – მარიამის ბაყაყურა (ფიტონიმის წარმომავლობის შესწავლამ აჩვენა, რომ ეპითეტი **marianum** უკავშირდება ღვთისმშობლის სახელს); *Agrimonia eupatoria* – ევპატორის აგრიმონია (ბირკავა). ამ სახეობას კ. ლინემ სახელი მიანიჭა პონტოს მეფის, მითრიდატე VI ევპატორის პატივსაცემად.

3. მასალაზე მუშაობამ გვიჩვენა, რომ ეპითეტის ფუნქციით გამოყენებული ტოპონიმის გადმოტანისას ქართული სახელებისათვის ძირითადი უნდა იყოს ნათესაობითი ბრუნვის ფორმა (შესაბამისად, კუთვნილების სემანტიკა), თუმცა ზოგიერთი სახლი ფორმდება წარმომავლობის -ურ/-ულ სუფიქსებით, ესენია: ისტორიული ტოპონიმი, ბუნებრივი ზონა, ეთნონიმი, შედრ.: *Celtis australis* – სამხრეთის აკაკი, *Cuscuta europaea* – ევროპის აბრეშუმბა, *Physalis peruviana* – პერუს ონტკოვა, *Cyclamen coum* – ქიოსის ყოჩივარდა, *Paeonia lagodechiana* – ლაგოდების იორდასალამი, *Rhinanthus colchicus* – კოლხური ხრიალა, *Poa alpina* – ალპური თივაქასრა, *Rosa didoensis* – დიდოური ასკილი; ვითვალისწინებთ ქართულ სამეცნიერ-

რო ლიტერატურასა და ლექსიკოგრაფიაში დამკვიდრებულ ზოგიერთ ტრადიციას, შესაბამისად, გვაქვს: **კავკასიური** და არა **კავკასიის, ქართული** და არა **საქართველოს, ბერძნული** და არა **საბერძნეთის**.

4. ხანდახან ფიტონიმის გვარიცა და სახეობის აღმნიშვნელი ეპითეტიც სახელობით ბრუნვაში (nominativus) მდგარი არსებითი სახელია, ანუ ეპითეტის ფუნქციასაც მცენარის გვარი ასრულებს და არა მსაზღვრელი. ამგვარი სახელები გადმოვიტანეთ **-ებრ** ან **-ა** სუფიქსით, შესაბამისად, ყურადღება გავამახვილეთ ეპითეტად გამოყენებულ მცენარესთან მსგავსებაზე, მაგ. *Punica granatum* – **ბროწეულა პუნისკა**, *Brassica napus* – **თაღვამა ბრასიკა**, *Cephalanthera damasonium* – **წყლისმრავალძარღვასებრი ცეფალანთერა**, *Crinitaria linosyris* – **ლინოზირისისებრი კრინიტარია**, *Calamintha nepeta* – **კატაპიტნასებრი კალამინთა**.

5. ფიტონიმთა ლათინურ სამეცნიერო სახელებში მცენარის გვარისა და სახეობის აღმნიშვნელი ეპითეტის საწარმოებლად ზოგჯერ ერთი მცენარის გვარის დასახელება გამოიყენება სხვადასხვა ენაზე: ლათინური, იტალიური, ბერძნული, სანსკრიტი, არაბული... ასეთ შემთხვევაში ეპითეტი გადმოვიტანეთ, როგორც **ჩვეულებრივი** (როგორც ეს სხვა ანალოგიურ გამოცემებშია მიღებული), მაგ. *Carum carvi* – **ჩვეულებრივი კარუმი** (carum – ბერძნული, carvi – სანსკრიტი); *Viburnum lantana* – **ჩვეულებრივი ვიბურნუმი, უზანი** (viburnum – ლათინური, lantana – იტალიური); *Papaver rhoeas* – **ჩვეულებრივი ყაყაჩო**, (papaver – ლათინური, rhoeas – ბერძნული).

6. ლათინური ეპითეტი sativus, a, um რიგ შემთხვევაში ვთარგმნეთ, როგორც **სათესი**, ზოგან კი **ნათესის**, ხოლო arvensis გადმოვიტანეთ, როგორც **მინდვრის** ან **ყანის** – თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში გავითვალისწინეთ მცენარის საბინადრო ადგილი და თავისებურება, მაგ.: *Lathyrus sativus* – **ნათესის ლათირუსი (ცულისპირა)** / *Nigella sativa* – **სათესი ნიგელა (სოინჯი)**, *Ranunculus arvensis* – **ყანის ბაია** / *Sinapis arvensis* – **მინდვრის მდოგვი**.

ვფიქრობთ, მიღებული წესების დაცვა შექმნის ერთგვარ ბარიერს ლათინურ ფიტონიმთა ქართულად გადმოტანისას გაუმართავი ფორმების დასამკვიდრებლად. ის, ასევე, სამომავლოდ დაეხმარება სპეციალისტებს ახალი ფიტონიმების თარგმნისას.

გამოყენებული ლიტერატურა

მაცაშვილი, 1991– მაცაშვილი ა., ბოტანიკური ლექსიკონი (მცენარეთა სახელწოდებანი), თბილისი 1991.

საქართველოს ფლორა, ტტ. 1-15, თბილისი 1971-2007.

საქართველოს ფლორის ნომენკლატურული ნუსხა, ილიას სახ. უნივერსიტეტი, ბოტანიკის ინსტიტუტი, თბილისი 2018.

ჩოთალიშვილი, 2012 – ჩოთალიშვილი ლ., ლათინურ-ქართული ბოტანიკური ლექსიკონი, ლოგოსი, თბილისი 2012.

ჩოთალიშვილი, 2011 – ჩოთალიშვილი ლ., ლათინური ბიოლოგებისათვის, თბილისი 2011.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ჭელიძე, 2022 – ხოჭოლავა-მაჭავარიანი ნ., ჭელიძე დ., მცენარეთა სახელების კრებისთი ლექსიკონი, თბილისი 2022 (მზადდება გამოსაცემად).

Gledhill D., *The Names of Plants*, Cambridge 2008.

International Code of Nomenclature for algae, fungi, and plants (Shenzhen Code), 2018.

Linnaeus C., *Species Plantarum*, Holmiae 1753.

Stearn [William T.](#), *Botanical Latin* Paperback, Timber Press, 2007.

Zander *Handwörterbuch der Pflanzennamen. Dictionary of plant names. Dictionnaire des noms de plantes* (W. Erhardt, E. Götz, N. Bödeker, S. Seybold), 17. Auflage, Stuttgart 2002.

Дворецкий И. Х., *Латинско-русский словарь*, Москва 1986.

Дворецкий И. Х., *Древнегреческо-русский словарь*, тт. I-II, Москва 1958.

<https://www.perseus.tufts.edu/hopper/text?doc=Perseus:text:1999.04.0057:entry=lo/gos>

<https://www.mobot.org/mobot/latindict/abbreviations.shtml>

მერაბ ჩუხუა

ქართველური მოდგმის ტომები და მათი სახელები

1. მრავლობითი ფორმების (თუ მრავლობითობის) რეალიზება ქართველთა ეთნონიმებში მეტად გავრცელებული პრაქტიკა უნდა ყოფილიყო პრეისტორიულ თუ ისტორიულ საქართველოში, რასაც ქვემოთ განხილული არაერთი სუბეთნიკური სახელის ჩვენება ამოწმებს.

დიაოხი / დიაუხი. ჯერ კიდევ ქრისტეს წინ მე-12 საუკუნეში ასურულ-ურარტულ წყაროებში დამოწმებულია დაიაენ- / დიაოხ- / დიაუხ-ის ქვეყანა, რომლის მეფე სენ-ზე გამარჯვებით თავს იწონებდა ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I (1115-1077). დაიაენ- / დიაოხ- / დიაუხ-ის სამეფო მოიცავდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს და აღწევდა ევფრატის სათავეებამდე. მასთან (დიაოხ- ძირთან) მონათესავე სახელი შეიძლება ჩანდეს ქსენოფონტეს ჩანაწერებში (ქრისტეს წინ V-IV საუკუნეები), უკვე ტაოხ- სახეობით.

არსებულ ენობრივ სიტუაციაში (დიალექტურ ვარიანტებში), რა თქმა უნდა, არქაული, ანუ უფრო ძველი ფორმა იყო დიაოხ-, საიდანაც მოგვიანებით ქართული ენის წიაღშივე (დიასისტემაში) განვითარდა გამკვეთრებული ტაოხ- ფორმა. უფრო მეტიც დიაოხ- საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარე არქეტიპი გვგონია, რომელიც ქართულ სამწერლო ენაში ტაოხ- / ტაო-დ იქცა, ხოლო კოლხურ არეალში, ანუ მეგრულ-ლაზურში დიაოხ-მა მოგვცა ჯავახ-, რომელიც დიაოხ-ის კანონზომიერი ზანური შესატყვისი ჩანს. ფაქტია, რომ სწორედ ეს ზანური ვარიანტი უდევს საფუძვლად თანამედროვე ჯავახ-ეთ-ს, რომელიც შუა საუკუნეებიდან მკვიდრდება ქართულში და დღემდე მოქმედი ცოცხალი ტერმინია. არც ის არის მოულოდნელი, რომ ქართულმა სინამდვილემ ჯავახ- / ტაოხ- ფონეტიკურად განსხვავებული ვარიანტები სხვადასხვა, მაგრამ ურთიერთმომიჯნავე კუთხეების გასარჩევად გამოიყენა. ამასთან, ჯავახ-ის მეგრულ-ლაზური წარმომავლობის სამტკიცებლად მყარი არგუმენტი ხდება დი -> ჯ აფრიკატიზაციის მოქმედი ფონეტიკური პროცესი ზანურში, რაც არაერთ სხვა სიტყვაშიცაა რეალიზებული, შდრ.: დი-

აკვან- / ჯაკონ- (გვარები დიაკონიძე / ჯაკონ-ია), დიაკული / ჯაკე-
ლა, დიომიდე / ჯომიდა-ვა, დიანოზ-ი / ჯანოზ-ი და მრავალი სხვ.

ვფიქრობთ, ურთიერთმონათესავე დიაოზ- / ჯავაზ- ფორმებში
ბოლოკიდური -ზ- კრებსითობა/მრავლობითობას აღნიშნავს, ამიტო-
მაც დასტურდება ჩვენს სინამდვილეში როგორც ტაო, ისე ჯავა, ანუ
ფონეტიკურად ტაო-ზ- / ტაო საკუთრივ ქართული მონაცემია, მაშინ,
როდესაც ჯავა-ზ- / ჯავა მეგრულ-ლაზური ფონეტიკის წყალობით
დამკვიდრებულა; ამავდროულად, ორივესათვის წინაპარ ფორმად
საერთოქართველური დიაოზ- / დიაო- უნდა ვაღიაროთ. გამოყოფი-
ლი -ზ-ს არაძირეულობას ნათლად აჩვენებს პარალელურ, იმავე
მნიშვნელობის დაია-ენ- სახელთან შედარება; ამ უკანასკნელში
გამოყოფილი -ენ დიაო-ზ-ის -ზ- სუფიქსის ფუნქციური შესატყვისია.
და თუ ქართულ-ზანურში -ზ- უკვე აღარაა ცოცხალი სუფიქსი, აზ-
ლომონათესავე სვანურ დიალექტებში ბოლოკიდური -ზ-დღესაც
მოქმედი მრავლობითობის აფიქსია, შდრ. ძვ. ქართული არი-ენ -
სვან. არი-ზ „არიან“... გენეტიკურად საერთო წარმომავლობის -ზ- სუ-
ფიქსი მრავლობითობის მაწარმოებლად ასევე მოქმედია ჩერქეზულ
ენა-კილოთა სახელებში, მაგ. ხურცი „ქართველი“ - ხურცი-ზ-ერ
„ქართველები“...

თუ მრავლობითობის -ენ სუფიქსს დავინახავთ დაია-ენ-ში,
ბუნებრივია, იმავეს გამოყოფა არაძირეულ ნაწილად ტიბარ-ენ-
ბერძ-ენ- და სხვ. ეთნიკურ სახელებში შესაძლებელი ხდება. მით
უმეტეს, როცა ცნობილია, რომ ტიბარ-ენ-ის ძირია ლაზური ტიბა
„ტიბა, ხევი“ სიტყვა, ხოლო ტიბ-არ-ი უდრის ქართული ენის ტბ-ელ-
შდრ. ტბელ-აზუსერისძე. ანუ ირკვევა, რომ ტიბარ-ენ-ი იდენტურია
ტბელ-ნ- / ტბელ-ებ-ისა. -ენ-ის გამოყოფას ქართულ სატომო სახე-
ლებში მრავლობითობის დამოუკიდებელ ერთეულად ხელს შეუ-
წყობდა ძვ. ქართულში ბერძ-ულ-ის პოვნირება, რომელიც თანა-
მედროვე ბერძ-ნ-ულ-ის ტოლფარდია. -ენ სუფიქსის გვიანდელი -ან
სავარაუდოდ ზანური სახეობა უნდა გამოიყოს ცნობილ არი-ან-
ქართლ-შიც, რომლის ქართული შესატყვისად *ერი-ენ- აღდგენილ
ფორმაში უნდა მოვიაზროთ, შდრ. ჰერ-ი/ერ-ი + -ენ- (ერი-ენ-)... სწო-
რედ ამიტომაც არი-ან-ქართლი სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში
დამოწმებული კუთხე და ასევე მისი ა - ა გახმოვანებაც დიახაც რომ
მის ზანურობას უსვამს ხაზს.

კოლხა/კილხა/კულხა. ასევე ქრისტეს წინ XII საუკუნიდან არის ცნობილი კოლხა /კილხა/კულხა ვარიანტები ლაზ-მეგრელების წინაპრებად. და აქ უნდა დავეთანხმოთ ივანე ჯავახიშვილს, რომელიც სამართლიანად ამტკიცებდა, რომ გამოყოფილი ხ-ს მეშვეობით არის ნაწარმოები კოლ-ისგან კოლ-ხ-ი. ვფიქრობთ, კოლ-ხ- ქართული ვარიანტია, ხოლო კილხ-/კულ-ხ- მისი მეგრულ-ლაზური შესატყვისი გვგონია, ვინაიდან როგორც $ო \rightarrow უ$, ისე $უ \rightarrow ი$ ისტორიული ფონეტიკური პროცესები ქართველური ქვესისტემებიდან მხოლოდ მეგრულ-ლაზურისთვის არის დამახასიათებელი. მაგალითისთვის საკმარისია მივუთითოთ საერთო წარმომავლობის ქორ- ფრინველზე ქართველურში, როდესაც ქართულ ქორ-ს ლაზურში ქურ-ი შესატყვისება, ხოლო მეგრულში ქირ-ი, შდრ. ქართული გვარები: ქორ-იმე / ქირ-ია...

თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე არსებული კოხ-ბი, რომელიც ისტორიულად ქართული კოლ-ბის შემცველი სომხურად წარმოთქმული ნაირსახეობა ჩანს (კოლ-ბი -> კოხ-ბი სომხური ფონეტიკის ფაქტია), ასევე ქართულ კოლ- ძირს შეიცავს. ცხადია, გამოყოფილი კოლ- საერთოა როგორც კოლ-ხ-, ისე კოლ-ბ- სახელებში, ვინაიდან -ხ/-ბ მრავლობითობის სუფიქსებია, შდრ. კას-პ- <- *კას-ბ- (?)... ისტორიულ საქართველოში კი კოლ- ეთნიკური სახელის გავრცელების არეალი ქვეყნის ჩრდილოეთსაც ფარავდა, რისი რეალურად ფუნქციონირების დამადასტურებელ ნიმუშად ჰეკატეოს მილეტელთან (ქრისტეს წინ 549-472) ბზიფის ხეობაში დადასტურებული კოლ- / კოლ-იკე ვარიანტებიც გამოდგებოდა.

ქართუხი / ქორთუენი. ჩვენი დაკვირვებით, მრავლობითობის -ენ- და -ხ- სუფიქსები განასხვავებს ერთმანეთისგან ქსენოფონტეს ქართუ-ხ-(= ქარდუ-ხ-)ებსა და ქორთუ-ენ-(=გორდუ-ენ-) ვარიანტებს. დიდ სიძნელეს არ უნდა წარმოადგენდეს საკუთრივ ქართუ-ძირის დანახვა ქართუ-ხ-ში, რომელსაც მეგრულ-ლაზური ქორთუ „აღმოსავლეთქართველი“ (შდრ. სვან. მგ-ქართ „აღმოსავლეთქართველი“) შეესატყვისება. არც ის არის შემთხვევითი ფაქტი, რომ საქართველოს დედაქალაქად ტფილის / თბილისს მეგრულ-სვანურად ქართ-ი (=ქალაქი) და აფხაზურად ა-ქართ ეწოდება დღემდე, ხოლო *ქართველს* აფხაზურადვე ა-ქართ-უა აღნიშნავს, შდრ. აფხაზური გვარია-ქგრთა-ვა = ქართველაძე.

და რომ მრავლობითი ფორმების (თუ მრავლობითობის) რეალობა ქართველთა ეთნონიმებში მეტად გავრცელებული პრაქტიკა იყო საქართველოში, გარდა ზემოთ აღწერილი შემთხვევებისა, დამოწმებულ-რეალიზებული ჩანს არაერთ სხვა ეთნონიმშიც. ერთ-ერთ ასეთ შემთხვევად უნდა მივიჩნიოთ ბიმ-ერ- სახელიც, რომელსაც ანტიკური ხანის მოღვაწენი ბიზ-ერ- ფორმითაც ადასტურებენ. თუ სწორია ბიმ-ერ- / ბიზ-ერ- ვარიანტთა იდენტიფიკაცია თანამედროვე ვიწე ლაზურ ტოპონიმთან (წათე ბაწაში), ცხადია, -ერ- დამოუკიდებელ აფიქსად უნდა გამოიყოს. დღეს ასეთი მრავლობითობის მეტად გავრცელებული სუფიქსი გააჩნია სვანურს არ-ის სახით, რომელსაც ლაზურში -ერ- კანონზომიერად შეესატყვისება, შდრ. ლაზ. ენთ-ერ-ე / ენთ-ეფ-ე „ისინი“... აქ -ერ / -ეფ მრავლობითობას გამოხატავს ლაზურში. იგივე -არ პროდუქტიული უნდა ყოფილიყო ქართულშიც, შდრ. გომ-არ-ეთ-ი, გუჯ-არ-ეთ-ი, რომლებიც ორმაგი მრავლობითობის სახით (ბალ-ნ-არ-, ბუჩქ-ნ-არ-...) ნ-არ- კრებითობის სუფიქსშია შემორჩენილი.

ხალდი / ხალიტუ / ხალიბი. მრავლობითობის -ბ- / -დ- აფიქსთა ურთიერთჩანაცვლების შესაძლო ნიმუშებად უნდა ჩაითვალოს ხალ-დ- / ხალ-იტ-უ / ხალ-იბ- დასავლურქართულ ტომთა თუ სახელმწიფო გაერთიანებათა სახელები, შდრ. ასევე სომხურ წყაროებში დამოწმებული ხალ-ტ-ი-ქ „ხალიბთა ქვეყანა“...

მრავლობითობის -ვ წარმოჩნდება არაერთი ქართული კუთხის, სუბეთნიკური სახელისა თუ სოფლის აღმნიშვნელ დასახელებაში, შდრ. ფხო-ვ-ი (ფხო-ეთ-ი, წინა-ფხო, უკანა-ფხო, შუა-ფხო), ფშა-ვ-ი (ფშა), ფოცხო-ვ-ი (ფოცხო), ზანა-ვ-ი (ზანა, სა-ზან-ო, ზანათ-ი) და მრავალი სხვ.

2. ქართველურ ეთნონიმიკაში განსაკუთრებულ ჯგუფად უნდა გამოიყოს მეტალ-მეტალურგიასთან დაკავშირებული ეთნიკური სახელები.

ერთ-ერთ ასეთ ნიმუშად გვევლება ბექირ- სუბეთნიკური სახელი; **ბექირ-ებ-ი** ძველი ტომი ჩანს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რომელიც მოხსენიებულია ძველბერძენ ავტორებთან, როგორცაა: ჰეკატეოს მილეტელი, ფსევდო-სკილაქსი, დიონისიოს პერიეგეტესი და სხვ. ბექირ-ებ-ის საცხოვრებლად მითითებულია ტერიტორია, რომელიც ემთხვევა თანამედროვე რიზუს რეგიონს. ეთნონი-

მურ სახელში წარმოდგენილი ბეჟირ- ძირი სპილენძის აღმნიშვნელი ერთ-ერთილექსემა ჩანს ქართულში, რომელსაც ლაზური ბაჟირ- „სპილენძი“ შეესატყვისებოდა. ისტორიულად პოვნური ლაზური ფორმა დღემდე დაცულია თურქეთის რესპუბლიკაში შემონახულ დიარ-ბაჟირ ტოპონიმში (შ. გაბესკირია). რეკონსტრუირებული ს.- ქართვ. *ბეჟირ- „სპილენძი“ არქეტიპის შესატყვისებს ვხედავთ თანამედროვე დაღესტნურ ენებში, შდრ. ტინდიური ბაჟი „წითელი სპილენძი“, თაბასარანული ბაჯირ „სპილენძის ჟანგი“, რაც აღწერილ ალომორფთა პალეოკავკასიურ წარმომავლობაზე მიუთითებს.

ფასისი / ფასიანი. ასევე მეტალის სახელთანა ჩანს დაკავშირებული ფას- ეთნონიმური სახელი, რომელიც ჩანს ფას-ის-, ფას-იან- / ფას-იან-ებ-ში. ფას-იან-ი ეთნიკურ-გეოგრაფიულ ტერმინად მიიჩნევა, ხოლო ფას-იან-ებ-ი იქ მცხოვრები ხალხის სახელი ჩანს [მიქელაძე 1955]. ჩვენი აზრით, ფას- ძირი მანგანუმის აღმნიშვნელი ქართული ფორმაა, რომელსაც სვანურში ფაშა „მანგანუმი“ შეესატყვისება (ს.-ქართვ. *ფას-ა „მანგანუმი“, ქართ. ფასა, ფას-ის მთა, ფასა-ნა-ურ-ი). სწორედ რაჭული ფაშა „მანგანუმი“ ინახავს სვანურ ფაშა სიტყვას, რომელიც კანონზომიერად შეეფარდება ქართულ ტოპონიმებში თავჩენილ ფასა (ფასა-ნა-ურ-ი, ფასა-ის მთა) სიტყვას; შეიძლებოდა აქვე გვეფიქრა, რომ ზანური ეკვივალენტი ფომ-ომ-ი (← *ფომ-ფომ-ი) რედუპლიცირებულ სახეობის სიტყვაში იმალება. ქართულ-ქართველურ ალომორფებს კანონზომიერად შეესატყვისება დაღესტნურ ენათა მასალა, შდრ. ხუნძ. ფახ..., ბაგვ. ფაშ, ბოთლ. ფახ^ი,კარ. ფახ^ე, ტინდ. ფახ^ი „წითელი სპილენძი“ (ს.-დად. *ფაშ^ე „წითელი სპილენძი“). ამოსავალ სიბილანტურ ფონემად (სპირანტად) [შ] აღვადგინეთ საერთოდაღესტნური ენობრივი მდგომარეობისთვის, და ამგვარი მიდგომის მართებულობას გვიდასტურებენ წითელის აღმნიშვნელი სათანადო სინდური მონაცემები: აბაზ. -ფშე „წითელი“, სიტყვაში ხ^ა-ფშე „ოქრო“, ყა-ფშე „წითელი“, აფხ. -ფშე / -შე „წითელი“, სიტყვაში ხ^ა-შე (← *ხ^ა-ფშე) „ოქროსებური“, goldish; ყა-ფშე „წითელი“, ა-შ^ა-ფშე (=შავ-წითელი) „განთიადი; რიჟრაჟი“ (ს.-სინდ. *ფშე „წითელი“).

აფს- ძირის შემცველი ქართული ეთნონიმები. აფსილ- / აფსილ-ებს პირველად პლინიუსი (ახ. წ. I ს.) იხსენიებს მდინარე ასტელეფთან / დიოსკურიასთან (სინამდვილეში კოდორთან) ახლოს. მო-

გვიანებით აფსილ-/აფშილებს ამავე რეგიონში აფიქსირებს არიანე (ახ. წ. II ს); ხოლო V საუკუნის ანონიმი ავტორისთვის აფსილები ლაზების ზემოთ ცხოვრობდნენ. აფშილები კი კოდორის ჩრდილოეთით მოზინადრე ტომი იყო, რომელთაც ბერძენი გეოგრაფები “კორაქსოს” სახელით მოიხსენიებენ, ქვეყანას კი აფსილია, ქართული ტრადიციით, აფშილეთი ეწოდებოდა. მეცნიერთა ნაწილის აზრით, ეთნიკურად აფსილ-/აფშილები, ისევე, როგორც აბაზგები, მისიმია-ნები და სანიგები, აფხაზების უშუალო წინაპრები იყვნენ, ხოლო ეთნონიმი აფსილ-ი უკავშირდება აფხაზთა თვითსახელწოდება აფსუა-ს. აფხაზთა თვითსახელწოდებასთან დაკავშირებით ს. ჯანაშია მიიჩნევდა, რომ აფსილ-აფსუა-აფსარ-ს ერთი და იგივე ძირი აქვს, რასაც იზიარებდნენ გ. მელიქიშვილი, ზ. ანჩაბაძე, ნ. ლომოური [ანჩაბაძე 1976; ნაჭყებია 2006 : 67]. ფიქრობენ, რომ ლინგვისტურად აფს- ძირისაგან ქართველური სუფიქსების დართვითაა მიღებული აფშ-ილ- / აფს-ილ- / აფს-არ-ი [გვანცელაძე 1993; გვანცელაძე 1998]. ქ. ლომთათიძის აზრით, აფშილ-ი ქართულად გაფორმებული სახელწოდებაა და მიემართება იმ აფხაზებს, რომელთა ენაშიც იყო სინ-შიშინა [ს], ე. ი. დასავლეთის (ბზიფური) შტოს აფხაზებს. სხვათა შორის, ეს მიდგომა მყარდება ბერძნული წყაროებით, რომლებიც აფშილებს კოდორის ჩრდილოეთით მოზინადრე ტომად მიიჩნევენ; რაც შეეხება აფსილ- სახეობას, ქ. ლომთათიძის მიხედვით, იგი ქართული აფშილ-ის ბერძნულად ადაპტირებული ვარიანტია, ხოლო “ქართლის ცხოვრებაში” მოხსენიებული ტერმინი “აფსარი” მიემართება აღმოსავლურ-აფხაზურ ტომებს [ლომთათიძე 1997 : 123-127]; ავტორის აზრით, აბაზგ-ი სხვა ძირის სიტყვაა [ლომთათიძე 1991]. თ. გამყრელიძემ აფსილ-/აფშილ-ებ-ი თანამედროვე აფსუა-აფხაზებს გენეტიკურად და ენობრივად დაუკავშირა და მათ შესაძლო წინაპრად მიიჩნია. მისი აზრით, აბაზგ- / აფხაზ-ებ-ი თავდაპირველად მათგან რაღაც განსხვავებულ შტოს / ეთნოსს წარმოადგენდნენ, რომელთა სახელწოდება დროთა განმავლობაში გარკვეული სემანტიკური ცვლებადობის შემდეგ, საბოლოოდ გადატანილ იქნა ქართულ ენობრივ სამყაროში საკუთრივ აფსუა / აფშილებზე, როგორც ისტორიული დასავლეთ- საქართველოს ერთ-ერთ მკვიდრ ეთნოსზე [გამყრელიძე 1991]. ჩვენი დაკვირვებითაც, აფს- ძირი გენეტიკურად არის საერთო აფხაზურ-ქართველურისთვის და, ცხადია,

ფონეტიკურად აფხაზური აფს- ქართულში შესატყვისად აფს- იდენტურ ვარიანტს მოგვცემდა (შდრ. აფს-ილ-ი / აფს-არ-ი), მაგრამ ზანურში მას ოფს- უნდა მოეცა და გვაქვს კიდევაც ოფს-ის სახით მეგრულში, ოღონდ, ამჟამად იგი ოს- / ოს-ებ- / ოს-ეთ-ის აღსანიშნავადაა გამოყენებული, რაც გვიანდელი ფაქტი ჩანს, მაშინდელი, როცა რეგიონში სკვით-ოსები გამოჩნდნენ. ისტორიულად უნდა წარმოვიდგინოთ, რომ აფს-, განსხვავებული სუფიქსაციით, მიემართებოდა სხვადასხვა ტომებს, ხოლო, როცა რეგიონში გამოჩნდნენ სკვით-ოსები, მათთვის თავისუფალი, სემანტიკურად დაუტვირთავი ოფს-ჯერ სკვითებზე გადმოვიდა და შემდგომ, მემკვიდრეობის დაცვით, გადმოვიდა თანამედროვე ოსებზე. სწორედ ამ ვითარების ანარეკლად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ გვიანდელი ავტორები (მაგ. სტეფანე ბიზანტიელი - VI-VII სს) აფსილებს სკვითურ ტომად მიიჩნევენ. ქართული აფს- რომ რეალურად არსებობდა, ამის პირდაპირ დადასტურებად მიგვაჩნია აფს-ა-ვა / აფს-ა-ხე / აფს-ა-ძე (=აფსა-ნძე) გვარების არსებობა ჩვენს სინამდვილეში (გამოვლენილი ა-სთვის შდრ. აფხაზ-ი / აფხაზ-ა-ვა). აფსილ-ის ქართველურობას ამტკიცებს ერთსა და იმავე სიტყვაში ე/ი სუბსტიტუცია მეგრულში, შდრ. გადე-ლია / გადილია (ანთროპ)... დასახელებული ქვეყნის სახელწოდება - ია დაბოლოებით(აფსილ-ია = აფსილ-ეთ-ი) ასევე ზანურის ბუნებით უნდა აიხსნას, შდრ. გურ-ია, ქუთა-ია... გურ-ია-ში -ია დაბოლოება მავანს შეიძლება შუასაუკუნეების ინოვაციად მოეჩვენოს, მაგრამ, როგორც ეს გარკვეულია სპეციალურ ლიტერატურაში, ჯერ კიდევ ურარტულ-ასირიულ წყაროებშია ნახსენები გურია-ნია / კურია-ნთა სახეობები [გვეტაძე 1976].

ამრიგად, აფსილ-/აფსარ- ქართველურია, როცა აფს-არ- ეთნონიმური სახელი მეგრული წარმომავლობის -არ სუფიქსით გაფორმებული აფს(უ)-ელ-ი ჩანს (ძვ. ქართ. აფსილ-ი <- *აფს-ელ-ი / აფს-არ-ი : ზან. ოფს-). არ გამოვრიცხავთ, ამავე აფს-/ოფს- ძირებს შეიცავდეს ძველკოლხური აფსირტე / ოფსიტი სამეფო სახელები.

გამოყენებული ლიტერატურა

ანჩაბაძე 1976 – ანჩაბაძე ზ. ევლია ჩელების ცნობები აფხაზური და აბაზური ტომების შესახებ. – საისტორიო კრებული, ტ. VI, თბ. 1976.

გამყრელიძე 1991 – გამყრელიძე თ. ძველი კოლხეთის სატომო სახელთა ისტორია. – მაცნე, ისტორიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 2, თბ. 1991.

გვანცელაძე 1993– გვანცელაძე, თ. კვლავ ეთნონიმ „აფხაზისა“ და მასთან დაკავშირებულ ფუძეთა შესახებ. - საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ. 1993.

გვანცელაძე 1993– გვანცელაძე თ. ენობრივი მონაცემები და მათი მნიშვნელობა აფხაზეთის ეთნიკური ისტორიის კვლევისათვის. – კრ. აფხაზეთის ისტორიის პრობლემები, თბ. 1998.

გვეტაძე 1976– გვეტაძე ჯ. გურია-ს ეტიმოლოგიისათვის. – ისტორიული კრებული, ტ. VI, თბ. 1976.

ლომთათიძე 1991–ლომთათიძე ქ. ეთნონიმ აბაზგის წარმომავლობისათვის. – არნ. ჩიქობავას სახ. ენათმეცნიერების ინსტიტუტის XLIX სამეცნ. სესია. 1991 წლის 17-19 დეკ. მოხსენებათა თეზისები / საქ. მეცნ. აკადემია. თბ., 1991, გვ. 19-20.

ლომთათიძე 1997 – ლომთათიძე ქ. ეთნონიმების აფშილ / აფსილისა და აფსარის შესახებ. – ეტიმოლოგიური ძიებანი. კრ. 6, საქ. მეცნ. აკად. ენათმეცნიერების ინსტიტუტი. თბ. : მეცნიერება, 1997, გვ. 123-127.

მიქელაძე 1955 – მიქელაძე თ. 1955. ფასიანების სადაურობისა და ადგილ-სამყოფელის გარკვევის საკითხისათვის. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვეთი 32. თბ.

ნაჭყებია 2006 – ნაჭყებია მ. 2006. ქართველთა ეთნოლინგვისტური ტერმინები, თბ.

ნინო ციხიშვილი

-ჯაფრ-//-ხაფრ- ალომორფის ისტორიისათვის ქართულში

ქართული ენის რამდენიმე დიალექტში დასტურდება -**ჯაფრ-//-ხაფრ-** ძირეულმორფემიანი ზმნა, რომელიც ორი განსხვავებული მნიშვნელობით გამოიყენება. კერძოდ, აღმოსავლეთ საქართველოს მთის ზოგიერთ დიალექტსა და ჯავახურში იგი აღნიშნავს ვიღაცის, რაღაცის „დაკარგვას“, „გაუჩინარებას“, „თვალთაგან მიფარებას“. ხოლო გარეკახურში, ქიზიყურსა და ქართლურში – რაიმე ადგილის, ქურჭლის „დაკავებას“, „მოცდენას“, „დაბანდებას“. აქვე შევნიშნავთ, რომ აღნიშნული ალომორფი მთის დიალექტებსა და ქიზიყურში დასტურდება ძველი ქართულისეული ფარინგალური ჯ თანხმოვნით, ჯავახურში, გარეკახურსა და ქართლურში კი – ველარული ხ ფონემით.

აღმოსავლეთ საქართველოს მთის დიალექტთაგან ჩვენთვის საინტერესო ლექსიკურ ერთეულს ვხვდებით ფშაურში, ხევსურულში, მთიულურსა და მოხურში. გიგი ხორნაულის „ფშაურ ლექსიკონში“ ეს სიტყვა შემდეგნაირადაა განმარტებული: „**დაჯაფრვა**, **დაკარგვა**, **დაღუპვა**, **დათხევა**. **დაჯაფრე**, **დაკარგე**, **დაიჯაფრე**, **დაიკარგე**, **დაიღუპე**, **მაითხიე**. (რაზ.-ჭყ.). **დაჯაფრვა**“ (ა. შანიძე). **გაქრობა**; **მოპარვა**, **დაკარგვა**. „**ექით**, **ეკარზეით ცულ რამამ დამიჯაფრა**“ (გულქან რაზიკაშვილი)“ (ხორნაული 2000). თებრო გოგოლაურის მიერ ჩაწერილ ტექსტებში „ჯაფრვა“ რამდენჯერმე გვხვდება ზემოთ დასახელებული შინაარსით: „**თქვე ყოლონო**, **თქვენა**, **თქვე ყოლონო**, **დაიჯაფრენით მანდითა** (გვ.130)... **ბევრი რამ მაქსონდა**... **ე გულისკმა მეჯაფრება რადამა** (გვ.170)... **ივანეც დამეჯაფრა**, **ი დედაკაცებიც დამეჯაფრნეს**. (გვ. 190)“ (გოგოლაური 2005). გუბაზ გოგატიშვილის წიგნშიც ანალოგიურადაა იგი განმარტებული: „**დაჯაფრვა** **დაღუპვა**, **გადაკარგვა**. **ადამიანსაც ეტყვიან გაბრაზებით: დაიჯაფრე**, **ე. ი. დაიკარგე**, **დაიღუპე**, **გადაშენდიო**“ (გოგატიშვილი 2006, 323). აღნიშნული ლექსემა დასტურდება ხევსურულშიც. ალექსი ჭინჭარაულის „ხევსურულ ლექსიკონში“ მოყვანილია მისი სხვადასხვა ფორმა: „**ჯაფ-**

რავ-ს კარგავს (შდრ. ქეგლ. ხაფვრა). აგრეთვე: გადაეკაფრების, გადაიკაფრების, გადახკაფრავს, დაიკაფრების, დაეკაფრების, დაუკაფრავს, დახკაფრავს, ჩაიკაფრების, ჩაკაფრვა... სად ჩაიკაფრე, მკვებარო? მე იმედს ვიყავ შენსაო. (ხევს. პოეზ. 473, 3)“ (ჭინჭარაული 2005).

ამავე შინაარსით გვხვდება იგი მოხეურშიც. „ქართული დიალექტოლოგიის“ სალექსიკონო ნაწილში სიტყვის განმარტებას ახლავს მისი გადატანითი მნიშვნელობაც, რომელიც ფიზიკურ დაშორებასთან ერთად სულიერი კავშირის გაწყვეტაზეც მიუთითებს:

„დაიხაფრება დაიკარგება, კავშირს გაწყვეტს; დაემდურება.“ (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961). თანდართულ ტექსტებშიც ამავე სემანტიკას ატარებს საკვლევი სიტყვა: **„მე და შენ დავიხაფრებით ერთუცშიგაო, თუ გერგეტლები არ გაგითავისუფლებია შეშის ყალანისაგანო.“** (გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961, 48). „დაკარგვის“, „გაქრობის“, „მოშორების“ მნიშვნელობით იძებნება იგი ნ. სუჯაშვილისა და ი. ფიცხელაურის „მოხეურ ლექსიკონშიც“: „**ეგრასაც კელს მოჰკიდებს, სუყველას კაფრავს. ... „ცული ვედარ ვიპოვნე, ნეტარ სად გადაიკაფრა. ... „მახათი დამიკაფრა ხიზანმა. ... „სად გადაიკაფრა ეს ჩუნი მეზობელი, ორი წელია აღარ ჩან. ... „დაიკაფრე აქათითა, ემმა თოლებმა აღარ გნახას.“** (სუჯაშვილი, ფიცხელაური 2005). აკაკი შანიძის „მთის კილოთა ლექსიკონში“, რომელიც 1911 და 1913 წლებში შეგროვილი მასალის მიხედვითაა შედგენილი, ჩამონათვალს ემატება მთიულურიც: **„დაკაფრვა ფშ., მთ., მოკ., (ყ. 25,7 ქვ.) დაკარგვა, დაღუპვა, დათხევა. დაკაფრე დაკარგე, დაიკაფრე, დაიკარგე, დაიღუპე, დაიკაფრე მისთხიე (ჯ.). თუშეთში არ ხმარობენ (რაზ. -ჭყ.)“** (შანიძე 1984). მთიულურისათვის განკუთვნილ სხვა მცირე ლექსიკონებსა თუ მთიულურ ტექსტებზე დართულ განმარტებებში ეს სიტყვა ვერ ვნახეთ. მაგრამ იგი ცოცხალია დღესაც საუკუნის წინ მთიულეთიდან ბარად, სოფელ ზემო ქედში ჩასახლებულ მთიულეებში: **„რავი გუშინდამ ვითომ აქ იყო, ეხლა სადღა მაიკაფრა [ძალი].“** ჩვენთვის საინტერესო **„ხაფრ“**-ალომორფიანი ზმნა ვნახეთ ჯავახურ დიალექტშიც სწორედ იმავე სემანტიკით, რომლითაც ის აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებშია გამოყენებული. გიორგი ზედგინიძის „ჯავახურ ლექსიკონში“ განმარტებულ სიტყვას ახლავს შესაბამისი მაგალითებიც: **„დახაფვრა გადაკარგვა, ხალხის გაფანტვა, გადახვეწა. „მგელი რო დაინახა, სუ დაიხაფრა საქონელი.“**

„თათარი რო შემოვიდა ჯავახეთში, მაშინ სუ დაიხაფრა ჩვენი ხალხი. ზოგი წაღკას წავიდა, ზოგი ხეობასა და ქართლში, ზოგიც იმერეთ.“ (ზედგინიძე 2014).

ილია ჭყონიას 1910 წელს თავისი „სიტყვის კონა“ ისეთი სიტყვებით შეუდგენია, რომლებიც სულხან-საბა ორბელიანისა და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში არ იძებნება. „ხაფრ“-ძირეულ-მორფემიანი ზმნა აქაც აღმოჩნდა: „**დახაფვრა** (ფშ. რაზიკ.) დაკარგვა, დამალვა, მიფარება“ (ჭყონია 1910). ლექსიკონის ავტორი სალექსიკონო ერთეულს განმარტავს და მიუთითებს წყაროსაც. ავტორ-შემკრებთა გვარ-სახელების შემოკლებებიდან კი ირკვევა, რომ სიტყვა ფშაურია, ამოღებულია 1900 წლის გაზეთ „ივერიიდან“ და რომ იგი თედო რაზიკაშვილის ფონდს ეკუთვნის. აღნიშნული ლექსემა ვნახეთ გაზეთ „ივერიის“ 18 ივნისის ნომერში (№130). მართლაც, ამ პერიოდის საგაზეთო რუბრიკაში, სათაურით „ქართული ენის საუნჯის მასალად“, სისტემატურად იბეჭდებოდა თედო რაზიკაშვილის მიერ ანბანთრიგზე დალაგებული ფშაური სალექსიკონო ერთეულები თავისივე განმარტებებით (რაზიკაშვილი 1900).

განსხვავებული სემანტიკის მატარებელია საკვლევი ლექსიკური ერთეული გარეკახურში, ქიზიყურსა და ქართლურში. კერძოდ, აქ იგი განიმარტება, როგორც ადგილის, ჭურჭლის „დაკავება“, „მოცდენა“, „დაბანდება“. უშანგი სახლთხუციშვილის „გარეკახურ ლექსიკონში“ შეტანილია „ხაფრ“-ალომორფიანი რამდენიმე ზმნური და ერთი მიმღებობური ფორმა შესაბამისი მაგალითებით: **ხაფვრა** დაკავება, დაჭერა (ადგილისა). „ამოტოლა ეზოდ ესე ტყუილუბრალოთ **ხაფვრა** სად გაგონილა და თქმულა?“... **ხაფრაგ-ს** იკავებს, იჭერს (ადგილს, გზას). „ამ ქვევრ ტყუილათ რათა **მახაფრამ**, პატარა ჭურჭელი მოძებნე რამე, იმაში ჩავასხათ.“... **დახაფვრა** დაკავება, მოცდენა (ადგილის, ჭურჭლის). „რათ გინდა მაგოდენა ქვაბიდ **დახაფვრა**, განა პატარაში არ ჩაეტეოდა?“... **დახაფრაგ-ს** დაიკავებს, მოაცდენს (ადგილს, ჭურჭელს). „თელ ოთახ ეგ კარადა **დამახაფრამს** და სხვა ვეღარა დავაწყოვთ.“... **დახაფრულ-ი** დაკავებული, მოცდენილი. „ეზო ხარხურით აქ **დახაფრული** და მანქანა ვეღარ დამიყენებია.“ (სახლთხუციშვილი 2003). სტეფანე მენთეშაშვილის „ქიზიყურ ლექსიკონშიც“ იძებნება ეს სიტყვა: **ჯაფვრა** დაკავება, დაჭერა, დაბანდება. „ტყუილათ ქერით ნუ **მაჯაფრამ** მა ჭურჭელ. მაგამი ხვარბალი უნდა ჩავყა-

რო. „... **დაჯაფვრა, დაფაჯვრა** ჭურჭლის დაკავება, დავსება რითიმე. აქედან: **დახაფრა** უღო. „საცალოები ქერით არი **დაჯაფრული** და პური ვერაში ჩამიყრია.“ (მენტემაშვილი 1943). როგორც უკვე ითქვა, „ხაფრავს/დახაფრავს“ ზმნა დასტურდება ქართულშიც: **ხაფრავ-ს 1**. იკავებს, აცდენს (ადგილს...). უწინდელ ხალხსა განჯინები ჰქონდა, თაროები და წალო და ოთახში ადგილს არა **ხაფრავდა** (ოდ.)... **2**. უაზროდ ხარჯავს, აბანდებს (ფულს...). ქვეყნის ჩითსა **ხაფრამდენ**, იკერამდენ დიდ-დიდ კაბებსა (ოდ.)... დაუნანებლივ ხარჯავა ეტყვიან **ხაფვრასა** (წილკ.) (ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე 1981).

ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში ხსენებული ზმნა წარმოდგენილია ორივე მნიშვნელობით და აქვე ხაზგასმულია მისი კუთხურობაც: „**ხაფრავ-ს** ([და]ხაფრა, [და]უხაფრავს) კუთხ. (კახ. ფშ.) გრძმ. **1**. კარგავს. **2**. იკავებს, იჭერს (გზას), აბანდებს (ჭურჭელს). ტყულიად ადგილსა ხაფრავს (თ. რაზიკ.)“ (ქეგლი 1950-1964). „**ხაფვრა** (ხაფვრისა) კუთხ. (კახ. ფშ.) სახელი **ხაფრავს** ზმნის მოქმედებისა; **1**. კარგვა. **2**. დაკავება, დაჭერა (გზისა), დაბანდება (ჭურჭლისა)“ (ქეგლი 1950-1964). „ხაფრ/ხაფვრ“ ალომორფი ორივე მნიშვნელობით შეტანილია კიტა ჩხენკელის „ქართულ-გერმანულ ლექსიკონშიც“ (ჩხენკელი 1974 (2007)). „ხაფრ“ ალომორფის შემცველი ლექსემები ორივე მნიშვნელობით იძებნება ახალი ქართულის, XIX-XX საუკუნეების, პოეზიისა და პროზის ენაში. ის გვხვდება, როგორც ჩვენ მიერ დასახელებული დიალექტების წარმომადგენელ შემოქმედთა ენაში, ასევე სხვა დიალექტური გარემოდან გამოსული ავტორების ორიგინალურ ტექსტებსა თუ მხატვრულ თარგმანებში: „ჯავრობდა წითელკაბი: აღარ დაგვაგლო თვალიო, წავიდა, გადაიხაფრა, მგონავ, იურში არიო.“ (მერცხალა 2004, 74); „თავები დიდრონი გაბიათ ტანზე და ტვინი სადღა დაგეხაფრათ?“ (ვაჟა-ფშაველა 1961, 202); „მარტია სადღა დაიხაფრა?“ (ა. ყაზბ.) (ქეგლი 2015); „ნაღდი ფული, რაც აქვთ, მარტო იმ გირავნობის ფურცლის თავდებობაშია თითქმის დახაფრებული.“ (ჭავჭავაძე 2007, 77). „გაჭედილია ქურები, /აივნები და ბანები, დახაფრულია ხეებიც – / ჩიტების დასაბმანები.“ (გ. ლეონ.) (ქეგლი 2015); „წამოვიდა, გზა დახაფრა / და კვლავ მოსთქვამს ქარი შლეგი. (მ. გელოვ.) (ქეგლი 2015); საინტერესოა, რომ ილიას და ვაჟას თანამედროვე მწერალი და ჟურნალისტი არტემ ახნაზაროვი, რომელიც სხვადასხვა (მათ შორის მანოელიძის) ფსევდონიმით აქ-

ვეყენებდა „ივერიასა“ და სხვა ჟურნალებში თავის მოთხრობებს, ლექსებსა და პუბლიცისტურ ტექსტებს, ჩვენთვის საინტერესო ზმნას ორივე მნიშვნელობით ხმარობს: „სად ეშმაკებში გადახაფრულან. (ა. ახნაზ.)“ (ქეგლი 2010); „ძალად ჩამატებული სცენები [პიესას] ხელს არ შეუშლის და არ დახაფრავს.“ (მანოელიძე 1891). -ჯაფრ-/-ხაფრ-ძირეულმორფემიანი ზმნები ჩნდება თანამედროვე ქართველი პოეტების ენაშიც: „დიდნენე ამ მთების ნუსხაა ღვიძლი, რომელ ლოდს რა ტკივა, პირწმინდად იცის. რომელ ხევს რა ხაფრავს, პირწმინდად დახსნის და ბლიკვს მიუღერებს რეგვენს და თახსირს.“ (გორგილაძე 2017, 8); „დაუხაფრია გველეშაპს მთვარე და გველეშაპი დარაჯობს მთვარეს.“ (კერესელიძე 2017, 5); „ვით ჩაიხაფრა იმედი ამო, / თითქოს უფსკრულის კიდეზე შევდექ. სულ უმნიშვნელო ღალატის გამო, / სულ უმნიშვნელო ღალატის შემდეგ.“ (ფირცხალავა 2003, 15).

როგორც ვთქვით, აღნიშნული ლექსემა დასტურდება თარგმანებშიც: „ანტონიოს შენს გვერდს ყოფნა ხომ დაუხაფრავს გზასა და კვალს? (ი. მაჩაბ. თარგმ.)“ (ქეგლი 2015); „ამით ისე გაერთო და დაიხაფრა, რომ მზის კარგა მაღლა წამოსვლა ვერ შენიშნა. (ნ. ავალ. თარგმ.)“ (ქეგლი 2015); „ჩემო შვილო, - უპასუხა დონ-კიხოტმა, - დამიჯერე, მე რომ მოგ ზაური რაინდების ხელობით მთლად არ ვიყო დახაფრული, ქვეყანაზე ასეთი არა იქნებოდა რა, რომ ვერ მომეხერხებინა. (ნ. ავალ. თარგმ.)“ (ქეგლი 2015).

აქვე ერთი მაგალითი გაზეთ „დროებაში“ 1884 წელს დაბეჭდილი ფელეტონიდან (ავტორი უცნობია) იმის საილუსტრაციოდ, რომ „დახაფრვა“ და „დაკარგვა“ აბსოლუტურ სინონიმებად ვერ განიხილება. ისინი ერთმანეთისაგან სემანტიკური ელფერით მაინც განსხვავდებიან. „დახაფრვა“ ზმნის შემთხვევაში „დაკარგვის“ შინაარსი უფრო გამლიერებულია, აქ თითქოს დაბრუნების პერსპექტივა აღარ ჩანს: „მე ვლუხარ: გამარჯვება-მეთქი... იმან კი: დამეკარგე იქითაო!... დაიკარგე კიდეც და დაიხაფრე-მეთქი!...“ („დროება“ 1884).

თუმცა ალ. ნეიმანის „ქართულ სინონიმთა ლექსიკონში“ „დაკარგვა“ ზმნის სინონიმთა რიგში გვერდიგვერდ არიან ისინი წარმოდგენილი: „დაკარგვა (უგ ზო-უკვლოდ დაიკარგა), გადაკარგვა, დაღუპვა, დახაფრვა, მიჩქმალვა, გადავარდნა, თვალთაგან მიფარება, სულით ხორცამდე დაკარგვა, გაქრობა (სად გაქრა?), თითქოს მიწა

უყო პირი, თითქოს მიწამ ჩაყლაპა, იმისი არაფერი ისმის, იმისი ჭაჭანებაც არ ისმის, ირონ. დათესვა“ (ნეიმანი 1951).

წარმოდგენილი მასალის ფონზე ჩნდება კითხვა: შესაძლოა თუ არა -ჭაფრ-//ხაფრ- ალომორფიანი ლექსემის ზემოხსენებული ამ ორი შინაარსის ერთმანეთთან დაკავშირება?- ვფიქრობთ, რომ შეიძლება. „დაკარგვა/გაქრობა/გაუჩინარების“ სემანტიკისაგან შორს არ უნდა იდგეს რაიმეს უაზროდ ხარჯვა. სასარგებლო საქმისათვის დაკარგულად შეიძლება ჩაითვალოს დრო, ადგილი ან ნივთი მაშინ, როცა ის არასწორად, არაგონივრულად გამოიყენეს, გაფლანგეს. აღნიშნული ზმნა ვერ ვნახეთ ძველი და საშუალო ქართულის ენობრივ მასალაში. ვგულისხმობთ ძველი ქართული ენისათვის განკუთვნილ ლექსიკონებს (ილია აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1973; ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბილისი, 1995; ზურაბ სარჯველაძე, ძველი ქართული ენის სიტყვის კონა, თბილისი, 2001; გრიგოლ რუხაძე, გვანცა კოპლატაძე, ძველი ქართული ენის შეერთებული ლექსიკონი, თბილისი, 2008.), სიმფონია-ლექსიკონებს (ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტურატურის ძეგლების სიმფონია-ლექსიკონის ოთხტომეული, I-2005, II-2007, III-2014, IV-2020; ქართლის ცხოვრების სიმფონია-ლექსიკონი, I-II, 1986; ქართული სამოციქულოს სიმფონია-ლექსიკონი, 2009; ივანე იმნაიშვილი, ქართული ოთხთავის სიმფონია-ლექსიკონი, 1986; „ვეფხისტყაოსნის“ სიმფონია, ფუძეთა და სიტყვა-ფორმათა ინდექსი, თბილისი, 1973; რუსუდან კუსრასვილი, დავით გურამიშვილის „დავითიანის“ სიმფონია-ლექსიკონი, თბილისი, 2005.), ეტიმოლოგიურ ლექსიკონს (სარჯველაძე, ფენრიხი, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი, 2000.) და ასევე ქართული ენის ეროვნულ კორპუსს. რაც შეეხება სხვა ქართველურ ენებს, ჩვენთვის საინტერესო ლექსემა ვერ ვნახეთ სვანურში. არც ზანურის დიალექტთა (მეგრულისა და ლაზურის) ლექსიკონებში იძებნება იგი. მხოლოდ ალიო ქობალიას „მეგრულ ლექსიკონშია“ სიტყვაფორმა „ხაფრა“ შემდეგი განმარტებით: „**ხაფრა** ხაფი, უბე (წყლისა), ქისა ასანთის, კვეს-აბედის, ფულისა და სხვა წვრილმანისათვის, პატარა გუდა, ხალთა სამოსისათვის (იგივეა, რაც ხართა)“ (ქობალია 2010.) როგორც განმარტებიდან ჩანს, აქ ამ ლექსემას განხვავებული შინაარსი აქვს. მაგრამ მშობლიურ მეგრულზე მოსაუბრენი ხსენებული

ლექსიკური ერთეულის არსებობას, თუნდაც ამ მნიშვნელობით, ვერ გვიდასტურებენ ვერც თანამედროვე ცოცხალ მეტყველებაში და არც ხსოვნაში აქვთ შემორჩენილი ეს სიტყვა. უფრო სარწმუნო იქნებოდა მეგრულის ლექსიკურ ფონდში აღნიშნული ლექსემის ავთენტურობა, ანდაც ჩავთვლიდით, რომ სალექსიკონო მასალის შეგროვების ეტაპზე იგი რარიტეტად იყო ქცეული, სიტყვას რომ ახლდეს წყარო, ფიქსაციის ადგილი და დრო. თუმცა, ცნობილია, რომ წიგნი ეფუძნება აფხაზეთსა (შუასოფელსა და სამურზაყანოში) და სამეგრელოში (ოდიშსა და ლაკადაში) მოძიებულ საველე მასალებს. ჩვენთვის საინტერესო სიტყვა არ ჩანს არც სხვა კავკასიურ ენებში. მაგრამ იგი დასტურდება ადმოსავლურ ენებში, სპარსულში, თურქულში, არაბულში, ებრაულში და რამდენიმე სხვა სემიტურ ენაში. სპარსულსა და თურქულში ის არაბულ ნასესხობად მოიაზრება. სპარსული ენის ლექსიკონებში განმარტებულია ამ სიტყვის ინფინიტიური და მისგან ნაწარმოები სახელების ფორმები: **حَفَرَ** [ჰაFFა:რ] – *არქეოლოგი, მიწისმოთხრელი, გამნადმავი, მესაფლავე*. **حَفْرَه** [ჰაFr] – *თხრა; გათხრების წარმოება; ჩიჩქენა; ბურღვა* **حَفْرَه** [ჰოFrე] – *ორმო, სანგარი; ფუტურო (ხის); საფლავი; გულის პარკუჭი; გამოქვაბული (იუნკერი, ალავი 1986; ელერდაშვილი 2012)*. აღნიშნული ლექსიკური ერთეული დასტურდება ოსმალურ თურქულში. შესაბამის ლექსიკონებში განმარტებებს ახლავს მითითება, რომ სიტყვაფორმები არაბული ენიდან მომდინარეობს: **hafır** (a. i.) : *kazma, kazılma [toprak]. (bkz : hafır).* ‘თხრა მიწის, (წადაგის)’ **hufre** (a. i.) : *kazılmış çukur, oyuk, delik* ‘ამოთხრილი ორმო, საფლავი, ღრუ, ხვრელი’. (დეველიოღლუ 1962; ჩლაიძე 2001).

როგორც აღვნიშნეთ, სამიეხელი ლექსიკური ერთეული სპარსულშიც და თურქულშიც არაბული ენიდან არის შესული. ამიტომაც არაბულში უფრო პროდუქტიულია ჩვენთვის საინტერესო ალომორფი, ვიდრე მსესხებელ ენებში (*hafara, hafır, hufira, hafriya, hafırār, hafira, uhfır, mihfır, mahfır*): **حَفَرَ** *hafara* i (*hafır*) to dig; to drill (for oil); to excavate (*archeol.*); to carve; to engrave, etch (metal); ‘თხრა; ბურღვა (წავთობ.); გათხრა (არქეოლ.); ამოჭრა/ამოკვეთა; გრავირება, ამოტვიფრვა (მეტალის **حَفَرَ** *hafır* digging, earthwork, excavation (also *archeol.*); unearthing; drilling (for oil); carving, inscribing (e.g., of letters); engraving, etching; graphic arts(etching, wood engraving); ‘თხრა, მიწის

სამუშაოები, გათხრები (არქეოლ.); ამოთხრა; ბურღვა (ნავთობ.); ამო-
 ტვიფრვა, წარწერა (ასოების); გრაფიკა' حفرة *ħufra* pit; hollow, cavity,
 excavation; hole. 'ორმო; ღრუ, თხრილი; ხვრელი' (უერი 1976). საძიე-
 ბელი ლექსემა, გარდა არაბულისა, გვხვდება სემიტური ჯგუფის
 სხვა ენებშიც, კერძოდ, მალტურში, აქადურში, ებრაულში, სირიულ-
 ში, ებრაულ ახალარამეულში. **hhafara** : dig [Mal *haffer*, Akk *cheperu*,
 Heb *chafar*, Syr *chefar*, JNA *khpr*] (*Rajki 2005*). ებრაული ენის სრულ
 ეტიმოლოგიურ ლექსიკონში აღნიშნული სიტყვა (חפא) ორი მნიშვნე-
 ლობით გვხვდება. პირველის მიხედვით იგი განიმარტება, როგორც
 „თხრა“, „ძიება“. ამ მნიშვნელობით ის დასტურდება არამეულ-სირი-
 ულში, არაბულსა და აქადურში. ხოლო მეორე მნიშვნელობით -
 „შერცხვენა“ (შერცხვა, თავი შეირცხვინა) - იგი დასტურდება არამე-
 ულ-სირიულში, არაბულსა და ეთიოპურში: חפא¹ to dig, search for.
 [Aram.-Syr. חפא, Arab, *ħafara* (= he dug), Akka. *ħapāru* (= to dig)];
 חפא² to be ashamed, be abashed. [Aram.-Syr. חפא (= to be ashamed).
 Arab. *ħafira* (=was bashful, was shy), Ethiop. *ħafara* (= was ashamed,
 blushed)] (*ქლაინი 1987*). საინტერესოა, რომ ქართულში ეს ორი მნიშ-
 ვნელობა სემანტიკურად უკავშირდება ერთმანეთს: „თხრა, საფლავი“
 → „საფლავი გაითხარა“ → „თავი შეირცხვინა“. გამომდინარე
 აქედან, ვარაუდობენ აღნიშნული მორფემის საერთოსემიტურ
 წარმოშობას (*ონლაინლექს.; სტაროსტინი 1998-2005*).

არსებობს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ფრანგულ
 ენაში არსებული სიტყვა *gouffre* შესულია არაბულიდან (*gouffre* ←
ħufra (*ħafara*)) (*პიჰანი 1866*). თვით ფრანგულშიც ის განიმარტება,
 როგორც „ვერტიკალური ხვრელი, თავისი სიღრმითა და სიგანით
 საშიში“, „ორმო“, „კარსტულ ქანებში გაჩენილი ღრუ“, „ჩამონადენი
 წყლებით გაჩენილი ღრმული“, „მორევი“, „უფსკრული“, „ხახა“
 (*ფრანგულ-ქართული 1999; რობერტი 1974*). *ħufra* ლექსემას მსგავსი
 შინაარსით ადასტურებენ სხვა გერმანიკული, რომანული და სლავ-
 ური ჯგუფის ენებშიც (*ლოკოჩი 1927*).

თუ ზემოთქმულს ჩვენი გადმოსახედიდან მთლიანობაში შე-
 ვავლებთ თვალს, წარმოგვიდგება ლინგვისტური გეოგრაფიის ძალ-
 ზე საინტერესო კადრი: ერთ მხარეს დავინახავთ ახალი ქართულის
 სალიტერატურო ენასა და დიალექტებში ჯერ კიდევ ცოცხალ [ჭაფრ
 //ხაფრ] ალომორფს, რომელიც „დაკარგვის, გაქრობის, ა(ღა)რყოფ-

ნის“ სემანტიკას ატარებს (=თითქოს მიწამ უყო პირი, თითქოს მიწამ ჩაყლაპა (ნეიმანი 1951). ზემოხსენებულ ენებთან სემანტიკური პარალელისათვის აქ ასევე გამოგვადგება ქართველი მწერლებისა და პოეტების ტექსტებში მოძიებული შემდეგი მაგალითები, რომლებიც ყველაზე კარგად წარმოაჩენს ჯაფრ//ხაფრ ალომორფის ერთ-ერთ ძირითად, ჩვენი აზრით, ამოსავალ მნიშვნელობას. შინაარსის სპეციფიურობას კი აძლიერებს ხაზგასმული სიტყვები: „ჯარი უფსკრულში გადაიხაფრა (შ. დად.)“ (ქეგლი 2010)... „გნახეს კლდემი ჩახაფრული, სისხლიანი გქონდა ჩოხა (რ. მარგ.)“ (ქეგლი 1950-1964)... „ვით ჩაიხაფრა იმედი ამო, / თითქოს უფსკრულის კიდეზე შევდექ“ (ფირცხალავა 2003, 15); მეორე მხარეს, შედარებით ფართო არეალზე – ებრაულში, არაბულში, არამეულ-სირიულში, აქადურსა და ეთიოპურში – გამოჩნდება საერთოსემიოტური წარმომავლობის საკმაოდ პროდუქტიული *ħafṣ*, **حَفْ**, **حَف** [*ħafṣ*] ალომორფი, რომელსაც უკავშირდება პირდაპირ და გადატანით შემდეგი მნიშვნელობები – „მიწის თხრა, ორმო, უფსკრული, დავიწყების მორევი, თავის შერცხვენა“; იმავე სემანტიკით მესამე სეგმენტზე გამოიკვეთება ინდო-ევროპული ოჯახიდან სპარსული **حَفْر** [*ħafṣ*]. თუ ზემოთ აღნიშნულ თვალსაზრისებსაც გავყვებით, აქვე მოთავსდება ამავე ოჯახის რომანული განშტოების ფრანგული *gouffre* ←**ħufra* და პორტუგალიურში, სიცილიურსა და იტალიურში დადასტურებული *ħufra*, რომელსაც, არაბულის ანალოგიურად, უკავშირდება პირდაპირ და გადატანით შემდეგი მნიშვნელობები: „ორმო, უფსკრული, ხეობა, თხრილი“; და ბოლოს, მეოთხე კიდეს შეავსებს ოსმალურ თურქული *ħafṣ*, *ħufre*. არაბული ენიდან თურქულში შემოსულ ლექსიკურ ერთეულს შინაარსიც არაბული შეუნახავს („მიწის თხრა, ორმო, საფლავი, ფულურო“). წარმოდგენილ ოთხკუთხედში ვხედავთ, რომ ერთი ალომორფი რამდენიმე ენაში მსგავსი ან იდენტური სემანტიკით დასტურდება, რაც აშკარა სესხებაზე მიგვანიშნებს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ცალკეულ ენათა შორის ამ სესხების მიმართულებები ნაწილობრივ გარკვეულია, ზოგ მათგანზე მხოლოდ ვარაუდებია გამოთქმული, ზოგიც ჯერ კიდევ გასარკვევია. რაც შეეხება ქართული -ჯაფრ//ხაფრ- ალომორფის ისტორიას, ჩნდება კითხვა, ხომ არ შეიძლება, ქართული ალომორფი არაბულიდან მომდინარეობდეს? - მაშინ იმავე ქართულში უნდა იძებნებოდეს ჯ ფონემის შემცველი სხვა ნასესხობაც.

აქ შეიძლება -**ჯაფი**//**-ხაფი** ლექსემის დასახელება, რომელიც ასევე არაბულ ნასესხობადაა მიჩნეული (*წაქაძე 1986*). ყოველ შემთხვევაში, კითხვაზე პასუხი გასაცემია. ბუნდოვანებას ნათელს მომავალი კვლევები მოჰყვანს, სადაც ლინგვისტებთან ერთად თავიანთ სა-თქმელს, ალბათ, ისტორიკოსებიც იტყვიან.

გამოყენებული ლიტერატურა

ბეროზაშვილი, მესხიშვილი, ნოზაძე 1981 – თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, ქართული დიალექტის ლექსიკონი, თბილისი, 1981;

ბრაჩეტი 1873 – A. Brachet, An Etymological Dictionary of the French Language, *Oxford*, 1873;

გიგინეიშვილი, თოფურია, ქავთარაძე 1961 – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961;

გოგატიშვილი 2006 – გ. გოგატიშვილი, ფშაური ლექსიკა, I, თბილისი, 2006;

გოგოლაური 2005 – თ. გოგოლაური, საუბრები ფშაურ კილოზე, თბილისი, 2005;

გორგილაძე 2017 – ზ. გორგილაძე, ლექსები: ჟურნალი „ჭორი“, 2017, №3;

დეველიოღლუ 1962 – [F. Devellioğlu](#), *Osmanlıca-Türkçe Ansiklopedik Lügat*, Ankara, 1962;

დროება 1884 – გაზეთი „დროება“, 1884, №274;

ელერდაშვილი 2012 – ალ. ელერდაშვილი, სპარსულ-ქართული ლექსიკონი, თბილისი, 2012;

ვაჟა-ფშაველა 1961 – ვაჟა-ფშაველა, თხზულებათა სრული კრებული ხუთ ტომად, III, თბილისი, 1961;

უერი 1976 – H. Wehr, A Dictionary of Modern Written Arabic (Arabic-English), Ithaca-New York, 1976;

ზედგინიძე 2014 – გ. ზედგინიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, 2014;

თურქულ - ქართული ლექსიკონი 2001 – თურქულ-ქართული ლექსიკონი (ლ. ჩლაიძის რედაქციით), თბილისი, 2001;

მანოელიძე 1891 – მანოელიძე, ქართული თეატრი: გაზეთი „ივერია“, 1891, №254;

იუნკერი, ალავი 1986 – H. F. Junker, B. Alavi, Wörterbuch Persisch-Deutsch, Leipzig, 1986;

კერესელიძე 2017 – მ. კერესელიძე, ლექსები: გაზეთი „სახალხო განათლება“, 2017, №17(4556);

ლოკოჩი 1927 – K. Lokotsch, Etymologisches Wörterbuch der Europäischen (Germanischen, Romanischen und Slavischen) Wörter Orientalischen Ursprungs, Heidelberg, 1927;

მენტეშაშვილი 1943 – ს. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943;

მერცხალა 2004 – მერცხალა, ფოთოლათ მერცხალაი ვარ, თბილისი, 2004;

ნეიმანი 1951 – ალ. ნეიმანი, ქართულ სინონიმთა ლექსიკონი, თბილისი, 1951;

ნიჟარაძე 1971 – შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, ბათუმი, 1971;

ონლაინლექს. – [Etymological Dictionary of Arabic](https://www2.hf.uio.no/polyglotta/index.php?page=record&vid=1186&mid=2008687) <https://www2.hf.uio.no/polyglotta/index.php?page=record&vid=1186&mid=2008687>

პიჰანი 1866 – A. P. Pihan, Dictionnaire Étymologique des Mots de la Langue Française Dérivés de l' Arabe, du Persan ou du Turc (Avec Leurs Analogues Grecs, Latins, Espagnols, Portugais et Italiens), Paris, 1866;

რაზიკაშვილი 1900 – თ. რაზიკაშვილი, ქართული ენის საუნჯის მასალად: გაზეთი „ივერია“, 1900, №130;

რაჯკი 2005 – A. Rajki, Arabic Dictionary (with Etymologies), 2005;

<https://www.academia.edu/4847281/Arabic-Etymological-Dictionary>

რობერტი 1974 – P. Robert, Dictionnaire alphabétique et analogique de la Langue Française, Paris, 1974;

სახლთხუციშვილი 2003 – უ. სახლთხუციშვილი, გარეკახური ლექსიკონი, თბილისი, 2003;

სტაროსტინი 1998-2005 – S. Starostin, The Global Lexicostatistical Database; <https://starling.rinet.ru>

სუჯაშვილი, ი. ფიცხელაური 2005 – ნ. სუჯაშვილი, ი. ფიცხელაური, მოხეური ლექსიკონი, თბილისი, 2005;

ფირცხალავა 2003 – არჩ. ფირცხალავა, წყავის გვირგვინი, თბილისი, 2003;

ფრანგულ-ქართული ლექსიკონი 1999 – ფრანგულ-ქართული ლექსიკონი, II, თბილისი, 1999;

ქეგლი 1950-1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, რვატომეული, თბილისი, 1950-1964;

ქეგლი 2010 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ახალი რედაქცია), II, თბილისი, 2010;

ქეგლი 2010 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი (ახალი რედაქცია), III, თბილისი, 2015;

ქლიანი 1987 – E. Klein, A Comprehensive Etymological Dictionary of the Hebrew Language (for Readers of English), *Jerusalem - Tel Aviv*, 1987;

ქობალია 2010 – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010;

ჰყონია 1910 – ი. ჰყონია, სიტყვის კონა, სანკტ-პეტერბურგი, 1910;

შანიძე 1984 – ა. შანიძე, თხზულებანი, I, თბილისი, 1984;

ჩხენკელი 1974 (2007) – K. Tschenkeli, Georgisch-Deutsches Wörterbuch, III, Zürich, 1974 (2007);

წაქაძე 1986 – ნ. წაქაძე, „ვეფხისტყაოსნის“ ლექსიკონიდან (ხაფიჯაფი): ჟურნალი „მაცნე“, ელს, 1986, №4

ჭავჭავაძე 2007 – ი. ჭავჭავაძე, თხზულებათა სრული კრებული ოც ტომად, XIII, თბილისი, 2007;

ჭინჭარაული 2005 – ალ. ჭინჭარაული, ხევსურული ლექსიკონი, თბილისი, 2005;

ხორნაული 2000 – გ. ხორნაული, ფშაური ლექსიკონი, თბილისი, 2000;

სოფიკო ჭაავა

აკაკი შანიძის პირად ფონდში დაცული ქიზიყური კილოს მასალები (საარქივო მასალების მიხედვით)

საქართველოს ეროვნულ არქივში დაცულია სახელოვანი ქართველი ენათმეცნიერის აკაკი შანიძის პირადი ფონდი, რომელიც მოიცავს მეტად მრავალფეროვან, საყურადღებო და საგულისხმო ლინგვისტურ მასალებს. ა. შანიძის ფონდში ჩვენ მიერ მოძიებული საარქივო მასალათა დიდი ნაწილი უცნობია სამეცნიერო და დაინტერესებული ფართო საზოგადოებისათვის, ამიტომ საშური საქმეა მათი სრულყოფილად აღნუსხვა, თემატური კლასიფიკაცია და სიღრმისეული კვლევა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ფონდში დაცულ ა. შანიძისა ან სხვა პირთა მიერ კალმით ან ფანქრით შესრულებული ხელნაწერებისა და ბეჭდური ტექსტების დიდი ნაწილი 100 წლის წინაა შექმნილი, ამიტომ მათი უმრავლესობა ნელ-ნელა უფერულდება, დროთა განმავლობაში კი ძნელად ამოსაკითხი გახდება. ამიტომ აუცილებელია დროულად მოხდეს მათი ციფრულ ვერსიებად გადაქცევა, გადარჩენა და ონლაინ სივრცეში განთავსება, რათა ადგილობრივ თუ უცხოელ მეცნიერებს ჰქონდეთ წვდომა სხვადასხვა მიმართულების ფუნდამენტური კვლევების საწარმოებლად. საუკუნის განმავლობაში ა. შანიძისა თუ სხვა პირთა მიერ შედგენილი და შეგროვებული უნიკალური საგანძურის დაცვა-შენარჩუნება თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა მრავალფეროვანი კავკასიოლოგიური და ქართველოლოგიური მემკვიდრების შესანარჩუნებლად, უკეთ შესასწავლად, გასააზრებლად და მომავალი თაობებისთვის გადასაცემად. ეს იქნება ჩვენგან გამოხატული უდიდესი მადლიერება ამ ძვირფასი, ოქროს ფონდის შექმნისა და შენახვისთვის, ქვეყნისა და მშობლიური ქართული ენის მსახურებისთვის.

ა. შანიძის პირად ფონდში დაცულ მდიდარ და მრავალმხრივ მასალათა შორის გამორჩეულია ქიზიყური კილოს მასალები, რომლებიც შემდეგ კატეგორიებად დავყავით:

1. ა. შანიძის ქიზიყში მოგზაურების დღიურები;

2. ქიზიყური კილოს სალექსიკონო ბარათები;
3. ქიზიყში სამეცნიერო მოგზაურობის დროს ა. შანიძის მიერ ჩაწერილი ტექსტები: ამბები, საყოფაცხოვრებო ისტორიები, ზღაპრები და ლექსები, ქიზიყელების მიერ ა. შანიძისთვის გაგზავნილი პირადი წერილები, მათ მიერ ჩაწერილი ტექსტები და ლექსიკური ერთეულები;
4. ქიზიყში ჩაწერილი ზღაპრები;
5. 1924 წელს სტუდენტ გიორგი გოზალაშვილის მიერ ქვემო ქიზიყში შეგროვილი ქიზიყური მასალები;
6. 1925 წელს სტუდენტ მ. იაშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტები.

ზემოაღნიშნულ საარქივო მასალებში უმეტესწილად მითითებულია ჩაწერის თარიღი, ადგილი, მთქმელის ვინაობა, ასაკი ან სხვა ტიპის ცნობები. ჩვენ მიერ მოძიებულ ტექსტებში, ქიზიყური კილოს ლინგვისტური თავისებურებების გარდა, მოცემულია ინფორმაციები XX საუკუნის დასაწყისისთვის ქიზიყში არსებული სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შესახებ. აღწერილია იმ პერიოდისთვის ქიზიყში არსებული ტოპონიმები, ოიკონიმები, ადამიანთა გვარ-სახელები, ეთნოგრაფიული ხასიათის ცნობები და სხვ.

„ქიზიყის სოფლის ხალხი ქიზიყის ხალხისავე მდიდრად-მეტყველის, თავისუფალის და ბატონ-ყმობას არასოდეს არ ჩვეულის ენით სამს წრედ იყოფება: თავი-კაცი, შუა-კაცი და ბოლო-კაცი, ანუ: მდიდარი, შემძლე და ღარიბი. სიღნაღის მაზრა-ქიზიყში ბატონყმობა არა ყოფილა და ხალხის უბატონო თავისუფლებას უნდა მივაწეროთ ის, რომ ქიზიყის ხალხი საქართველოს ყველა კუთხის ხალხთან შედარებით უფრო მეტად თამამია, ლაღია, შეუპოვარი კადნიერია, ვაჟკაცურის გაბედულობით აღსავსეა და საგულისხმო მჭერმეტყველია; ამასვე ამბობს უწინდელს ქიზიყელებზედაც ისტორია საქართველოსი“ [დ. მაჩხაანელი, დღეობა (მოთხრ.), ივერია, 1898, N28]. ეს მცირე ამონარიდი ერთ-ერთი ნიმუშია იმ საგაზეთო სტატიებიდან, რომლებიც ა. შანიძის მასალებში ინახება. მეცნიერს ქიზიყში წასვლამდე მოუძიებია ქიზიყთან დაკავშირებული პუბლიკაციები, რომლებიც XIX საუკუნის სხვადასხვა პერიოდულ ორგანოში იყო დაბეჭდილი. წერილების ავტორი, ძირითადად, დავით მაჩხაანელია (ნამდვილი გვარი ნადირაშვილი - ს.ჭ.), რომელიც აქტიურად აქვეყ-

ნებდა შთამბეჭდავი მხატვრული ერთ შედგენილ მოთხრობებს, ფელეტონებს, ფოლკლორულ ნიმუშებს და სხვადასხვა სახის ცნობებს ქიზიყისა და ქიზიყელების შესახებ.

წარმოვადგენთ ჩვენ მიერ კლასიფიცირებული ქიზიყური მასალების ზოგად დახასიათებას:

1. ა. შანიძის ქიზიყში მოგზაურების დღიურები.

ა. შანიძის დღიურის ჩანაწერები შეადგენს 26 ხელნაწერ ფურცელს, რომელთა მიხედვითაც ირკვევა, რომ ახალგაზრდა მეცნიერი 1914 წელს პეტერბურგიდან საგანგებოდ ჩამოსულა თბილისში, რათა აქედან სამეცნიერო მოგზაურობის მიზნით ქიზიყში ჩასულიყო. კახეთში წასასვლელად საჭირო თანხა მისთვის „საეთნოგრაფიო-საისტორიო საზოგადოებას“ უნდა გადაერიცხა, მაგრამ რადგანაც აღნიშნული ორგანო აგვიანებდა მისთვის ფინანსების გამოყოფას, თავად წავიდა იმ პირობით, რომ სამივლინებო თანხები მისთვის ადგილზე უნდა გადაეგზავნათ. ა. შანიძემ 1914 წლის 22 მაისს მოახერხა სიღნაღში ავტომობილით ჩასვლა, დღიურის ბოლო ჩანაწერი კი შესრულებულია 26 აგვისტოს. მასასადამე, მისი მოგზაურობა ქიზიყში დაახლოებით სამი თვე გაგრძელებულა.

გთავაზობთ მოგზაურობის დღიურში ასახულ ტოპონიმებსა და გეოგრაფიულ სახელწოდებებს, რომელთა ნაწილი დღესაც უცვლელად გვხვდება, ხოლო ნაწილი აღარ გამოიყენება, კერძოდ: უჯარმა, ორ-ხევი, სართიჭალა, აზამბური (მაღზაზოვკა), კაკაბეთი, კაჭრეთი, ნუკრიანის აღმართი, ახალი კახეთი, სიღნაღი, ქვემო მაჩხანანი, ტიბაანი (ხირსა), თამარის ღელე, დიდებულ გორაკი, ოზაანი, ალაზნის ჭალა, კავკასიონის მთები, დედოფლის წყარო, თამარის ციხე, კ(ყ)ონლოთოვო, ხორნაბუჯი, თუქურმიში ანუ „დედოფლის წყარო“, „დედოფლის წყალი“, ელია, სვეჩინოვკა, თავწყარო, მირზაანი, არბოშიკი, ცივის ქედი, გომბოროს ქედი, მდინარე იორი, მდინარე ალაზანი, ტირიფონი, აზამბური, ლაგოდეხი და ბოდბე.

ა. შანიძის დღიურში დასახელებულია იმ ადამიანთა სახელები და გვარები, რომლებიც მეცნიერს ეხმარებოდნენ გადაადგილებაში, დაბინავებასა და საჭირო საკვლევი მასალების მოძიებაში: კოტე ტყავაძე, მღვდელი ეგნატე მენთეშაშვილი, ვანო მენთეშაშვილი, მღვდელი მამა კონდრატე – ტიბაანის მონასტრის წინამძღვარი,

ალექსანდრე ნადირაშვილი – დავით მაჩხაანელის ძმისწული, სტუდენტი ალექსანდრე ჯანყარაშვილი, იაკო მჭედლიშვილი, კაკალო – მეეტლე, მღვდელი ილო შანშიაშვილი – სანდრო შანშიაშვილის მამა, სვიმონი, მასწავლებელი არონ ბარნაბიშვილი, სტუდენტები თედო ბეგიაშვილი და მიტო ბარნაბიშვილი.

ლინგვისტური მასალების მოძიების გარდა, ა. შანიძემ აღწერა ქიზიყში არსებული ეკლესია-მონასტრების არქიტექტურული მახასიათებლები, მათ კედლებზე არსებული წარწერები და ჩუქურთმები, ეკლესიებში დაცული ხატები და ფრესკები. ფოტოები გადაუღო ეკლესიებს, ციხეებს, მნიშვნელოვან მოვლენებს და ნივთებს.

როგორც დღიურის ჩანაწერებიდან ირკვევა, ა. შანიძისთვის ყველაზე დიდ სირთულეს წარმოადგენდა გადაადგილება, გაუმართავი გზებისა და სატრანპორტო საშუალებების გამო. მოგზაურობისთვის უმეტესწილად ქირაობდა ცხენებზე შებმულ ოთხთვალას („ლინიეკას“). გარდა ამისა, დაბინავებული იყო ბიბლიოთეკის ოთახში და არა ჩვეულებრივ საცხოვრებელ ოთახში, თუმცა ამ დისკომფორტით არ შეწყუბუღებულა, რადგან ამის შესახებ დღიურში არაფერი აღუნიშნავს. პირიქით, ჩანაწერებში აშკარად ჩანს ა. შანიძის გულწრფელი მონდომება, პასუხისმგებლობა და საქმისადმი უზადო სიყვარული, მოეპოვებინა რაც შეიძლება მეტი საჭირო, საკვლევი მასალა. ამასთანავე, აღეწერა მის გარშემო არსებული საინტერესო და მნიშვნელოვანი ფაქტები, მოვლენები, ისტორიული და კულტურული ძეგლები, ეთნოგრაფიული და არქეოლოგიური ცნობები.

2. ქიზიყური კილოს სალექსიკონო ბარათები.

ა. შანიძის მიერ შედგენილი ქიზიყური კილოს სალექსიკონო ბარათები 1212 ცალია. სიტყვათა გარკვეულ რაოდენობას ერთვის განმარტებები არაბულად, სომხურად ან რუსულად. საქაღალდეში [სეა, უიცა, ფ. 268, აღ. 1, N 558], სადაც ბარათებია განთავსებული არ დევს არანაირი დამატებითი ცნობა აღნიშნული სალექსიკონო მასალების შესახებ, მაგრამ სხვა ნუმერაციის [სეა, უიცა, ფ. 268, ან. 1, N 29] მასალებში ვიპოვეთ „შენიშვნების“ 2 ფურცელი. ჩვენი აზრით, ა. შანიძემ სალექსიკონო მასალები და „შენიშვნები“ ჩაწერა 1914 წელს ქიზიყში სამეცნიერო მოგზაურობის დროს, ვინაიდან ზემოაღნიშნული ფურცლები ამ მოგზაურობის ამსახველ მასალებთან ერთა-

დაა აღნუსხული. ა. შანიძის მიერ შედგენილი „შენიშვნები“ 6 პუნ-
ქტისაგან შედგება, კერძოდ:

1. „როცა უცხო სიტყვა აღნიშნულია (არაბ. სპ.) ეს იმას კი არ
ნიშნავს, თითქოს მავანი სიტყვა აუცილებლად იმ ენიდან არის და-
მოუკიდებლად ნასესხები. ბევრ შემთხვევაში საშუალო წრე უნდა
ყოფილიყო.

2. არაბულსა და სპარსულ ენებში ფათჰას ქართულად ვწერთ
ყოველთვის და დამმას უნად (რადგანაც ძველად ქართულში თით-
ქმის ყოველთვის ასეა ხოლმე ეს ნიშნები გადმოცემული).

3. ოსმალურიო რო ვწერთ, ამით კი არ გვინდა ვთქვათ რომ
სიტყვა ოსმალურიდან არის ნასესხებო. არა, ქართულში საზოგა-
დოდ და ქიზიყურში განსაკუთრებით, თათრულიდან არის შემოსუ-
ლი.

თათრულის ნაცვლად ვწერთ ოსმალურს თუმცა ეს სწორი არ
არის (გადახაზულია: რადგანაც ოსმალური სამწერლო ენა უფრო
ცნობილია და განვითარებული, ვიდრე თათრული).

4. ქართული გამოთქმა უცხო სიტყვებისა (ბატონ ექვთიმე
თაყაიშვილის წინადადების გამო) მოყვანილია დაახლოვებითი [აქ 2
მეხნი: ფაიჰა და დამმა] [აქ ხ=ტ, ? თ] ???

5. შდრ. ინგილ. (ჯან. 254/..). =

„ “ (3 BO, XXII,) =

6. ლექსიკონში მოთავსებული სიტყვა ბევრი ცნობილია სხვა
ლექსიკონებიდან. მაგრამ მათი მოთავსება სასურველად მიგვაჩნია,
რადგანაც საჭიროა ვიცოდეთ სიტყვის გეოგრაფიულად გავრცელე-
ბა“ [სეა, უიცა, ფ. 268, ან. 1, N 29].

1. ქიზიყში სამეცნიერო მოგზაურობის დროს ა. შანიძის მიერ ჩაწერილი ტექსტები.

ა. შანიძეს ქიზიყელი რესპონდენტების ვინაობა და ჩაწერის
ადგილი თარიღთან ერთად მითითებული აქვს შემდეგნაირად: **1.**
სალომე ფუფალაშვილის ქალი, ოთარაშვილისა; **2.** ნანა ჩუთლანთი,
დეველანთ რძალი – ბოდბე; **3.** მარიაში – ნოდარ იაკობაშვილის ნა-
ცოლევი – ზემო მაჩხანანი; **4.** თეონა – ნინია მოსულიშვილის ნაცო-
ლევი – ასანურელი, გათხოვილი ქვემო მაჩხანანში; **5.** მადათო წიკ-
ლაშვილი – ქვემო მაჩხანანი; **6.** ქარუმი დავითის ძე ასანიშვილი –

ქვემო მაჩხაანი; 7. გიო ტიტის ძე ფავლენიშვილი – ქვემო მაჩხაანი; 8. იაკო მჭედლიშვილი – ქვემო მაჩხაანი.

ა. შანიძის მიერ ქიზიყში სამეცნიერო მოგზაურობის დროს ჩაწერილი ტექსტების რაოდენობა ასეთია: ავტობიოგრაფიული ამბავი - 4, ამბავი - 5, ზღაპარი - 3, იგავი - 2, ლექსი - 16 (სულ 97 ფურც.); შანიძის მიერ შედგენილი ქიზიყური კილოს ზმნური პარადიგმები (10 ფურც.); XVIII საუკუნით დათარიღებული 3 სიგელის ტექსტი (10 ფურც.). მათგან ერთ-ერთი მღვდელ ეგნატე მენთეშაშვილს გამოუქვეყნებია გაზეთ „ივერიაში“; 3 ცალი პირადი წერილი: 2 წერილი მასწავლებელ ელო ილიას ასულ შანშიაშვილისგან, ჯუგაანი, 1914, 1916 წელი; 1 - მიტოსგან, 1915 წელი; (8 ფურც.); შენიშვნები (2 ფურც.); სულ 127 ფურცელი [სეა, უიცა, ფ. 268, ან. 1, N 29].

1. ქიზიყში ჩაწერილი ზღაპრები.

ა. შანიძის პირად ფონდში დაცულ ქიზიყურ მასალათა შორის საყურადღებოა ლურჯი ყდის მქონე რვეული, რომელსაც აწერია: „ქიზიყში ჩაწერილი ზღაპრები (არბოშიკში)“ [სეა, უიცა, ფ. 268, ან. 1, N 390]. რვეულის გარეკანზე გამოსახული ნახატებითა და მასზე აღბეჭდილი რუსული წარწერების მიხედვით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ტექსტები XX საუკუნის დასაწყისში უნდა იყოს ჩაწერილი. რვეულში სულ 3 ზღაპარი წერია (18 ფურც.). აქვეა ჩადებული სხვა ფორმატის ქალაქზე დაწერილი კიდევ ერთი ზღაპარი (2 ფურც.). არც ერთ მათგანს არ აწერია ჩაწერის თარიღი ან მთქმელისა და ჩამწერის ვინაობა, მაგრამ ამკარაა, რომ ხელწერა ა. შანიძისეულია. მითითებულია მხოლოდ ჩაწერის ადგილი - სოფელი არბოშიკი. უჩვეულო ისაა, რომ ა. შანიძე, უმეტესწილად, აღნიშნავდა ჩაწერის ადგილს, დროს ან რესპონდენტის ვინაობას. ეს რვეული ერთადერთი მასალაა, სადაც ასეთი ცნობები არ არის მოცემული.

რვეულში ჩამატებული ორფურცლიანი ზღაპრის პერსონაჟები არიან: უფალი, მამა აბრამი, გაბრიელი, მიხეილი, ლოთი, ანგელოზები, სისრამი, მალიამი, ეშმაკი, სოლომონ ბრძენი, კუნწულული - ეშმაკთა ხელმწიფე, თათრის ხელმწიფე - ქეთევანი, ყარაული. ამ ზღაპარში ძველ აღთქმაში აღწერილი რელიგიური სიუჟეტების მსგავსი ამბებიცაა მოთხრობილი, მაგ.: სოდომისა და გომორის ქალა-

ქების ჩაძირვა მაცხოვრებელთა ცოდვების გამო, სოლომენ ბრძენის მიერ ეკლესიის აშენების დროს წმინდა ძელის გამოყენება და ა. შ.

ლურჯ რვეულში ჩაწერილი 3 ზღაპრის პერსონაჟები არიან: ხელმწიფე, ნაზირ-ვეზირები, ბებრის შვილი, იესო ნაზარეველი, ქვათ-ხელმწიფე, ხელმწიფის ასული, კუდიანი ქარი, ზენა-ქარი, ქვენა-ქარი, ბატონი, იმერელი აზნაური, აღმოსავლეთის და დასავლეთი ხელმწიფეები, ფემ-ხაბაზი, მეცხვარე, მემარნე, დევი და სხვა.

4. 1924 წელს სტუდენტ გიორგი გოზალაშვილის მიერ ქვემო ქიზიყში შეგროვილი ქიზიყური მასალები.

„მეტათეზისის, ასიმილაცია-დისიმილაციის, ხმოვნით დაწყებული სუფიქსებში ძირითადი ხმოვნის გამოვარდნის და შეცვლის მაგალითები და განსაკუთრებული მნიშვნელობის სიტყვები შეგროვილი ქვემო ქიზიყში სტუდენტ გიორგი გოზალიშვილის მიერ 1924 წელს“ [სეა, უიცა, ფ. 268, ან. 1, N1639], (სულ 13 ფურც.).

სტუდენტის მიერ შედგენილი მაგალითების რაოდენობა ასე ნაწილდება: მეტათეზისი - 11; ასიმილაცია-დისიმილაცია - 26; ძირითადი ხმოვნის გამოვარდნა-შეცვლა ხმოვნით დაწყებულ სუფიქსებში - 55; განსაკუთრებული მნიშვნელობის სიტყვები - 105.

1. 1925 წელს სტუდენტ მ. იაშვილის მიერ ჩაწერილი ტექსტები.

„ქიზიყური კილოს მასალები ჩაწერილი 1925 წელს სტუდენტი ქალის მ. იაშვილის მიერ“ - ამ სათაურითაა დაცული აღნიშნული ტექსტები. ამავე მასალების გარეკანზეა ა. შანიძის მინაწერი: „მ. იაშვილის ქალი (ქიზიყელი) ნიჭიერი სტუდენტი იყო უნივერსიტეტში“. შრომისმოყვარე სტუდენტს ჩაუწერია: 13 ზღაპარი, 3 შაირი, 2 ლექსი და წინადადებები (სულ 90 ფურც.). ზოგიერთ ტექსტს ახლავს მ. იაშვილის საინტერესო ლინგვისტური შენიშვნები და დაკვირვებები. ჩანს, რომ სტუდენტი მთელი გულისხმიერად მოკიდებია დაკისრებულ მოვალეობას. იგი ცდილობდა ხალხში ზეპირად გავრცელებული ზღაპრები ჩაეწერა, ამიტომ კომენტარებით აღნიშნავდა რესპონდენტს წიგნიდან ჰქონდა წაკითხული ესა თუ ის ზღაპარი თუ სხვისგან მოსმენილი. საამისოდ, აზუსტებდა იცოდა თუ არა მთქმელმა წერა-კითხვა. ახალგაზრდა გოგონას საგანგებოდ აღუნიშ-

ნავს თითოეული ქიზიყელის ვინაობა შემდეგი მონაცემების მიხედვით:

1. **სოფ. არბოშიკი - მალიკო გოგაშვილი** (დედაკაცი) 70 წლის, წერა-კითხვა არ იცის - 2 ზღაპარი;
2. **სოფ. არბოშიკი - აბრამ ბალაშვილი**, 16 წლის, მეძროხე, წერა-კითხვა არ იცის - 1 ზღაპარი, 3 შაირი, ნარჩევი საუბრიდან;
3. **სოფ. ანაგა - საბიკო დარჩიაშვილი**, 92 წლის, წერა-კითხვა იცის - 1 ზღაპარი, „აბესალომ და ეთერი“;
4. **სოფ. ზემო მაჩხაანი - ბიძინა ლეკაშვილი**, 12-13 წლის, სწავლობს წერა-კითხვას, ექიმის ოჯახის მოჯამაგირე - 1 ზღაპარი, 2 ლექსი;
5. **სოფ. ჯუგაანი** - სოფლის საბჭოს კრება, თავმჯდომარე წიკოლანთ ილა, 40 წლის, ძროხაში გაზრდილი, უპარტიო გლეხი - დიალოგები;
6. **სოფ. ჯუგაანი - მიტო ჭუჭუაშვილი**, 11 წლის, მეორე განყოფილების მოწაფე - 1 ზღაპარი „გულისტანელი ქალი“, 1 ზღაპარი;
7. **სოფ. ჯუგაანის** სკოლის II განყოფილების მოწაფეების გაკვეთილზე - წინადადებები;
8. **სოფ. ჯუგაანი** - მჭედელი ივანე, 95 წლის, განთქმული მეზღაპრე - 1 ზღაპარი;
9. **სოფ. ჯუგაანი - შაქრო ნიკოლოზის ძე ჩითინაშვილი**, 33 წლის, წერა-კითხვა იცის - 1 ზღაპარი;
10. **სოფ. ჯუგაანი - გიორგი ნიკოლოზის ძე ჩითინაშვილი**, 30 წლის, წერა-კითხვა იცის - 1 ზღაპარი;
11. **სოფ. ჯუგაანი - ელენე გაბროს ასული მატიაშვილი**, 12 წლის, მესამე განყოფილების მოსწავლე - 1 ზღაპარი „თამარა ნაცარ ქექია“ („კონკიას“ მსგავსი სიუჟეტია - ს. ჭ.);
12. **სოფ. ჯუგაანი - ვარა გაბროს ასული მატიაშვილი**, 14 წლის, მაჩხაანის შრომის სკოლის I კლასიდან გამოსული - 1 ზღაპარი;
13. **სოფ. ჯუგაანი - ნინო მატაბელი**, 52 წლის, იცის წერა-კითხვა - 1 ზღაპარი [სუა, უიცა, ფ. 268, ან. 1, N 390].

ქიზიყი ხალხის „მდიდარ-მეტყველებისა და საგულისხმო მჭერმეტყველების“ ერთგვარი დადასტურებაა ა. შანიძის პირად ფონდში დაცული ქიზიყური კილოს მასალები, რომელთა ენათმეც-

ნიერული ანალიზი იქნება შემდეგ ეტაპებზე კვლევის ძირითადი საგანი ჩვენი და სხვა დაინტერესებული ლინგვისტებისთვის.

ჩვენ მიერ მოძიებული და გამოქვეყნებული ა. შანიძის პირად ფონდში დაცული ქიზიყური მასალები გამოადგებათ ასევე ფოლკლორისტებს, ეთნოგრაფებს, არქეოლოგებს, ისტორიკოსებს, მასწავლებლებს, მოსწავლეებს, სტუდენტებს და ქართველ თუ უცხოელ საკითხით დაინტერესებულ ფართო საზოგადოებას.

გამოყენებული წყაროები

1. სეა, უიცა, ფ. 268, აღ. 1, N 558;
2. სეა, უიცა, ფ. 268, ან. 1, N 29;
3. სეა, უიცა, ფ. 268, ან. 1, N 390;
4. სეა, უიცა, ფ. 268, ან. 1, N 1639.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

ზოგი სიტყვა ყბედობის მნიშვნელობით ქართულში

ქართულ სამწერლო ენასა და მის დიალექტებში საკმაო რაოდენობით გვხვდება უაზრო ლაპარაკის, **ყბედობის** აღმნიშვნელი ლექსემები, რომლებიც ზოგი ძირითად ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება, ზოგი კი ნასესხებია. ამგვარი სიტყვებისათვის დამახასიათებელია ფონეტიკური ცვლილებები, სიტყვაწარმოება, ფუძის გაორკეცება და გადატანითობა. მაგ.: **ყბედი** „უდარესისაგან უშვერი პასუხის მიცემა“ (საბა). **ყბედი** მოულალავად მოლაპარაკე, მოტარტარე, ტარატურა – დ. ჩუბ. უპატივც. ბევრის მოლაპარაკე, – მოლაყბე, ლაქლაქა. ყბედი რამ მოღალა და მუნჯმაო (ანდაზა). ყბედო! ახლა ყბები არ დაგელალა? (ა. ცაგარ.). || ფიგურ. ჭემმარიტი გრძნობა მუნჯია, უტყვია და პატარა-კი – ყბედი და ლაქლაქა (ილია) – ქეგლი.

მოყბედე ლაპარაკის მოყვარული. ბევრი მოლაპარაკე რო არი ადამიანი, მოყბედეი, იმას ეტყვიან ლაქათასა (ერედ., ქართლ. მესხ.).

ყმედი ყბედი, მოლაყბე. ყმედობს ყბედობს, ლაყბობს (რაჭ. კობახ.). ყმედრ ყბედი, ხუმარა, ანგალი. *ყმედ* კაც იყვის, იმის უთქმელაყი-დ უქნელაყრ კი არა იყვის (თუშ. ცოც.).

ყმედი < ყბედი. ამ სიტყვების ამოსავალი ფუძე უნდა იყოს საერთო ქართველური სიტყვა ყბა „ლაწვი“. -ედ კი მქონებლობის გამომხატველია სუფიქსია.

ლაშუნი ლაყბობა, ყბედობა (ლექს. ალაფ.). რო არც ეზარება ამდენი (მესხ. ფეიქრ.).

ლაშლაში «ცუდი საუბარი» (საბა), – ლაქლაქი; ყაყანი. გზატკეცილზე... გლეხების *ლაშლაში* იდგა (ვ. ლორთქ.) – ქეგლი. სავარაუდოა ლაშ-ფუძის გაორკეცება. შდრ. ლაში „პირის ქვედა ბაგე» (საბა). **ლაშ[ა]თ [არ] აყენებს** არ ჩერდება, ბევრს ლაპარაკობს. აბაიზმევ, რადარ დაზდგებ, ლაშათ რად არ აყენება? (ხევს. ჭინჭ.).

აღდგენილია ს. ქართვ. *ლაშ-ფუძე (ფენრიხი, სარჯველაძე).

ლადუნი უთავბოლო ლაპარაკი (მთვრალისა). რასა ლადუნებს (თუშ. შან.). შდრ. ლადება ლადადება, ყვირილი: *ვლადებდე* და ვეტყებდე თავსა ჩემსა [პარხლ. მრავალთ 276r, 9-10b] – ზ. სარჯ.

აღდგენილია ს. ქართვ. *ლად არქექიპი (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

ტრაკუნი, წარამარა, ტრაკუნება ვროშავ – დ. ჩუბ. || რატრატი, ლაქლაქი. [თათუკა] ხორნაულეებსა ეძახდა: «თქვენი არ ჩამდის ტრაკუნი» (ხევს. პოეზ. 598,15). ატრაკუნებს ალაპარაკებს, ალაქლაქებს. მამუკას რაღა უნდოდა? ბალღს ვინა-ღ ატრაკუნებსა?(ხევს. ჭინჭ.). **ატლაკუნამს** უაზროდ, უხეიროდ ლაპარაკობს. „ეგეც ატლაკუნამს რაღა, რა ყურ უგდებ მაგას!“ (ჯავახ. ზედგ.).

ტლიკინი ზედმეტი ლაპარაკი. „ნუ ტლიკინებ თუ ქალი ხარ“ (რაცხ. გურ.).

გატლეკილი საუბ. მიმღ. ვნებ. ნამ. ვინც გაიტლეკა, ბევრს რომ ლაპარაკობს, ენას რომ არ აჩერებს, ისეთი. შე კაცო, გეხუმრე, გლახა ხუმრობა კი მომივიდა, მარა რა ვქნა, აი ენა მაქ ნამეტანი გატლეკილი (ა. ბელ.). ენა მუცელში ჩაიგდე, შე გატლეკილო (რ. ჯავგ.). მუშტრებში გატლეკილ დალაქს არც სიტყვა ერეოდა, არც ენა უბოროძიკებდა (ვ. ლორთქ.) – ქეგლი.

ტლეკ-> ტლაკ-> <ტრაკ-. აღდგენილია ს. ქართვ. ძირი *ტლეკ-/ტლიკ- (ფენრიხი, სარჯველაძე).

ბჟუტური კუთხ. უთავბოლო, უჭკუო, სულელური ლაპარაკი. მოჰყვება დედაბერი ბჟუტურს (პ. ირეთ.). კერიას ჩაშტერებულ ფარნას ჩაქუჩით სცემდა ყურებში... დედაკაცების ბჟუტური (ო. იოს). ლადოს სიამოვნებდა ამირანთან ბჟუტური (თ. მალღაფ.) – ქეგლი. || გაუთავებელი და უთავბოლო ლაპარაკი. ე ჩვენმა ალისტორამ რანაირი ბჟუტური იცის (რაჭ. კობახ.). – ნეტა იცოდე, რას ბჟუტურობ? (გურ. კიწმ., რაცხ. გურ.). || უაზრო ლაპარაკი, – ჩერჩეტი. „გლახა ბჟუტური იცის ხომე, ვორ სტაქან ღვინოს რო დალევს.“ „რო დეიწყებს ბჟუტურს, თუ გონია, რო გაათავებს“. ბჟუტურობს უაზროდ ლაპარაკობს, – ჩერჩელობს. „რაცხას ბჟუტურობს, ვერ გეიგებს კაცი სურიელი.“ „ნუ ბჟუტურობ, ერთი, მაგრე რავა იქნებოდა!“ (იმერ. გაჩ.) შდრ. **ჟანტალი** ბჟუტური. რომვა, ყბედობა. თეში ჟანტალი ქიგებგონინი, გურქ გომიხორცქუ; ამის ბჟუტური რომ გავიგონე, გული გამისკდა. **ჟუტინი** ბჟუტური (მეგრ. ქაჯ.)

ლაქათი ლაქლაქი, ყბედობა. მაგას მარტო ლაქათი მოჰკითხე, მეტი რა შნო აქს!(კარ.); აგრეთვე ვეტყვ. **ლაქათა** ყბედი ლაქლაქა. ბევრი მოლაპარაკე რო არი ადამიანი, მოყბედეი, იმას ეტყვიან ლაქათასა (ერედ.). შენ ცარიელა ლაქათა ხაარ, შენ იმედზე თუ დავდექი, კარგი დახლი დამიჯდება (ტყვ.); აგრეთვე კარ. (ქართლ. ლექსიკ.). **ლაქათი** //**ლაქათა** ვითომ მოსიყვარულე, ცრუ ალერსი; ცრუ ალერსის გამო-მხატველი (ქიხ. მენტ.)

ლაქუნი ლაქლაქი გაუთავებელი ლაპარაკი. „ნუ ლაქუნობ ერთი“ (ქართლ. ძიმიგ კეცხ. ხუბ.). ვფიქრობთ ფონეტიკური ცვლილებებით ლაქათა <ლაქარდი.

შდრ. ლაქარდი კუთხ. (ფშ.) ტკბილი სიტყვა. ჯავარა სასტიკი იყო, ლაქარდებს განშორებული, ის ვაჟებს არას დასდევდა ბაღლობით მოკიდებული, არც სიტყვა-პასუხი ჰქონდა იმათთან გასწორებული (ბაჩ.) – ქეგლი.

ლაყაფი – ქართულად ცუდ-მოუბარი. სპარსულად მეორე სახელი ZAB. – საბა. საშ. ქართ. ლაყაფი მუდარა, ხვეწნა. აწე მე რაღას მამბრალეზ, ლაყაფი ადარას გარგებს (შჰნ. III, 449, 22). ფრანგ არ შეისმენდა ლაყაფსა (შჰნ. III, 391, 3). ლაყაფობა: ამბავნი... ვპოვენ და ლექსად გარდავთქვენ, ამითა ვილაყფეთანი (ვეფხ. 1667, 4). **ლაყაფი** [სპარ. ლაყაბ „გრძელი წერილი“, «გრძელი სიტყვა»] ძვ. 1. უსაქმური ლაპარაკი, – ლაყბობა, ყბედობა; ჭორი. ვინ ჩაგიგდებს ამას მწერლო-

ბად? უბრალო «ლაცაფიაო», ჩაიხუმრებენ (შ. დად.). 2. ყბედი, ჭორიკანა. «ერთმა ლაცაფმა აზნაურმა ეს როგორ უნდა მოახდინოს?» (ზ. ანტონ.) – ქეგლი. დიალექტ. ლაცაფა „ფინთათ მოლაპარაკე კაცი (ქართლ. მენტ.).

ილაცმებს იხუმრებს, იმასხრებს. ბევრა ვიმხიარულეთ, ვილაცმეთ. **ლაცმობა:** „იქ შაჰადომა შენ ლაცმობა ხო არ გგონავ?“ (ხევს. ჭინჭ.).

ლაცაბი ძვ. ლაცაფი: მეც მომეწყინა ლაცაბი ბევრი (თეიმ. I). „ლაცაფ“-ის პარალელურად „ლაცაბ“-ის არსებობა, ალბათ, მიუთითებს ხალხურის პარალელურად ამ სიტყვის ლიტერატურული გზით შემოსვლაზე და მისი შემომტანიც ცდილა სრულად დაეცვა არაბული ბგერის ფონეტიკური თავისებურება (ლექსიკონი 1992, 57). ლაცაფი არაბული la=iba ზმნიდან მიღებული ფორმაა, ხოლო სპარსულად მიჩნეული „მეორე სახელი“ არაბული laqab ლექსემაა. აქ უბრალოდ თანხმოვანთა სუბსტიტუციასთან გვაქვს საქმე. ამ ლექსემის ქართულში შემოსვლა XI-XII საუკუნეებს უკავშირდება (იმედაძე 2014, 68). მ. ბერიძე და ლ. ბაკურაძე მიუთითებენ, რომ ფერეიდნულ დიალექტში ლაცაბი || ზედმეტსახელი ეპონიმის მნიშვნელობით გვევლინება და შტო-გვარის ჩამოყალიბებას უდებს სათავეს. მეტსახელის მნიშვნელობით არაბული წარმომავლობის ტერმინი ლაცაბი დასტურდება აჭარულ დიალექტშიც ფონეტიკურად სახეცვლილ ვარიანტით ლადაბი (ბერიძე, ბაკურაძე 2020: 750).

ლაცაფ ხუმრობა, მასხრობა (სვან. თოფ., ქალდ.).

ჭარტალი 1. ჭარდალი Ab) სომხურია, მრავალმეტყველს კაცს(ა) ჰქვიან ZA. ცხადად მრავალმეტყველი B. (+ ჭარტალი Cb) არს რიტორი, გინა ცხად-მოუბარი, გინა საჩინოდ მოლაპარაკე, გინა სწორედ მთქმელი, გინა... ჭარტალი – საბა. || იგივეა, რაც ენის ჭარტალი. ◊ ენის ჭარტალი გაუთავებლად და უადგილოდ ლაპარაკი, – ტარტარი. ხშირად ენის ჭარტალი... ფარავს ხოლმე ადამიანის უშინაარსობას (ი. ეკალ.). 2. ზედმეტისა და უადგილოდ მოლაპარაკე (ენა). ვისი ენაც *ჭარტალია*, მისი ყველა მართალია (ანდაზა). ენას ნულარ სძრავ, თორემ ამ წიგნით მე დაგიბამ მაგ *ჭარტალ* ენას! (ი. მაჩაბ. თარგმ.) – ქეგლი. „ეგ ისრეთი *ჭარტალი* არი, არაფერი დაადგება ენაზე, ხელაჩი მიუტანს ამბავს.“ აგრეთვე ენაჭარტალა (ჯავახ. ზედგ.). || ლაცობა, ჭორიკნობა, ლაქლაქი. „ქალებსა ნუ გიყუარან მაგდენი ჭარტა-

ლი“(სტ., ჩვენ. ფუტკ.). **ჭარტალა** ყბედი (ა. შან.). **წამასჭვარტლავს** „უადგილო ადგილას რაღაცას იტყვის“(ავთ.არაბ.). **წამასჭორტავს** წამორიშავს. წამაჭორტვა (ხევს. ჭინჭ.)

ჭყარტალი (გურ. იმერ.) ტარტარი, განუწყვეტელი ლაპარაკი (ა. ლლ.). ჭყარტალობს (იყენ. იჭყარტალა, უჭყარტალია) კუთხ. (იმერ.) გრდუფ. სტატ. შეუჩერებლივ ლაპარაკობს, ტიტინებს (შდრ. ჭარტალი). ბახვა დაჯდა ტახტზე, სალომე მაინც ფეხზე იდგა მის წინ და ჭყარტალობდა (გ. წერეთ.) – ქეგლი.

ჯადინი მრისხანის უარესი (უდარესი), გინა ყბედი – საბა. სიტყვა შემონახულია სამხრულ დიალექტებში.

ჯადანი ხუმრობა : დუზჯეს ქართველთა მეტყველებაში ხშირად გამოიყენება სიტყვა ჯადანი, ხუმრობა, გამოჯავრების მნიშვნელობით: რას *მაჯადინებ?* *ნუ მაჯადინებ?* „რას მაჯავრებ, რას მეხუმრები“ (დუზჯ. ჩელები). || **ჯადინი** გამოჯავრება, ხუმრობა, დაცინვა. ნუ გიყუარს უშნო ჯადინი (ინ., ჩვენ. ფუტკ.). || **ჯადინი** – გაბრაზება, გაღიზიანება: „ძალღებ აჯადინებენ კალოზე“ (კირნათი, კლარჯ. ლექსიკ.). **ჯადანი** || **ჯადინი** ფონეტიკურ-სემანტიკური ვარიანტებია (ჩელები 2018: 60).

ფარფარას გააბამს, ლაქლაქს მოჰყვება. აქ რო ფარფარა გააბეს, სახში აღარ აპირებენ წასვლასა? (კარალ.). ეხლა ძალუაშენი ამოვა და ფარფარას გააბამს (ტყვ., ქართლ. ლექსიკ.). გააფარფარავებს გაახმაურებს, ქვეყანას მოსდებს. იმათ გაიგეს თუ არა, გააფარფარავეს და მოწადეს ქვეყანასა (ქვ. ჭ., ქართლ. ლექსიკ.). შდრ.ფარფარი სპარს. ტრაბახი– დ. ჩუბ., ქეგლი.

ფგრფგნ (-შ,-) ბქ. – უაზრო რატრატი. ჰამუნლჷე ნებოზდ ფგრფგნ გარ ისმიჷ (ბქ.) –დილიდან საღამომდე მხოლოდ უაზრო რატრატი ისმოდა (სვან. თოფ., ქალდ.). **ფგრფგნ** ბქ.– მოლაყბე. თაქსაჷს ფგრფგნ აეხჷ ხორი (სვან. თოფ., ქალდ.).

რატრატი 1. უთავბოლო ლაპარაკი, ლაქლაქი. გეყო ამდენი რატრატი!- ქეგლი. || გუდ., მთ., მოჯ.(ყ. 707, 12).

რეტრეტტი მოჯ. უთავბოლო ლაპარაკი. რას რატრატებ (მთ.); რას რეტრეტებ (მოჯ.) (ა.შან.). **არატუნე** დაუფიქრებლად მოლაპარაკე. არატუნეს ვეტყვით, ვინც წარაუგონო მოლაპარაკეა, არ უკვირდება სიტყვასა, რაც მაადგება ენაზე, იტყვის (კავთ., ქართლ. მესხ.). **არატუნებს** დაუფიქრებლად ამბობს, ლაპარაკობს. ტუტლუკიანი გოგო

მეტიმეტი არატუნეა, ვისთანაც არა მგონია, სათქმელია თუ არა, არატუნეფს (კავთ., ქართლ. მესხ.).

რატარუტი უთავბოლო ლაპარაკი (ქართლ. ძიძ., კეცხ. ხუბ.). ჩვენმა ბებერმაც იცის ასე რატარუტი – ჭკუა გამოელია და რა ქნას. || **რიტირიტინი** 1. რატარუტი. 2. შეუჩერებელი ხმამაღალი ლაპარაკი ან კითხვა (რუგრუგი (მესხ. ფეიქრ.).

რიტ-რატუ რატრატი ზან. (მეგრ. ქობ).

ბრიტინი უაზროდ, უთავბოლოდ ლაქლაქი (რაჭ. კობახ.). **ბრიტინობს** უაზროდ, უთავბოლოდ ლაქლაქებს. ნუ ბრიტინობ ერთი შენებურად (რაჭ. კობახ.). შდრ. რიტინი, გამორიტინება გამოსულელეობა, გამოთაყვანება: გამონიჭება. გამორიტინებული სულელი, ჩერჩეტი– ვ. ბერ.

როტავს (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) გრდუფ. სტატ. უჭკუოდ, უაზროდ, უთავბოლოდ ლაპარაკობს, – ყბედობს, რომავს. «მე უგუნურო! მე რასა გვითხავ და შენ რასა როტავ, ეგ რა ჩემი სიტყვის პასუხია!» (ლ. არდაზ.). რას როტავს [ყადი], კუმკუმაში ჯორი ვით ჩავა ან როგორ დაეტევავო! (საბა). || ბოდავს. «[ალექსი] სიცხისაგან როტავს», – თქვა დედა-ჩემმა (ნ. ლომ.) –ქეგლი. შდრ. ურატრატებს (თავი) თავბრუ ეხვევა, ჩვეულებრივ, დადლილობისაგან. როგორღაც თავი მირატრატებს, რავი რა მომივიდა? (კავთ., ქართლ. მესხ.).

ვვარაუდობთ, რომ ზემოდასახელებული სიტყვები მომდინარეობს სიტყვისაგან რეტი. ცხოელს(ა) რა ტვინი შეუშინდეს და ცნობა მიეკადოს – საბა. აღდგენილია ს.- ქართვ *რეტ ძირი (ფენრიხი, სარჯველაძე, 1990)

ტარტარი მრავალი ცუდი უბნობა – საბა. ტარატურა ძვ. «ჩქარ მოუბარი ვერ კეთილად» (საბა), – ტარამანა (ქეგლი).

ტარტარი ზედმეტი ლაპარაკი, – ყბედობა, ლაქლაქი. გულში-კი ნურავინ გაივლებთ: „ნეტავი შენ, რომ საქმე გამოგლევი და ტარტარისთვის მოგიცლიაო (დ. მაჩხ.). † ენის ტარტარი იგივეა, რაც ტარტარი. [ზაბაიას] ენის ტარტარი ისედაც სჩვეოდა და თიკნის მოუსვენრობას მისთვის ეხლა ზედმეტი საბაბი მიეცა (ლ. ქიჩა.) –ქეგლი.

ტარტარი, ტარტალი ბევრი ლაპარაკი, ყბედობა. ზოგჯერ ტანტალის მნიშვნელობითაც იხმარება . „ემაგან იმთენი ტარტალი იცის, რო თავს მოგაბეზრამს“; „წადი საქმეს მიხედე, მაგის ტარტარს რას უყურამ“ (ჯავახ. ზედგ.). **ტარტურებს** ლაქლაქებს, ბევრს ლაპარა-

კობს, რატრატებს. ცერად მიაზრებს დედაი, არ ვიცი, რას მემდურე-
ბა, ხან იმას მეუბნებოდა: „დადეგი, ნუ სტარტურება!“ (სტმასპ. 114,
17) – ა. ჭინჭ.

ტირტირი ზედმეტი, გაუთავებელი ლაპარაკი, ყბედობა, ტარ-
ტარი. "რას ტირტირებს თვითონაც არ იცის!" (ი.მესხ. მაისურ.). ტირ-
ტირ(ოვად) ტარტარი, ყბედობა, ლაქლაქი. ენაჲ ჰაზე ატირტირევა?
(ენას რატომ ატარტარებ?) (ინგ. ღამზ.).

ტანტალი ტანტალი, რატრავი (მეგრ. ქობ.).

ივარაუდება, რომ ტარტარი < რატრავი, მეტათეზისით, როტ-
(როტავს„ყბედობს“) აქედანვეა ტარტალი (სანიკიძე 1976: 45). ვეჭ-
ვობ, რომ ტარტარი//ტარტალი < ტანტალი. შდრ. ტანტალი მნიშვნ.2.
ტარტარი. ენის ტანტალს დაჩვეული ოსები საიდუმლოს ვერ ფარავ-
დნენ (ა. ყაზბ.) – ქეგლი. აღდგენილია ს. ქართვ *ტანტალ ძირი. მი-
თითებულისა, რომ საფიქრებელია, *ტანტალ -რედუპლიცირებული
ფუძე იყოს (ფენრიხი, სარჯველაძე 1990).

გამოყენებული ლიტერატურა

ბერ., ბაკურ. დიალექტ. 2020 – მ. ბერიძე, ლ. ბაკურაძე, ქართუ-
ლი ენის ფერეიდნული დიალექტი, თბილისი, 2020.

იმედაძე 2014 – ს. იმედაძე, არაბული წარმოშობის ლექსიკა
სულხან-საბა ორბელიანის „ლექსიკონ ქართულში“, დისერატაცია,
ქუთაისი (ელექტ.).

ლეკიაშვილი 1993 – ვლ. ლეკიაშვილი, არაბული ლექსიკის სემან-
ტიკური ტრანსფორმაციების ზოგიერთი ასპექტი ქართულ ენაში მისი
დამკვიდრების პროცესში. – მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, №2,
თბილისი.

სანიკიძე 1976 – ლ. სანიკიძე, გაორკვეება ქართულში. – იბე-
რიულ- კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეული, III, თბილისი.

ფენრიხი, სარჯველაძე 1990, 2000 – ჰ. ფენრიხი, ზ. სარჯველა-
ძე, ქართველურ ენათა ეტიმოლოგიური ლექსიკონი, თბილისი.

ჩელები 2018 – ფევი ჩელები, დუზჯეს მხარეში (თურქეთის
რესპუბლიკა) მცხოვრები ქართველების მეტყველების თავისებურე-
ბანი. სამეცნიერო ხელმძღვანელი: ტ. ფუტკარაძე, თბილისი,
(ელექტ.).

ჩუხუა 2000-2003 – მ. ჩუხუა, ქართველურ ენა-კილოთა შედარებითი ლექსიკონი, თბილისი.

ჩუხუა 2017 – მ. ჩუხუა, ქართულ-ჩერქეზულ აფხაზური ეტიმოლოგიური ძიებანი, თბილისი.

წყარო

ვ. ბერ. – ვ. ბერიძე, სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა, СПн., 1912; თბილისი, 1986.

გურ. ჟღ. – ს. ჟღენტი, გურული კილო, ტფ., 1936.

ვაჟა – ვაჟა-ფშაველას მცირე ლექსიკონი, შეადგინა ალ. ჭინჭარაულმა, თბილისი, 1969.

ზ.-გურ. კიწმ. – ნ. კიწმარიშვილი, „დაუცხრომელთა სამყოფელი“ – გურია. თბილისი, 2016 (ელექტრ.).

თუშ. ცოც. – გ. ცოცანიძე, თუშური ლექსიკონი, თბილისი, 2002.

თუშ. – ი. გიგინეიშვილი, ვ. თოფურია, ი. ქავთარაძე, ქართული დიალექტოლოგია, I, თბილისი, 1961.

ინგ. ღამბ. – რ. ღამბაშიძე, ქართული ენის ინგილოური კილოს ლექსიკონი, თბილისი, 1988.

ლაზ. თანდ. – ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი (ლაზური ნენაფუნა), თბილისი, 2013.

მეგრ. ქაჯ. – ო. ქაჯაია, მეგრულ-ქართული ლექსიკონი [3 ტომად], თბილისი, 2001 (ელექტრ.).

მეგრ. ქობ. – ა. ქობალია, მეგრული ლექსიკონი, თბილისი, 2010.

მესხ. მასი. – ი. მასიურაძე, მასალები მესხური ლექსიკიდან. – შ. რუსთაველის სახ. ბათუმის სახ. პედაგ. ინსტიტუტის შრომები, IV, თბილისი, 1954.

მთ. კაიშ. – ლ. კაიშაური, მთიულურის დარგობლივი ლექსიკა, თბილისი, 1967.

მოხ. ქავთ. – ივ. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დიალექტი, თბილისი, 1985.

საზა – ს. ს. ორბელიანი, ლექსიკონი ქართული ორ წიგნად. წიგნი I, თბილისი, 1966; თხზულებანი, ტ. IV₂, გამოსცა ი. აბულაძემ, თბილისი, 1966.

სვან. თოფ., ქალდ. – ვ. თოფურია, მ. ქალდანი, სვანური ლექსიკონი, თბილისი, 2000.

ქართლ. ლექსიკ. – ქართლური დიალექტის ლექსიკონი (მასალები), შემდგენლები: თ. ბეროზაშვილი, მ. მესხიშვილი, ლ. ნოზაძე, თბილისი, 1981.

ქართლ. მესხ. – მ. მესხიშვილი, ქართლური ლექსიკონი (მასალები) თბილისი, 2006.

ქართლ. ღლ. – ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი, 1974.

ქართლ. ძიძიგ., კეცხ., ხუბ. – შ. ძიძიგური, ნ. კეცხოველი, პ. ხუბუტია, ქართლური ლექსიკონი. დაიბეჭდა „შ“ ასომდე. არ გამოცემულა.

ქეგლი – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. I-VIII, არნ. ჩიქობავას საერთო რედაქციით, თბილისი, 1950-1964.

ქიზ. მენტ. – სტ. მენტეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი, თბილისი, 1943.

ა. შან. – ა. შანიძე, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. I, ქართული კილოები მთაში, თბილისი, 1984.

შ3ნ. – აბულ ყასიმ ფირდოუსი, შაჰნამე, ქართული ვერსიები, ტ. III, გამოსცა დ. კობიძემ, თბილისი, 1974.

ჩვენ. ფუტკ. – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი, 1993.

დ. ჩუბ. – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, სასტამბოდ მოამზადა და წინასიტყვაობა დაურთო ა. შანიძემ, თბილისი, 1984.

ჯავახ. ზედგ. – გ. ზედგენიძე, ჯავახური ლექსიკონი, თბილისი, 2014.

ქ ა ნ ა ხ ა ჩ ა ტ უ რ ი ა ნ ი

სომხური ენის დიალექტების სიმრავლე და თავისებურებები

საქართველოს სახელმწიფოს მოქალაქეთა შორის ქართველების გარდა სხვა ეთნიკური წარმომავლობის ადამიანებიც მრავლად არიან, რომელთა ცხოვრების წესი, ყოფითი საჭიროებები და კულტურული მისწრაფებები სწორედ ამ ქვეყანაში ყალიბდება და ვითარდება, თუმცა ხშირ შემთხვევაში კონფესიური, ეთნოკულტურული და ენობრივი განსხვავებების გამო გარკვეული ტიპის მარგინალიზაციის ნიშნებიც შეიძლება გაჩნდეს. ამდენად მოსახლეობის ერთიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ყველა იმ დაბრკოლების გადალახვა, რომელიც მოქალაქეთა დაახლოებას უშლის ხელს. ამ გზაზე ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბარიერი ენობრივი კომპეტენციის საკითხია. სახელმწიფო ენის საყოველთაო ცოდნა კი წარმატების უცილობელი პირობა ხდება. ამ რთულ გზაზე, ერთ-ერთ დამაბრკოლებელ პრობლემად შეიძლება ასევე ჩაითვალოს დიალექტთა სიმრავლეც, რომელიც სომხურ ენას ერთობ ბევრი მოეპოვება.

ჩვეულებრივ, გავრცელებული აზრი, სომხური სალიტერატურო ენის ერთიანობაზე, მთლად სიტყვასიტყვით (პირდაპირ) ვერ გავიგება, რადგან სომხური სალიტერატურო ენა რამდენიმე დიალექტზე დაყრდობით განვითარდა და თითოეულმა ვერსიამ მნიშვნელოვანი ინდივიდუალური თავისებურებებიც გამოიმუშავა (წარსულიდან მეტნაკლები სიმყარე შეინარჩუნეს იმ დიალექტებმა, რომლებსაც ე.წ. ახალი სომხურის საფუძვლად მოიაზრებენ: არარატის, ლორეს, ყორჩევანის და სხვ.). სომხურის სამოცი დიალექტის ჩამონათვალია თბილისური დიალექტი და ახალციხისა და ახალქალაქის სუბდიალექტები, რომელზეც ლაპარაკობს ამ რაიონებში მცხოვრები სომხობა. ამდენად, აქ სომხურენოვანი სომეხი ბავშვისათვის სკოლაში ასათვისებელ სირთულეთა შორისაა სალიტერატურო სომხურის ის ვერსია, რომელიც მის სალაპარკო ენას არ ემთხვევა.

როგორც სომხური დიალექტოლოგიის სპეციალისტები აღნიშნავენ, სომხურს დაახლოებით სამოცამდე დიალექტი აქვს (დღეს

მიღებული ტერმინოლოგიით მათ ტერიტორიულ-სოციალურ დიალექტებს უწოდებენ); ტრადიციულად ეს დიალექტები ორ ძირითად ჯგუფად იყოფა – დასავლურსომხურ და აღმოსავლურსომხურ დიალექტებად. ჩვენი დიალექტოლოგიის ტრადიციისაგან განსხვავებით, სომხები სპეციალისტები დიალექტთა კლასიფიკაციის დროს იყენებენ განსხვავებათა მაჩვენებელ ტერმინებს, მაგრამ მსჯელობაში არასოდეს ხმარობენ შიდამაკლასიფიცირებელ ტერმინად „ენას“. ეს ტერმინებია: დიალექტური ჯგუფი, დიალექტი, დიალექტთაშორისი დიალექტი (შუამავალი დიალექტი, ქვედიალექტი/სუბდიალექტი და თქმა).

საქართველოში მცხოვრები სომხურენოვანი სომხების უდიდესი უმრავლესობა სომხურ სალიტერატურო ენაზე კი არ საუბრობს, არამედ სომხურის იმ დიალექტებზე, რომლებიც ან საქართველოში ან თურქეთში ხიზნობისას განვითარდა და მნიშვნელოვნად განსხვავდება სომხურის სალიტერატურო ვერსიისაგან. ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ სომეხი მწერლებისა და მოღვაწეების საკმაოდ ავტორიტეტული წარმომადგენლები მათი შემოქმედებითი ფორმირების წლებში სწორედ საქართველოსთან იყვნენ დაკავშირებული, ლოგიკურად მიუთითებს, რომ საქართველოში განვითარებული სომხურის დიალექტებმა (განსაკუთრებით, სომხურის თბილისურმა დიალექტმა) გარკვეული გავლენა მოახდინეს სომხური სალიტერატურო ენის განვითარებაზე (საიათნოვა, რაფი, გაბრიელ სუნდუკიანი, ოვანეს თუმანიანი და სხვ.);

ჩვენს მოხსენებაში უფრო ვრცლად იქნება წარმოდგენილი ფაქტობრივი მასალა და მსჯელობები სომხური ენის დიასისტემის თავისებურებათა შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

„ეთნოსები საქართველოში“, თბილისი, 2008.

„პოლიეთნიკური საზოგადოების პრობლემები სამცხე-ჯავახეთში“. დემოკრატი მესხთა კავშირის პროექტის „დიალოგი პრობლემის მოგვარების საუკეთესო გზაა“ ფარგლებში.

სომხური ენა – <http://www.dzeglebi.ge/statiebi/sxva/enebis-genealogia.html> ქეთევან ქუთათელაძე, ჯავახეთი ზოგიერთ სომხურ წყაროში და მათი შედარებითი ანალიზი. „ენა და კულტურა“, თბ., 2006.

ტაბიძე, 2005 – ტაბიძე მ., ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები, თბილისი, გამომც. „ქართული ენა“, 2005.

ტაბიძე, 2005 – ტაბიძე მ., მონოგრაფია „ენობრივი სიტუაცია საქართველოში და ქართული ენის ფუნქციონირების საკითხები“, გამომცემლობა „ქართული ენა“, თბილისი, 2005.

ლ უ ი ზ ა ხ ა ჭ ა პ უ რ ი ძ ე , ე კ ა დ ა დ ი ა ნ ი

არქაული სიტყვაფორმები მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში

ღვთისმსახურების დროს თუ ფსალმუნთა წიგნის კითხვისას თანამედროვე მართლმადიდებელი მრევლი ეცნობა, ითვისებს და შემდეგ საუბარში იყენებს საეკლესიო მწერლობისათვის დამახასიათებელ სიტყვაფორმებსა და ფრაზებს.

1. მორწმუნეთა მეტყველებაში აქტიურად გამოიყენება **ტერმინად ქცეული საწყისები**:

გარდამოხსნა – ძველ წერილობით ძეგლებში იგი „გადმოხსნას, ჩამოხსნას“ აღნიშნავს: „*გარდამოჰხსნეს* სხეული მისი ძელისაგან“ (ისუ ნავე 8,29); „თვისითა ხელითა *გარდამოხსნა* იგი ჯუარისაგან“ (პეტრე 48,3); „მივიდეს *გარდამოხსნად* მამისა“ (მამათა ცხოვრება 1975: 15,86); „მოვალს თუ არა ელია *გარდამოხსნად* მისსა?“ (მარკოზი 15,36); „წარმოიღო სახვეველნი და *გარდამოხსნა* იგი ჯუარისაგან“ (იქვე 15,46).

აღნიშნულ სიტყვას იგივე განმარტება აქვს სულხან-საბასთან. ნ. ჩუბინაშვილის „ქართულ ლექსიკონში“ გვხვდება მეორე მნიშვნელობითაც: „ხატი შთამოსვენებისა ქრისტესისა ჯვრიდამ და დასვე-

ნებისა მისისა საფლავად, რომელიცა დიდსა პარასკევს წინა დაიდების სამთხვევენელად ერისა" (ჩუბინაშვილი 1961).

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან თერგდალეულთა ნაწარმოებებსა და შემდგომი პერიოდის ქართველ მწერალთა შემოქმედებაში **გარდამოხსნა** ხატის ან ფარდაგის აღსანიშნავად გამოიყენება, მაგ.: „არსად რამე უნახავთ გარდა *გარდამოხსნისა* და ხატებისა ეკლესიებში" (წერეთელი 1948).

დღესაც მრევლის მეტყველებაში **გარდამოხსნა** ეწოდება მხოლოდ ფარდაგს, რომელზედაც ამოქარგულია (ზოგან ოქრომკედით, ზოგან სირმით) ჯვრიდან ჩამოხსნილი მაცხოვარი მასთან მყოფ პირებთან ერთად. მორწმუნეთა საუბარში, განსაკუთრებით ვნების შვიდეულში, მაგალითად, „წითელ პარასკევს, ნაშუადღევს, ფუძეხატის ადგილზე *გარდამოხსნას* დაასვენებენ"; „*გარდამოხსნას* სამჯერ უნდა შემოუარო და თავყანი სცე"; „პატარა შაბათს გამთენიისას *გარდამოხსნას* სამჯერ შემოატარებენ ეკლესიას და მერე საკურთხეველში შეაბრძანებენ"...

წარმოტყვევნა – „ნადავლის ან ტყვეთა წამოღებას, დატყვევებას, გამარცხვას“ აღნიშნავდა: „საცხოვრებელი მათი *წარმოტყვევნა*" (II სჯ. 20,14); „*წარტყუენოს* ძალი შენი" (ეზრა 26,12); „*წარმოსტყუენა* ნატყუენავი მათი" (II სჯ. 21, 10); „*წარმოტყუენს* უბანნი მისნი" (ივდ. 1, 14); „*წარმოსტყუენავთ* ყოველსავე ცნობასა მორჩილებად ქრისტეისა" (II კორინ. 10,5); „*წარმოტყუენა* ტყუედ და მისცა იგი ნიჭად კაცთა" (ეფესელთა 4,8); „რომელი იგი ტყუევნიდა იერუსალიმს შინა" (საქმე მოციქულთა 9, 21)...

აღსანიშნავია ისიც, რომ საანალიზო სიტყვა ქრისტესთან მიმართებით ახალ დატვირთვასაც იძენს: **წარმოტყვევნა**, ესე იგი, წამოყვანა, წარმოსტაცება ბნელ ძალთა მიერ დატყვევებულთა ანუ გათავისუფლება მათი და ღვთის წიაღში მოქცევა. მაცხოვრის მიერ ჯოჯოხეთიდან სულთა ამოყვანის ამსახველ ფრესკებს ამშვენებთ წარწერა: **წარმოტყვევნა** (ცენტრში დგას ქვესკნელში ჩასული ქრისტე, რომელსაც იქიდან ამოჰყავს ადამი და ევა და სასოებით შესცქერიან ძველი აღთქმის წინასწარმეტყველნი (მოსე, დავით მეფსალმუნე და სხვ.) და მისი თანამედროვე იოანე ნათლისმცემელი). სახარების თანახმად, ქრისტემდე სასუფეველი დახშული იყო მართალთათვისაც, ხოლო მან სიკვდილითა სიკვდილი დასთრგუნა, „დახსნა წყევა, მო-

გვმადლა კურთხევა, განაქარვა სიკვდილი და მოგვანიჭა ცხოვრება საუკუნო", ამიტომაც ქრისტესადმი აღვლენილ ლოცვებში ვკითხულობთ: „...ქრისტე იესო... რომელმან დაფლვითა შენითა ჯოჯოხეთისა მეუფება *წარმოტყვევნე*... და ბოროტნი სულნი განაქარვენ, რომელმან მესამისა დღისა ცხოვრება შემოსილითა აღდგომითა შენითა პირველ მამა (ადამი) აღადგინე დაცემული, აღმადგინე მეცა სინანულის სახის დადებითა" (ლოცვანი 2000: 82); „დაღაცათუ ნებსით თვისით საფლავად შთახვედ უკვდაო, არამედ ჯოჯოხეთისა იგი ძალი დაარღვიე და აღსდეგ, ვითარცა მძლე, ქრისტე ღმერთო... რომელმან დაცემულთა მიეც აღდგომა" (სააღდგომო კონდაკი 1999); „განჰკურნენ, იესო ჩემო, სულისა ჩემისა წყლულებანი, გვედრები, *წარმოტყვევნე* ხელთაგან სულთა განმხრწნელთა ბელიარისათა, და მაცხოვრე მე, იესო ჩემო, სახიერო" (იესო ტკბილოს დაუჯდომელი 1996).

წარმოტყვევნა იმავე მნიშვნელობით (დატყვევება, აოხრება, წარსტაცება) გვხვდება სულხან-საბა ორბელიანის, ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში, აგრეთვე შემდგომი პერიოდის ქართველ მწერალთა ნაწარმოებებში. მაგ.: ნ. ბარათაშვილის ლექსში „მთაწმიდას“ ვკითხულობთ: „რა სანახავი *წარუტყვევს* თვალთა... შენს ტურფას სერზედ მდგომარეს!"

დღესდღეობით **წარტყვევნა** ფართო საზოგადოების მეტყველებაში აღარ გვხვდება, მას მხოლოდ მორწმუნე მრევლი გამოიყენებს. აქაც მას დაკარგული აქვს საწყისის თვისებები და კონკრეტული საგნის – ხატის აღსანიშნავად გვხვდება. მაგ.: „ანალოლიაზე *წარმოტყვევნა* დააბრძანეს"; „დიაკვანი *წარმოტყვევნას* უკმევს"...

შენიშვნა: ბოლო დროს წარმოტყვევნის ამსახველი ხატები აღდგომისადაც იწოდება, რადგან აღდგომილმა მაცხოვარმა სამი დღე ჯოჯოხეთში შთასვლით განათავისუფლა სულნი და აღმოიყვანა მღვიმისაგან ბნელისა.

მირქმა – ძველ წერილობით ძეგლებში „გულზე მიხუტებას, მიკონებას, აყვანას, მოხვევას, მიგებებას“ ნიშნავს: „*მიიქუა* დედაკაცმან მან ყრმაი იგი" (ოშკის ბიბლია 1970, გამოსვლ. 2,9); „*მიიქუ* ყრმაი ეგ" (IV მეფ. 4,30); „იხარებდ შენცა, მოხუცებულო, მართალო სვიმეონ, რამეთუ *მიირქუ* მკლავთა შენთა განმათავისუფლებელი. სულთა ჩვენთაჲ, რომელი მოგვანიჭებს ჩვენ დიდსა წყალობასა" (ლოცვანი,

ტროპარი მირქმისა 2000). ფრესკებს, რომელზედაც მართალი სვიმეონის მიერ იესო ქრისტეს მიგებება და გულზე მიკონებაა ასახული, ამშვენებთ წარწერა: **მირქმა** (როგორც მიგებების აღმნიშვნელი ტერმინი). მართლმადიდებელმა ეკლესიამ ეს ფაქტი განადიდა, როგორც წინასწარმეტყველების აღსრულება და იგი ერთ-ერთ საუფლო დღესასწაულად დაადგინა. შესაბამისად, დღესასწაულიც **მირქმად** იწოდება: „მაცხოვრის შობიდან მე-40 დღეს წმიდა მარიამმა და იოსებმა მიიყვანეს ყრმა იესო ტამარში, რათა ღვთისათვის მსხვერპლი შეეწირათ. ამ დროს იერუსალიმში ცხოვრობდა მოხუცი სვიმონი. კაცი მართალი და კეთილმსახური. ის მოელოდა მაცხოვარს და სულიწმინდა იყო მასზე, რომელმაც წინასწარ აუწყა, რომ მანამ არ მოკვდებოდა, სანამ არ იხილავდა მესიას. სულიწმიდის შთაგონებით ის მივიდა ტამარში, აიყვანა ხელში ყრმა იესო და თქვა: „აწ განუტევე მონაა შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თვალთა ჩემთა მაცხოვრებად შენი, რომელ განუმზადე წინაშე პირისა ყოვლისა ერისა ნათელი გამობრწყინებად წარმართთა ზედა და დიდებად ერისა შენისა ისრაილისა“ (ლუკა 2,22-39)...

დ. ჩუბინაშვილი თავის ლექსიკონში აღნიშნულ ლექსიკურ ერთეულს ორივე მნიშვნელობით აფიქსირებს: **მირქმა** – 1) მიგებება, აყვანა, გულზე მიკვრა; 2) დღესასწაული 2 თებერვალსა მოსახსენებლად მოგებებისა მართლისა სიმეონისაგან იესო ქრისტესადმი (ჩუბინაშვილი 1984).

მირქმა ორივე მნიშვნელობით გვხვდება შემდგომი დროის ქართველ მწერლებთანაც. მე-19 საუკუნის II ნახევრიდან დღემდე საანალიზო სიტყვა დღესასწაულის აღსანიშნავად გამოიყენება: „ზამთარში ვდღესასწაულობთ *მირქმას*“ (ი. გოგებაშვილი). თანამედროვე მრევლის მეტყველებაში **მირქმას** სახელზმნის გაგება დაკარგული აქვს და ის დღესასწაულის ან ხატის აღსანიშნავად გვხვდება, მაგ.: „მალე *მირქმას* აღვნიშნავთ“; „*მირქმისთვის* მინდა ზიარება“; „*მირქმა* (მირქმის ხატი) წარგზავნამდე იქნება ფუძეხატზე დაბრძანებული“...

აღდგომა – აღდგა ზმნის საწყისი ფორმაა. ძველ ქართულში მისი სინონიმი იყო **აღმსთობა** (ადრე აღდგომა). კონკრეტული დღესასწაულის სემანტიკა **აღდგომამ** მოგვიანებით შეიძინა. მე-17 საუკუნის ბოლომდე იგი „აღდგომას, წამოდგომას, აღმართვას“ ნიშნავდა:

„ცუდად არს თქვენი ეგი *აღმსობად*“ (ფს. 126,2); „*აღმსო* მოსე განთიად და აღაშენა საკურთხეველი ქუეშე მთასა მას“ (გამოსვ.34), „*აღვდგით* და აღვემართენით“ (ფს.19.9); „რომელი *აღდგომილ* არიან ჩვენ ზედა“ (ფს. 43, 6); „*აღდგომასა* მას მკედართასა ვისა შვიდთაგანისა იყოს იგი ცოლად“ (მათე 22,28)... ამავე მნიშვნელობით გვხვდება სულხან-საბას ლექსიკონშიც: „*აღდგობა* - ზე ამართვა“.

დავით გურამიშვილის „დავითიანში“ **აღდგომა** უკვე დღესასწაულის მნიშვნელობით გამოიყენება: „ერთ დღეს *აღდგომაც* იყო და ხარებაცა“... ასევე დასტურდება იგი ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებში: „საუფლო დღე პასექის მოსახსენებლად მაცხოვრისა ჩვენისა მკვდრეთით *აღდგომისა*“.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული ოფიციალურად 325 წელს დაადგინა ნიკეას პირველმა მსოფლიო საეკლესიო კრებამ და დააკანონა, რომ იგი აღნიშნულიყო გაზაფხულის ბუნიობის ჟამს მთვარის აღსვების შემდეგ, მაგრამ არ უნდა დამთხვეოდა ებრაელთა პასექს. ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის დღესასწაულის აღმნიშვნელ თავდაპირველ ტერმინად ქართულში გამოიყენებოდა **აღვსება**, რასაც საფუძვლად უნდა დასდებოდა დღესასწაულის დროითი კავშირი მთვარის აღსებასთან (საცხე მთვარესთან). საგულისხმოა ისიც, რომ **აღვსება** უკავშირდება გაზაფხულს, დროს, როდესაც ბუნება ივსება ახალი სიცოცხლით, ახალი ძალით.

აღვსების, როგორც დღესასწაულის, აღმნიშვნელ პარალელურ ტერმინებად წერილობით ძეგლებში გვხვდება: **პასექი** და **ზატიკი**. პასექი (ძველ ებრაული „ჰესაჰ“) „გადასვლა“ – ებრაელთა საგაზაფხულო რელიგიური დღესასწაული, ეგვიპტიდან გამოსვლისა და ეგვიპტელთა ბატონობისაგან გათავისუფლების აღსანიშნავად (ქეგლ)... **ზატიკი** – „ვნება“, პასექი, დღესასწაული, ჰურიათა მსხვერპლი (აბულაძე 1973); „**ზატიკად** ჩვენდა დაიკლა ქრისტე“ (მამათა სწავლება 1955); „მივალს მარხვა და მოვალს **ზატიკი**; გვეტკებების აღვსებისა მოსვლა“ (სულხან-საბა 1963)...

თანამედროვე ქართულში **პასექი** და **ზატიკი** ისტორიზმებად არიან ქვეული, თუმცა საეკლესიო წიგნებში – დღესასწაულთა საკითხავსა თუ ტიპიკონებში აღდგომის დღესასწაულის აღსანიშნავად გვხვდება **პასექი**, ასევე გვაქვს ლიტურგიკული საკითხავი წიგნი **ზატიკი**. მიუხედავად ამისა, როგორც მრევლში, ასევე ფართო საზოგად-

დღეობაში, ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის აღსანიშნავად იხმარება **აღდგომა**. არქაულ ფორმას დაკარგული აქვს სახელწოდების (საწყისის) თვისებები და დღესასწაულს ან ამ დღესასწაულის ხატს აღნიშნავს. მაგ.: „აღდგომას მუშაობა არ შეიძლება“, „აღდგომას ყველა დიდი სიხარულით ეგებება“... „დიაკვანმა აღდგომის ხატი შემოაბრძანა“...

2. არქაულ სიტყვაფორმათა ნაწილი დღეს მხოლოდ გარკვეულ კონტექსტში იხმარება. მაგ.:

წარგზავნა – წერილობითი ძეგლების მიხედვით, „გაგზავნას, მიგზავნას“, ნიშნავს: „წარგ ზავნეს რებეკა... და მზითევი მისი“ (დაბ. 24,59); „წარგ ზავნეს კრებულისა მისგან“ (საქმე მოციქ. 15,3); „სხუით გზით წარგ ზავნა ივინი“ (იაკობი 2,25); „წარიგ ზავნებოდა იერუსალიმად“ (ლუკა 13,22); „წარგ ზავნიდეს მას ნავთსაყუდელსა ქრისტესა“ (შუშანიკის წამება 1965: II,10)...

დღეს ფართო საზოგადოება მოცემული სახელწოდების არქაულ ფორმას იშვიათად, ისიც მაღალი სტილისთვის, იყენებს. მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში კი იგი გვხვდება მხოლოდ ამა თუ იმ დღესასწაულის გაცილების, დასრულების აღსანიშნავად. მაგ.: „ეს ლოცვა იკითხება სულთმოფენობიდან მის წარგ ზავნამდე“ (გაგზავნამდე, ე.ი. გაცილებამდე); „ფუძეხატუე ღვთისმშობლის შობის ხატი იქნება დაბრძანებული მის წარგ ზავნამდე“; „ჩასართავებში ჯვართამაღლების ტროპარს მის წარგ ზავნამდე წავიკითხავთ“; „საუფლო დღესასწაულის ტროპარს მხოლოდ მის წარგ ზავნამდე ვამბობთ „ღირს არსის“ ნაცვლად“...

აღვლენა – იგივეა, რაც აღვლინება, მაგ.: „აღვავლინოთ სურნელებად საქმითა კეთილითა“ (ბასილი კესარიელი 1990); „ლოცვასა პირისაგან *აღვავლინებდეთ*“ (იპოლიტეს განმარტებად 1954)...

ნიკო და დავით ჩუბინაშვილებთან საანალიზო სიტყვა მხოლოდ „ღვთისადმი ქების შეწირვას“ ნიშნავს: „აღვლენა ვედრებისა ღვთისადმი“ – წერს დ. ჩუბინაშვილი (1984).

დღესაც მორწმუნეთა საუბარში **აღვლენა** კავშირშია სიტყვებთან – ლოცვა, წირვა. მაგ.: „ყოვლადუსამღვდელოესმა ლოცვა *აღვლინა* ერისათვის“; „პატრიარქმა სადღესასწაულო *წირვა აღვლინა*“; „სავედრებელი ლოცვა *აღვლინე* უფალს“. მღვდელიც ასამაღლებელ ლოცვებში ამბობს: „აღვლინოთ ვედრებად ჩვენი უფალსა“, ე.ი. უფალს შევეწიროთ ლოცვითი ვედრება...

სადაგი – „მარტივს, სადას, წრფელს“ აღნიშნავს: „მიეც ჯორცთა შენთა საზრდელი *სადაგი*“; „მსახურებდე მას *სისადაგი*თა და სიმართლითა“ (ისუ ნავე 24, 14); „*სადაგი*თა სამოსელითა შევიდა ეკლესიად“ (აბულაძე 1973); საბას განმარტებით: „ესე არს ძნელსა და ადვილს შორის საშუალი“.

სადაგი „სადას, მარტივის“ მნიშვნელობით ფიქსირდება ნიკო და დავით ჩუბინაშვილების ლექსიკონებშიც.

მე-20 საუკუნის I ნახევრიდან აღნიშნული ლექსემის სემანტიკას მისი გამარტივებული ვარიანტი – **სადა** გამოხატავს, ხოლო არქაული ფორმა **სადაგი** გარკვეულ კონტექსტში გამოიყენება: **სადაგი დღე** – „არაუქმე, სამუშაო დღე“. მაგ.: „სოსიკა მოურავი... კვირა-უქმობით „ენიანი“ კაბით დადიოდა და ისე *სადაგ* დღეებში მუდამ ჩექმაში და მოკლე ქართული შავი შალის ჩოხით გამოწყობილი“ (მგალობლიშვილი 1954); „თებერა *სადაგ* დღეს ჩვენთან იმუშავებდა“ (ბარნოვი 1961).

სადაგი დღეს მხოლოდ მრევლის მეტყველებაში გვხვდება. მაგ.: „სადაგი დღე“, „სადაგ დღეებში საკითხავი ლოცვები“ და ა.შ. ეკლესიისათვის **სადაგი დღე** „არასადღესასწაულო, ჩვეულებრივ დღეს“ აღნიშნავს, როცა განსაკუთრებული ლოცვები არ იკითხება.

გამოყენებული ლიტერატურა და წყაროები

აბულაძე 1973 – ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973.

ახალი აღთქმა 2003 – ახალი აღქთუმად (ლუკას სახარება, პეტრეს სახარება, მათეს სახარება, იაკობის სახარება, მარკოზის სახარება, საქმე მოციქულთა, ეფესელთა მიმართ ეპისტოლე პავლე მოციქულისა, II კორინთელთა მიმართ ეპისტოლე პავლე მოციქულისა. გიორგი და ექვთიმე მთაწმიდელების თარგმანთა გადამუშავებული გამოცემა, თბ., 2003.

ბარნოვი 1961 – ვ. ბარნოვი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1961.

ბასილი კესარიელი 1990 – ბასილი კესარიელი, მხეცათავის სახისა სიტყუად, ჰომილიები, თბ., 1990.

ბიბლია 1989 – ბიბლია (ისუ ნავე, II სჯული, ეზრა, IV მეფეთა, გამოსვლათა, დაბადება, ფსალმუნნი მეფის დავითისა, ივდითი), თბ., 1989.

იესო ტკბილოს დაუჯდომელი, თბ., 1996.

იპოლიტეს განმარტებაჲ, თბ., 1954.

ლოცვანი 2000 – ლოცვა წმ. სვიმონ მეტაფრასისა ზიარების წინა, ლოცვანი, თბ., 2000.

ლოცვანი, ტროპარი მირქმისა, თბ., 2000.

მამათა სწავლება 1955 – მამათა სწავლება თბ., 1955.

მამათა ცხოვრება 1975 – წმიდა მამათა ცხოვრება. გამოსცა ივ. იმნაიშვილმა, თბ., 1975.

მგალობლიშვილი 1954 – ს. მგალობლიშვილი, კრებული, ტ, I, თბ., 1954.

ოშკის ბიბლია 1970 – გამოსვლათა, ბიბლიური ხელნაწერები, ოშკის ბიბლია, თბ., 1970.

სააღდგომო კონდაკი 1999 – საღმრთო ლიტურგია, წესი და განგება საღმრთო ლიტურგიისა, სააღდგომო კონდაკი, ხმა 8, თბ., 1999.

სულხან-საბა 1963 – სულხან-საბა ორბელიანი, სწავლანი, თხზულებანი, ტ. III, თბ., 1963.

შუშანიკის წამება 1965 – ი. ცურტაველი, შუშანიკის წამება, სასკოლო გამოცემა, თბ., 1965.

ჩუბინაშვილი 1984 – დ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1984.

ჩუბინაშვილი 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, რუსულ-ქართული ლექსიკონი, თბ., 1961.

წერეთელი 1948 – ავ. წერეთელი, თხზულებანი, ტ. IV, თბ., 1948.

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტარიელ ფუტკარაძის სახელობის ქართველოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ფონდის მასალები.

მზია ხახუტაიშვილი, ნანა ცეცხლაძე

დიალექტური ტექსტების დიგიტალიზაციის აუცილებლობა და პრობლემები

თანამედროვე ციფრული ეპოქის აქტუალური საკითხია ენათა და კულტურათა ელექტრონული დოკუმენტირება, რადგან ნაკლებად შესწავლილი, უცნობი თუ გადაშენების საფრთხის წინაშე მდგომი ენების მონაცემთა შეგროვება და დოკუმენტირება ერთი მხრივ მდიდარ რესურსს ქმნის ლინგვისტიკური კვლევებისთვის, მეორე მხრივ აუცილებელია სამყაროს ლინგვოკულტუროლოგიური სურათის შესავსებად: „დიდი ენების“ კვლევის პრიორიტეტულობის გამო „ის ენობრივი ფორმები და კატეგორიები, რომლებიც შეუსწავლელ ენებში მოიპოვება, ლინგვისტური ანალიზის საგანი არ გამხდარა და ზოგადი ლინგვისტური ცოდნაც ენის, როგორც სისტემის, შესახებ არასრული აღმოჩნდა“ (თანდაშვილი, ხალვაში... 2019: 42).

საქართველოში დიგიტალური ჰუმანიტარიის (შესაბამისად „დიგიტალური ქართველოლოგიის“) განვითარებისა და დოკუმენტაციის (Documentary Linguistics) მიღწევების დანერგვის მიზნით უამრავი პროექტი განხორციელდა. შეიქმნა არაერთი ელექტრონული კორპუსი, დიგიტალური არქივი – ელექტრონულ მატარებლებზე გადატანილი რესურსების ნაკრები, რომლებიც მოიცავს როგორც თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით დოკუმენტირებულ წერილობით ტექსტებს, ისე ზეპირმეტყველების „გაციფრებულ“ მასალებს. „იგი დიდი მოცულობის ელექტრონული ტექსტური მასივია, აღჭურვილი საგანგებო კვლევითი ინსტრუმენტით ე. წ. კორპუსის მენეჯერით,“ რეპრეზენტაციულია, წარმოადგენს ღია რესურსს და შევსებადია.

აღსანიშნავია 2012 წლის გამოყენებითი კვლევებისათვის სახელმწიფო სამეცნიერო საგრანტო კონკურსში გაიმარჯვებული პროექტის ფარგლებში მომზადებული სამი ელექტრონული ვებპორტალი www.corpora.co; <http://corpora.co/#/texts> (ქდკ-ს ტექსტების კორპუსი); <http://corpora.co/#/dictionaries> (ქდკ-ს ლექსიკონები).

საქართველოში თანამედროვე კვლევების განსახორციელებლად ციფრული ჰუმანიტარის, დოკუმენტისტიკის ძირითადი პრინციპების დანერგვას ემსახურებოდა ბათუმის შოთა რუსთაველისა და ფრანკფურტის გოეთეს სახელობის უნივერსიტეტების ერთობლივი სამეცნიერო პროექტი „ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივი“ ((Digiarchive) საგრანტო ხელშეკრულება: №DI 2016-43), რომელიც შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით განხორციელდა 2016-2019 წლებში.

აღნიშნული არქივის მიზანი იყო აჭარის რეგიონში ჩაწერილი ზეპირმეტყველების დოკუმენტირება, მისი დიგიტალიზება და არქივირება ინტერდისციპლინური კვლევების განსახორციელებლად, ბსუ-ს ლინგვოკულტუროლოგიური დიგიარქივის (DigiArchive) დაფუძნება, ტექნოლოგიური და მეთოდოლოგიური ჩარჩოს შექმნა. პროექტის ფარგლებში განხორციელდა ექსპედიციები და მოპოვებული მასალები დამუშავდა საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. პროექტის მიზანი ასევე იყო: მასალის შენახვა და მოვლა (რეგისტრაცია, არქივირება, დაცვა); დიგიტალურად დოკუმენტირებულ და არქივირებულ რესურსებზე ღია წვდომის უზრუნველყოფა. მომზადდა ოთხი ტიპის (A, B, C, D) რესურსი. **A ტიპის რესურსი:** არქივირებული აუდიო- და ვიდეომასალა (MP3 და AVI ფორმატი); **B ტიპის რესურსი:** არქივირებული აუდიო- და ვიდეომასალები ტრანსკრიბირებული ტექსტის თანხლებით – (ELAN-ის ფორმატში); **C ტიპის რესურსი** ითვალისწინებდა არქივირებული ვიდეომასალების მულტიმედიურ ანოტირებას, ტრანსკრიბირებას, გლოსირებას და ინტერლინიალიზებას (იხ. Tandashvili, Khalvashi... 2017:52-68). საამისოდ გამოიყენებოდა ტექსტის გლოსირებისა და ანოტირების საგანგებო პროგრამა FLEx-ი (Fieldworks Language Explorer- **საველე სამუშაოების ენის შემსწავლელი, Version 8.3** 12.43.172. 2018/03/13.) Elan-თან (EUDICO Linguistic Annotator), ნეიმეხენის მაქს პლანკის ფსიქოლოგიის ინსტიტუტის მიერ შემუშავებულ პროგრამასთან (გერმანია – ჰოლანდია) ერთად. **D ტიპის რესურსი:** დიგიტალურად დოკუმენტირებული და არქივირებული ვიდეომასალა მულტიმედიური ანოტირებით და ინგლისური თარგმანით.

ცხადია, რომ პროექტის ფარგლებში შესრულებული კვლევითი სამუშაოები თანამედროვე მეთოდებსა და პრინციპებს დაეფუძნა. შეიცვალა ენობრივი რესურსების მოპოვების, სტრუქტურირებისა და შენახვის შესაძლებლობები. აღსანიშნავია, რომ შექმნილი მულტიმედიური კორპუსი, გარდა ტექსტებისა, მოიცავს ვიდეო- და აუდიომასალებს, რაც ეფიციენტურია მასალის ლინგვისტური თუ ექსტრალინგვისტური კვლევის კუთხით.

აღსანიშნავია, რომ პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა კვლევამ კიდევ ერთხელ დაადასტურა ქართული ენის დიალექტთა დოკუმენტირების აუცილებლობა. ამ კუთხით კვლევის უპირატესობებია: საკვლევი რესურსის მოცულობა, მასალის სწრაფად მოპოვება და ხელმისაწვდომობა; რესურსებზე დართული მეტამონაცემები და თანამედროვე საძიებო სისტემები; რესურსების მრავალჯერადი და მრავალფუნქციური გამოყენების შესაძლებლობა, ძიების სისწრაფე და მასალის ვერიფიკაციის მაღალი ხარისხი (თეორიული პოსტულატის ვერიფიკაცია ან ფალსიფიკაცია) კვლევის სიღრმე და სანდოობა. ღირსსაცნობია, რომ ცოცხალი მეტყველების ნიმუშები (აწ უკვე ჩაწერილი თუ ჯერ კიდევ ჩასაწერი ღირებული ენობრივი მასალა) უაღრესად ღირებულია ენის რევიტალიზაციის თვალსაზრისით.

ნაშრომის მიზანია ქართული ენის დიალექტთა მონაცემების ელექტრონული დოკუმენტირების, ენობრივი რესურსების ელექტრონული არქივირების აუცილებლობის ჩვენება. პასუხი გაეცემა შემდეგ კითხვებს: თანამედროვე ღრმა ენათმეცნიერული კვლევებისათვის რამდენად აუცილებელი და მნიშვნელოვანია დოკუმენტაციის პრინციპებითა და მეთოდებით ჩაწერილი ზეპირმეტყველების ნიმუშები, ანოტირებული ელექტრონული კორპუსებისა და ენობრივი რესურსების დამუშავების მულტიმედიური ფორმატის განვითარება საქართველოში; რას გვთავაზობს ენობრივ მონაცემთა დამუშავების (FLEx-ისა და ELAN-ის) უახლესი მოქნილი და ეფექტური პროგრამები? რამდენად მნიშვნელოვანია ციფრული არქივების როლი ენისა თუ ცოცხალი მეტყველების სტრუქტურის, ლექსიკოგრაფიული და საზოგადოდ, მულტიდისციპლინური კვლევის თვალსაზრისით?

ენობრივი მასალის ამგვარი დამუშავება, მონაცემთა ელექტრონული ლინგვისტური ბაზების გამოყენება არა მხოლოდ მნიშვნელოვნად აჩქარებს, არამარტო ამსუბუქებს მასალის შეგროვება-სტრუქტურირების, სისტემატიზაციის შრომატევად პროცესს და სიზუსტის გარანტიას და შენახვის, მრავალჯერადი და მრავალმხრივი გამოყენების შესაძლებლობას იძლევა, „არამედ იწვევს ლინგვისტიკის სამეცნიერო პარადიგმის ცვლილებასაც“ (Кузнецова, 2011). ეს არის უპირატესობანი დოკუმენტირების ტრადიციულ მეთოდებთან შედარებით.

დიგიტალური დოკუმენტირება და არქივირება შემდეგ აუცილებელ კომპონენტებს მოიცავს: **საველე ექსპედიციის (Fieldwork) კონცეპტუალიზაცია და პრაქტიკული განხორციელება, საველე ექსპედიციაში მოპოვებული ენობრივი მასალების ელექტრონული დამუშავება:** ვიდეომასალების მოპოვების შემდეგ მასალების ელექტრონული დამუშავების რამდენიმე ეტაპია გასავლელი:

1. ვიდეოების თემატური დახარისხება;
2. დახარისხებული მასალის წინადადებებად სეგმენტირება;
3. წინადადებებად სეგმენტირებული ზეპირმეტყველების ტრანსკრიბირება;
4. ტრანსკრიბირებული ტექსტის გლოსირება და ინგლისურად თარგმნა. განვიხილოთ თითოეული ოპერაცია ცალცალკე.

ვიდეოფაილის დამუშავების მეორე ეტაპი არის ტექსტის გაშიფვრა და წინადადებებად სეგმენტირება. ამ ოპერაციის განხორციელება ყველაზე მოსახერხებელია ELAN-ის პროგრამული პაკეტის მეშვეობით.

ვიდეოფაილის დამუშავების მეორე ეტაპი არის ტექსტის გაშიფვრა და წინადადებებად სეგმენტირება. ELAN-ის (EUDICO Linguistic Annotator) პროგრამული პაკეტის მეშვეობით.

ELAN პროგრამა დღეს ერთ-ერთი საუკეთესო პროგრამაა მულტიმედიური მონაცემების მრავალი დონის ანოტირებისთვის. მისი გამოყენება შეუძლიათ დიალექტოლოგებს, ქესტების ენებზე მომუშავე სპეციალისტებს. ELAN ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ადამიანების ქცევის გასაანალიზებლად (ქესტები, სახის გამონათქვამები, მეტყველება, მოქმედებები კომუნიკაციაში).

ELAN-ი ღიაა და საშუალებას იძლევა ვიდეო- და ტექსტური რესურსები ერთ ფაილში მოექცეს. აღნიშნული ოპერაცია რამდენიმე ეტაპად ხორციელდება.

1. transkription-txt.kat – აღნიშნული ველი განკუთვნილია წინადადების ტრანსკრიფციისათვის;
2. Translation-gls.en – განკუთვნილია ინგლისური თარგმანისათვის;
3. Words-txt.kat – ველი განკუთვნილია ლემებისათვის;
4. Participant-note.kat – განკუთვნილია ინფორმანტთა შესახებ დამატებითი მონაცემებისათვის (გვარი, სახელი, ასაკი და ა.შ.).

აქ შესაძლებელია საჭიროებისამებრ ახალი ლინგვისტური ტიპის დამატება.

მუშაობის დროს ხმის ხარისხი ძალიან მნიშვნელოვანია. პაკეტი იძლევა რამდენიმე ხმის გადაფარვის თავიდან აცილების შესაძლებლობასაც (**Блокланд, Рийсслер ...2014**).

თავდაპირველი ტექსტის მრავალი არსებითი ნიშნის შენარჩუნების შესაძლებლობის შესახებ საუბარია სპეციალურ ლიტერატურაში: ენობრივთან ერთად აისახება არაენობრივი (პარალინგვისტიკური) მახასიათებლები, რომლებიც აუცილებელია ზეპირი კორპუსების პროსოდიული ნიშანდებისთვის: ხმოვანთა ტონური დაგრძელება, პაუზების გამოყოფა და სხვ., ჰეზიტაციური აღწერისთვის (დაუსრულებელი სიტყვები, ჩახველება, ბგერითი პაუზა, ჩაცინება, სხვა სახის ემოციის გამოხატვა...), ფალსტარტების აღნიშვნისათვის, ექსპრესიის სხვადასხვა საშუალების გამოვლენისთვის (ბგერათა ექსპრესია, ჟესტიკულაცია, მიმიკა...) (ბარიხაშვილი, 2013:7).

მოკლედ, ტექნოლოგიური საშუალებების წყალობით ფიქსირდება ზეპირი დისკურსის ბევრი ისეთი ელემენტი, რომლებიც უგულებელყოფილი და შეუძენველი რჩებოდა ხელით ჩაწერის დროს.

ენობრივ მონაცემთა ორგანიზებისა და ანალიზისათვის განკუთვნილია **ტექსტის გლოსირებისა და ანოტირების ინსტრუმენტი, FLEx (Fieldworks Language Explorer)**. აქ შესაძლებელია შეიქმნას ტექსტური კორპუსი, რომელიც შეიცავს სიტყვათა სიას გრამატიკული ინდექსითა და განმარტებებით. ტექსტებში თითოეული სიტყვა ან

მორფემა უკავშირდება ლექსიკონს, რაც ეფექტურია ენობრივი მასალების ანალიზის სისტემურობის თვალსაზრისით.

FLEx-ი მოიცავს ხუთ ძირითად ინსტრუმენტს, რომლებიც ერთობლივად ფუნქციონირებენ, თითოეული ინსტრუმენტი კი – მრავალრიცხოვან პარამეტრსა და მონაცემთა ველს, რომლებიც მორგებული უნდა იყოს მოცემული ენის საჭიროებებზე (Tandashvili, Khalvashi... 2020).

ლექსიკონში სიტყვების ჩამონათვალია (შესაძლებელია გამოიყოს ფუძე, ძირი, მორფემები და ა.შ.). ახლავს გრამატიკული მახასიათებლებიც (მაგ. არსებითი სახელი, ზმნა, ზედსართავი სახელი და ა.შ.). აქ მოქმედი პარსერის (Parser). ამ შემთხვევაში სიტყვათა ლექსიკური ანალიზატორი) მეშვეობით წინასწარ ჩადებული წესების საფუძველზე ავტომატური ანალიზი ხორციელდება. საანალიზო სიტყვის არარსებობის შემთხვევაში შეიძლება მანუალური ანალიზი. გაანალიზებული სიტყვა ემატება ლექსიკონს, ხოლო პრაქტიკის ანალიზი კიდევ უფრო დახვეწილს ხდის ავტომატურ ანალიზს დისკურსის ფარგლებში. კონკორდანსის, განსაკუთრებით რთული კონკორდანსის არსებობა გვეხმარება კონტექსტური მნიშვნელობების დადგენაში (თანდაშვილი, ხალვაში... 2019).

FLEx-ის უპირატესობაა ანალიზის ავტომატიზაცია. როგორც ა. ბლეიკი და გ. საიმონსი აღნიშნავენ, მომხმარებელი რაც უფრო ხვეწს სისტემას, ტექსტის ანალიზი ავტომატური ხდება (Black, Simons, 2006:8).

შორეულ პერსპექტივაში მასალების სრულყოფის შემთხვევაში გრამატიკის ინსტრუმენტი, წინასწარ განსაზღვრული წესების საფუძველზე ავტომატური მორფოლოგიური ანალიზის საშუალებას საშუალებას იძლევა. იგი ინახავს გრამატიკულ მონაცემებს, მიემართება ლექსიკონს, რედაქტირებადია და გამოიყენება პარსერებით.

ჩანაწერების არეალი (Notebook) მონაცემების ინტერდისციპლინური თვალსაზრისით მართვის საშუალებას იძლევა. ის გამოდგება ენისა და კულტურის კვლევისათვის. აღნიშნული ტექსტური ველი ავტომატურად ხელმისაწვდომია ტექსტისა და სიტყვის ინსტრუმენტებიდან. საბოლოოდ მონაცემები ექსპორტირდება FLEx-იდან ELAN-ის ფაილში.

პროგრამა არამართო სალიტერატურო ენის, არამედ დიალექტური მასალების მრავალფეროვნების წარმოჩენის საშუალებასაც მოგვცემს. დიალექტურ ტექსტებზე მუშაობამ გამოკვეთა ბევრი ნიუანსი. აქ შემონახულია ის ასოებიც, რომლებიც ხმარებიდან გასულია, ამიტომ მათ სათანადო კვალიფიკაციაც დასჭირდება: **პაწაჲ, ნენწ...**

მონაცემთა ვარიანტებში თავს იყრის სალიტერატურო ენის თუ დიალექტური, ძველი და ახალი ფორმები, ასევე მონათესავე ენების ლექსიკური ან გრამატიკული ერთეულები. მაგ. დარგა და დარგო, ან კიდევ **დაფქვეული და დაფქვეული, ავადმყოფი და ავანტყოფი** ლექსიკონში გაიმიჯნება, როგორც სალიტერატურო ფორმა და დიალექტიზმი. **ხვიმირი და გოდორი** კი, როგორც არქაიზმი და თანამედროვე ქართული სიტყვა (Tandashvili, Khalvashi...2020).

სალიტერატურო ენის სათანადო ფორმებთან დიალექტური ვარიანტებიც წარმოჩნდება (ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური), შესაძლო ვარიანტები ერთ რომელიმე, რამდენიმე ან ერთდროულად ყველა ქვესისტემაში.

ცალკეული დიალექტის ამგვარი დამუშავება გამოაჩენს მის მიმართებას სალიტერატურო ენასა და სხვა დიალექტებთან, მასალების სრულყოფის შემთხვევაში მომდევნო ეტაპზე შესაძლებელი გახდება დიალექტების შედარებითი ლექსიკონების შედგენაც.

ლექსიკონების ახალი რედაქტორის შესაძლებლობების შესახებ აღნიშნულია სპეციალურ ლიტერატურაში: აღიწერება ფონეტიკური და ფორმაწარმოებითი ვარიაციები; შეიქმნება ფრაზეოლოგიზმებისა და მყარი სიტყვაშეხამებების ლექსიკონები, ასევე დიალექტური ფორმაუცვლელი სიტყვების და მათი ფონეტიკური ვარიანტების ლექსიკონები (ბერიძე, ლორთქიფანიძე... 2013: 22).

დიალექტური ტექსტები მოიცავს კილოკავების, თქმებისა და ქცევების მასალას და ავტომატურად აღწერება ეს მრავალფეროვნება: მაგ: **მიჰქონდა/მიქონდა/მიხონდა** (ქობ.). აღსანიშნავია, რომ ქობულეთურისთვის ტიპურია სპირანტ **ჰ**-ს ადგილას **ხ**-ს ხმარება, ეს იმ შემთხვევაშიც, როცა **ხ**- მორფოლოგიური ფუნქციის მატარებელია. კერძოდ, S II და O III პირის აფიქსია: **მიხონდა, მოხვიდენ, წახვეი, ხავდა, ამოხავს, ხონდა** (ხახუტაიშვილი, 2008).

აღიწერება სხვა თავისებურებებიც: **აგერ ეს** შეიყვანეს დასველებული, აჭამეს, ასვეს, დააწვინეს... **მახანში** მიესმენ ზევიდან ხმა; ამ ქალმა ადგა წევდა, **მარბაში** მოვდა სტუმარი ქალი (შუახევი).

სალიტერატურო და დიალექტური ფორმები ზოგჯერ ომოფორმებს ქმნის: მაგალითად, **მაქ** არის **მაქვს** ზმნის შემოკლებული ფორმა, რომელიც გამოიყენება ცოცხალ მეტყველებაში, **მაქ** – არის ადგილის ზმნიზედის დიალექტური ფორმა **ADVPL**.

აღინუსხება დიალექტების მორფოლოგიური თავისებურებებიც: უბრალოდ ესე **წავდივართ** ანუ მამაკაცები მაგალითად, იმ ქორწილში, მამაკაცები ცეკვობენ ცალკე თავისით ანუ ან სულ არ ცეკვობდენ.

ეკლესიას რომ დევნახავდი შიან შესლა **მგონიოდა**, რომ იმიდან რა ქვია ეშმაკები არიან შესეულიო, ისეთი წარმოდგენა გვქონდა ისე გვასწავლიდენ (შუახევი).

ნაწველს რომ მოვწველიდით, ამოვიტანდით სახლში, **გავწურავდით**, ორსამმაგი ლაჩაქი იყო, მარლა, მარლა...მარლაში **ჩავწურევდით**, მერე იმ მარლას კარგათ გავრეცხავდით და გამოვხარშავდით (შუახევი).

ყველაზე მეტი მოსწავლე და ყველაზე მეტი სასწავლებლები **აქვან** სულიმიანჯებს, რომელიც რომ მსოფლიოში ყველა კუთხეში, გარდა ირანში არ **აქვენ** მათი სასწავლებლები შეტანილი. საქართველოში **აქვან** ჩემი სწავლის პერიოდში სამოზდასამი მედრესე (ხულო).

წარმოჩნდება დიალექტის **ლექსიკური** თავისებურებებიც: -ჭო, კაი ქალაბანი რომელია? აჭარულათ შეკერილი კაი, ტყავისა, ტყავისა... წრილათ... დაბლა, გლეხები, ახლა, პირუტყვი დეიკლებოდა, გვიხაროდა, რაცხა ქალაბანი ჩეგვეცვა... თავის ტყავინა ყოფილიყო, ან ფეხების **კუჭუხები**, რაცხა...სუფთა ზურგის იმას, აბა... სახელმწიფოს მიქონდა...გეგმა იყო, კაცო, შენ ვინ მოქცემდა ტყავს, ... უჩუმალათ დაკლავდენ და! (შუახევი).

დარჩა ძალიან ახალი თაობა, რომელიც მხოლოდ შემონახული სახით, ძალიან ისეთი **ლიანქარი** სახით შემონახული მუსლიმანობა ამდაგვარად, რომ წავიდეს საფლაგზე აღნიშნოს და ამდაგვარად (ქობ.).

შესაძლებელია ამა თუ იმ დიალექტში სიტყვას **განსხვავებულ** **მნიშვნელობა** ჰქონდეს – ახლა მარადიდი, ალბათ მარნებთან დაკავშირებით ნამდვილად არის მარნები, ნამდვილად არის. ახლა ჩვენ კალავეთს ვეტყვი (ვეძახით) (აჭარ.); მუხამედ ტაიამ ამოვდა, რომე ბაღვი **დამასახლებიყო (დაქორწინება)** (შუახევი); სოფელში სულ ხალხი ტირის და **ჩივის.. (ამზობს)** ეი... ხასან ბუმიეი მაქ **დამარცხდა (დაიღუპა)** და მასე მოხდა! (ქობ.).

ცხენი ზაზორზე დადვა და ჩამოაბა და შევიდა და **საჩახი** (თავდაპირველად **საჩეხი** იყო, **სახლის სახურავის ქვეშ მოქცეული ადგილი**, სადაც **ჩეხდნენ** შემას. **დღეს ნიშნავს ადგილს**, სადაც **სახურავიდან ჩამოსული წყალი წვეთავს**) რომ ქონდა, ჩვენ ძველად ვუძახდით, წინათ, თურქული სიტყვაა და რა არის საჩახი, მიხედი და შემას რომ ამზადებდენ, ხოდა იქ ბეთმეზის **სარნა (სარნა ხისგან გამოთლილი გრძელი მორი იყო, რომელსაც იყენებდნენ საწნახელად, საქონლისთვის ალაფის ან წყლის ჩასასხმელად)**. **უნდა ქონდეს, სარნა, საწნახელი, ხოდა დიდი უზარმაზარი წიფლისგან გაკეთებული რვა ისნა შესულიყო, დიდვანი გობებით მსხალი**) (ხახუტაიშვილი, ცეცხლამე, 2020).

მალე ქმარი **გადამძრა თავზე**, დედ-მამა გადამძრა, დედ-მამათილი **გადამძრა**, ბოლოს ჩემი **შვილიც გადამძრა** (ქობ.).

ამრიგად, თანამედროვე ენათმეცნიერული და ინტერდისციპლინური კვლევებისათვის მნიშვნელოვანია დოკულინგვისტიკის პრინციპებითა და მეთოდებით დიდი რაოდენობით **დიალექტური ტექსტების** ჩაწერა, არსებული მასალების დოკუმენტირება ენობრივ მონაცემთა დამუშავების (FLEX-ისა და ELAN-ის) უახლესი მოქნილი და ეფექტური პროგრამების გამოყენებით. ამით შესაძლებელი ხდება დიალექტური მასალების მრავალფეროვნების წარმოჩენა, ფონეტიკური, მორფოლოგიური, სინტაქსური, ლექსიკური ვარიანტების აღწერა, შესაძლო ვარიანტების აღნუსხვა ერთ რომელიმე, რამდენიმე ან ერთდროულად ყველა ქვესისტემაში; შეიქმნება მრავალრიცხოვანი ფონეტიკური ვარიანტების, ფრაზეოლოგიზმების და დიალექტების შედარებითი ლექსიკონები. მასალების შემდგომი სრულყოფა შორეულ პერსპექტივაში ავტომატურ ანალიზამდე მიგვიყვანს.

გამოყენებული ლიტერატურა ქართულ ენაზე

ბარინაშვილი, 2013 – ბარინაშვილი მ., ინგილოური ტექსტების კოლექცია მულტიმედიაური კორპუსისთვის, საერთაშორისო კონფერენცია ქართული ენა და თანამედროვე ტექნოლოგიები - 2013 <http://www.ice.ge/symposium/symp-2013-3/masalebi.pdf>;

ბერიძე, ლორთქიფანიძე, 2013 – ბერიძე მ., ლორთქიფანიძე ლ., ნადარაია დ., ქართული დიალექტური კორპუსის ახალი ლექსიკოგრაფიული რედაქტორი – <http://www.ice.ge/symposium/symp-2013-3/masalebi.pdf>

ბერიძე, ბაკურაძე, 2007 – ბერიძე მ., ბაკურაძე ლ., ნადარაია დ., სიტყვაფორმის მორფოლოგიური აღწერის სტრუქტურის შემუშავება დიალექტური ტექსტების კორპუსისთვის. ენათა ბუნებრივი დამუშავება, კონფერენციის თეზისები <http://www.ice.ge/conferenciები/Bunebriy%20enata%20damushaveba.html>

თანდაშვილი, ხალვაში... 2019 – თანდაშვილი მ., ხალვაში რ., კახიანი გრ., პაპიაშვილი რ., ხახუტაიშვილი მ., ცეცხლაძე ნ., ენისა და კულტურის ელექტრონული დოკუმენტირების თანამედროვე ინსტრუმენტები“, გამოცემლობა „ბათუმის უნივერსიტეტი“, ბათუმი;

თანდაშვილი – თანდაშვილი მ., ქართული ენის ეროვნული კორპუსი – მნიშვნელობა და პერსპექტივები <http://titus.uni-frankfurt.de/personal/manana/tandashvili-8ivnisi-parlamenti.pdf>

ხახუტაიშვილი, 2008 – ხახუტაიშვილი მ., ზმნის ზოგიერთი თავისებურება ქობულეთურ კილოკავში. XXVIII რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესია, თბ.

ხახუტაიშვილი, ცეცხლაძე, 2020 – ხახუტაიშვილი მ., ცეცხლაძე ნ., რამდენიმე იშვიათი ლექსიკური ერთეული (გოგა, ბრელო, საჩახი, ლენჩბერი, სარნა) ლინგვოკულტუროლოგიური დიგიტალური არქივის მასალების მიხედვით, XLL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები (218- 227 გვ.) თბილისი.

გამოყენებული ლიტერატურა ინგლისურ ენაზე

Black, Simons, 2006 – Black A., & Simons G. The SIL FieldWorks language explorer approach to morphological parsing. In *Computational*

Linguistics for Less-studied Languages: Proceedings of Texas Linguistics Society, 10, 3-5 November 2006, Austin, TX. 2006;

Tandashvili, Khalvashi... 2017 – Tandashvili M., Khalvashi R., Beridze Kh., Khakhutaishvili M., Tsetskhladze N., **Batumi Linguacultural Digital Archive**, International Journal of multilingual Education 2017-10 (p 52-68) 2017. ISSN 1512-3146 <http://www.multilingualeducation.org/en/article/37>

Tandashvili, Khalvashi... 2020- Tandashvili M., Khalvashi R., Beridze Kh., Khakhutaishvili M., Tsetskhladze N., **Modern Program Packages (FLEx and Elan) of the Language Data Management and the Prospects of Their Usage**, International Journal of Multilingual Education, Vol 16. 2020. გვ.32-43, <https://multilingualeducation.org/storage/uploads/articles/%2b16-sruli.pdf>

გამოყენებული ლიტერატურა რუსულ ენაზე

Блокланд, Рийсслер...2014 – Блокланд Р., г. Уппсала (Швеция), Рийсслер М., г. Фрайбург (Германия), Партанен Н., г. Фрайбург (Германия), Федина М., г. Сыктывкар (Россия), Чемышев А., г. Сыктывкар (Россия) Использование цифровых корпусов и компьютерных программ в диалектологических исследованиях. ТЕОРИЯ И ПРАКТИКА, АКТУАЛЬНЫЕ ПРОБЛЕМЫ ПРИКЛАДНОЙ И КОРПУСНОЙ ЛИНГВИСТИКИ НАЦИОНАЛЬНЫХ ЯЗЫКОВ, 2014 bit.ly/3cxQZso

Кузнецова, 2011– Кузнецова Е. В. Проблемы и перспективы изучения лингвогеографического ландшафта региона (на примере Волгоградской области) //Гуманитарный вектор. 2011 №4 (28). С.96-101.

ნანა ხოჭოლავა - მაქავარიანი, დავით ქელიძე

ზანური სუბსტრატი ქართული დიალექტების იტონიმიში

ქართული ენის დასავლური კილოების ლექსიკაში ხელშესახებადა წარმოდგენილი ზანიზმები. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი სპეციალურ ლიტერატურაში კვალიფიცირებულია, როგორც ზანური სუბსტრატი.

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ზანური წარმოშობის ფიტონიმები ვინაიდან, როგორც მიჩნეულია, მცენარეთა სახელების ერთი ნაწილი ენის ძირეულ ლექსიკურ ფონდს განეკუთვნება და ისეთი საკითხის კვლევისას, როგორცაა ეთნოსთა პირველსაცხოვრისის განსაზღვრა ენობრივი მონაცემების მიხედვით, მას ერთ-ერთი ძირითადი როლი ენიჭება, ამასთან, ღირებულია არა მხოლოდ უძველეს ფიტონიმთა ეტიმოლოგიების კვლევა, არამედ სუბსტრატული ფიტონიმების დადასტურება და ანალიზი ამა თუ იმ ენის (დიალექტის) ლექსიკაში, რადგან სუბსტრატულ მასალაში ხშირად გადარჩენილია ისეთი ლექსიკური ერთეულები (ან ენობრივი მოვლენები), რომლებიც დაუკარგავს დამხვედრ ენას, მაგრამ მკვიდრად შემოუნახავს მოგვიანებით დამკვიდრებულს.

დასავლეთ საქართველოს დიალექტთა ფიტონიმიში ზანური კვალი ძირითადად სამი მიმართულებით შეიმჩნევა:

1. ზანური წარმოება.

ქართულის დასავლურმა დიალექტებმა შემოინახა ფიტონიმთა ერთი რიგი, სადაც დასტურდება ზანური წარმოების კვალი, უფრო ზუსტად, ეს ერთგვარი ჰიბრიდული (ზანურ-ქართული) წარმოების სახელებია: ნიმუშები: **ო-სერ-ო**, **ო-ღვალ-ო**, **ო-კნატ-ო** (გურ.), **ო-შომ-ა/ო/ე** (იმერ., გურ., რაჭ., ლეჩხ.), **ო-ყრალ-ო** (იმერ.), **ო-მცხვარ-ო** (იმერ., ლეჩხ.)...; **ო-ხოკ-უ-ა**, **ო-ლალ-უ-ა** (იმერ., გურ.), **ო-ყრალ-უ-ა/უ-ე** (იმერ.), **ო-ტყაჩ-უ-ა**, **ო-ნჯახ-უ-ა**, **ო-ხატ-უ-ა** (გურ.), **ო-ხოტ-უ-ა** (აჭარ.)... მათ ჰიბრიდულს ვუწოდებთ, რადგან: ა) ფუძე ფორმდება ზანური **ო-** პრეფიქსითა და ზანურ-ქართული **ო-** სუფიქსით; ბ) ზანური პრეფიქს-სუფიქსით (**ო-უ**) გაფორმებულ დანიშნუ-

ლების სახელს ან მიმღობას ერთვის ქართული მაფიტონიმებელი ა- სუფიქსი, რომლის დართვა უნდა მომხდარიყო მოგვიანებით ზანური ფიტონიმების „გაქართულებისათვის“ (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2003: 148-163).

ამ ფიტონიმებით გამოხატულია აღსანიშნვი მცენარის გამოყენება-დანიშნულება-თვისება. საინტერესოა, რომ აღნიშნული აფიქსებით (ო-ო, ო-უ-ა) გაფორმებული მცენარეთა სახელები დასტურდება ოდენ ქართულის დასავლურ დიალექტებში და არ ჩანს საკუთრივ ზანურში, თავის მხრივ, სადაც ხელშესახებია ო-პრეფიქსითა და -ია, -იაა, -ე, -ალ სუფიქსებით გაფორმებული დანიშნულება-გამოყენების ფიტონიმები, შდრ.: მერ. ო-ხოხ-ია, ო-ხარკალ-ია, ლაზ. ო-სულ-ე, ო-ქოს-ალ-ე... (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2000: 418-413).

ჩვენი დაკვირვებით, ქართულ დიალექტებში დადასტურებულ მერულ-ლაზური წარმოშობის ფიტონიმებში გამორჩეულია ზანური ო-პრეფიქსის როლი (დღესაც პროდუქტიული მაწარმოებელია ზანურში) – ის დასტურდება არა მხოლოდ ზანური წარმოშობის, არამედ ჰიბრიდული წარმოების სახელებშიც; ასევე, გვაქვს ისეთ წარმოქმნილ ფორმებში, რომელთა სემანტიკა ბუნდოვანია (ონჯახუა, ოლაღუა, ონჭო, ოსერო...), თუმცა გარკვეული ჩადიებების შედეგად, შესაძლოა, დადგინდეს კიდევ (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2006: 126).

მასალაზე დაკვირვება გვავარაუდებინებს, რომ დასავლურ ქართულ კილოებში ზანური ო-პრეფიქსი დიდ ხანს აღიქმებოდა, როგორც მაწარმოებელი და ის არ წარმოადგენდა ოდენ სუბსტრატულ საწარმოქმნო ინვენტარს, გაქვავებულ დანაშრევს. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გვაძლევს ნიმუშები სადაც ო-, როგორც მაწარმოებელი პრეფიქსი, ჩნდება ქართულის გვიანდელ უცხოენოვან ნასესხობებშიც. ნიმუში: *იმერ., ლეჩხ., გურ., აჭარ. ოდელია, ოდელიე* (მაყაშვილი 1961), *იმერ., ძვ. ოდელა* (გაჩეჩილაძე 1976; საბა 1991, ჩუბინაშვილი 1961, ერისთავი 1884, ჩუბინაშვილი 1985) (= წიწმატურ *Capsella bursa-pastoris* (L.) Medic.)¹.

აღნიშნულ ფიტონიმებში გამოვაცალკევებთ საწარმოქმნო ფუძეს *დელი-*, რომელიც თურქული ნასესხობაა, შდრ., „*დელი (დელისა) [თურქ. deli] ძვ. გიჟი, ხელი, გადარეული*“ (ქეგლ 1953); ლაზ. „*დე-*

¹ *ოდელია-ხალი* (მოპ. მასალა) ქართულში დასავლური დიალექტებიდან უნდა იყოს შესული.

ლი (თურქ. Deli) - სულელი, გიჟი“ (თანდილავა 2013); **გაადელებს** (გაადელა, გაუდელებია) *კუთხ. (გურ. აჭარ.) გრდმ. გააგიჟებს, გაახელებს*“ (ქეგლ 1951).

ეგვე თურქული ნასესხობა ჩანს შემდეგ ფიტონიმებშიც:
ა) *იმერხ. დელიოთი*, შდრ., „**დელიოთი** – (deliotu) გარეული ჭარხალი (ბალახი). დელიოთი ხანდახან აწყენს საქონელსა“ (ფუტკარაძე 1993). (= **შმაგა, კავკასიური ბელადონა** *Atropa caucasica* Kreyer.). საგულისხმოა მისი სხვა სინონიმები: *ფშ. გიჟანა; ფშ., კახ. ცოფის ბალახი; ერწ. საგიჟებელა...* (კრ.ლექ.);

ბ) **დელ-ა** დასტურდება ძველ ქართულ ლექსიკონებში (საბა 1991, ერისთავი 1884, ჩუბინაშვილი 1985). ის ერთ-ერთი ბალახის სახელია, თუმცა დაკონკრეტებული არაა - რომლის.

ნიშანდობლივია, რომ ადამიანის მიერ დასახელებული მცენარეების დაგემოვნება-მიღება, მათი შედგენილობის გამო იწვევს ცენტრალური ნერვული სისტემის მძიმე დაზიანებას (შმაგა), ან ძლერი დასუსტების, წვის შეგრძნებას (წიწმატურა), რასაც უკავშირდება კიდევ ჩვენთვის საინტერესო ფიტონიმების მოტივაცია.

სემანტიკური კავშირების თვალსაზრისით საინტერესოა **ოდელია/ოდელიე**-ს (=წიწმატურა) სხვა სინონიმური სახელები (*ოფიც. წიწმატურა, მობ. წიწმატაი, სმხთ. წიწმატა, სამცხ. გარეული წიწმატი, წიწმატურა, იმერ. წიწმარიტა, ქვ.-იმერ. წიწმარიტე*) და ქართულში ფიტონიმ **წიწმატი**-დან მიღებული ნასახელარ ზმნათა მნიშვნელობები: „**წიწმატობ**-ს – მეტის-მეტად ცხარობს, კაპასობს“ (ქეგლ1964); „**წიწმარიტოფს** – ავობს, ძალიან ფიცხობს, კაპასობს“ (ძოწენიძე 1974). აქ მკაფიოა თურქ. **დელი**-ს სემანტიკასთან მათი სიახლოვე.

ამგვარად, უცხო ენიდან ნასესხები ლექსიკური ერთეული „დელი“ ქართულის დიალექტებში დაირთავს წარმოშობით ზანურ დანიშნულების **ო**-პრეფიქსსა და ქართულ მაფიტონიმებელ **ა**-სუფიქსს, რის შედეგადაც წარმოიქმნება დანიშნულების სახელი (ფიტონიმი). შესაძლებელია მეორე გზაც: თურქულიდან ნასესხები სიტყვა ზანურშივე გაფორმდა (**ო-დელი**), გადავიდა დასავლურ ქართულ დიალექტებში, სადაც დაერთო ქართული მაფიტონიმებელი **ა**-სუფიქსი და ამ სახით მხოლოდ აქ შემორჩა, რადგან თავად მეგრულაზურმა ეს ფიტონიმი დაკარგა.

2. ზანური და ქართული სახელების შერწყმა

დასტურდება ჰიბრიდული შედგენილობის რთული სახელებიც, რომელთა ერთი კომპონენტი ზანური წარმოშობისაა, მეორე - ქართული. მაგალითად, ასეთია რ. ერისთავის ლექსიკონში მცენარე ბუერასათვის გურულ მონაცემად დადასტურებული ფიტონიმი **დობირდუმელა**. ეს რთული სახელი ორი ფუძის შერწყმითაა მიღებული. პირველი კომპონენტი **დობირ-** ზანურია, შდრ., *მეგრ. დობერა/დობირა* - „ბარი, დაბლობი, ნაყოფიერი მიწა (ეწრის ანტონიმი) წყლის სანაპიროზე მდებარე ვაკე, სავენახე“ (ქობალია 2010); *ლაზ. „დობირა - ნოყიერი მიწა“* (თანდილავა 2010). რთული სახელის მეორე კომპონენტი **დუმელ-** ქართულის დიალექტებში, ძირითადად, რაჭულში, დადასტურებული ფიტონიმების ფონეტიკური ვარიანტია, შდრ.: *ზ.რაჭ. დიმელა; ზ.-რაჭ., ჩვ.ქ. დილმა*; აქვე ის ერთ-ერთ კომპონენტად დასტურდება რთული შედგენილობის სხვა ფიტონიმებშიც: *ზ.-რაჭ., რაჭ. ყარდიმელა, გოგსოდიმელა* (=ბუერა, ბორხვენა *Petasites*).

ამგვარად: *ზან. დობირ + ქართ. დიმელა > დობირდუმელა* (იაუ წინამავალი ბილაბიალური **ო** ხმოვნის გავლენით).

ფიტონიმ **დობირდუმელას** მოტივაცია დაკავშირებულია ამ მცენარის გავრცელების თავისებურებასთან – იზრდება ნესტიან და ვაკე ადგილას, ღელისპირებზე.

3. ზანური სახელები.

განსაკუთრებით საინტერესოა ქართულის დასავლურ დიალექტებში დადასტურებული ზანური წარმოშობის ფიტონიმები, რომლებიც დაკარგულია (ან შეცვლილი სემანტიკითაა) თავად მეგრულ-ლაზურში.

მაგალითები: *ქვ. იმერ. ძინკოლა* (გაჩეჩილაძე 1976) და *ოკრ. ჯინკოლა* (ქეგლ 1964, ალ. ღლონტი 1984) ზანური რთული სახელის ფონეტიკური სახეცვლილებების შედეგად მიღებული ფიტონიმებია. მათი მიღების გზა ასე წარმოგვიდგენია: *ზან. ჯინჯი+კოლო* („ძირი+მწარე“) > *ჯინჯკოლო > ჯინკოლო > ოკრ. ჯინკოლა > ქვ.-იმერ. ძინკოლა-ა*, სადაც: *მეგრ., ლაზ. „ჯინჯი - ძირი, ფესვი, ბოლქვი“; მეგრ. „კოლო - მწარე“* (ქობალია 2010), *ლაზ. „კოლო - მწარე, ცხარე, პიმპილი“* (თანდილავა 2013).

ძინკოლა და ჯინკოლა დიალექტური სინონიმებია ცნობილი სამკურნალო მცენარისა ქართული ძირმწარა *Aristolochia pontica*

Lam., A. Iberica Fisch. et C. A. Mey. ex . Boiss. ამ ფიტონიმთა მოტივაციის საფუძველია მცენარის ფესვის მწარე გემო. (საზოგადოდ, ფესვის ნიშან-თვისების მიხედვით მცენარის სახელდება და ამგვარი წარმოების სახელები ჩვეულია ქართველური ენებისათვის, მაგ. მეგრ. *ჯინჯიჭითა* - ქართ. *ძირწითელა*). შდრ., ამავე მცენარის სხვა სინონიმები: *სამცხ.*, *იმერ. ძიმწარა*; *ქვ.-იმერ. ძინმწარე*; *ქვ.-იმერ., რაჭ. ძიმწარე, ძინწარე* (გაჩეჩილაძე 1976, შარაშენიძე 2017, კობახიძე 1987); *ჩვ.ქ. ძიმწარაი* (ფუტყარაძე 1993); ძველ ლექსიკონებში: *ძიმწარე* (საბა, ნ.ჩ., რ.ე. დ.ჩ.), *ძირმწარე* (ჩუბინაშვილი 1961, ერისთავი 1884, ჩუბინაშვილი 1985).

საგულისხმოა, რომ თავად მეგრულ-ლახურში არ ჩანს ფიტონიმი *ჯინჯიკოლო*, მაგრამ ის ფონეტიკურად სახეცვლილი შემოგვინახა *ქვ.-იმერულმა* და *ოკრიბულმა*. საინტერესოა ისიც, რომ ქვემო იმერულში ზანური წარმოშობის სახელის გვერდით დასტურდება ქართული ფორმებიც: *ძინმწარე* (გაჩეჩილაძე 1976), *ძიმწარე, ძინწარე* (გაჩეჩილაძე 1976, შარაშენიძე 2017).

იმერულსა და გურულში კიდევ ერთ ფიტონიმში ფიგურირებს ზანური ზედსართავი სახელი „კოლო“. ესაა „*შხანკოლა*“ (მცენარის ამოცნობა ვერ მოხერხდა), რომელიც ასეა განმარტებული: „მეტად მწარე შხამიანი ბალახი. ნ. შხანკალა“ (ლლონტი 1984; ჭყონია 1910); „*შხანკალა* (გურ.) - ძლიერ მწარე“ (ლლონტი 1984).

რთული სახელი *შხანკოლა* ზანური წარმოშობისაა და იმერულ-გურულში ქართული მაფიტონიმბელი ა-სუფიქსითაა გაფორმებული, შდრ.: *მეგრ. შხამ/შხან+კოლო* („შხამი/გესლი+მწარე“) > *შხანკოლო* > *ქართ. შხანკოლ-ა*. ამ ფიტონიმიდან მივიღეთ ზედსართავი სახელი *შხანკალა* „ძლიერ მწარე“. მეგრულშიც დასტურდება სახელი *შხანკოლა*, მხოლოდ არა ბალახის, არამედ სოკოს სახელად, შდრ.: „*შხანკოლა* – შხამივით მწარე; ერთგვარი სოკო“ (ქობალია 2013).

არა მხოლოდ ქართულის დიალექტებმა გადაარჩინა ზანური წარმოშობის ფიტონიმები, არამედ პირუკუც: ქართული გაფორმების სახელი, შესაძლოა, დადასტურდეს მხოლოდ ზანურში. ასეთია, მაგალითად, მეგრული ფიტონიმი *სა-ხოკ-ი-ა* (= ძაღლისენა *Cynoglossum*), რომელიც არ ჩანს ქართულის კილოებში, თუმცა მისი ზანური მორფოლოგიური ბადალი დაჩნდება *ქვ. იმერულსა* და *გურულში*:

ო-ხოკ-უ-ა/ო-ხაკ-უ-ა (= ჩვულებრივი ოროვანდი *Arctium lappa L.*). აქ საწარმოქმნო ფუძეა **ხოკ** (**/ხაკ**), რომელიც პირუტყვის დაავადების სახელს (**ხოკი**) უკავშირდება. მთლიანი ფორმა **ო-ხოკ-უ-ა** (დანიშნულების სახელი+მაფიტონიმბელი **ა-სუფიქსი**) ზანურ-ქართული გაფორმების დანიშნულების სახელია, რადგან მცენარეს **ხოკის** სამკურნალოდ იყენებდნენ (ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2006: 125-126).

დასკვნა. დასავლეთ საქართველოს დიალექტთა ფიტონიმი-ში ზანური კვალი ძირითადად სამი მიმართულებით შეიმჩნევა: ზანური წარმოება, ზანური და ქართული ფორმების შერწყმა, ზანური სახელები.

წარმოქმნილ სახელებში თვალშისაცემია ზანურ-ქართული (ჰიბრიდული) წარმოება და ზანური **ო-** პრეფიქსის როლი, რომელიც საერთო დერივაციულ ინვენტარად იკვეთება. საზოგადოდ, ზანური სუბსტრატის რაობისა და ბუნების შესასწავლად ე.წ. ჰიბრიდული ფორმები საყურადღებოა მასალაა.

იკვეთება ქართული მაფიტონიმბელი **ა-სუფიქსის** განსაკუთრებული დანიშნულება - ზანური წარმოების სახელების „გაქართულება“.

მეგრულ-ლაზურში დაკარგული არაერთი ფიტონიმი ქართულის დასავლურმა კილოებმა შემოინახა სუბსტრატის სახით (**ოხოკუა, ჯინკოლა...**).

გამოყენებლი ლიტერატურა

გაჩეილაძე 1976 – პ. გაჩეილაძე, იმერული დიალექტის სალექსიკონო მასალა (ხანისწყლის ხეობა), თბილისი

ერისთავი 1884 – რ. ერისთავი, ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი: მცენარეთა, ცხოველთა და ლითონთა სამეფოებებიდან, თბილისი

თანდილავა 2013 –ა. თანდილავა, ლაზური ლექსიკონი, თბილისი

კობახიძე 1987 – ალ. კობახიძე, რაჭული დიალექტის ლექსიკონი (მასალები), თბილისი

მაყაშვილი 1961 – ალ. მაყაშვილი, ბოტანიკური ლექსიკონი, თბილისი

საბა 1991 – ს.ს. ორბელიანი, სიტყვის კონა, თბილისი

ქეგლ 1951, 1953, 1964 – ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ტ. II, III, VIII, თბილისი

ქობალა 2010 – ა. ქობალა, მეგრული ლექსიკონი, თბილისი

კრ.ლექ. – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, დ. ჭელიძე, მცენარეთა სახელების კრებითი ლექსიკონი (გადაცემულია დასაბეჭდად), თბილისი

ფუტკარაძე 1993 – შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, ბათუმი

ღლონტი 1984 – ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, თბილისი

შარაშენიძე 2017 – ნ. შარაშენიძე, საჩინოური ქართული : ქვემოიძერი კილო ერთი სოფლის მეტყველების მიხედვით, თბილისი

ჩუბინაშვილი 1961 – ნ. ჩუბინაშვილი, ქართული ლექსიკონი, ალ. ღლონტის რედაქციითა და გამოკვლევით, თბილისი.

ჩუბინაშვილი 1985 – დ. ჩუბინაშვილი, ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი.

ძოწენიძე 1974 – ქ. ძოწენიძე, ზემოიძერი ლექსიკონი, თბილისი

ჭყონია 1910 – ი. ჭყონია, სიტყვის კონა (საბა-სულხან ორბელიანის და დავით ჩუბინაშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები), პეტერბურგი.

ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2003 – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ასუფიქსიანი მცენარეთა სახელები ქართულში, კრებ. ბესარიონ ჯორბენაძეს, თბილისი

ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2000 – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, ზანიზმები მცენარეთა სახელწოდებებში, ქართველური მემკვიდრეობა, IV, ქუთაისი

ხოჭოლავა-მაჭავარიანი 2006 – ნ. ხოჭოლავა-მაჭავარიანი, მცენარეთა სახელდება ქართულში, დისერტაცია ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, თბილისი

ანა ხურცილავა

ინგლისურ- და ესპანურ ონლაინეტიმოლოგიური ლექსიკონების სტრუქტურა

ინგლისური ეტიმოლოგიური ონლაინლექსიკონი, რომელიც 2001 წელს ამერიკელმა ჟურნალისტმა დუგლას ჰარპერმა შექმნა, 50 000-ზე მეტ სიტყვას აერთიანებს.

ონლაინლექსიკონის მთავარ გვერდზე გამოტანილია სიტყვის საძიებო ფანჯარა. ძიება ანბანთრიგზეა. აქვეა მითითებული ყველაზე ხშირად მოძიებული სიტყვებიც.

ძიება შესაძლებელია არა მხოლოდ სიტყვის (ტერმინის) ჩაწერით, არამედ სუფიქსისა და პრეფიქსის (მაგ., phobia, -ism, -ship), წლების ან იმ საუკუნის მიხედვით, როდესაც პირველად გამოჩნდა სიტყვა.

ჩვენთვის საინტერესო ნებისმიერი სიტყვის ჩაწერისას, იხსნება ფანჯარა, რომელიც თავდაპირველად გვიჩვენებს საძიებო სიტყვასთან დაკავშირებულ ყველა სიტყვა-სტატისას. მაგ., Man-ის შემთხვევაში: muscle-man, letter-man, he-man და ა.შ.

უშუალოდ სიტყვის განხილვისას, გრაფაში – **სიტყვა** – (word) – მითითებულია თარიღი (შეიძლება, ეს იყოს წელი, საუკუნე ან პერიოდი), როდესაც ენაში სიტყვის პირველი წერილობითი ფორმა დასტურდება. თუ ზუსტი წელია ცნობილი, მაშინ, რა თქმა უნდა, ის მითითება. მაგ., internet – 1984 წლიდან დასტურდება ენაში. შესაძლოა, მხოლოდ პერიოდი იყოს ცნობილი, მაგ., naive – 1650-იანი წლებიდან ან საუკუნე – nurse – მე-12 საუკუნიდან. თუ თარიღი არაა ზუსტი და მიახლოებით ივარაუდება, მაშინ ინგლისურში თარიღს წინ უსწრებს “c”, რაც ნიშნავს დაახლოებით. მაგ., insult (n) – დაახლოებით 1600 წლიდან (c 1600) დასტურდება, როგორც არსებითი.

შემდეგ მითითება წყაროებში დადასტურებული წერილობითი ფორმა (რა თქმა უნდა, თუ ინფორმაცია არის ამის შესახებ. ამგვარად იკვეთება ფონეტიკური ცვლილებები, რომელსაც სიტყვა განიცდის) და თითქმის ყველა შემთხვევაში, მითითებულია წყარო ენა. რა თქმა უნდა, არის ისეთი შემთხვევებიც, როცა არ გვაქვს ინფორმაცია

წყარო ენის შესახებ, დაუზუსტებელია ან საკამათოა. ასეთ დროს სიტყვას მიეთითება “უცნობი” ან საკამათო”.

ვრცლად განვიხილოთ ინგლისური სიტყვა man – კაცი – ძვ. ინგლისურში man, mann – ადამიანი (კაცი ან ქალი); მამაცი, გმირი. აგრეთვე – მსახური, ზრდასრული მამაკაცი, რომელიც სხვისი ზედამხედველობის ქვეშაა. სათავეს იღებს პროტოგერმანული mann-იდან (წყარო ენებია აგრეთვე ძვ. საქსონური, შვედური, ჰოლანდიური, ძველი მაღალი გერმანული man, ძვ. რიზული mon, გერმანული mann, ძვ. ნორვეგიული madr, დანიური mand, გოთური manna “man”),

ზოგჯერ დაკავშირებულია ძირთან men “ფიქრი”, რომელმაც შესაძლოა აწარმოა man-ის ძირითადი მნიშვნელობა – “ის, ვისაც ინტელექტი აქვს”. თუმცა ყველა ენათმეცნიერი ამ აზრს არ იზიარებს.

“ადამიანთა მოდემის მამაკაცის” გაგება (რომელშიც უკვე განირჩევა ქალი და კაცი), უკავშირდება ძვ. ინგლისურის მიწურულს. ძვ. ინგლისური იყენებდა wer და wif-ს სქესის გასარჩევად, თუმცა wer მე-13 საუკუნის ბოლოს გაქრა და მას შეენაცვლა man. სიტყვის უნივერსალური გაგება შემორჩენილია mankind-სა (კაცობრიობა) და manslaughter-ში (კაცის მკვლელობა). მსგავსად, ლათინურს ჰქონდა homo “ადამიანი” და vir “ზრდასრული მამაკაცი”, თუმცა ლათინურ ხალხურ ენაში ორივემ მნიშვნელობა გაიფართოვა. მსგავსი ცვლილება განიცადა სლავურ ენებში, ხოლო ზოგიერთ მათგანში სიტყვის მნიშვნელობა შევიწროვდა და დარჩა მხოლოდ მნიშვნელობა “ქმარი”. პროტოინდოევროპულ ენას ჰქონდა man-ის ორი სხვა ძირი: uiHro – თავისუფალი ადამიანი (freeman) (წყარო ენა – სანსკრიტი vira-, ლიეტუური vyras, ლათინური vir, ძველი ირლანდიური fer, გოთური wair;) და hner “კაცი” უფრო მეტად პატივსაცემი წოდება, ვიდრე uiHro.

Man ძველ ინგლისურში განუსაზღვრელი ნაცვალსახელის “ვიდაც, ხალხი, ისინი”- ს მნიშვნელობით იხმარებოდა. ხოლო “კაცობრიობის, კაცთა მოდემის” მნიშვნელობით, დაახლოებით, 1200 წლიდან.

“ქალების მოყვარული” მე-14 საუკუნის შუა პერიოდიდან. “ზრდასრული მამაკაცი, რომელიც მამაკაცურ თვისებებს ფლობს” – მე-14 საუკუნიდან.

მამაკაცის, როგორც უფროსის (boss), გამოყენება 1918 წლიდან იწყება სასაუბრო ენაში.

როგორც ვხედავთ, გრაფაში **სიტყვა** (word), სადაც უშუალოდ სიტყვის ეტიმოლოგიაა განხილული, მოცემულია განმარტება, ნაჩვენებია სიტყვის წარმომავლობა და ისტორია. სიტყვის ისტორიაში ჩანს, როგორ ეცვლებოდა სემანტიკური მნიშვნელობა man-ს და ცვლილებები იერარქიულადაა გამოყოფილი.

აქვეა მოყვანილი ფრაზები: Man's man, კაცის კაცი – ის, ვისი თვისებებიც სხვა მამაკაცებისგან ფასდება, 1873 წლიდან გვაქვს. To be man or mouse (იყავი გაბედული ან მხდალი) 1540-იანი წლებიდან. Man-about-town – კაცი, რომელიც კლუბებში, თეატრებსა და სხვა სოციალურ თავყრილობებზე ხშირად იმყოფება, 1734 წლიდან. Man of the world – მე-14 საუკუნის შუა პერიოდიდან – მნიშვნელობით “საერო პირი, ერისკაცი”.

სიტყვა მაგალითებითაც არის ნაჩვენები. ერთ-ერთია: So I am as he that seythe, 'Come hyddr John, my man.' (1473).

თუ სიტყვას ორი ან მეტი მნიშვნელობა აქვს, მაშინ ის მეორდება და განხილულია შესაბამისი მეტყველების ნაწილის მნიშვნელობით. man მსგავსი შემთხვევაა და ცალკეა გამოტანილი მისი ზმნური გაგება.

Man – როგორც ზმნა – (საშუალო ინგლისური mannen – ძველი ინგლისურიდან mannian) “უზრუნველყო (ციხე-სიმაგრე, გემი და ა.შ.) კაცების კამპანით”. პირველად 1960-იან წლებში ჩნდება ჩანაწერებში. მნიშვნელობა – “მოიქცე მამაკაცივით, მამაკაცურად” დაახლოებით 1400 წლიდან დასტურდება.

Man-ის როგორც არსებითი სახელის, ასევე ზმნის წყარო ენები ვიზუალურადაც არის ნაჩვენები შემდეგნაირად:

განხილულია men (მრავლობითი ფორმით) არსებითი სახელის გაგებით: გერმანულ Männer-ის მსგავსად, აჩვენებს i-უმლაუტის გავლენას. ძვ. ინგლისურში გამოიყენება, როგორც განუსაზღვრელი ნაცვალსახელი (“ერთი, ხალხი, ისინი”). ადამიანების გათავისუფლება – Men's liberation – პირველად დადასტურდა 1970 წელს. Men's room – კაცების ოთახი – იგივე საპირფარეშო – 1908 წლიდან დასტურდება (ამერიკული ინგლისური). ადრე მას უფრო ზოგადი გაგება ჰქონდა.

men's room – არს. “ოთახის (სამზარეულო და სასადილო) ერთი ბოლო გადატიხრულია *მამაკაცებისთვის*, სადაც მათი გუნდი სადამოებით დროს ატარებს, ეწევა, კითხულობს, მღერის, ლესავს ნაჯახს, ყვება ამბებს და ა.შ. სანამ თავიანთ ოთახებში დასაძინებლად კიბეს აუყვებიან. მრავალი წლის განმავლობაში ქალები მზარეულობდნენ ბანაკებში, აქედან გამომდინარე, *მამაკაცების ოთახი* აღნიშნავდა, რომ მამაკაცების გუნდს ცალკე ჰქონდა გამოყოფილი ადგილი და სამზარეულოში მხოლოდ ჭამის დროს შეეძლოთ ყოფნა.

Menswear – მამაკაცების ტანსაცმელი – დასტურდება 1906 წლიდან. მეტაფორულად გამოიყენება 1943 წლიდან კაცების ბიჭებისგან განსხვავების მიზნით – “გამოვყოთ კაცური, მოწიფული, უნარიანი და ა.შ. სხვა დანარჩენისგან”; ყველაზე ადრეული გამოყენება მიეწერება შეერთებული შტატების პილოტებს მეორე მსოფლიო ომში.

ლექსიკონში მსგავსი ძირით ნაწარმოები სიტყვები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და გამოყოფილი.

Man-ის შემთხვევაში, საინტერესოა, რომ გამოიყოფა ორი ძირი და, შესაბამისად, მათთან დაკავშირებული სიტყვებიც განსხვავდება. პირველი მნიშვნელობა უკავშირდება **კაცს**. ჰიპოთეტურ წყაროდ მოიაზრება სანსკრიტის *manuh*, ავესტური *manu-*, ძვ. საეკლესიო სლავური *mozi*, რუსული *muzh* "man, male;" ძვ. ინგლისური *man, mann* “ადამიანი, პიროვნება; მამაცი კაცი, გმირი; მსახური, ვასალი”. ამ ძირით ნაწარმოები სიტყვებია *alderman; Alemanni; fugleman; Herman; hetman; landsman; leman; man; manikin; mannequin; mannish; mensch; Norman; ombudsman; yeoman*.

ხოლო მეორე – **ხელს** და მისგან ნაწარმოებია: *amanuensis; command; commando; commend; countermand; demand; Edmund; emancipate; legerdemain; maintain; manacle; manage; manciple; mandamus; mandate; manege; maneuver; manicure; manifest; manipulation; manner; manque; mansuetude; manual; manubrium; manufacture; manumission; manumit; manure; manuscript; mastiff; Maundy Thursday; mortmain; Raymond; recommend; remand; Sigismund*.

ჰიპოთეტური წყარო ხეთური *maniih* - განაწილება, დაკისრება; ბერძნული *mane* "ხელი"; ლათინური *manus* "ხელი, ძალა, ვინ-

მეზე ძალაუფლება; შეიარაღებული ძალა; ხელწერა; ბრანება; ვინმეს ხელში გადაცემა, მიწოდება”.

ძვ. სკანდინავიური mund – ხელი, ძვ. ინგლისური mund – დაცვა, პატრონაჟი, გერმანული Vormund – დაცვა; ძვ. ირლანდიური muin – დაცვა, პატრონაჟი.

სამივე შემთხვევაში (man – როგორც არსებითი და ზმნა და ასევე men მრავლობითის ფორმით) ცვლილებებია წყარო ენებს შორის, ისევე როგორც ენაში მათი შემოსვლის თარიღია განსხვავებული.

გრაფაში **სახელი** (სახელწოდება) (name) მოცემულია სამიეობი სიტყვასთან დაკავშირებული სახელწოდებები (ქვეყნის, ქალაქის, პოლიტიკური მიმდინარეობის თუ სხვ.).

მაგ., **Herman** – მამრობითი სქესის სახელი გერმანული Hermann-იდან, ძვ. ზემო გერმანული Hariman, სიტყვასიტყვით “ომის კაცი, მებრძოლი”, რომელიც მომდინარეობს სიტყვისგან hari “ჯარი”.

აქვეა **Sigismund** – რომელიც მეორე ძირს უკავშირდება *man-(2) – რაც ხელს აღნიშნავს. ესაა მამაკაცის სახელი, რომელიც გერმანული ენიდან მომდინარეობს, სიტყვასიტყვით ნიშნავს “დაცვას გამარჯვების მეშვეობით”, ძვ. ზემო გერმანული sigu -დან “გამარჯვება”.

ფრაზის გრაფაში ნაჩვენებია ფრაზა, რომელსაც მეთაური სიტყვა უკავშირდება. მაგალითად ასეთებია marry-man, straw-man, wild man და ა.შ.

სუფიქსებში გამოიყოფა -mancy, -mane (ჯამში 5 სიტყვა მოიძებნა); **პრეფიქსებში** - anthropo -, andro -, eo -, nano – და ა.შ. ხოლო სიტყვის ძირში გამოყოფილია *man- (1) – კაცის გაგებით, ასევე *man-(2) - ხელის მნიშვნელობით, gere- (1) – პროტონინდოევროპული ძირი, რაც ნიშნავს “დაბერებას”. ერთ-ერთი ჰიპოთეტური წყაროს მიხედვით, ბერძნული geron ნიშნავს მოხუც კაცს;

*ner- (2) - პროტონინდოევროპული ძირი “კაცი”, ასევე “ძლიერი, ენერგიული”.

*wi-ro- პროტონინდოევროპული “კაცი” და ა.შ. ჯამში 8 ძირი უკავშირდება man-ს. თითოეულ ძირში გამოყოფილია სიტყვები, რომელთაც ნაწილობრივ ან მთლიანად ქმნის აღნიშნული ძირები.

აღსანიშნავია, რომ როგორც man, ისე თითოეული სიტყვის გაზიარება შესაძლებელია სოციალურ ქსელებზე (facebook, twitter, reddit).

ინგლისური ონლაინეტიმოლოგიური ლექსიკონი ამომწურავ ინფორმაციას გვაწვდის სიტყვის ისტორიის შესახებ. გათვალისწინებულია სიტყვის ეტიმოლოგიასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა საკითხი -- სიტყვის ძირი, პრეფიქს-სუფიქსი, ფრაზა, სახელწოდება და საერთო ძირით ნაწარმოები სიტყვები ერთმანეთს უკავშირდება. ყოველივე ვიზუალურადაც კარგადაა ნაჩვენები და, საჭიროების შემთხვევაში, ერთმანეთთან დაკავშირებული. საჭირო ინფორმაცია შეკრულია და ამომწურავი.

ინგლისურის გვერდით საინტერესო იყო სხვა ეტიმოლოგიური ლექსიკონების გაანალიზებაც. მაგალითისთვის ვარჩიეთ ესპანურენოვანი ლექსიკონი. ინტერნეტში სამი ეტიმოლოგიური ლექსიკონია მისაწვდომი. ერთერთია **ესპანური ეტიმოლოგიური ლექსიკონი Etymological Dictionary of Spanish (EDoS) (etymologyofspanish.com)**, რომელიც 2016 წელს შეიქმნა და განკუთვნილია, როგორც აკადემიური წრისთვის, ისე მოყვარულთათვის. ონლაინლექსიკონის შემქმნელები მადლობას უხდებიან ჰარპერს, როგორც მათთვის მაგალითის მიმცემს.

ლექსიკონი etymonline – ის ანალოგიითა შექმნილი, თუმცა არაა იმდენად მრავალფეროვანი, რამდენადაც ინგლისური ვერსია. ძიება აქაც ანბანთრიგზეა, მაგრამ არაა ნაჩვენები ყველაზე ხშირად გამოყენებული სიტყვები.

შედარებისთვის კვლავ განვიხილოთ მაგალითი **Hombre - კაცი**. განმარტებულია ამგვარად: არს. სახ. “კაცი” მე-10 ს. ძვ. ესპანური omne. ლათინური hominem -იდან, homo-ს ბრალდებითი ფორმა (არქაული ლათინური hemo). პროტორომანული *χem-ō, პროტონდოევროპული *dhǵem-ōn “ადამიანი”, მაგრამ სიტყვასიტყვით ნიშნავდა “მიწიერს”. *dheǵ-ōm – ძირიდან, რაც “მიწას” აღნიშნავს.

აქაც მოცემულია წყარო ენები და შესაბამისი შესატყვისები. მაგ.,

ინდოევროპული

რომანული

ასტურიული home, პორტუგალიური homem, გალიციური home, კატალანური home, ფრანგული homme, იტალიური uomo და ა.შ.

იტალიკური

ოსკანური humuns "men," უმბრიული homonus "to the men" და ა.შ.

აქვე ვკითხულობთ: – Mn-ის გადაქცევა -mr-ად, შემდგომ – mbr-ად ესპანურისთვის ჩვეულებრივი მოვლენაა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ ინდოევროპელებმა განსაკუთრებული მეტაფორით გამოხატეს კავშირი ღვთაებრივსა და ვარსკვლავებს, ადამიანს, მიწას შორის. არასად ისე მკაფიოდ და ნათლად არ ჩანს ეს მეტაფორა, როგორც hombre სიტყვის ეტიმოლოგიაში. (ინდოევროპული წარმოდგენა ღმერთების შესახებ, როგორც “ნათელი” და “ზეციური არსება” – სწორედ ის თვისებაა, რომელიც ღმერთს ადამიანებისგან ანუ “მიწიერი არსებებისგან” გამოჰყოფს (ასეთია ლათინური სიტყვის “კაცის” “homo”-ს მნიშვნელობა). გამოყოფილია სუფიქსი -ctono .

მსგავსად ინგლისური ონლაინეტიმოლოგიური ლექსიკონისა, მთავარ გვერდზე მოცემულია ე.წ. დღის სიტყვა. აქვე ინფორმაცია ლექსიკონის შემქნელთა, გამოყენებულ წყაროთა, ესპანური ენის ფონოლოგიის შესახებ. ლექსიკონი მიზნულია Facebook-ზე.

ინტერნტში მოცემულია ესპანური ენის მეორე ეტიმოლოგიური ლექსიკონი – **DECCEL - Spanish Etymological Dictionary Online (dechile.net)** (ესპანურენოვანი, პირველისგან განსხვავებით). იგი განთავსებულია www.deChile.net-ზე, რომელიც ძირითადად ესპანური ენის ჩილური ვარიანტის გამოთქმებს, ფრაზებს, ეტიმოლოგიას, გვარების წარმომავლობას, ქალაქებს, წესებს და ა.შ. გვამცნობს. თუმცა გვერდზე აღნიშნულია, რომ ჩილურ ვარიანტთან ერთად ზოგადად ესპანურიც მოიაზრება.

საინტერესოა, რომ ვებგვერდზე რუსული ენაცაა გამოყოფილი ცალკე გრაფაში. აღმოჩნდა, რომ Chile.net-ის დამფუძნებელი, სპონ-

სორი და ხელმძღვანელი წარმოშობით რუსი ვალენტინ ანდერსია, თუმცა ჩილეში დაბადებული და გაზრდილი.

პროფესიით კომპიუტერების ინჟინერმა ათასობით სიტყვის წარმომავლობა გამოიკვლია და საიტზე გამოაქვეყნა. როგორც თავად აღნიშნავს, ენის სიყვარულმა აიძულა შეესწავლა ლიტერატურა და შეექმნა ეტიმოლოგიური ლექსიკონი. ვებგვერდით ბევრი ესპანელი პროფესორი და ფილოლოგი დაინტერესდა და მას სტატიებიც მიუძღვნა.

DECCEL - Spanish Etymological Dictionary Online (dechile.net) – 2001 წელს შეიქმნა და შედგება 15 000 სიტყვა-სტატიისგან. როგორც საიტის ავტორი აღნიშნავს, ლექსიკონი მოიცავს სიტყვის ისტორიის ყველა ვერსიას, რომელიც საინტერესოა. არ აქვს მნიშვნელობა, ჭეშმარიტია ის თუ არა, რადგან მიაჩნიათ, რომ განსახილველად თითოეული მათგანი ღირებულია.

ძიება აქაც ანბანთრიგზეა. მაგალითად, **h**-ს მითითებისას იშლება ამ ასო-ბგერაზე არსებული ისტორია. კერძოდ, ვკითხულობთ: **h**-ის წარმომავლობა უკავშირდება ებრაულ **heth**-ს, რაც სემიტურ ენებში აღნიშნავდა დახურულს, ამიტომაც მას აქვს ძელაკი (რაზა) შუაში (იგულისხმება ზოლი შუაში). ნაჩვენებია ვიზუალურადაც, როგორ იწერებოდა ასო ფინიკიურად, ებრაულად, ბერძნულად და ა.შ.

ვრცლადაა მოცემული ასო H-ის ისტორია და განხილვის დასასრულს ცალკეა გამოყოფილი ამავე ასო-ბგერით დაწყებული სიტყვები.

კვლავ განვიხილოთ სიტყვა **hombre**. წერია: სიტყვა **კაცი** მომდინარეობს ლათინური **homine**-დან, ის შეიძლება წარმომდგარიყო **humus** (მიწა)-დან, რათა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ვართ მიწა და მასვე დავუბრუნდებით. ლათინური **humus**-იც უკავშირდება ინდოევროპულ ძირს **dhghem**-ს (მიწა).

სუფიქსი **-bre**, რომელიც ლათინურიდან მომდინარეობს, საკმაოდ გავრცელებულია, მაგ.,

Cupprum – cobre

Famen – hambre

Pauper – pobre

Famen -ის შეცვლა hambre-დ ეპენტეზისის (სიტყვაში დამატებითი ბგერის გაჩენის) მაგალითია. აღსანიშნავია, რომ ესპანურში სიტყვას ვერ წარმოვთქვამთ ხმოვნის გარეშე, თუმცა ლათინურს აქვს თანხმოვნები, რომლებიც ხმოვნების გარეშე წარმოითქმის და მათ ნახევართანხმოვნებს ვუწოდებთ. ესენი ქმნიან ე.წ. სონანტებს. სონანტა ორი ტიპი არსებობს: ა) ნაზალური (ნ, მ) (n, m) და ბ) ნარნარა (ლ, რ) (l, r). ესპანელ ხალხს არ შეეძლო mr-ს წარმოთქმა, ამიტომ დაამატეს b. (mbr). შესაბამისად, ცვლილებამ შემდეგი სახე მიიღო:

1. Homine – ამ სიტყვაში მახვილი ეცემა o-ზე (hormine). ეს არის ტონური ხმოვანი, მომდევნო ხმოვანი i (პოსტტონური) დაკარგულია. ამას ეწოდება სინკოპაცია (syncopation). ამდენად, გვაქვს:

* homne (ვარსკვლავი აღნიშნავს, რომ ეს აღდგენილი სიტყვაა)

2. ესპანელთა მეორე პრობლემა ისაა, რომ ისინი ვერ წარმოთქვამენ ორ ნაზალურ ბგერას ერთად (mn). ამდენად, ნაზალური n ჩაანაცვლეს ნარნარა r-თი: homre

3. საბოლოოდ, ჩართული თანხმოვანი b დაემატა mr-ს ჯგუფს და მივიღეთ hombre.

გვერდის ბოლოს ნაჩვენებია როდის განახლდა ინფორმაცია; 10 სიტყვა, რომელიც დაემატა ლექსიკონს და 10 პოსტი, რომელსაც ყველაზე ხშირი ნახვა ჰქონდა წინა დღეს. რაც შეეხება პრეფიქსებსა და ძირებს, ისინი ცალკე გვერდზეა გამოყოფილი. ჩამოთვლილია ყველა ლათინური და ბერძნული პრეფიქსი და ძირი ერთად.

გამოყოფილია ბიბლიოგრაფიაც:

წინა ლექსიკონისგან განსხვავებით, აქ ძირითადი ყურადღება გამახვილებულია hombre -ს (კაცის) ფონეტიკურ ცვლილებებზე და ინფორმაციაც შედარებით განსხვავებულია.

ინტერნეტში იძებნება კიდევ ერთი ესპანური ენის ონლაინ-ლექსიკონი (www.elcastellano.org), რომელშიც განთავსებულია ეტიმოლოგიურიც - <http://www.elcastellano.org/palabra.php>

ვებგვერდზე აღნიშნული ინფორმაციით, ეს არის პირველი ონლაინეტიმოლოგიური ლექსიკონი ესპანური ენისა (1996 წ.) და ის დროთა განმავლობაში შეივსება. ჯერჯერობით არაა სრული სახით წარმოდგენილი.

აქაც მაგალითისთვის ავიღეთ კაცი – **hombre**. ვკითხულობთ: hombre-ს აქვს სხვადასხვა სემანტიკური ნიუანსი და მისგან მრავალი სიტყვა იწარმოება. **Royal Academy** მას განმარტავს, როგორც “რაციონალურ ცოცხალ არსებას, ქალს ან კაცს”. განმარტება, რომელმაც შესაძლოა შეამსუბუქოს იმ ფემინისტთა ტკივილი, რომლებიც ენაში მამაკაცის უპირატესობის აღნიშვნის წინააღმდეგენი არიან. ამდენად, როდესაც ვსაუბრობთ შუასაუკუნეების ტერმინზე hombre, იგი უნდა აღვიქვათ, როგორც ორივე სქესის მაჩვენებელი.

სიტყვა ლათინური homo, hominis- იდან იღებს სათავეს, რომელიც ასევე აღნიშნავდა “ადამიანთა მოდემის წარმომადგენელს, კაცს ან ქალს”, თუმცა ამ პერიოდში უკვე შეიძლებოდა ჯარისკაცის ან მონის აღნიშვნა ამ სიტყვით.

კაცი დღევანდელი გაგებით დაახლოებით 1535 წელს ჩნდება ესპანურში.

აქვია განხილული რამდენიმე ნაწარმოები სიტყვაც, მაგ., homenaje, homicidio, superhombre და homofobia. თუმცა, ბოლო სიტყვასთან დაკავშირებით მითითებულია, რომ იგი არ უკავშირდება ლათინურ homo-ს (კაცს), არამედ ბერძნულ პრეფიქსს – homos – თანასწორს.

ცალკე სტატიებადაა გამოყოფილი ეტიმოლოგია დღის სიტყვებისა, დაახლოებით, 20 გვერდზე.

აღსანიშნავია, რომ ეტიმოლოგიური ლექსიკონი ეყრდნობა **Ricardo Soca-ს** წიგნებს **სიტყვების მომაჯადოებელი ისტორია (La fascinante historia de las palabras)** და **სიტყვათა ახალი მომაჯადოებელი ამბავი (Nuevas fascinantes historias de las palabras)**.

ვებგვერდი მომხმარებელს სთავაზობს მეილით გაწვერიანებას და ამ გზით ყოველდღე თითოეული სიტყვის მნიშვნელობის, ისტორიის, ეტიმოლოგიის გაცნობას.

განვიხილეთ სამი ესპანური ონლაინეტიმოლოგიური ლექსიკონი. ინგლისური ონლაინეტიმოლოგიური ლექსიკონის ანალოგიით შექმნილი Etymological Dictionary of Spanish (EDoS) (etymology of spanish.com) , DECEL - Spanish Etymological Dictionary Online (dechile.net) და <http://www.elcastellano.org/palabra.php>.

თუ ინგლისურ etymonline-სა და მისი ანალოგიით შექმნილ EDoS-ს ერთანეთს შევუდარებთ, ვნახავთ, რომ ესპანურ ლექსიკონში არ ჩანს სიტყვასთან დაკავშირებული ფრაზები, სახელწოდებები, არც მაგალითებია მოცემული. სიტყვის ძიებისას არაა ნაჩვენები მასთან დაკავშირებული სხვა სიტყვები; არც ის თარიღია (მიახლოებითი ან ზუსტი) მითითებული, როდესაც სიტყვა წერილობითი ფორმით პირველად დასტურდება ენაში.

მეორე ლექსიკონშიც DECEL – Spanish Etymological Dictionary Online (dechile.net) მსგავსადაა განხილული სიტყვა. მნიშვნელობასა და წარმომავლობასთან ერთად, მოცემულია ფონეტიკური ცვლილებებიც. ორივეგან გამახვილებულია ყურადღება **hombre**-ს კავშირზე მიწასთან. ხოლო მესამე ონლაინლექსიკონში – [elcastellano.org \(http://www.elcastellano.org/palabra.php\)](http://www.elcastellano.org/palabra.php) – მოცემულია მხოლოდ ზოგადი განმარტება. თუმცა, აღსანიშნავია, რომ აქ წინამორბედებისგან განსხვავებით, **hombre**-თი ნაწარმოები სიტყვები მოცემულია.

ინგლისური და ესპანური ონლაინეტიმოლოგიური ლექსიკონების შედარებისას, ცხადია, გამოიკვეთა მათ შორის მსგავსება. ფაქტობრივად, ოთხივე ლექსიკონი ერთსა და იმავე სტრუქტურაზეა აგებული. თუმცა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინგლისური ონლაინეტიმოლოგიური ლექსიკონი ყველაზე სრულყოფილია იმ ლექსიკონებს შორის, რომლებიც აქ განვიხილეთ. ესპანურენოვანი ლექსიკონების ანალიზისას კი ჩანს, რომ არათანმიმდევრულია მიდგომა და ინფორმაციაც მეტ-ნაკლებად სრულია. ესპანური ლექსიკონები, რა თქმა უნდა, მოიცავს ღირებულ ინფორმაციას, თუმცა იქმნება შთაბეჭდილება, რომ თითოეულში არასრული ინფორმაციაა, სამივე კი ერთმანეთს ავსებს.

წყაროები

<https://www.etymonline.com/>

<https://www.etymologyofspanish.com/>

<http://www.dechile.net/>

<http://etimologias.dechile.net/>

<https://www.elcastellano.org/palabra.php>

<https://en.wikipedia.org/wiki/Online–Etymology–Dictionary>

Etymonline: From etymological dictionary to an online digital library, Master's thesis, 2017 - <https://hb.diva-portal.org/smash/get/diva2:1203215/FULLTEXT01.pdf>

ს ა რ ჩ ე ვ ი

ა ნ ფ ი მ ი ა დ ი დ. – სახელდება, როგორც ყოფიერების სივრცის კოპირების იმიტაცია მიგრაციული პროცესების კონტექსტში (ქვემოქართლის ბერძნული სოფლების მაგალითზე).....	7
ა რ დ ო ტ ე ლ ი ნ. – არდოტის მიკროტოპონიმიის შესწავლისათვის	12
ა ხ ა ლ ა ი ა ნ. – ფსევდოპასივები მეგრულსა და ლაზურში	18
ა ხ ა ლ ა ი ა ვ. – გიორგი როგავა და ქართული ჰიპოტაქსის საკითხები.....	24
ა ხ ვ ლ ე დ ი ა ნ ი ნ. – რელიგიურ რწმენა-წარმოდგენებთან დაკავშირებული ერთი ტოპონიმის განმარტებისათვის.....	28
ბ ა კ უ რ ა ძ ე ლ., ბ ე რ ი ძ ე მ. – მე-20 საუკუნის მიგრაციები და ქართული დიალექტების ახალი სივრცული სურათი.....	31
ბ ა რ ი ხ ა შ ვ ი ლ ი მ., ნ ა კ ი რ ე ლ ი ე. – ახალი მასალები ქდვ-ის ინგილოური ლექსიკონისთვის.....	38
ბ ე რ ი ძ ე მ. – ბილინგვიზმი და დიგლოსია სომეხ სტუდენტთა მეტყველებაში.....	41
ბ ე რ ი ძ ე მ. – კარკომპონენტური ტოპონიმი სამცხეში.....	44
ბ ე რ უ ლ ა ვ ა ს. – ნაოსნობა-მეთევზეობის ლექსიკა ლაზურში ერთი მთქმელის მეტყველების მიხედვით	47
ბ უ კ ი ა მ. – ერთი მეგრული სიტყვის ეტიმოლოგიისათვის – არხახატი.....	52
გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი გ. – ჰ- და ს- პრეფიქსები ერთპირიან ზმნებთან ქართული ენის დიალექტებში (კიდევ ერთხელ „აღდგა/აღსდგა“ პარალელურ ფორმათა შესახებ).....	55

გ უ მ ბ ა რ ი ძ ე ს. – პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელები ქართველ ებრაელთა მეტყველებაში.....	63
თ ე ლ ი ა შ ვ ი ლ ი ლ. – ახალციხის მუნიციპალიტეტის ოიკონომთა შესწავლის საკითხისათვის.....	69
კ ო ბ ა ი ძ ე ლ. – მესხეთში მცხოვრებ მთიულთა მეტყველების თავისებურებანი	72
კ ო ბ ე რ ი ძ ე მ. – თუშების ყოფა-ცხოვრების აღმნიშვნელი ლექსიკა ალექსანდრე ხახანაშვილის მიერ შეკრებილი მასალების მიხედვით.....	75
კ ო ჭ ლ ა მ ა ზ ა შ ვ ი ლ ი ლ. – შუალობითი ასიმილაცია ქიზიყურში.....	82
მ ე ლ ი ქ ი ძ ე ნ. – განკერძოებული შემასმენელი და განკერძოება შემასმენელთან.....	84
ნ ა რ ა კ ი ძ ე ც. – ზღვაოსნობა-თევზჭერის ტრადიციებთან დაკავშირებული ზოგიერთი ლექსიკური ერთეულის შესახებ ლაზურში	87
ნ ო ღ ა ი დ ე ლ ი ნ. – სათუთა და დედიფერა (მასალები რძისა და რძის ნაწარმის დამზადების ლექსიკიდან ზემო აჭარაში)	92
ო თ ი ნ ა შ ვ ი ლ ი ნ. – დიალექტოლოგიური მასალები შიდა ქართლიდან – სოფელი ყელქცეული.....	98
რ ი ჟ ვ ა ძ ე მ. – ცეკვის ხელოვნებასთან დაკავშირებული ტერმინებისათვის აჭარულში	105
ს ა ღ ლ ი ა ნ ი მ., შ ა ვ რ ე შ ი ა ნ ი ნ. – კვლავ ემოციების გამომხატველი შორისდებულებისათვის სვანურში.....	112
ფ ა ღ ა ვ ა მ. – <i>ეთსუფიქსი</i> შავშეთის ტოპონიმიაში.....	119
ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე ე. – ტაოს ქართულის ლექსიკიდან	134
ქ ი რ ი ა ჭ. – ქართველურ ენათა ლექსიკონების სტატუსისათვის.....	140
შ ე ნ გ ე ლ ი ა ე. – მეგრული კუჩხ-ი „ფეხი“ იდიომებში	145

ჩოთაღიშვილი ლ. – ბოტანიკური საერთაშორისო ტერმინოლოგია და მცენარეთა სახელების ლათინურ-ქართულ ლექსიკონზე მუშაობის თავისებურებანი.....	152
ჩუხუა მ. – ქართველური მოდემის ტომები და მათი სახე- ლები.....	165
ციხიშვილი ნ. – -ჯაფრ-//-ხაფრ- ალომორფის ისტორიისათვის ქართულში	173
ჭაავაძე ს. – აკაკი შანიძის პირად ფონდში დაცული ქიზიყური კილოს მასალები (საარქივო მასალების მიხედვით).....	185
ჭოხონელიძე ნ. – ზოგი სიტყვა ყბედობის მნიშვნელობით ქართულში	193
ხაჩატურიანი ჟ. – სომხური ენის დიალექტების სიმრავლე და თავისებურებები	202
ხაჭაპურიძე ლ., დადიანი ე. – არქაული სიტყვაფორმები მართლმადიდებელი მრევლის მეტყველებაში	204
ხახუტაიშვილი მ., ცეცხლაძე ნ. – დიალექტური ტექსტების დიგიტალიზაციის აუცილებლობა და პრობლემები.....	212
ხოჭოლავა-მაჭავარიანი ნ., ჭელიძე დ. – ზანური სუბსტრატი ქართული დიალექტების ფიტონიმიში	223
ხურცილავა ა. – ინგლისურ- და ესპანურ ონლაინეტიმოლოგიური ლექსიკონების სტრუქტურა.....	230